


1996

N 1,2

ქართველი



II ა.
 (19)

რა საოცარი დასრულდა წლები,
მეფეთა წყება გარდა, ვით ლანდი;
მოშორენენ ფასცებს: ვიღჰელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერერინანდი,

მაგრამ მწეხატებ მათგა კი არა,
სხვაგა იფიქტებს მარციტოლიგი :
იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე
გარდაიცვალა ალექსანდრ მლოვი.

ჰანგების მეფე—ღიღი სენ-სანსი
და ღირიქორი ნიკიში მძლავრი...
ულიან გჩაგა დაუცა მეფე,
მსოლოდ მე ერთი გადაჭრი მგჩავრი,

რომ გამომეულო ჯერ არსმენილი
დარცესილები ცეცხლთა ფენისა
და მომეფანა საჭართველოში
სიმღერა ძველის გადატჩენისა.

გალაკტიონ ტაბიათ

652
1996
w 1,2

ქორები

გამოცემის 38-ე წელი

1

იანვარი—თებერვალი

ii ძეგურა

(19)

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

საქართველოს მთერალთა კავშირისა და აპარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
შურნალი

ცთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია:

გამტანგ ახვლედიანი
ზურაბ გორგილაძე
გამია ვარშავიძე
(პასუხისმგებელი მდივანი)
შოთა ზოიძე
ლავით თეღორაძე
ალექსანდრე სამსონია
რამაზ სურგანიძე
შერამ ფაჯიქიძე
ამირან ხაგაზი
ფრიდონ ხალვაში
ჭემალ ჯაჭვალი

ნომერი გააფორმა გელა გორგილაძემ.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, მელიქიშვილის ქ. № 21, ტელ. 3-33-71

გამოვცა წარმოების 20.11.95, ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 22.12.95. ქა-
ლალდის ზომა 60X90!/16, პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 9, საღრმუჩვე-
საგამომცემლო თაბაზი 8,7, შეკვეთის № 1161, ტირაჟი 200.

ქ. ბათუმის № 1 სრამბა, იძერის ქ. № 91

მურმან ლეგანიძე

2009

ჩ ე ნ ე თ ი

ჰგავს დღეს ჩეჩენთი მარტორქას შეშლილს,
 ეს კოლო-ბუზი დიდ რუსეთს ერჩის, —
 ვინ, ვინ შეპბედა სხვამ რუსეთს რჩოლა —
 ვაი, სირცხვილო — შური მჭირს ჩეჩნის.

დასსუებიათ — ჩვენს კაცებს გავა,
 მჩხავანა კატა — ყასიდად სჩხვა,
 არა მგონია, წავიდეს ომში,
 ეგ დილის ხაშეც საღამოს წავა..

კი, კბილის მატლი ტუსია ჩეჩნის,
 კი, ხიშტის კაზაკიც გულ-ფილტვში შესჩრის,
 ხომ ჩემი სისხლი ჩეჩენებმა ხვრიპეს —
 რაც გინდა თქვი და, შური მჭირს ჩეჩნის.

ჰგავს ეს საჩეჩნო მარტორქას შეშლილს,
 კოლო-ბუზია და ვეშაპს ერჩის..
 ვაი, სირცხვილო! — დავითის პატრონის,
 ერეკლეს პატრონის — შური მჭირს ჩეჩნის.

1995

* * *

ბურთი! ბურთი! ბურთი მიწის,
 მიწის ბურთი ნაწილდება...
 ვაპმე, აფხაზეთი იწვის, —

თეთრ დათვს —
 შავი ზღვა სჭირდება...

შვე — კალასურიც იწვის,
 ცაჭმეს — ბეტონი ნახშირდება...
 ზეცა იწვის, მიწა იძგრის,
 თეთრ დათვს —
 შავი ზღვა სჭირდება...

ბევრი სისხლი გაწევმდება,
 ბევრის დედა ატიტდება,
 ჩეჩენი ზღვას ვინ მიაქვეჭვებს,
 თეთრ დათვს —
 შავი ზღვა სჭირდება...

ბურთი! ბურთი! ბურთი მიწის,
 მიწის ბურთი ნაწილდება...
 ვაპტე! — საქართველო იწვის,
 თეთრ დათვს —
 — ჩვენი ზღვა სჭირდება.

1993.

* * *

როცა ჩიბუხი
 დაბერტყა ხრუშჩოვის გოგრას
 დიდმა სტალინმა, —
 არ სწყენია ნიკიტა — ოლრაშს...
 „არ მწყენია და,
 სხვათა შორის, არც მტკენიაო“, —
 ტაშის გრიალში
 შესძახოდა: — „ხარ გენიაო!“

ფიქტობრა სტალინი:
 დახე რას ჰგავს, თხას ჰგავს მაკესო,
 ეგ მუშფაყელი,
 ევ ჩათლახი, რას დამაკლებსო...
 მოქლეს სტალინი,
 თქვა ბერიამ: — „არაფერია!“

მოკლეს ბერიაც —
 ყველაფერი, ამის მერეა.

მოედნის გარდა
 ჩაუვარდა ნიკიტას ბურთი.
 გამოიგონა,
 გამოჩხრიკა სტალინის კულტი.

თათხა, ათრია,
 ჯერ იყო და, კრემლის წინ დაფლა,
 ჩამოაყენა,
 თავის ჰკუით, მაღლიდან დაბლა.

მერე დასწვა და
 თავისი კულტით
 კრემლის კედელში
 შეამწყვდია პატია ყუთით...

აქედან მორალი:
 დიქტატურა ვერ ითმენს ყოყმას,
 რჩევა დიქტატორს:
 თავი უნდა წააჭრა ბოლმას!

შენი, დრო მიდის,
 შესაძლოა, მისი დრო მოდის —
 კაცმა არ იცის,
 გაგისწორებს ანგარიშს როდის!

ჩიბუხს აბოლებ —
 დააკვირდი საეჭვო გოგრას,
 ნუკი აფერთხავ, —
 გაუჭიეპე ის გოგრა ოლრაშს!

1991



ჟ ა ჟ ვ ი

შაშვი გალობს, შაშვი გალობს, თუ ჩახახებს მაჭახელა,
 შაშვი ჩემი რჩეულია და ბევრჯერაც მასახელა.
 შაშვი არი ამ მიწა-წყლის, ამ ბუნების სალამური,
 ჩემი ღასაწერი ლექსი ჩიხახვში აქვს ღამალული.

პო, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო მაჭახელა ჩიტო.
 შენ ხარ ჯილდო, ოქროს ჯილდო, ჩემი სიჭაბუკის ჯილდო.
 მისი საესტრადო სცენა სუროა და ბუჩქნარია,
 ჩემთან ფარულ შეხვედრებზეც არაერთხელ უჩქარია.
 ამ ჩიტისთვის, ბავშვობაში, ზოგ-ზოგს მახე დაუგია,
 თოფის სროლა კიდევ უფრო სირცხვილი და აუგია.
 პო, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო მგალობელო ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ჩემი ჯილდო, დიდი სიხარულის ჯილდო...
 როდის უნდა მიკარნახო ლექსი ჩემი ღასაწერი?
 ლექსი—კრიმანჭულის კიბე—მეცხრე ცამდე ასასვლელი.
 შენს სიყვარულს ნუ მიწყენენ ბულბული და იაღონი.
 დამასალე ეგ ჭახახი — ხმები საგანთიადონი.
 პო, შაშვო, ჩემო შაშვო, ჩემო საყვარელო ჩიტო,
 შენ ხარ ჯილდო, ჩემი ჯილდო... ჯილდო, ღვთაებრივი
 ჯილდო.

ანტიკოეზის საუკუნის ანტიკითხველებს

თქვენ ააშენებთ სახელმწიფოს პლატონის თარგზე
 და, რა თქმა უნდა, უბოდიშოდ განდევნით მგოსნებს,
 მათ მაცდურ წიგნებს არ დატოვებთ თაროზე არცერთს...
 — ეყოთ პოეტებს რაც ჭალლმერთის თითები კოცნეს!
 — მეც თაყვანსა ვცემ, ბატონებო, ღვთაებრივ პლატონს,
 ამ ფილოსოფოს-ოლიმპიელს და... რიგით მგოსანს,

მაგრამ უჩვენოდ ეს ქვეყანა, რაც უნდა ბლანდოთ,
 მაინც საჭურისს ემგვანება მახინჯს და ქოსას.

მიღით, იცხოვრეთ ულექსოდ და უპოეზიოდ,
 მიღით, იცხოვრეთ სულ ციფრებით, სულ ანგარიშით...
 რა სილამაზეს, რა ოცნებებს უნდა ეწიოთ
 სიგიჟეების, გაფრენების, ლექსის გარეშე?!

ლამაზი ქალის სიყვარულით თუ გულგრილობით,
 თუ არ ვიქნებით, სულ ცოტათი, მაინც შეშლილი,
 სუსტის დაჯაბნით და ძლიერთა გულარძნილობით
 თუ არ ვიქნებით ერთიანად გულგაგლეჭილი,
 მაშინ ფიტჭული ვიქნებით და რასღა ვეწიოთ,
 უსიყვარულოდ, უგულოდ და უპოეზიოდ?

ჩეენ თაეს ვიტყუებთ სულ ბოლომდე, არა ნახევრად,
 ვითომ მგოსნები სიყვარულში არ გაყიდულან,
 და მიჯნურისთვის ნარეკალზე გულის დახევით,
 ისევ მოვკვდებით სულელურად და რაინდულად.

მთლად დაშრებიან კაცთა სულნი... კლდეთა წყარონი...
 მთლად დაყრუვდება ეს ბრბო—ეს ბრმა შურისმგებელი,
 მაგრამ პოეტებს, მოციქულებს და მახარობლებს
 ცაში უფალი ეყოლებათ ყურისმგდებელი!



...დე დრო გვეუპრეს...

არა, არ იყო ეს ქალი წელში ორად თუ ოთხად მოკეცილი, მაგრამ სახე ჰქონდა ისეთი... მართლაც უჩვეულო, არაჩვეულებრივი. რამდენი ნაოჭი და რამდენი ჩაღრმავება, რამდენი უსასრულო და შეწყვეტილი ხაზი... სახე შთამბეჭდავი და მრავლისმეტყველი — სწორედ რომ სულის სარკე! სიმწარე სულისა სწორედ რომ სახეზე აღბეჭდვოდა. ამიტომ იყო, თავჩაქინდრული ამოგყურებდათ, და ისიც უტყუარი იყო, რომ არ უნდოდა მთლიანად წაეკითხა ვინმეს დროით გვემული მისი სული.

რამდენჯერ შევიდა და გამოვიდა ფოსტაში, უკვე თვითონაც აღარ უწყოდა. გასაგზავნი წერილი კი მაინც ვერ გაემეტებია და გულში იკრავდა. მისამართი? — კონვერტზე არც კი წაეწერა. ალბათ, არც თვითონ უწყოდა, ვის უნდა მისვლოდა მისი წერილი სულის.

ჩურჩულებს?

ჰო, ჩურჩულებს...

ნეტაი ვის ეჩურჩულება?

წერილს კითხულობს თურმე ზეპირად...

ეცრემლებოდა საოცრად ლურჯი თვალებიც.

„ერთხელ შვილი დავკარგე ჩემი... ჩემი სოლომონი... ალარაა იგი ჩემი შვილი! არა, ასე მკაცრიც ნუ ვიქნები... მე ალარა ვარ იმისი დედა... ასე უპრიანი იქნება უფრო! დარჩა ჩემი სოლომონი უდედოდ და... უსახლეაროდ... გაუყიდე უკანასკნელი თავშესაფარი... მე კი ქალიშვილს მივყვები... იმას მივნდობივარ, ქალს ქალისა უფრო ესმის. ნეტაი როდის ჩამოვა სანქ-პეტერბურგიდან, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამომგლოჯოს ამ ჯოგონეთურ ქალიქს, ამომაცალოს და მომათქმევინოს სული! მაგრამ სოლმონი ამ ჯოგონე-თში როგორლა ჩავტოვო?

ეს წერილიც ვის მიუვა, რომ ალარ ვიცი! ვინ წაიკითხავს და... ვის გაკიცავენ — სოლომონს, ნადეჟდას, ვისი იმედითა ვცოცხლობ და ხვალინდელი დღის გაონებას მოველი, თუ მე — დედას?! მაგრამ...

— მაგრამ მე ჩემი შვილიშვილის წერილიცა მაქვს უბეში, ჩემი სოლომონის ძე მამასა წერს, ოდესაში ეპატიუება ჩემს შვილს, ქორ-



წილი მაქვს ოქტომბერში და არ დამაღალატოო, — წამოიკვნეს საქართველოს
ერთმა გულმა.

— არ დამაღალატოო?! შენს ქორწილს, ბიჭი მამაშენი როგორ
ჩაგდებს?! არა გრცხვენია, ამას რომ ამბობ?! როგორ არ მოვა ქო-
რწილში?! მოვა და დარჩება კიდეც შენთან. ჯერ ისე არ მოხუცე-
ბულა, რომ თავი ვერ ირჩინოს! მისი რანგის მსახიობი მშიერ-
მშეურვალი როგორ დარჩება?! ჩამოვა, რაღა თქმა უნდა, რადგან
აქ ბინა არ ჩება და ძირი... სხვა გზა მაინც არა აქვს... ჰო, ეს ასეა!
— ახლა მეორე გულმა წამოსძახა, ამოიშმინდა ცრემლიანი თვალე-
ბი.

— ეს წერილი სოლომონის სახელზეა, მაგრამ შიგ მეც მწერენ.
ბებია დაენაცვლოს ჩემს სალომეს. მეც მწერს და მომიკითხავს...
ხედავთ, როგორ უყვარს მამა! ზეპირად მახსოვს ეს აბზაცი: „მამა-
ჩემო, კი არ მახსენდები და გიგონებ? ყოველთვის მახსოვხარ! მახ-
სოვხარ. შენგან მივიწყებულ!“ რა ხანია, რაც შენგან წამოვედი, მი-
გატოვე, მაგრამ... არც არასოდეს დამვიწყებიხარ! ჰო, ახლაც გეუბ-
ნები, რომ ის ბიჭი ყოველთვის მიყვარდა. მიყვარდა და მიყვარს ჩე-
მი შვილების მამა, მამაჩემო! მაშინ რაც მოხდა ჩვენს შორის, არც
ჩემი ბრალია და, რაღა თქმა უნდა, ალარც—შენი, მაგრამ ვინ არის
მაშინ ბრალიანი? ვერა, ასე ადვილად პასუხს ამ კითხვაზე ვერ გაგ-
ცემ, მაგრამ პასუხი ამ კითხვისა ნამდვილად არსებობს და იგი ჩვენ-
ში უნდა ვეძიოთ, ჩემში და შენში, მამაჩემო! გურამი აქ არაფერ
შუაშია!

ასე რომ, ქორწილში გელოდებით...“

— ესაა და ეს... ჩემი სოლომონი არ დაიკარგება, არა! ჩავიდეს
ოდესაში და იცხოვროს იქ... სცენაზე ჩემი სოლომონი თავის ად-
გილს ყოველთვის ნახავს! არა; ჯერ არ ჩასვენებულა ჩემი სოლო-
მონის მზე!

მთავარია, ნადევდა ჩამოვიდეს... ჩემი იმედი...— წელში გასწო-
რდა და თვალებიც დაეშმინდა. თითქოს ხასიათიც გამოუკეთდა, მაგ-
რამ ისევ მოეძალა მელანქოლია: — მე ახლობლები ვარინკას მეძა-
ხიან, შორებლები — ვერონიკას. ჩემი აზრით კი ვარინკა ვიყავი
ყოველთვის და ვარინკადვე დავრჩები აწ და მარადის. როგორა
ვთქვა და... ძნელია სათქმელად, მაგრამ მე ალარ მიყვარს ჩემი შვი-
ლი სოლომონი! მცემს და ვერ ვაპატიებ ამას! მაგრამ არც ისე გე-
გონოთ, თითქოსდა მხოლოდ იმიტომ არ მიყვარდეს, რომ მცემს?!
რომ გაჩნდა, მაშინაც არ მიყვარდა!

წუხელაც მცემა! და იცით, რატომ? ვიღაც ბოსიაბკა მოიყვანა
და მე წინკარში გამაგდოო, შენთვის ეს ადგილიც არ მემეტებაო.

ამიტომ უენ, დედაჩემო, ამ საღამოს წინკარში მოგიწევს ჟილი, რამდენიმე დან საძინებელი ოთახი ერთადერთი გვაქვს და იგი მეუღლეს მისმა სტუმარს უფრო გვეკუთვნის... იქნებ მე და ჩემმა სტუმარმა უკად-რებელი ვიყადროთ და... ხვალ დილით კი, ნება შენია და ოთახიც შენსავე განკარგულებაში გადმოვაო... .

რა მექნა, დაერჩი წინკარში. მერედა როგორ აცივდა წუხელ?! წინკარშიც აღარ შემეძლო დარჩენა. გარეთ გამოვვარდი, მაგრამ სიბერემ უმალვე შემახსენა თავი და წელში მოვიუნტე. ვიღაცა მათხოვარი ვეგონე და ეს არაფრისმთქმელი კუპონები შემომაჩეჩა. უარი ვუთხარი და მენიშნა, სულით ჯერაც არ ვიყავი დაცემული. წელშიც კი გავსწორდი.

სიცივემ შემაწუხა და წინკარში შემაგდო ისევ. საძინებელ ოთახში სინათლე გამოერთოთ, მაგრამ შიგ როგორ შევიდოდი?! თეთრად გავათენე ის ღამე ასე დამცირებულმა და მიწასთან გასწორებულმა. მე იმ დღეს შვილი საბოლოოდ და სამუდამოდ მოვირეცხე გულიდან. ალიონზე ჩამოვლიმა, მაგრამ ხმაურმა გმომალვიძა. სინათლე ჩაერთოთ საძინებელ ოთახში, მერე ისევ ამოხმანდა ის უხამსი მუსიკაც ჭოჭოხეთიდან და კვლავ დავისეტყვე. მაგრამ ამ ხნის ქალს ნეტა რა დამემართა, ცნობისწადილს რომ ვყევი და კუჭრუტანიდან შემახედა საძინებელ ოთახში?!

ორი შიშველი, აცახცახებული სხეული ერთმანეთს ეკვროდა თამბაქოს ნისლ-ბურანში გახვეული. კინაღამ თვალთ დამიბნელდა და წამოვიკივლე.

— რაო, აქედან მითვალთვალებ?! — დაიღრიალა გამხეცებულმა სოლომონმა და კარი გამოალო.

დედიშობილა იდგა იგი ჩემს წინ და რაღაცას მიყვირდა. მე აღარაფერი მესმოდა. მირტყამდნენ და აღარ მტკიოდა... გაქცევა მინდოდა და მუხლები ვეღარ დავიმორჩილე. ჩავიკეცე და ვერც წამომაყენეს.

მერე ძილქუში დამაწვა და... ძლიეს არ მოვისვენე? იქნებ მეს-იზმრა ყველაფერი ეს?

ძილბურანიდან გამოვდიოდი, და იქიდან გამოსვლა აღარ მინ-ლოდა! ძილში მინდოდა ჩავრჩენილიყავი, დღევანდელობაში შემოს-ელისა მრცხვენოდა და მეშინოდა.

გამომელვიძა მაინც და მიმოვიხედე ირგვლივ. წინკარში, გასაჭ-ლელ სკამზე ვიწევი. მტებდა მთელი სხეული. სისხლი ნესტოებზე შემხმობოდა.

ძლიესძლიერობით წამოვდექი და საძინებელ ოთახში შევლას-ლასდი... წამოვწექი.

თვალის გახელა აღარ მინდოდა!

— ვაიმე, ნეტა, რატომ გამიწყრა ღმერთი, ისეთი, რა დავაშავე, რომ ჭოჭოხეთისათვის გამომიმეტა?! ნეტაი, შეახსენებდეს სოლომონს, რომ დედა ვარ მისი, დედა! ეს ბინა უკვე ოდარ არია ჩემი და ჩემი ნაღევდას ჩამოსვლამდესად უნდა დავრჩე აქ... იცას კი სოლომონმა, რომ ბინა გაყიდულია?! იქნებ, რაც წუხელ მოხდა, არც მომხდარა და ჩემი მონაგონია მხოლოდ?

წესით არ უნდა იცოდეს... წავა ოდესაში და... თუკი არ დარჩა თავის შვილებთან და ნამთარში ჩამოვიდა, ამ სახლში არავინ შემოუშევებს.. ჰქონდა თავისი ბინა და გაყიდა! არ ვიცი, ვის მოახმარა ის ფული.. სულერთია ჩემთვის, შვილებს გაუგზავნა, თუ ლვინოსა და ქალებში გაფლანგა! ეს ბინა — ჩემი და მამამისისა, მაგრამ ბინა ჩემს სახელწევა და.. მინდა გავაჩუქებ, მინდა გავყიდი და მინდა... თავის თავს დააბრალოს! ჩაწერილი კი იყო ჩემს ბინაში... ამოვწერე ამ ერთი კვირის წინ. კი დავაშავე, უკითხავად რომ ამოვწერე, მაგრამ რა მექნა? ნებით არ ამოვწერებოდა.. ნაღევდაც ჩამჩიჩინებდა... აქ ჩემი საშველი არ იქნება! მილიციაში უნდა მივიდე, არა... პოლიციაში და გავასაჩივრო...

იყო პოლიციაში და უბნის რწმუნებულთან შეიყვანეს.

— შვილმა გლემა?! რა ჩვენი ბრალია, რაც გავისრდია, მა არის! ალბათ, ღირსი ხარ იმისა, რომ... ეეე, ბებო..., რა ვუყოთ შენა შვილს, რომ ალარ ვიცით? ვიცნობთ და... ხომ ვერ დავიჭერთ ასე ცნობილ მსახიობს? რაღაც ხომ არ ვეშლება, ბებო? რაღაც ხომ არ ვესიზმრება? ცხადი და სიზმარი ვერ გავირჩევია ერთმანეთისაგან. მიდი ფსიხდისპანერში და იქ მოახსენე შენი პრეტენზიები, აბა. ნულარ გვაცდენ, შენთვის ალარ გვცალია, ბებო, აბა, გამოასულოთავე სამორიგეო და მეორედ აქ ალარ გნახო, თორემ... დაუცაცხანეს და გამოაბრძანეს იქიდან.

ტირილიც კი ალარ უნდოდა; ისეთ ხასიათზე დადგა.

სოლომონი პოლიციაში მაინც დაიბარეს. უთხრეს, დედაშენი იყო აქ და შემოგვჩივლა, წუხელ მცემაო. ახსნა-განმარტება დააწერინეს და ბოლიში მოუხადეს, მოგაცდინეთო.

აი. ის ახსნა-განმარტებითი ბარათი და მისი ერთი ფრაგმენტიც:

....დედაჩემი მოგახსენებდათ, ალბათ, სად და რა ვითარებაშიც ვცხოვრობთ. მის ბინაში ვიმყოფებით ახლა, მაგრამ ბინა მამაჩემისა გახლდათ, ამიტომაც მივეცი უფლება ჩემს თავს, რომ ჩემი მცირე ბარგი-ბარხანა მამაჩემის სახლში გაღმომეტანა. ჩემი ბინა კი... გაუჭირდათ ჩემს შვილებს და იმიტომაც გავყიდე. მესამედი ვაუიშვილს მივეცი, მეორე მესამედი — ქალიშვილს და ბოლო მესამედი... მე



შემომექარება, რისთვისაც... ვერ მიპატიებია თავისთვის. უკრაშელი
— ის წერილიც ცნობილია ჩვენთვის, ქალიშვილი რომ გწერს...

— სალომეს წერილი თქვენთან საიდან?

— ეს უკვე ჩვენი პროფესიული საიდუმლოებაა, ბატონი მსახიობო, ჰო, მართლა, რა მოხდა მაშინ თქვენს ქალიშვილსა და ბიჭს შორის? ის ბიჭი, ღლეს თქვენი შვილიშვილების მამა... მაინც რა მოხდა?

— რა მოხდა მაშინ? — ამოიოხრა მსახიობმა და დაუკითხავად დაეშვა სკამზე. უცებ მოუხშირდა შუბლზე ნაოჭები.

„ეს რა საოცარი ნაოჭებია?! — გაუელვა გუნებაში უბნის უშმუებულს, — ნაოჭები როგორლაც რგოლებს კრავენ და თმის ძირებისაკენ მიემართებიან... მართლაც საოცარი ნაოჭები აქვს ამ კაცი! გრიმიაო, რომ ვთქვა, არავ გრიმი... — გაიფიქრა და თვალი არიგა სოლომონს.

— იმ ბიჭს... მისი სახელის ხსენებაც არ მინდა! ჩვენს ეზოში კავიარდა. ორი წლით უფროსია ჩემს სალომეზე. ამბობენ, უყვარდათ ჩემი სალომე, მაგრამ მე არ მომწონდა ის ბიჭი, ჩემს ვაჟიშვილს ყოველდღე სცემდა იმის გამო, რომ იმის დას მოსვენებას არ აძლევდა. ახლა, ამბობენ, სიძე-ცოლისძმა ნორმალურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. იქნებ არცა ვარ მართალი, ის ბიჭი რომ კარგად მივბერტყე, არა, ამაში ნამდვილად მართალი უნდა ვიყო, მაგრამ შევცოდე, კი, რომ სიყვარული აუკრძალე! ამის უფლება არ უნდა მიმეცა თავისითვის... აქ მართლაც შევცდი, მაგრამ ჩემთვისაც ხომ უნდა გაეგოთ?! იცით, არაქათგამოცლილი ვბრუნდები რეპეტიციებიდან და ახლა შენს ვაჟიშვილს აგუნდავებს ის... ის... პარველად ჩემი სალომე გაუიმეტე, მეორედ კი ის ბიჭი გავაისილე... ვერა, ვერ შევიკავე თავი და სხვისი შვილი შემომელახა, მართლა არ გამომივიდა კარგად, მთელი ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა ჩემი სალომე.

დედაჩემთანაც არ მქონდა საქმე კარგად. მოკლედ, ცუდად აეწყო ის წალიშადი ჩემთვის:

ოქტომბრის ოცდარვაში შინიდან გაიქცა სალომე. გამსახურდას ხელისუფლება მკვიდრდებოდა იმ ღლეს საქართველოში. ბინის პრივატიზება არ გამჭირვებია. მერე კი ავიღე და გავყიდე სულ ტყუილად.

ღლეს შვილები, ორივე ოდესაშია. ამბობენ, კარგად არიანო. მალე ბიჭის ქორწილია და ქორწილში მეპატიუება მამას.



ახლა დედაჩემი მომეკიდა მტრად. არ ვიცი რას მიპირებს.

ჰო, შართლა, იძღვნად გავიჭირდა, რომ მივატოვე თეატრის გშრომობ ფიზიკურად. ნულარ მყითხავთ, თუ ლერო ვწამთ, რას ვაკეთებ. ვუციცავ ყველას, რომ პატიოსნებისათვის არ მიღალატია, თავს ჩემი ოფლით ვირჩენ. გავიგე, დედაჩემი უფასო სასადილოში დადის და სამადლოდ იკვებებათ. ეს შეურაცხმოფელია ჩემთვის, მაგრამ... უარმყო როგორც შვილი, აი, რა მწყენს ყველაზე მეტად, მაიც მეცოდება დედაჩემი.

— გიცემიათ თურმე! ბაკეანალია მოგიწყვიათ იმის საძინებელ ოთახში.

— ბაკეანალია? როდის? — მხრები აიჩეჩა სოლომონმა, — ბაკეანალია? როგორ? როდის?

— ქალი მოგიყვანია იმის საძინებელ ოთახში, დედათქვენი კი წინკარში გაგიგდიათ... იმის თვალშინ უკადრებელი გიკადრებიათ.

— არა, ბატონო პოლიციელო, ისე ჯერ არ დავცემულვარ, რომ...

— დედიშობილა ჩვენებიხართ დედათქვენს!

— დედიშობილა?! ალბათ, გავგუდები!

— ნეტავი აქ იყოს დედათქვენი და...

— არა.. არა.., ვერაფერი გამიგია:.. ნეტა რა ხდება? იცით რა?

— ფსიხდისპანსერში ხომ არ არის აღრიცხვაზე?

— იყო ოდესლაცია, მაგრამ არაც.. საჯებით ნორმალურია და.. საღადაც აზროვნებს.. იცის, იცის ზოგჯერ, შთაიგონებს თავს და.. თხზავს რაღაც-რაღაცებს.., აქნებ ახლაც გამოიგონა აი ასეთი სიტუაცია და ელის კვანძის გახსნას.. ახლაც იმ ახალ, გამოგონილ სამყაროშია და..

— მიდით, მიდით, მგონი თქვენცა თხზავთ ახლა ახალ სიტუაციას...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო?! უცნაური ქალია დედაჩემი... უნდა ამოშალოს როგორმე ჩემი სახსენებელი თავისი მესსიერები დან და იცით, რატომ? ჩემი ნახევრადდა სანქტ-პეტერბურგში ცხოვრობს. იმას სხვა მამა ჰყავს. ჰოდა, იმ თავისი ქალიშვილისათვის უნდა ეს ბინა დედაჩემს. მოუკვარასჭირებია კიდეც გაცვლის ამბავი... იქ გაფართოვდება. ყურისძირის მეზობელი ჰყავს ერთი ქართველი კაცი, ჯერ კიდევ სამოციან წლებში გადასახლებულა ჩვენი ქალაქიდან. ახლა მოხუცებულს ნოსტალგია მოძალებია და... იცხოვრებს აქ, ამ ჩვენს ბინაში ის ქართველი კაცი. დედაჩემიც გადავა თავის სანქტ-პეტერბურგში, მაქსიმუმი ორი წელი იცოცხლოს.. გაუძლებს ორ წელს ჩემი და ნადევდა... ფეხებჩამოკიდებულიც კი გაძ-



ლებს, იმის ხასიათი რომ ვიცი. მერე გაასვენებენ შვილისაფანტ-მოქან
ულებულ დედას... ეს ყველაფერი კარგი, თითქოს და იყენებს მარტინი.
მაგრამ მე რას მიპირებენ, ამაზე არავინ დაფიქრებულა! დადის დე-
დაქემი და გაჭირვის, გაყიდა თავისი ბინა, გაანიავა და ბინას მეც-
ლება ახლაო. მე... დედის მოძულე შვილი... ლოთი და გათახსირებ-
ული... პირველად, რაღა თქმა უნდა, მეც გამიჭირდა... თეატრი დავ-
ტოვე, სცენას ზურგი შევაქცირ ამ გაჭირვების უამს და ლუკმა-ბურ-
ის საშოვნელად დავწანწალებ.. იქნებ დავლიე კიდეც იმედგაცრუ-
ებულმა და რა მოხდა მერე? ვინ არ სვამს დღეს?! ჩემი შვილები...
ბიჭისაც სოლომონი ჰქვია, გოგოს — სალომე... მეპატიუებიან... ქო-
რწილია ჩემი ბიჭის... დედაქემს უნდა ოდესაში დავრჩე. ეს ბინა
კი... მაგრამ ოდესაში რა გამაძლებინებს? მერე და ვუნდივარ კი მე
იმ ქალაქს? ადამიანებს?! მათხოვარი აქლია დღეს ოდესას? და თუ-
კი თქვენ აღმოაჩენთ, რომ რაიმე დასაყრდენს მაინც ვპოვებ უცხო
ქალაქში, კეთილი და პატიოსანი, ვიცხოვრებ იქ... მაგრამ როგორ
დამტოვებს მე დედაქემი უბინაოდ, როგორ გამწირავს ისე? მეც
ხომ შვილი ვარ მისი! მეც ავიყრავდი გუდა-ნაბაღს ამ ქალაქიდან
და ამოვიტუმბებიდი აქურობიდან, მაგრამ... იცით, რა, მე იქ უფ-
რო უნდა ვიყო, ვიდრე ოდესაში... მაგრამ ნურც იმას იფიქრებთ,
ოთქის ვაჟიშვილის ქორწილზე არ მინდოდეს ყოფნა!

ეეჲ, კაცი მქვია მე ახლა?! ოდესაში ვერ ჩავსულვარ!

— თქვენ... თქვენ რომ თეატრი მიგიტოვებიათ? მერე და დასა-
ყრდენი სად მოიძიეთ, მინდა ვიცოდე...

— თეატრში კუპონებს გვიხდიან და ერთი კაცის არ იყოს, კუ-
პონებმა დახურეს უკვე ჯული! თვეში იმ კუპონებთან ერთად ოც-
დაათ დოლარსაც დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერჯერობით დაპირებად
რჩება ის დაპირება...

— ოცდაათი ვერცხლი... გაეცინა უბნის რწმუნებულს.

„თქვენ ყოველდღე, ღებულობთ ამ ოცდაათ ვერცხლს და სინ-
დისს ერთხელაც არ შეუწუხებიხართ!“ — გაიფიქრა სოლომონმა
და ქვეშ-ქვეშ ახედა გამომძიებელს.

— მაგრამ იმასაც ვერ იტყვით, რომ ღვინის მოძულე იყოთ...

— ღვინის მოძულე რად უნდა ვიყო? ღვინოს ქართველი კაცი
სათრობად ხომ არ სვამს. ...ახლა ეს მითხარით: რას მიპირებთ,
უნდა გამასახლოთ დედაქემის ბინიდან, რომელშიც ჩაწერილი გახ-
ლავართ, თუ...

— მოხუცი ქალია დედათქვენი, ამის შეხსენება არ გჭირდებ-
ათ...

— შაგრამ...

- მაინც რას აპირებთ, მიემგზავრებით ქორწილზე, თუ...
- აბა, რა ვიცი, სახსრები...
- ჩვენ რომ გაგიხერხოთ მივლინება?
- ოქვენი! მაგრამ ასე როდის აქეთ ზრუნავთ ოქვენ უცნობი ადამიანებისათვის?

— ასეც ხდება ზოგჯერ.... —გაეღიმა უბნის რწმუნებულს.

— ოღონდაც მეშინია, იქიდან დაბრუნებამდე არ ამომწეროს გინიდან დედახემშა.. სადღა წავიდე მერე? ჩვენს მეზობლებშიც გამოგვეითხათ ჩემზე და დედახემზე. ასე მგონია, დედახემის გარდა სხვას არავის ვძულვარ ამ ქვეყანაზე... ნადევდა რომ არის ამ ქვეყანაზე, იმიტომაც ვძულვარ დედახემს... ეს ბინა კი მამახემისაა, ასე რომ.. ნადევდა ჩემი დაა...

— ნუ აწყენინებთ დედაოქვენს... მე მოველაპარაკები, იქნეა ოქვენენაც მოიხედოს...

— კარგი, ჩავალ ოდესაში ჩემს შვილებთან. დაუჩემებია, გეპატუებიანო. მაგრამ რომ მეპატუებიან, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დავრჩე იმათთან საცხოვრებლად. ქორწილში მეპატუებიან მამას... ერთსაც არ წამოსცდენია, იცხოვრეო ჩემთან... გარკვევით მწერენ, ორივეს მოვენატრე და რატომ არ მოგვინახულებო, ამ ქალს, დედახემს იდეაფიქსად ამოუჩემებია ჩემი სააქაოდან ამოშლა... ხელს ვუშლი, თუ ხედავთ?!

— იმ ქალის მამა... ოქვენი დის მამაზე და ოქვენს მამინაცვალზე რას იტყვით? ოქვენი მამინაცვალი ოქვენთან გაღმოვიდა ალბათ საცხოვრებლად, სწორად გამიგია, არა?

— სწორად გაგიგიათ... მაგრამ ალარაა ცოცხალი ჩვენი პავა...
 — ქადაგიძე სოლომონი ხართ, ვიცი, ოქვენი და კი რა გვარია?
 — კობზარი ნადევდა...
 — სოლომონ ქადაგიძე... ულერს, ხომ იცი?

— უკვე ალარ ულერს, ბატონო ჩემო...
 — უნდა დაუბრუნდეთ სცენას... ჰო, დედაოქვენზე მინდოდა მეკითხა, როგორი ქალია ოქვენი აზრით, შეუძლია თუ არა, სიკეთე უყოს გაჭირვებულ კაცს.

— აბა, რა ვიცი? არ ვიცი, არ ვიცი... გონება თუ მერევა..
 — არა, სოლომონ ჩემო, არც ასეა საქმე... დედაოქვენი, ჩემი აზრით, ცუდი ქალი მაინც არ უნდა იყოს. აგერ მისი დღიურიც. მინდა თქვენც წაიკითხოთ. სწორად არ ვიქცევი, მაგრამ არც ის შემიძლია, ასე არ მოვიქცე. აი, ეს დედაოქვენის დღიური, წაიკითხეთ და... ორი-სამი დღის შემდეგ დამიბრუნეთ... ახლა კი წაბრძანდით,

სოლომონმა დღიური ჩამოართვა უბნის რწმუნებულს და კაბი-



ნეტი თაგმაქინდრულმა და ჩაფიქრებულმა დატოვა.

რკინიგზის სადგურის უკან რომ სკვერია, იქ შევიტა და ხის
ძირზე ჩამოჯდა, ორმოცდარვაფურცლიანი რვეული გადაშალა და
პირველი გადაიწერა.

„გავჩნდი და ალბათ იმ დღიდან შემიყვარა ჩემმა ბიძაშვილმა
პავლემ, მაგრამ თვითონ როდიდან უნდა მახსოვდეს იგი?

როდიდან და სულ პატარაობიდან! ჯერ ლაპარაკიც არ ვიცოდი!
ლია ცისფერი თვალები ჰქონდა; სიყეთით ამოვსებული, ქერა, ხვე-
ული თმები... შერე და მერე თმები ოქროსფერი გაუხდა. ახლაც ვხე-
დავ ცისფერთვალება ბიჭს, ოქროსფერ კულულს რომ იწვალებს
შუბლზე. ეშმაკურად მიყურებს — დამიმახსოვრე, დამიმახსოვრე,
მე პავლე ვარ — შენ მომავალი ქმარი... პავლე ვარ, პავლე — შე-
ნი მომავალი ქმარი!

მას შემდეგ, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, თან დამყვებოდა
პავლეს სახება, პავლე ჩემი ლანდი გახდა, ძილშიც ჩემთან იყო,
მესიზმრებოდა და მეუბნებოდა: გამოგეცხადე მე — შენი ქმარი...
ჩემს იქით შენ გზა არა გაქვს, შენ ჩემი ხარ, ჩემი... ჩვენ ერთმანე-
თისათვის გავუჩენივართ ღმერთს...

შეც შევეჩვით პავლესა და მის აჩრდილს, ზაფხულში ვიწვოდი
უმისოდ, ზამთარში კი — ვიყინებოდი. (ისე, ჩემთვის პავას ვეძახ-
დი).

ერთხელ, რვა წლისაც არ ვიქნებოდი, საღლაც წაიყვანეს პავა
და მთლად ჩამობნებოდა ჩემთვის. ვერა და ვერ მოვისვენ, ყველ-
გან და ყველაფერში პავა მელანდებოდა. გაუფასურდა ჩემთვის
ყველა და ყველაფერი. ალარც გაღვიძება მიხაროდა და ალარც —
დაძინება. დავდოოდი მოთენთილი და გაუბედურებული.

მეორედ მაშინ დამაშორეს პავას, ცამეტი წლის რომ ვსრულ-
დებოდი. წინა ღამე, არ ვიცი, როგორ და მასთან გავატარე. მკოც-
ნიდა თვალებში, მივდივარ შენი პავა და სხვებისაკენ ერთი წამითაც
არ გაიხედოო, თვალი არავისკენ გაგექცეს, თორემ ჩიტი ამბავს
მომიტანს და მეწყინებაო. ლოყაზე ვაკოცე და გულში ჩამიქრა. მე-
რე ძუძუს თავზეც მაყოცა და აწი შენს თავს ვეღარავინ წამართმევსო.

ორი თვის შემდეგ დაბრუნდა და გამოიდარა ჩემთვის.

გათენდა!

უპავოდ სიცოცხლე ალარ შემეძლო... ეს იმანაც იცოდა და მახ-
სოვს, ყურში ჩამჩურჩულა ერთხელ, ჩვენს გაბედნიერებას ბევრი
ალარაფერი უკლიაო. უნდა გაიზარდო მხოლოდ, ეგაა პრობლემა,
პრობლემა ერთადერთიო.

მეც თავს ვუქნევდი, აუცილებლად და სწრაფადაც გავიზრდე —
ბიო და მდიოდა ცრემლი სიხარულის: ომერთს შევთხოვდი, ზრდაშემორჩეული
არ შეეშალა ხელი ჩემთვის, დამხმარებოდა როგორმე, იმსიმაღლე უკირთხება
მაინც გავეხადე, წარბებამდე რომ ვწვდენოდი ჩემს პავას.

ჰოდა, მეც ვიზრდებოდი...

სწორედ წარბებამდე შევწვდი იმ წელს და ომიც დაიწყო. პავა
ზუსტად ოცდაორ ივნისს გახდა ოცდაორის, მე კი — თხუთმეტის.

ჰო, ჩვენ ერთ დღეს ვიყავით დაბადებული.

პავა ჯარში გაიწვიეს. მას შემდეგ არაფერი მსმენოდა მისგან.

ორმოცდასამის ოცდაორ ივნისს სამკუთხა. ბარათი მოგვივიდა
და მისი დალუპვის ამბავი მოგვიტანა. იმ დღეს მართლა ჩამობნელ-
და ჩემთვის, ჩამოლამდა. წვიმდა კოკისპირულად. შებინდებისას
ძლიერ მოვახერხე სახლიდან გამოსვლა და პირი-სახე წვიმას შეკუ-
შვირე.

— გამლახე, გამლახე, წვიმა! ჰო, მიხარია, რომ მცემ... ორ...
როგორ მტკივა სული... შეველა ხარ ახლა. შენ ჩემთვის, — პირით
გემოს ვუსინჯავ წვიმას და მომწონს. უსაშველოდაც რომ მომწყუ-
რებია?

და ამომევსო სული ამ წვიმით.

დავმშვიდი თითქოს და შემცივდა მაშინ.

— ცუდად ხომ არ ხართ? — ვიღაცამ მკითხა და თვალი გავა-
ხილე. ჩემს წინ ყმაწვილი კაცი იდგა, ჭარისკაცის ფარავიანი.

პირველად პავა მეგონა და კინალამ გადავეხვიე.

ავტირდი უცებ:

— მე გერმანელებმა პავა მომიქლეს...

— ფაშისტებმაო. — შემისწორა ფარავიანმა ჭარისკაცმა.

არ ვიცი, როგორ მოხდა და ექვსი თვის შემდეგ მე ამ კაცის ცო-
ლი გავხდი. საოცარია, მაგრამ ამ კაცში მე პავას ვგრძნობდი და
ვხედავდი. გიორგისაც ოქროსფერი კულულები და ლია ცისფერი
თვალები ჰქონდა.

სიყვარულით, აბა, პავას გარდა ვის შევიყვარებდი?

გიორგის ჩემს გარდა არავინ ჰყავდა. ვცხოვრობდით ერთოთ-
ხიან ბინაში, მამიდამ რომ დაუტოვა და თითქოსდა ბეღნიერებიც
უიყავით.

იმას უჩემოდ სიცოცხლე არ შეეძლო, ვუყვარდი თავდავიწყებ-
ოთ.

ერთხელ შესფოთებულმა მკითხა პავა ვინ არისო და თვალი
ვეღარ გამისწორა. მივხვდი, ძილში ვიმეორებდი პავას სახელს და
მეც ყველაფერი ვუამბე.



მოიწყინა და მერე ოლარ გამქარებია.
ჭრილობაც გაუმიზეზდა და ლოგინად ჩავარდა. შემოსის
ერთ დღეს, პურის რიგიდან რომ დავბრუნდი, შინ ილარ დამხ-
ვდა. კამოდის თავზე თოხად გაკეცილი ბარათი იღო. უხალისოდ
ავიღო ხელში და გავშალო.

„წავედი მე შენი ცხოვრებიდან. მშვიდობით, აწი ვეღარ მიხ-
ილავ. ვფიქრობ, ცოცხალია შენი პავა და დაგიბრუნდება მალე...
პავა. ვაჟი რომ შეგეძინოს, სოლომონი დაარქვი, სოსო...“

გიორგის წასკლიდან ერთი კვირის შემდეგ პავას წერილიც
მომივიდა. იმას გიორგის წერილიც მოჰყვა. მწერდა: „მაპატიე, ვიც-
ოდი, რომ ცოცხალი იყო შენი პავა, წერილიც მივიღო მისეან, მაგ-
რამ დაგიძალე, კიდევ ერთხელ მაპატიე, რომ მამაკაცურ სიმაღლე-
ზე ვერ აღმოვჩნდი, ამიტომაც წავედი შენგან... არ დაგვიწყდეს,
ვაჟი შეგეძინება ჩემგან და სოლომონი დაარქვი. მშვიდობით, იც-
ხოვრეთ შენ და პავამ ბედნიერად. ჴო, მართლა, პავას წერილი კამ-
ოდშია, ზედა, მარცხენა უჯრის კუთხეში...“

სისხლი ამიგარდა თავში და შეგვარბაცდი.

კამოდთან ძლიერ მივედი და ხელისკანალით გამოვალე უჯრა.
ვნახე პავას წერილი, ვნახე! „ვარინქა ჩემო, მე ცოცხალი ვარ. მეღ-
ისოსის იქნებ შენი ნახვა და... აღსრულდეს იქნებ ნება ღვთისა! ღმერთია მოწყალე და შეგვიწყალებს კიდეც მე და შენ. წერილს
გულაგიდან გწერ. თუ როგორ მოვხვდი შენი არეალის მიღმა, ამაჩე-
მერე ვილაპარაკებთ. ახლა კი მინდა გიოხტა, რომ ისევ ძველებურ-
ად მინდიხარ. მენატრებიო, გიოხტა, ცოტაა, მართლაც რომ დიდ
გამოცდაა ჩვენი ცხოვრება. აბა, ვინ იფიქრებდა, ერთი უბრალი
სიტყვისათვის თავისუფლებას მომანატრებდნენ და დამაშორებდ-
ნენ შენთან. მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ არსებობ ქვეყნაღ
შენ და შენთან შეხვედრის ჟამიც ახლოვდება. ხომ ისევ ძველებუ-
რად გიყვარვარ, ვარინქა?“

ეეე... ეს რა წისქვილის ბორბალი დაატრიალეს ჩვენს თავს?!
მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, გიმეორებ, ვარინქა, რომ ერთ სამყარ-
ოში მოგვიჩინეს ბინა მე და შენ, უსაზღვროდ ბედნიერი...

ვარინქა... ვეროჩქა, მე შენი ხმა ყოველდღე მესმის და ყოველ-
დღე გელაპარაკები. ამან გადამატანინა ყოველივე ის, რაც თავს გა-
დამხდა და გადამატანინებს იწი. და ბედნიერი ვარ მაინც, რომ კა-
ცად დავრჩი, არ დამიგარგავს კაცობა და კაცურობა და ეს იმიტო? რომ არსებობ ქვეყნაღ შენ, ჩემო ვარინქა-ვეროჩქა... ვარინქა-ვერ-
ოჩქა! და აქ მანძილის სიშორეს ჩემთვის მნიშვნელობა აღარცა
აქვს! აღარც დროის პრობლემა მაწუხებს უკვე!

ვიცი, რომ ვნახუთ ერთმანეთს, მე გიხილავ შენ და... მიხილავ შენ!

გვიახლოვდება უამი შეხვედრის, ჩემო ვარონაუ-ვეროჩა! მე ვემზადები ამ დღისათვის!

შენი პავა გულაგიდან».

* * *

დრო..., დრო კი ულმობელი ისევ გარბის უკანმრუხედად.

ვაუი მეყოლა — სოლომონი.

მაგრამ პავა? რას იტყვის პავა?

ისიც თვალწინ მიღებას. ახლადწვერგაპარსული, წინ გამოწეული ყვრიმალებით, რაც ასე გამოარჩევს უველასაგან. თბოქის მოტეხელა, უფამო უამს გაუტეხნია თითქოს, მოუტრეკია. მაგრამ გამოხდება ხანი და დაიბრუნებს თავის იერ-სახეს ჩემი პავა! მაგრამ ის მეორე ვინდაა, სევდიანად რომ შემომყურებს? ჩემი სოლომონის მამა! ჰო, ის არის! ესცე რანაირად მობერებულა. პავას წყან დგას აცახუახებული და შეუტრაცხყოფილი თბოქის... ნუთუ მებრალება?!

„ნეტაი, რომელი გავა ჩემი ცხოვრებიდან. რომელი აიკავს გუდა-ნაბაღს და დამეკარგება?! თქის გზას გაყვება!“ — მომძებროლა ფიქრმა — ნიავმა და გამაძაგაგა, მეშრნოდა პავა არ გადასულიყო ამ ჩემი საოცარი ხილვიდან..

— მივდივარ მე... წავედი შენგან, განვედი... — გავიგონე შორეული ხმა და პავალა შემორჩა ჩემს სულის სარკეს. „ის შეარე, სოლომონის მამა კი გაქრა ჩემი მხედველობის არედან.“

— მე შენი მეხსიერებიდანაც გადავალ... — მომუსმა გაწმილებული კაცის ხმა და გული დამეთუთქა.

მე კაცი შოვინელე, კაცი უნდა ამოვიგდო მეხსიერებიდან; თბოქის არც ყოფილიყოს იგი ჩემს ცხოვრებაში. აწი იმაზე ფიქრმაც კი აღარ უნდა შემაწუხოს, აღარც ის უნდა ვიცოდე, ცოცხალია თუ მკვდარი. თითქოს არც დაბადებულიყოს!

არა, არა!

დამნაშავე ვარ, დამნაშავე იმსს წინაშე. ერთხელაც არ მიხსენებია მისი სახელი.

და საერთოდ რას იტყვის პავა, რომ იმ კაცისაგან, რომელიც ვერა და ვერ დავაფასე, შვილი მყავს — სოლომონი! და საერთოდ რას იტყვის პავა, რომ ჩემს ცხოვრებაში მაინც იყო კაცი ერთი, რომლისგანაც შვილი ვინდომე მე და... მაპატიე პავა! შენ ამეებზე არა ფერიც არ იცი! ვაიმე, ჩემო თავო! მაგრამ... სოსიკო სადა ხარ? ძლივს არ გვიხსენე, რომ ბაგაში მყავს...



სოლომონი — ჩემი ცხოვრების გასაღები! სოლომონი მანგი
ჩემი სიცოცხლე!

...პავა გიორგის გაქრობიდან ექვსი თვის შემდეგ გამოჩნდა.
ისევ შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში პავა... დამკვიდრდა იგი ჩემს
ცნობიერებაში.

პირველი, რაც ასე მენიშნა, ის იყო, რომ პავას არ შეეძლო სო-
ლომონის, ჩემი სოსიკოს სიძულვილი. პირიქით, უყვარდა კიდევ
ჩემი ოქროსფერობიანი და საოცრად ლურჯოვალება ბიჭი. ისიკ
ზღვისფერი თვალებით შესცეროდა ჩემს პავას და განაჩენსაც იმი-
სგან შორიდა.

უზნეო არასოდეს ყოფილა სოსო, მაგრამ პავას ჩამოსვლის შემ-
დეგ მართლა გამოიცავალა ზნე, მიზეზიანი გახდა და უნდოდა-არ
უნდოდა, ალვარლვარებდა ცრემლებს.

— ცრემლის ძერწვის დიდოსტატიაო, — ხუმრობით იტყოდა
პავა და კოცნით ამოუშრობდა ხოლმე თვალებს.

ერთხელ ტირილით რომ აკლო ქვეყანა ჩვენმა სოლომონმა.
პავა შემოვიდა ოთახში და მე დავამშვიდებო, მითხრა.

— სოლომონჩიკ, ძეირფასო... აბა, გეყო ტირილი... ტირილი
კარგი რომ იყოს, მე ვიტირებდი შენზე ადრე... მერე და საქმე მარ-
ტო ტირილი კი არ არის.. ღვრი ამ მარილიან ცრემლებს და... აბა,
გასინჯე ცრემლი, გემო გაუსინჯე! მარილიანია შენი ცრემლი! მა-
რი-ლი-ანი! გესმის? — სოლომონმაც გადაყლაბა რამდენიმე წვეთი
ცრემლი და თავი დაუკრა პავას, მართალი ხარო;

— შენ ისა თქვი, ცრემლს ტკბილი გემო რომ ჰქონდეს, ხოვ
უკეთესი იქნებოდა?! ცრემლსაც ფასი დადებოდა და... — ცრემლი
შეწმინდა პავამ სოსიკოს და შვებით ამოისუნთქა. მიხედა, მისი და-
მხერი იქნებოდა აწი სოლომონი და დღევანდელი დღეც ამოწურუ-
ლად ჩათვალა.

ერთხელ პავამ ისიც მაუწყა, რომ შენი სოლომონი ძალიან ახ-
ლოს მოდის ჩემს სულთან და გამილიმა. — მე გავიმარჯვეო, მაგრა-
ნიბინა.

ვნახოთ, ვნახოთ. ისე, ყასიდად ვთქვი და პავამაც საყვედურით
სავსე თვალები შემომანათა.

— იცი, რატომ წავიდა მამამისი? ვხვდები, რატომაც გავვეცა-
ლა! დიდი სულის ადამიანები მართლა არ კვდებიან, უფლებაც არა
აქვთ, მოკვდნენ! ვიცი, სადაც უნდა იყოს სოლომონის მამა, ვიცი!

— ნუ მეტყვი, პავა, ძალიან გთხოვ! ნულარ მიხსენებ იმ კაცის
სახელს...

— იგი აღარასოდეს მობრუნდება აქეთ... შენ იმას ვერ გაუ-

შე... შენ მარტო ჩემი გესმის... თუმცა ერთი ქალიბათვის ესაც კმარა...

— პავა!

— ჰო, ვერონიკა-ვეროჩეა-ვარინგა... მოვა დრო, აღარ გეყოლები და... პრობლემად გეჭევა სოლომონი და გთხოვ... უნდა გაუგო ამ ბიჭის, უნდა გაუგო! ვერ გაუგებ და გავა იგი შენი ცხოვრებიდან. ისიც მამამისივით მოიქცევა, მაგრამ შენ?

ვერ მოიქცევი ისე, როგორც შენ გეკადრება... ოოო... შენს თვალებში ვკითხულობ, რომ ვერ ამაღლდები შენივე სულის ევო-ლუციის გზაზე... თუ გიყვარდე, ეცადე, გაუგო სოლომონს, ვარინგა!

ამ თემაზე მერე აღარც გვისაუბრია, მაგრამ ვერძნობდი, რომ სოლომონი კიდევ უფრო უახლოვდებოდა ჩემს პავას და ვეღარც პავა ფარავდა ამ სიხარულს.

— ჩვენ ქალიშვილი გვეყოლება, პირველ მარტს, ნადეჯდა, — გამომიცხადა პავამ ნოემბრის ბოლოს და წინდაწინ ლექსიც კი მი-უძღვნა გაზაფხულის პირველ დღეს.

ერთხელ პავამ დიდის ამბით გამანდო, რომ სოლომონმა შესაძლოა მსახიობის დიდი ნიჭი გამოავლინოს და არ გაჟიკვირდესო. ლექსებსაც თხზავს, მაგრამ არავინ იცის, როდემდე შერჩება პოეზიას.

მსახიობი კი უეჭველად გამოვა სოლომონისაგან, დიდი მსახიობი!

— საიდან დასკვენიო, ვკითხე და გაეღიმა.— შენ ის ნახე, როგორ კითხულობს ლექსს, შესანიშნავი დეკლამატორია უკვე... მერე რანაირი გარდასახვის ნიჭი! სოლომონი გრძნობს ლექსს, კაცი სულს კითხულობს. ლექსში უნდა შეხვიდე, ჩაწვდე პოეტის სულს, თავად ამ ლექსის ავტორად იქცე... უნდა გარდაისახოს მსახიობი. ლექსი მისი სიცოცხლე უნდა გახდეს!

ვიცი, დაეხმარებით შენ და ნადეჯდა... დაეხმარებით, გახსოვდეს..., ხელი არ ჰკრათ, თორემ დაიღუპები შენ—უპირველეს... ად, ვარინგა, ვერონიკა ჩემო... ნადეჯდა კი... ჩემი და შენი ქალიშვილი, მოვა იგი ამ ქვეყანაზე, სულ მალე მოვა... გაზაფხულის პირველ დღეს...

— შენ და ნადეჯდა დაეხმარებითო სოლომონს... მერე და შენ? — ვუსაყვედურე პავას.

— მე აღარ ვიქნები, ჩემო ვარინგა, აღარ ვიქნები... ასე ვადაუ-ყდა მალლა, ზეცაში, უფლისტანში. ამ გადაწყვეტილებას აწი ვარავინ შეცვლის!



— სად; ჭალა? აბა, ვინ გადაწყვიტა ჩვენი ბედი? ჩვენს უფრო მო არ გვეკითხებიან?

— მაღლა, ვარინკა, ღმერთია ღიღებული — ყოვლისშემძლე, ყოვლისშემძლელი... სულეთში მიმიხმობენ მე..., ღება უამი ჩება ამაღლებისა...

— სულუთში? ამაღლება? მაგრამ აქ უფრო რომ გვჭირდებია?

— ეეჲ, ვარინკა, ვარინკა. ქაური ცხოვრება ილუზია მხოლოდ..., მაია-მაია! თუმცა ამაზე მეცა მაქვს სხვებისაგან განსხვავებული, ჩემებული აზრი...

— შენი აზრი — ყველასაგან განსხვავებული თუ გამორჩეული?

— მიწივრი ცხოვრებაც ჭეშმარიტებაა, ვარინკა... აი, ეს ფიზიკური სამოსელია ჩვენი სულისფრის. სული და სხეული... ნისტრადამუსის სახელი ხომ გსმენია ჩემგან. წინასწარმეტყველებდა, როდ სტატორია ჭავშირი სამოცდაცამეტ წელიწადს და კიდევ რამდენიმე ოვეს იარსებებსო. ოცდათხუთმეტი წელი უკვე გავიდა და საბჭოთა ხელისუფლება კიდევ ოცდათხრამეტ წელიწადს გაძლებს. ორმოცდაცამეტის გახდება სოლომონი და დაემხობა საბჭოთა იმპერია. ვიცი, გათავისუფლდება საბჭოთა ადამიანი, ჩამოცილდება მას ეს სამარცხეინო იარლიყი „საბჭოთა“, რასაც მოჰყვება დიდი ნგრევა და მსხვრევა, დიდი ნიპილიზმი, ჯერ გაუგონარი ნიპილიზმი! დაკარგვეს ადამიანი მომავლის რწმენას, მაგრამ გამოაღწევს ამ ჩითადანაც. უნდა გადარჩეს კაცი!

— ეს წარმოუდგენელია, პავა, სად ამოიკითხე ეს მქრეხელობა, სად? ალბათ, ამიტომაც დაგაპატიმრეს. შენ სრუიალიზმის მტერი ყოფილხარ, სტალინის მტერი...

— მე, ვარინკა, არავის მტერი არა ვარ. მე ადამიანი მიყვარს და მებრალება. ამიტომაც დავეძებ მისი გადარჩენის გზებს.

— საიდან, საიდან ასე განსხვავებული აზროვნება, პავა?! ეშ-მაკისულია. ეს აზრი! როგორ მიჰყიდე სული ეშმაკს, რატომ არ გამოერკევი?

— მე გამოვერკვე? მე, ვარინკა?

— მე აღარც შენი წინასწარმეტყველებისა, მომწონს და არც ვიზიარებ ე მაგ ეშმაკეულ აზრს?

— ვარინკა, მე ყოველთვის იმ გაგებით დავდიოდი, ბიბლიაში რომ წერს — გიყვარდეს მოყვანი შენიო

— სოცარია, თანამედროვე ადამიანი, მეოცე საუკუნის ბინადარი ბიბლიას იშველიებდე, — გადავაქნიე თავი.

— ვარინკა, შენი აზრით აღარც დმერთია ამ სამყაროში?

— ღმერთი?! — თითქოს ცივი წყალი გადამავლესო, შევცხა



უცის, — ამაზე არც მიფიქრია... ღმერთი... სული... არა, არც ერთობენ არა ამ ქვეყანაზე და აღარც — მეორე! არც—სატანა!

— რა არის სული? ვერცა ვხედავთ და ვერც შევიგრძნობთ, სუნი არა აქვთ და ფერი, აღარც წონა გააჩნია! მაშაბადამე არ არ-სებობს!

— პო, ვარინკა... ცუდი საუბარი გამოგვივიდა... შენ ჩემი არ გესმის და...

— არც ჩემი გესმის შენ! — წამოვიყვირე და შევკრთი. სულ სხვა გემზე ასულიყო ჩემი პავა! მეც სხვა გემზე აღმოვჩიდი და ვცილდებოდით ერთმანეთს.

— ვარინკა!

— პო, პავა... მალე აღარ ვიქნებიო, მითხარი. ეგ აზრი საიდან და როგორ გაგიჯდა ტვინში?

— საიდან და... — ჩაფიქრდა პავა, — ანგელოზი გამომეცავა წუხელ და მაუწყა, რომ 1953 წლის 31 დეკემბერს აღესრულებოდა თადარიგი წინასწარ დაიცირეო, მაგრამ შენზე ადრე ისასებ სტალინი გადავა მარადისობაში... მოკვდება სტალინი! ჩემი ნაღეს-და რამდენიმე ღლით ადრე მოევლინება ქვეყანას — პირველ მარტს.

— რას ამბობ, პავა?

— ისესებ სტალინის სიკვდილი არ შეიძლება, სხვათა და სხვა-თა კი... დასაშვებია როგორლაც. ჩემი სიკვდილიც დასაშვებია, პავა-რომ სტალინის სიკვდილს როგორ წარმოიდგენს კაცი?

— პავა, გონს მოდი! ვიცხოვროთ ჩვენც...

ის დღე იყო და გაწყდა უხილავი ძაფი, ჭერ კიდევ ჩემს საბა-დებამდე რომ გაბმულიყო ჩვენს შორის.

ერთმანეთს ნელ-ნელა ვშორდებოდით, მაგრამ მე მისგან პაწია ნადევდას ველოდი. ისიც ზუსტად პირველ მარტს მოევლინა ქვეყ-ნიერებას.

უნდა გენახათ, როგორ უხაროდა პავას (!)

მაგრამ დახედავდა ჩვილს და შეეცვლებოდა სახე, — არა, ას არ არის, ვინც უნდა მოგვსვლოდა... მოვტყუვდი! ეს სხვაა, სხვა! მე-გონა, არ გადავშენებულვარ, ვტოვებ-თქო, დედამიწაზე ჩემს აზრს, მეობას ჩემსას და... ეგ კი, როგორც ვხედავ, მტრად უნდა მოეკიდ-ოს ჩვენს სოლომონს... შენი არსიც, ჩემო ვარინკა, სიკეთის ქმნაა, მაგრამ აირევა მონასტერი ჩემი წასვლის შემდეგ, აირევა ერთხელ-აც მონასტერი და...

ცუდად გავხდი, ამას რომ ამბობდა, ჩემი პავა. ვიცოდი, ჰერე-ტდა მომავალს, პავა ხომ ნათელმხილველი იყო. იცოდა, რაც უნდა

მომხდარიყო ხვალ, ზეგ, მაზეგ, გრძნობდა მისი გრძნეული წული,
რაც უნდა გადავხდენოდა თავს.

წუხელ მამა ღმერთი გამომეცხადა და მითხრა, პავა ჟვალაფ-
ერი იცის, პავას დაუჭერეთ ყველამ, პავა ზეგრძნობიერი ადამიანია
და... მიმყავს ამიტომაც. გვერდით მეყოლება. შენ კი სულ მალე
გაიგებ, ვინ იყო პავა კობზარი! ვერ დააფასე იგი შენ, ვერ დაინახ-
ეთ ადამიანებმა, თუ რა დიდი და თბილი გული პქონდა ამ კაცს.
პავა განდობილია, ხელდასხმული, „პოსვიაშჩონი“ და მიუბრუნდი,
სანამ თქვენთანაა!

მაშინ იყო, რომ ისევ გამითბა გული და მთლიანად მივენდე
პავას.

აღსრულდა მისი წინასწარმეტყველებაც. 5 მარტს აღესრულა
იოსებ სტალინი. — მოკვდა, ჰო, მოკვდა, კი არ გარდაცვლილა...
— წუხდა პავა. — წაიშემინდა კიდევ ერთი დიდებული სული!

ვწუხდით და ვგლოვობდით ჩვენც — უბრალო, მოკვდავი ადა-
მიანები. და წუხდა პავა, რომ ასე ვწუხდით ჩვენ და განვიცდიდით
ბელადის სიკვდილს. ჩვენ ყველას ბელადომანია გვჭირდა... ვოუდი-
ზმი ძვალ-რბილში გაგვჯდომოდა საბჭოთა ადამიანებს. — ეს უკავი
სენია უკურნებელი, — ამბობდა პავა, — რომ მიიცვალა კაცი.
რომ აღარ არის ჩვენს შორის, რომ გადავიდა ჩვენი დროიდან და
სხვა დროში ჩამკვიდრდა, რომ აწი აღარ მოგვწვდება მისი ყოვლის-
მწვდომი მათრახი... ეს მეცა მწყინს, მწყინს ვითომ? მაგრამ,, შე-
ვეგუებით კი აზრით უჯალათობას?! ჰო, ბელადი არ არის ჩემთვის
ავტორიტეტი, მე ვოუდიზმის მომხრე არა ვარ... მე თავისუფალი
ვარ, თავის უფალი...

ბელადი პავას არ უყვარდა, მაგრამ არც ძულდა. თუ რატომ
არ შეეძლო პავას იოსებ სტალინის სიძულვილი, მართლა ვერ გამუ-
გო. არა, და არა! მე მაინც არ მესმოდა პავასი.

ერთხელ სოლომონი თვალებაწითლებული დაბრუნდა სკოლი-
დან. რა იყო, რა გჭირსო, შეწუხდა პავა.

— დღეს ისტორიის მასწავლებელმა გლოვის გაკვეთილი ჩაგ-
ვიტარა. ვტიროდით ყველა! ვტიროდით სტალინის გარდაცვალების
გამო.

და პავასაც აუწყლიანდა თვალები.

— ეს რა ხდება, ხალხნო! როგორ რყვნიან ბავშვის ნათელ
სულს?! ამზე დიდი ბოროტება გაგონილა სადმე?! იცით, კი რა
არის სიკვდილი?! სიკვდილი, როგორც ასეთი, არც არსებობს! კი,
უნდა გატკინოთ გული ახლობელი ადამიანის წასვლამ, თქვენს წრეს
გამოაკლდა კიდევ ეს ერთი რგოლი და არასოდეს შემოუერთდება.



რადგან სხვა, ჩვენთვის უხილავ წრეში ჩამჯდარა და თავისებურად უკრავთან
აგრძელებს სიცოცხლეს... და ჩვენთვის იგი მკვდარია, მკვდარობული იყოთ
არა, დაკარგული ხომ მაინც არის! მაგრამ ტრაგიკულად აღიქვა სა-
ერთოდ სიკვდილი, მართლაც და გაუგებარია ჩემთვის... და სიკვდი-
ლიც იმას აშინებს ყველაზე მეტად, ვისაც არა სწამს სულის უკვდა-
ვება...

რაო, გლოვის გაკვეთილიო?! ამაზე მეტად „ძირს დაშვება, და-
ცემა“ გაგონილა?! ამაზე დაბლა აწი მართლა აღარ დავეცემით!

მხოლოდ ამის შემდეგაა დასაშვები აღდგომა კაცის, ამაღლე-
ბა... დაიწყება, მალე უნდა დაიწყოს ამაღლება კაცისა!“

ვუსმენდი პავას...

იგი მთა იყო, მე კი მღილი მის ძირში და მებრალებოდა თავი
ჩემი.

ჰოდა, როგორ შევგუებოდი იმ აზრს, რომ აღარ უნდა ყალი-
ლიყო იგი. მიჭირდა იმის დაშვება, რომ ჩემს გვერდით აღარ ცენე-
ბოდა კაცი, რომელიც გაჩენამდეც კი მიყვარდა! ნეტაი, სად უნდა
წასულიყო, საითვენ უნდა გადასულიყო აქედან, გარდასულაყო.
რომ აღარ ვიცოდი?!

სოლომონი?

სულში იძვრენდა პავა სოლომონს.

მისი პირველი მასწავლებელიც იყო... ასწავლიდა ქართულა
უპირველესად, რუსულს, უკრაინულს და გერმანულს...

(პავა ხომ გაქართველებული უკრაინელია!)

„ჩემი სულის ზიარია სოლომონი“, — იტყოდა და მიეფერებოდა
ბიჭები. და ასე აწრთობდა და აკაეებდა იგი ყმაწყვილის სულს, ავ-
სებდა სიკეთით.

* * *

და ახლოვდებოდა ასე წელიწადის უკანასკნელი დღე (.)

აღარ იქნებოდა პავა... იგი „ჩვენთვის უხილავ წრეში უნდა
ჩამჯდარიყო“ სულ მალე და მისი ასე დახვეწილი სულიც უნდა
ზიარებოდა მარადისობას.

— ვარინკა... ხომ გახსოვს, გითხარი ერთხელ... თქვენ: შენ და
ნადევდა უყელაფერს აიტანთ, მაგრამ სხვაა-თქო სოლომონი, სათუ-
თი სული აქვს და გაუფრთხილდითო... თქვენმა ქმედებამ, ეცადეთ,
არ დასუსხოს ეს სათუთი ნერგი, მზისაკენ რომ ასე თავაღერებული
მიისწრაფვის.

ჩამოდგება უყამო უამიც, ეს იქნება ოთხმოცდათიან წლებში,
სოლომონი ორმოცდაათს გადააბიჯებს და მერე... მაშინ გჭირს
ჭირსა შიგან გამაგრება! არ მიატოვოთ სოლომონი, თორემ გაგირის-
ხდებათ ღმერთი შენცა და ნადევდასაც. მე გაფრთხილებთ! ვიცა,



ყველაზე მეტად მაინც სოლომონი დაისჯებსა და დაიჩაგრებულ დღი
ამიტომაც გთხოვთ, ხელი არ ჰქრათ სოლომონს, ზურგი პრეზენტის
ციონი... იგი რჩეულია ლვითისა და არ გეპატიებათ მისი ლალატი...
დაიხსომე ეს, ჩემო ვარინკა... სიკვდილის წინ გთხოვ ამას... თუკი
დაეხმარებით, გადაიტანს სოლომონი სულიერ ტრაგმას, არა და...
მაგრამ ისე ნუ ვამიგებთ, გემუქრებოდეთ თითქოს... არა, ვარინკა!
შენხე უკეთესი და ახლობელი სხვა კიდევ ვინა მყავს! მაგრამ ავს
მიგრძნობს გული და წინასწარ გაფრთხილებ, რომ გადაიოჩინო
სული.. გადაურჩება სოლომონი უფამო უას და... გადარჩებით
თქვენც—შენცა და ნადევდაც.. ხომ გესმის ჩემი? სულიერად..

...ფეხაკრეფით გვიახლოვდება ოცდათერთმეტი დეკემბერი...

მინდოდა გაჭიანურებულიყო როგორმე, გაწელილიყო დეკემბ-
რის გრძელი და სუსხიანი ლამეები, მაგრამ პირიქით რომ ხდებოდა
ყველაფერი!

ღროვა აჩქარდა!

და მიგვერეკებოდა იგი საჭირეში ყველას — ცოდვილსა თუ
ცოლველს.

ჰამოდგა 31 დეკემბერიც!

— დაველოდები მე მზის ჩასვლას და... სიტყვა აქ გაწყვიტა
პავამ და კედლისკენ ჰქნა პირი.

— პავა, ჩემო კაცო... გაშეშებულმა ენა კინალამ გადავყლაპე.

გამილიმა. (ვიცოდი თავს ძალას ატანდა) — სოლომონი რომ
მოვიდეს, შემოუშვი... შენ კი... გადაყლაპე ეს ნერწყვი და გავი-
ლის.. დამტოვე. სოლომონის შემდეგ შენ შემოხვალ ჩემთან, ახლა
კი გთხოვ, დამტოვო... მინდა ვიფიქრო. არ გეწყინოს, ვარინკა... ხე-
დავ, როგორ ცივა! ნადევდას რომც ეძინოს, მაინც შემომიყვანე;
ახლა არა.. მერე, მოგვიანებით... ცივა, არა? მაგრამ მზე მაინც ვზე-
ობს! მზის ჩასვლისას, სოლომონის შემდეგ... დამტოვე, ვარინკა..
მე... იმასთან შესახვედრად ვემზადები... წადი... ოლონდაც ნუ მიწყ-
ენ — ეს ჩემი უკანასკნელი თხოვნაა.

მეც შევასრულე მისი ნება და მარტო დავტოვე, თავის თავთან.

გამოვედი. მძინარე ნადევდას დავხედე.

„ავისმომასწავებელი ამბავი თუ მოუტანა მფარველმა ანგელო-
ზმა? ტირის...“

ცრემლი სდიოდა ნადევდას. ძილში ტიროდა ჩვენი გოგონა.
იქნებ სიზარში გამოიგლოვ-გამოიტირა მამა პავა და.. მეც ამიტი-
რდა სული.

ცრემლი შევიწყმინდე და გადავაქნიე თავი.

— რატომ მაინცდამაინც მზის ჩასვლის შემდეგ უნდა გარდაი-



ცვალოს ჩემი პავა?! ნეტა რა გამოცდას მიწყობს მამაზეციური! ამრივ-დამრიეს ფიქრებმაც. სწორედ ამ დროს გამოჩენდა სოლომონის საათივით.

— ნეტავი, დადგებოდეს ღრო! — ვინატრე ჩემთვის და შემე-შინდა, შეხერებული დრო რომ წარმოვიდგინე.

სოლომონი პავასთან დიდხანს არ დაყოვნებულა. ატირებული გამოვიდა იქიდან. ალბათ, საიდუმლოდ დარჩება ჩემთვის მათი სა-უბარი, რადგან სოლომონი არაფერს მეტყვის ამაზე...

ტიროდა პავაც.

მძინარე ნადეჟდა მეჭირა ხელში და ვდუმდი. ხმა ვერ ამომე-ლო. პავა მთლიანად გარდაქმნილი შემომყურებდა.

„ეს უცხო კაცი ჩემი ქმარი იყო და ვერ ვაფასებდი ამდენ ხანს“ — გუნებაში გვივლე.

— ვარინჯავერონიკა, მაღლობთ, რომ შემოხვედი, ნურაფერს იტყვი... მე შენს ფიქრებს ისედაც ვკითხულობ, ვიცი, რასაც ფიქ-რობ... ჰო, იდექით ასე... მინდა დაგიმახსოვროთ... მენ, ჩემო ვარინ-კა, ერთი რამ გვალება, ამ გოგოს უნდა უყვარდეს თავის ძმა... ძმა — სოლომონი! ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე, გესმის, ვარინკა?

„და ამაზე მეტს ვერაფერს მეტყვი?“ — გავიფიქრე და თვალი გავუსწორე — პავას.

— ჰო, ვარინკა, ამაზე მეტს მე ვერაფერს გეტყვი, რადგან მე თქვენზე ვფიქრობ ახლა... მაგრამ... სოლომონზეცაა დამოკიდებუ-ლი თქვენი ცხოვრება...

— ჩემზე რას იტყვი, პავა? — ხმა ამიკანკალდა.

— ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შენთან შემახვედრა, შენ შე-გარჩია ჩემს თანამგზავრად, მართლაც ბედნიერი ვარ, ჩემო ვარინ-კა! მგონი გაჩენამდეც კი მიყვარდი! აპა, ჩადის მზე... რა მშვენიე-რია ჩამავალი მზე... ხედავ, შენ გემშვიდობება, ჩემო ვარინკა!

— ჰო, თავს მიკრავს მართლაც... იქნებ მეჩვენება, მაგრამ თავს ნამდვილად რომ მიკრავს?! — გახარებული ვამბობ, სულ დამვიწ-ყებია, რომ სასიკვდილო სარეცელზე ჩემდ პავა წევს და გვემშვა-დობება. ჩავა მზე და პავასაც თან გადაიყოლებს... ველარ დარჩება ჩვენთან.

— ხედავ, როგორ გადაანათა მზემ დასავლეთი?! დავტკბეთ. ვარინკა, ამ სანახაობით, ამ სილამაზეს ათას წელიწადში ერთხელ თუ შეესწრება კაცი და იქნებ ვერც კი გაიაზრო იგი მთელი თავისი სისაესით.

ჰოდა, მთლიანად რომ ამოწურა მზემ თავისი დღევანდელი შე-



საძლებლობა, მაშინ მიიღია. გარდავიდა... გარდასხეულდა..., გათავისუფლდა ადამიანის სულიც ფიზიკური სხეულის დამკვიდრდა საუფლოში და... შევდივნე. მაშინ.

ნადევდამ გამოიღვიძა და ატირდა.

აქ კი:

კარგა ხნით გამექცა ფიქრი და აზრიც წამექცა. -

თავზარი დამცა ჩემეული სამყაროდან პავას გადასვლამ. ვეღა რა ვფიქრობ, ვეღარც კატრონენბ.

... სოლომონია ახლა ჩემს გვერდით, იგი ფიქრობს ახლა ჩემს მაგივრად და აზროვნებს კიდევც, ნადევდასაც იგი უვლის.

სული სოლომონით გვიდგას ორივეს!

სოლომონი რომ არა...“

(ჩაიკითხა სოლომონმა დღიურის პირველი ნაწილი და ფიქრმა, წაილო:)

„პავა... მართლაც დიდი კაცი, სიკეთით სავსე კაცი, დიადი სულის მატარებელი... ინატრებს კაცი ასეთ მამას, მაგრამ... ვართ კი ჩვენ ღირსი ამისა?! პავას არ ეშინოდა სიკვდილის, რადგან სული უკვდავი და უბერებელი არს!

...გუშინ ხუთშაბათი იყო, უნდა მივსულიყავი იმ მწვანე ქოხში, ტბის პირას რომ დგას, მაგრამ ვერ მოვიცალე! მე პავასთვის ვერ მოვიცალე, რომ ერთი საათიც დიდ გაკვეთილად გადამჭცეოდა. ის-ევ მე დამაკლდა ის საათი! თუ ხედავთ, ვერ მოვიცალე! მაგრამ რომელი საქმით ვიყავი დაკავებული მე? საქმე არავითარი! დაკარგული საათი... დაღუმდა სამუდამოდ. უნდა მომენტომებინა ძილი: წინ, წარმომედგინა პავას ქოხი, შემელო კარი და შევსულიყავი შიგ. აქ დამხვდებოდა პავა და... მიმასპინძლებდა.. ეეჲ, დედაჩემის დღიურმა სალერლელი ამიშალა ფიქრის...

აქეთ დღიური.. ფრაგმენტები მხოლოდ, დაუმუშავებელი, დაუხვეწელი სტრიქონები...

აგრ ამ ფრაგმენტსაც წავიკითხავ:

— ბიჭი, სოლომონ... ეს ხმალი საიდან? და რას ფაციფუცობ?

— დედა, ხომ იცი, პამლეტს ვთამაშობ და არც ვფაციფუცობ!

— შენ და ჰამლეტი? — გამეღიმა და თავზე გადავუსვი ხელი,

— სულ დამავიწყდა! — ხელი ხელს შემოვკარი, — ხომ მეუბნებოდა ჩემი პავა, ეს ბიჭი აქტიორის ნიჭითაა დაჯილდოებული! მგონი



ხორცს ისხამს, ჩემო პავა, შენი ჩანაფიქრი... მე კი ხელი უნდა ვუწყო სოლომონს, უნდა გავაღვივო მასში ნიჭი მომადლებულობით ჰყავის, ჰამლეტიად გარდაისახოს ბიჭი! ვინ იცის, იქნებ მართლა დიდი აქტიორი გამოვიდეს ამისგან!“

(ეს ფრაგმენტი კი ზუსტად ერთი თვის შემდეგ დაწერილა:)

— დედი, ძალიან გთხოვ, თეატრში არ მოხვიდე, თუ გიყვარდე, არ მოხვიდე, ნადევდასთან დარჩი... გაძლევ პირობას, რომ არ დაეგაბნევი ბრინჯივით, ნუ ლელავ... — სოლომონი მეუბნება ამას, ჩემი სოლომონი და მიყურებს ლურჯი თვალებით, მაინც რამხელა გახდა... ყველაზე ტანადია კლასში.

— კარგი, კარგი, არ მოვალ თეატრში, შენ ოღონდაც არ დაიბნე და... — შუბლზე ვაკოცე და ისიც გახარებული გავარდა გარეთ.

„არაა პავას შვილი და ასე ჩამოჰვავს... საოცარია?!”

სიტყვა შეასრულა სოლომონმა:

ბატონ იუსუფ კობალაძეს შეუქია და შუბლზედაც უკოცაა ბიჭისთვის, აპა, გაიცანით, ჰამლეტი... ვიგრძენი ჰამლეტი, ჰამლეტი შემოვიდა ჩემში! ბუხუნა ხმით წამოუძახია იუსუფ კობალაძეს და მკერდზე მიუკრავს სოლომონი, მერე ხელები გაუშლია და, „ყოფნა-არყოფნა“ წაუკითხავს.

მერე თვითონ ბატონი იუსუფი გვეახლა შინ და მთხოვა, დამეოთმო მისთვის სოლომონი.

მგონი მართლა აღსრულებულიყო პავას ნაშინასწარმეტყველები(.)

ვიცოდი, სოლომონი ყოველ ხუთშაბათს ხვდებოდა პავას ტბის პირას ქოხში, ჩემთვის კი ერთი დღით ადრე, ოთხშაბათობით იღებოდა იმ ქოხის კარი.

რჩევებს მაძლევდა. ზოგჯერ, იმედგაცრუებულსაც მიმიღებდა, შემხედავდა თავისი სევდიანი, ცისფერი თვალებით და მორჩა, ჩამომექსნებოდა ყველა პრობლემა. გამოვიდოდით ქოხიდან და ტბის ვასტვრივ გავუყვებოდით ხეივანს. აქეთურს მე მოვუყვებოდი, იგი იქითურზე მესაუბრებოდა და ასე მიხანგრძლივდებოდა დღენი ჩემი სიცოცხლისა.

ჭარმიიდგინეთ და ერთი ოთხშაბათიც არ ჩაგვიგდია.

პავას წვერი მოეშვა და წმინდანივით გამოიყურებოდა. ჭვან. დანი გეგონებოდათ მართლაც.

— ყველა სხეულზე მაღლა სული ღგას, ყველა სულზე მაღლა — მოაზროვნე ბუნება, მოაზროვნე სუბსტანციაზე მაღლა მთელი... — ეს პროკლემა თქვა და ბრწყინვალედაც თქვა!



შემატყო, ფილოსოფია მაინცდამაინც არ მაინტერესებიდადა
ჩვეული ღიმილი მოიშველია: — ამას სოლომონი გაიგებშე უფრო

დავესიზმრები... დავესიზმრები და...

უკვე აღარ ვუსმენდი პავას. გავყურებდი ასე საოცრად აღივ-
ლივებულ ტბას, გამჭვირვალე ჰაერის სამოსელში რომ გახვეული-
ყო.

— მოდის, ვარინჯა, ხედავ, როგორ მოეჩქარება?

— ვინ მოდის, პავა? სოლომონი? მერე და დღეს ჩემი დღე
რომ არის?

— ერთიც ვაპატიოთ, ვარინჯა... როგორც ყველა ბიჭი, ესეც
სულსწრაფია და... მის სიზმარში მინდა გადავიდე ახლა, წადი, ვა-
რინჯა, სოლომონსაც მალე გამოვუშვებ. უთენია შენთან იქნება, მი-
თხრა და მეც ამოვვარდი იქაურობიდან. სხვა სიზმარში თუ აღმოვ-
ჩნდი.

მე ერთ რამეს ვერ მივმხდარვარ!.. პავამ რომ მითხრა, სოლო-
მონის სიზმარში მინდა გადავიდე ახლა, თან ისიც თქვა, რომ მოდის
სოლომონი და უნდა წახვიდეო... არა, მართლა ვერაფერი გამიგია...,
მერე და ხომ ვიგრძენი, რომ ამოვვარდი მე იქაურობიდან... სოლო-
მონი მოდიოდა და შევიდა კიდეც პავას საუფლოში. მაგრამ პავას
თქმით, თვითონ იგი უნდა შესულყო სოლომონის სიზმარში. და
მართლაც: მე მესიზმრებოდა პავა, თუ... ალბათ, პარალელურად
ხდებოდა ყველაფერი...

ერთხელ სოლომონის დღიურს ვათვალიერებდი, მაპატიოს სო-
ლომონმა და ასეთ ჩანაწერს გადავაწყდჩ: „მამა პავასთან ვიყავი
სიზმარში, ტბის პირას ქოხი რომ დგას ერთი. შიგ არა, მაგრამ ფა-
რდულში კი თვითონ შემიძლვა, ჩაჯდა რბილ სავარეცლში, მე კი...
ფეხზე ვიდექი. აქ ორი სკამი იდგა, მაგრამ არც ერთი არ შემოუთა-
ვაზებია ჩემთვის, და სკამებმაც დაკარგეს ჩემთვის როგორც ასეთი,
სკამობის მნიშვნელობა.

— დავიწყოთ ოიდიპოს მეფიოთ. ჩემო სოლომონ! — ბრძანა და
ოიდიპოს მეფის სასახლეში არ აღმოვჩნდით?

მეფე თიღიპოსი ღიმილით მომახლოვდა, მოხარული ვარ შენი
გაცნობითო, ხელი გამომიწოდა და სცენაზე მიმითითა. აი, აქ ყვალა-
ზე მაღალ აღგილზეა შენი საბრძანებელი, სოლომონ! მაგრამ ჯერ
უნდა ისწავლო! შემდეგ... მისტერიებშიც მიიღებ მონაწილეობას...
ისე ჭეშმარიტი აქტიორი ვერ გამოხვალ! გარდასახვა უნდა შეგეძ-
ლოს! შენი ჰამლეტი კი... მართალი გითხრა და..., ვერაფერი ჰამლე-
ტია! ბევრი რამ ყვლდა მაშინ შენს ჰამლეტს და პავასაც ამიტომ



ვთხოვე, ჩემთან მოეყვანე. ამ როდალ სცენაზე კი, როცა მოგესურ-
ვოს, მაშინ ამოდი. ასე, ჩემო სოლომონ... ოდესმე თიდიბოსსაც უშემოთხევა
ეჭიდები, მაგრამ მანამდე დროა კიდევ. უკვე ვიცნობთ ერთმანეთს.
აში გაკვეთილებს მე თვითონ მოგცემ! აგრე სოფოკლეც! სოფო-
კლევ ჩემო... აი, შეგირდი ჩვენი! წაიყვანე შენს სკოლაში,,, 17 აქ-
ტომბერია დღეს...

— ეს ხომ ის ოთხშაბათია, ჩემს შემდეგ რომ მიიღო პავამ უ-
ლომონი?! მე და სოლომონი თითქმის ერთდროულად აღმოჩნდია
სიზმრის ქვეყანაში, ერთ სიბრტყეზე დავაბიჯებდით იმ დღეს... და-
არღვია იმ დღეს სოლომონმა განრიგი, მაგრამ პავამ ინდომა ასე
და...

სოლომონის დღიურში, აი, რა ეწერა კიდევ:

— მერე და მერე უფრო ხშირად შევივლიდი ხოლმე სოფო-
კლეს სკოლაში.

გარდასახვის კანონებს იქ მაზიარეს...

* * *

იზრდებოდა ჩემი ნადეჟდაც.

სოლომონი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ალ-
რულდა პავას სურვილი — ოცნება!

აგრე სოლომონის წერილიც:

„დედა, ჩამიკოცნე ნადეჟდა.

როგორა ხართ?

მივიღე შენი გამოვზავნილი ფული. სწორედ რომ სულზე მო-
მისწრებს ხოლმე შენი „სასწრაფო დახმარება“. ცოტა ავად ყოვე-
ლხარო, გავიგე, ამბავი მომივიდა. ცოტაც მოითმინე და ჩამოვალ.
ბოლო გამოცდა ზეგისთვის გადამიტანეს და მაზეგ თქვენთან ვიქწე-
ბი. იქნებ მე მოვასწრო ამ ჩემს წერილს, ასეც ხდება, მაგრამ რომ
არ მოგწერო, არც ეს შემიძლია.

გახსოვს, რომ გეუბნებოდი — იმ როლზე ახლაც ვმუშაობ და
სულ მალე მზად ვიქნებიო, რეპეტიციის დროს მნახა „იმან“ და
მხარზე დამიტყაპუნა ხელი. „მე შენ ისეთ როლს გამოგიძებნა.
რომ...“ აი ზუსტად ასე მითხრა „იმან“ და ვირწმუნე მეც ჩემი თავ-
ის.

მეშინია მკრეხელობად არ ჩამეთვალოს და წუხელ უფალი გა-
მომეცხადა, თავზე დამადო თავისი საოცრად თბილი ხელი. მისი ხე-
ლისგულიდან საოცრად რბილი და ნეტარი სითბო ჩამოიღვარა ჩემ-
ში, მეგონა მეც მისებრ გავასხივებდიო... ავინთებოდი მეც სანთელ-
ივით...

არ იფიქრო, გამათამამოს სიზმარმა! პირიქით, ზოგჯერ მრცხველი კიდეც, როცა საღამოხანს განვლილ დღეს ავწონ-დავჭრონ ხოლმე და ყოველთვის იმ დასკვნამდე მივდიგარ, რომ არც დღეს გამიკეთებია ისეთი რამ, საღაპარაკოდ რომ ღირდეს.

მოკლედ:

რაღაც მემართება, დედაჩემო, და არ ვიცი, რა ნეტაი, რა მჭირს ასეთი? შენი მორჩენა კი... ვფიქრობ შემიძლია. ჩამოვალ და ვიზ-რუნებ ამაზე. ერთი ყავაზე გირჩიო და ჩავიხედო შენს გულში! ხომ იცი, ჩემთვის დაფარული არაფერია ამ ქვეყანაზე.

კარგად მეყოლეო!

ეს იმას ნიშნავს, რომ თავს უნდა გაუფრთხილდეთ შენცა და ნადეჟდაც“.

* * *

ეს წერილი კი ნადეჟდას სახელზეა მოსული:

„ნადეჟდა... შენ ხომ იცი, რომ შენზე უკეთესი გოგო არ დაი-არება დედამიწის ზურგზე, შენ ერთადერთი ხარ—ყველაზე ლამაზი და შვენიერი და კიდევ უფრო გალამაზდები და გამშვენიერდები, თური დედიკოს დაუჭრებ ყველაფერში.“

მალე ჩამოვალ მე და ვივლით ყოველდღე ზღვაზე, ბოტანიკურ ბაღში. ფიქრის ძელსკამზეც ჩამოვჭდებით და...

ხომ არ დავიწყებია ჩვენი ფიქრის ძელსკამი?

რა დაგავიწყებდა?!

ახლა კი: ღამდება? ძილისპირულს გიმღერებ, ტკბილი ძილი მისურებია შენოვის! თენდება და — დილა მშვიდობისას გეტყვი. გიკლნი ორივ თვალს, ჩემო ნადეჟდა.

შენი ყველაზე ორიგინალური, უმშვენიერესი და უნეტარესი სულის პატრონი, (ტრაბახში ნუ ჩამომართმევ ამას), შენი ერთად-ერთი და განუმეორებელი ძმა — სოლომონი“.

...ეეჲ... მიმდინარეობდა, მიტორტმანებდა დრო და იწერებოდა ჩვენი ოჯახის ისტორიაც, მაგრამ იმაზეც რომ არა ვთქვა რაიმე. რა შეეძლო სოლომონს, არც ეს შემიძლია. ხომ იწერებოდა იქ, წერილში, ცოტა მაცალე და შენოვისაც მოვიცლიო, პოდა, მართლ მოიცალა!.. ჩამოვიდა და გამოცოცხლდა ჩვენი სახლი.

ისე კი: ყველაფერი ჩემით დაიწყო. აბა, თავი მოუყარე შენს მეგობრებსო, მითხრა, შუბლზე მაკოცა, და ლოყაზე მომიცაცუნა აკანკალებული ხელი. პო, უკანკალებდა ხელი!



და როცა „ყველა ერთად მოგვაქუჩა, თავისებურად მოგვაფერა, აგვიღულა ყავა და ჩამოგვირიგა. პირველი ყავა მე მერგო, როგორ უნდა გენახოთ, როგორ უხაროდა ნადევდას, როცა ასე აფასებდნენ საზოგადოებაში.

ნადევდა ყურადღების ცენტრში ჰყავდა სოლომონს. დასვა ყველაზე მაღალ სკამზე და ემსახურებოდა, იმას ეკითხებოდა ყველაფერს: ჰოდა, ნადევდაც ცაში დაფრინავდა სიხარულისაგან.

— ნადევდა, ახლა ამ მშვენიერ ლამაზმანებს ვურჩიოთ, ჩავიხედოთ ამათ სულში და... მიევესიყვარულოთ, შემდეგ კი მე და შენ, ხო, მარტო მე და შენ, ბოტანიკურ ბაღში წავალო! იქ, ფიქრის ძელ-სკამზე ჩამოვადგებით და ვიფიქრებოთ მომავალზე“...

ნადევდასაც უციმციმებდა თვალები და ხარობდ.

— იყუჩეთ! უნდა დადუმდეთ ყველა! მე ჭვრეტას ვიწყებ, ჭვრეტას და მოსმენას... უნდა მესმოდეს მე თქვენი ფიქრი. მაგრამ არ გეწყინოთ და პირველად მაინც დედაქემს მოვემსახურები. აბა, ვრჩები დედაქემთან, მაშასადამე, სხვა ყველა გადიხართ ვარეთ და დამელოდებით დერეფანში, შენც, ჩემთ ნადევდა... შენ აი, ამ ხალხის უფროსად დაგნიშნავ. სათითაოდ შემოუძღვები ამათ ჩემთან... უშენოდ არაფერი გამოვა! აბა, ვიწყებთ მე და ნადევდა დიდ ექს-პერიმენტს!

— დედა... მარტო ვართ და... მისმინე, მე კი არა, ახლა მჭვრეტელი სული გელაპარაკება შენ! ოლონდაც: ისე არაფერი გამოვა, თუკი თავიდან არ ამოიგლიჯე ის აზრი, არაფერი მეშველებაო! ხოს ასე ფიქრობ?

— ჰო, სოლომონ, მართლა ასე ვფიქრობ...

— ჰოდა, ამოიგდე თავიდან ე მაგ უკეთური აზრი!

და მამა პავას უნდა შეწვდე სიზმარში. ოთხშაბათი აჩაა, მაკრამ არ გაგიწყრება. ტბას რომ მიუახლოვდები, მიმოიხედე ირგვლივ. ორ ვედროს მოკრავ თვალს და ცისფერი აიღე, ნაცრისფერაც გაეკარო, გაფრთხილებ!

ცისფერი ვედრო ტბის წყლით აავსე, მერე ჩაჯეჭი იქვე და როცა მოგწყურდეს, მოსვი ვედროდან. ერთი წვეთი წყალიც არ უნდა დაგრჩეს ვედროში!

დალიე, მოიკლავ წყურვილს და ამას აქეთ ოცდაცამეტ წელი. წადის არავითარი ავადმყოფობა შენ არ გაგეკაროს!

პავა? არც გამოიჩინდება, შენი დღე ჭერ არ დამდგარა... ჰოდა დალიე, თავისუფალი ხარ, გაბრძანდიო, ბრძანა სოლომონმა, უხუცესს ჩადევდა შემოუძღვეს!

სოლომონმა რიგრიგობით გაიხმო ჩემი ნაცნობი ქალები, მაგ-

რამ ვის რა უთხრა, ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა ყველაფერი კო...
არც მაინტერესებს ვის რა მოელის დღესა თუ ხელი მეტე კო...
მაშინვე გამოვჯანმრთელდი და გუნება-განწყობილებაც გამომიკეო-
და.

მერე?

გადიოდა დრო.

სოლომონი ჩვენი თეატრის წამყვანი მსახიობი ხდება.

ჯერ ნადევდა გაგვითხოვდა ლენინგრადში. მერე სოლომონმაც
მოიყვანა ქალი.

ყურადღება არც ნადევდასაგან მაკლდა.

ასე და ამრიგად:

გრძელდებოდა ჩვენი ცხოვრება, სანამ არ ჩამოჰკრა „1990“
წელმა და ჩვეულმა ქარმაც არ იცვალა მიმართულება.

და აყირავდა ყველა და ყველაფერი (!)

* * *

სოლომონს უჭირავს ხელში დღიური და რაღაც ემართება,
ოვითონაც არ იცის. რა. მთელი სხეული უკანკალებს. არა, არაა ეს
მარტო სხეულის კანკალი! სული, სულიც უკანკალებს, მთელი მისი
შეობა აუტანია ცახცახს.

— რაო, როგორ წერს დღიურში დედაჩემი? ჯერ ნადევდა გაგ-
ვითხოვდა ლენინგრადში, მერე სოლომონმაც ითხოვა ქალიო, იმ ქა-
ლზე ამბობს მემატიანე...

...პო, ვინც უყვარდა, იმაზე იქორწინა სოლომონმა. ისიც მსა-
ხიობი იყო — გასაოცარი სილამაზისა. ხომ ასე ლამაზი იყო ნია, მაგ-
რამ ერთი რამ ნაკლი მაინც სჭირდა, ისე მოიჭურებოდა ზოგჯეო.
სულში შიშას და ძრწოლას მოგვერიდათ, სახეზე მიტკლისფერს
დაიდებდა და თვალსაც ვერ გაუსწორებდით მერე.

არა მარტო სცენაზე, სცენის გარეთაც თამაშობდა; თამაშობდა
ყველგან და ყოველთვის, ხან კლეოპატრა იყო, ხან — ოფელია და ხან
კიდევ ვინა და ვინ. როლებსაც გააჩნდა.

სოლომონი რაღაც არააღამიანური სიყვარულით უყვარდა —
იგი მისთვის აპოლონი იყო, ხატება მისი.

სოლომონსაც ასე უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქალბატონი.
წლისთავზე ქალიშვილი შეეძინათ — სალომე, სამი წლის შემდეგ
— ვაჟი — სოლომონი, რომლის ქორწილიც თვის ბოლოსაა დან-
შნული.

ნია პოეტი იყო სულით.

პოეტურ სიკვდილზე ოცნებობდა,

— ქალი ახალგაზრდა უნდა მოკვდეს... ქალი სილამაზისა და გშევნერების სიმბოლოა და ოცდაოთხ წელს არც უნდა გადატაცირებულოს... მარადისობას მისი ლამაზი და ახალგაზრდა სახე უნდა დააჩნდეს... ამ ასაკს გადაცილებული ქალი კარგავს ჭუშმარიტი ქალის არსებ და ჭრება კიდეც.

და ნია, რომელსაც ნეკა თითი. რა არს და არ წამოსტკენია, ლოგინად ჩავარდა. მედიცინა ულონო აღმოჩნდა, ემუსტრანალური განმრთელი — ახალგაზრდა სხეულისათვის. ერთმა ფსიქოლოგმა თუ ფსიქიატრმა ხელი ჩაიქნია, ამ ქალის სულს შეპარვია უკურნებელი სენი და მედიცინა. უძლურია აქ.

ნია კი... კვლებოდა ჟეზეურად.

ოცდაშვიდ სექტემბერს ოცდაოთხი უნდა შესრულებოდა.

— ხვალ, ნია, ოცდაოთხი შეგისრულდება... ასე აუკანკალდა სოლომონს. იცოდა, შესრულდებოდა ნია ოცდაოთხის და... გარდავიდოდა მარადისობაში. ამას გუმანით ხვდებოდა.

— ჰო, სოლომონ... ხვალ ოცდაოთხი შემისრულდება და ასაკ გეყოლება შენი ნია... მომიყვანე სალომე და სოსიქო... პირქობა მომეცი, რომ... დედინაცვალს არ მოუყვან ჩენს შვილებსა... ნადევდას იმედი არა მაქვს... მოკლედ, რამეს მოიფიქრებ..

შეიღებთან მარტო დარჩა ნია.

ორი საათის შემდეგ სოლომონიც იხმო.

— ამათ შენს გარდა არავინ ჰყავთ პატრონი... — ცურუმლები შეიწმინდა, — მაგრამ არ დაიკარგებიან. ახლა კი გამუშვანერ ბავშვები ბებიას. მე შენთან მინდა დარჩენა.

მარტონი არიან. შეჰყურებენ ერთმანეთს და ხმას და ილებენ.

შუალამეც გადავიდა და ხმა ამოიღო. ნიამ.

— სამი საათია ლამის. ოცდაოთხისა ვარ მე... და შენდა დაგემუშვილობო..., მიყურე, სოლომონ, თვალი არ მომაცილო, გთხოვ და დავდომდეთ... მიყურე ასე და, როცა იქნება, ოდესმე. შენც გამოეძიშვილები სააქაოს და არ გაგიჭირდება ჩემი ნახვა მმ უსასრულობაში... მშვიდობით... — თქვა და დახუჭა თვალი;

ნიამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი დედამიწაზე და გარდავიდა სხვა განზომილებაში, იქ დაიბადა და ახალი სურცობრივა სხეული შეიძინა...

უნდა გენახათ თქვენ სოლომონი, როგორ მოთქვამდა! ორგერ თუ სამჯერ ისე ცუდად შეიქნა, რომ სასწრაფოსაც გამოუძახეს..

ნიას სიკვდილი ტრაგედია იყო მისთვის.

ვიღას ახსოვდა სალომე და პაწია სოსიქო. თავზე დოლბანდ-შეკრული სოლომონი იდგა მხრებაშურული და წყალწიაჭუბულივით



კველა უფრო გადასაცილებელი გადასაცილებელი. კველა უფრო მნიშვნელოვანი ნისას სახე ედგა თვალშინ. არც საჭმელო მოსულობია, აღარც—სასმელი.

დაასაფლავეს ნია.

და კიდევ უფრო ამოუცარიელდა სოლომონს სული.

მეოთხე დღეს წვერმოშვებული გამოიძურა სახლიდან და ორ ატრისაკენ გასწია. მიღასლასებდა მხრებში მოხრილი და დაჩაჩანა- გებული.

სახლში აღარ მობრუნებულა. საღ იყო, ვისთან იყო, როგორ ცხოვრობდა და რით სულდგმულობდა, არავინ უწყოდა.

ლოთსა და სულწაწყმედილს იმ დღიდან ეძინის თავს სოლო- მონი. მართლაც რომ იმრ-დაირია მისი ცხოვრება, უკულმა შეტრია- ლდა მისი ბედი.

უყურებდა, ხედავდა დედა გარინჯა შვილის წახდენას და ეთა- ნაღრებოდა გული. — ამან უნდა მომიაროს სიბერეში? — თავს გა- დააქნევდა და ნევისპირა ქალაქში გათხოვილ ნადევდას მოუხმობდა. ინგალიდთა სახლში ხომ არ დავისრულებ სიცოცხლეს?

მაგრამ გავიდა ოცდაჩვიდმეტი დღე და მოიხედა სოლომონმა.

გამოიღვიძა იმ დღეს და მორჩა.

ისევ ფეხზე იდგა სოლომონ ქადაგიძე. შვილებისკენ მოიხედა და დედა გარინჯისაც გაუთბო თითქმის გაციებული სული.

ჰო, როგორა ვთქვით?

იდგა 1990 წელი.

ოცდარვა ოქტომბრის შემდეგ ერთმა თვემაც ჩაიგრიალა, იმას მეორე თვეც მიშყვა და ღრომ ის ერთი წელიწადი დაიხვია თავის სარეცელზე.

ასე გარძენიან ყველგან: ფასეულობათა გადაფასება ხდება და ძლევით. საკვირველისათ.

მერე მარტო მონასტერი კი არა, ქვეყანაც იირია!

ჯერ სალომე გადაიკარგა, მეზობლის ბიჭს გაეკიდა და სოლო- მონს კარგა ხანია რაც არაფერი სმენოდა ქალიშვილზე. მერე ბიჭი სოლომონიც გადაიკარგა, ეს ის სოლომონია, რომელსაც ჩვიდმეტი შეუსრულდა თუ არა, მამას გამოუცხადა კატეგორიულად, სოსო კი არა, დღეეიდან სოლომონი ვარ და სოლომონი დამიძახება.

ახლა და და ძმა ერთად არიან ოდესაში და ბიჭს სულ მარ- ქორწილი. ქვეს.

— საქართველოში დღეს რა გვინდა, რა უნდა ვაკეთოთ, როცა ამ ბედით დაწყეველილ მიწაზე მართლაც არაფერი ხდება... სიკეთებ- ზურგი აუქცევია ამ მხარისათვის და იქიდან ცხრა მთას იქით გაუ-



საქართველოში კი მაინც ხდებოდა რაღაც. ხდებოდა ის, რაც არ უნდა ხდებოდეს ღვთისმშობლის წილაცვედრ ქვეყანაში.

მოდის ახალი ხელისუფლება, უჭირს დამკვიდრება. პარლამენტ-ში უთანხმოებაა. კაცი კაცის არ ესმის, საზოგადოებრივი აზრი არ იქმნება, რადგან საზოგადოება ნიკილიზმს შეუცყრია, ათასნაირი თვითმევლელობა! მთავრობა მთავრობას სცვლის, ქართველთ ქვეყანა ავებს ყველა ომს, პოლიტიკური რუსა ცვლება, საქართველო იუმშება და კლებულობს, ქართველი ერი კარგავს ეროვნულობას, მარცხი პოლიტიკაში, კადევ უფრო დიდი მარცხი ეკონომიკაში, ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება, მშველელი კი არსაიდან? შევი ერებლები დასტოლია თავს საქართველოს.

ნიკილიზმი...

არავინ უწყის, გადაიტანს ამას ერი თუ ვერ გადაიტანს.

სოლომონიც შეიცვალა უარესობისკენ, ერთიანად გადასხვაფრდა, დროს თთქმის თვალების ფერიც კი შეუცვლია მისთვის.

— ვეღარ ვცნობ დედაჩემს... სევდას დაუკავშირებაა მის თვალებში. ვატყობ, გული მშობლიური რუსეთისაკენ მიუწევს, დედაჩემი ხომ ნევისპირა ქალაქში დაიბადა. აქ გული იღარ უჩერდება. ამას ნოსტალგია ჰქვია...

რეპეტიციებზე აღარ წასულა სოლომონი.

თეატრში გული აღარ უჩერდება, მოიშალა აქაც ყველაფერი. მსახიობები გარბიან და სოლომონმაც მიატოვა სცენა.

— თავი ვერ მირჩენა... — ადგილს ვერ პოულობს სოლომონი. — ერთმა ჩემმა მასწავლებელმა თავი ჩამოიხრჩო იმიტომ, რომ მშერ-მწყურვალმა ერთხელ სამათხოვროდ გაიშვირა ხელი და ასე დაცემა ვერ იტანა, მეორე დღეს, გონი რომ მოსულა, თავი შეძებებია. აიღო და თავი ყულფში გაჰყო. იგი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი იყო.

დედა ვარინკაც რომ არ უნახავს დღეს.

— ამბობენ, უფასო სასადილოში დადის, ვაიმე სირცხვილო! ვერ ახალი ჩანაწერიც დედა ვარინკას დღიურში?

„უკვე მესამე დღეა, რაც ლუქმა არ ჩამიდვია პირში. სიარულ-იც მიჭირს. ვინ მითხრა, აღარ მახსოვს, ქალაქში უფასო სასადილო „სათნოება“ გაიხსნა მარტოხელა მოხუცებელა და ინვალიდებისა-ზის და იქით გამიწია გულმა.

იქნებ მიმიღონ...

უარი არ უთქვამთ, არა!



ვიმედოვნებ, რომ სული შიმშილისაგან აღარ გამძღვრებთ! მაგრამ: ისე, პირველი დღე არ ამოიშლება, ჩემი მესიერებიდან, სასადილოში რომ მივედი, ამოლესილი ლობით ჩამოვარიგეს. და პირველივე ლუქმზე ყელზე დამადგა, ვიჯეჭი ლირსებაშელახული და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, წავსულიყავი და სამუდა-მოდუ დამეტოვებინა ეს სასადილო, თუ მისი სრულუფლებიანი წე-ვრი გავმხდარიყავი.

პო, პირველი ლუკმა დამადგა ყელზე, თუმცა ვიცი, არავის დაუმადლებია იგი ჩემთვის.

უბრალოდ: მრცვენოდა იმისა, რომ მათხოვარი ვიყავი, გლა-ხა....

საოცარის, მაგრამ ჰეშმარიტება: კაცი ყველაფერს იოლად ეგუება და განსაკუთრებით — ჭირს.

ერთხელ, როცა აღარ მოველოდი, სოლომონი გამომეცხად, კარგა შეზარხულშებული. დანა პირს არ უხსნიდა, — დედა, მე ბი-ნა გაგყიდე... აქედან ორი მესამედი, შვილებს მივეცი. ერთი მე-სამედი, კა ჩემთვის დავიტოვე და კიდევ უფრო რომ გაგვიწირ-დება, ძაშინ.. ახლა კი შენთან გადმოვდიგარ საცხოვრებლად. წინა-აღმდევობას შენი მხრიდან ხომ არ გადავაწყდები?

— ვიზუეჭი, გარგნებული და ვდუმდი, ველარაფერი ვუთხარი.

— სხვანაირად.. მე არ შემეძლო! მეც ხომ შვილი ვარ შენი და ხელს არ მერავ ამ გაჭირვების უამს?

— მაგრამ ნადეჟდაც შვილია ჩემი.. — უნებლიერ წამომცდა.

— ნადეჟდა? — რაღაც ირონიულად გაიღიმა სოლომონმა და მივხედი, უნდობლობა უცებ ჩამოვარდა ჩვენს შორის. — უსახლ-კაროდ არ დამტოვებთ, იმედია.

— სოლომონ, სოლომონ, ამას რას ამბობ? — უცებ მოვედი გონიჭი — ამას რას ამბობ?! — წამოვიკივლე და თავ-პირში წავიშინე ორივე ხელი.

— დრო, დრო გაგვიუარესდა, დედაჩემო... — მითხრა სოლო-მონმა და ხელი ჩაიქნია.

— სოლომონ, შემოტრიალდება ჩვენენ ეს დაწყევლილი დრო, გაუმჯობესდება და ჩადგება ჩვენს სამსახურში! თეატრში რამდენ-ხანს არ ყოფილხარ: და.. ანდა რას ჰგავთარ?! ჩემი შვილი სოლო-მონი სულ სხვანაირი იყო. სხვებსა და სხვებს მკურნალობდა მისი ტკბილი ენა; შენ კი.. თეითონ ხარ სამკურნალო...

— ნულარ მტანჭავ, დედაჩემო, გთხოვ, მიმილო იქნებ შენი უძლები შვილი და... დროც შემოტრიალდება მერე.



— მერე და უარი გითხარი მე? დაბრუნდი მამაშენის სახლში კონცერტის გვიშვილის სახლი უველას დაიტევს.

დამშვიდდა თითქოს.

შებინდებისას გადმობარგდა მთელი თავისი ავლა-დიდებით, მაგრამ ამ ავლა-დიდებას, აღარ იყოთხავთ, რა ერქვა?

ერთი ძველი სავარძელი, ორმელზედაც ჯერ მაინც ვერ იტყოდით ანტიკვარიაო და სოლომონი რატომლაც ფიქრის სავარძელს ეძახდა, ერთი ხელი ლები და საბანი, თეთრეული და ბალიშისპირი, სკამი! — ესეც ძველი და მორყეული, და კიდევ რაღაც-რაღაც წვრილმანი, ყოველდღიურად რომ ჭირდება კაცს, მაგრამ დიდი მატერიალური ღირებულების პრეტენზიაც არ გააჩნია.

მაგრამ უარესდებოდა ცხოვრების პირობები და სოლომონიც სულ უფრო და უფრო ეშვებოდა ძირს, ცხოვრებისეულ კიბეზე, ევოლუციის აღმართ-დაღმართს რომ ეძახდა თავისთვის...

* * *

გალოთდა(!)

წარმოგიდგენიათ ლოთი სოლომონი?!

შინ ამ თვეშიც არაფერი მიეტანა და ვარინკაც იძულებული გახდა, კამოდი რომ ჰქონდა ანტიკვარული, მეზობლისთვის მიეყიდა.

ამაზე სოლომონისთვის არაფერი უთქვამს და იმისთვისაც შეუმჩნეველი დარჩა ეს დანაკლისი: მას მხოლოდ თავისი — საკუთარი ფიქრებითა და პრობლემებით ჰქონდა გამოტენილი თავი და სხვისი ჭირი ახლაც ვერ გაეზიარებია.

ამაზე ვარინკას არც შეიძლება რაიმე არ ჰქონდეს ჩაწერილი თავის დღიურში: აპა, ეს ჩანაწერიც:

„მხოლოდ თავი ახსოვს სოლომონს, სხვისი დარდი მას არ ენაღვლება და... აღარ ვიცი, რა ვქნა. გავიგე, ქალაქში უფასო სასაყილო გაუხსნა ვიღაც ღვთისნიერ ქალს და გულმა რეჩხი მიყო. ვხედავ, მეშველა, ვიფიქრე. განვუცხადე ამაზე სოლომონს: იმან კი არაფერი მითხრა, ყურს გარეთ მოისმინა და მიავიწყდა მალე ჩემი ნათქვამი..“

მეგონა, საბოლოოდ დაივიწყაო უფასო სასაღილოს შესახებ, მაგრამ მოვტყუვდი. გამოთვრა ერთხელ და შავი ღლე დამათენა. შენი ფეხი არ ვნახო იმ სასაღილოშიო, კატეგორიულად გამაფრთხილა და მიწვა თავის ფიქრის სავარძელში.

„ეეჲ, ჩემო სოლომონ, აღრე ეს სავარძელი მართლა ფიქრის-

თვის გესაჭიროებოდა, დღეს კი... ლოთსა და გაუბედურებულს
ჩაგძინებია შეგ, და... ფიქრისათვის ვისლა ცხელა?!“ — დავიტირე
და ამიმწარდა სული.

შერე და მერე სმასაც მოუხშირა და ფიქრის სავარელმაც შე-
იცვალა თავისი დანიშნულება. დივნის მოვალეობას უფრო ასრუ-
ლებდა, ვიდრე სავარძლისას.

არა და... სოლომონი, როგორც მსახიობი დაიყარგა. მოკვდა
მსახიობი სოლომონ ქადაგიძე. კი არ გარდაიცვალა, როგორც ქარ-
თველი ოტყვის, არამედ მართლა მოკვდა, სრული ამ სიტყვის
მნიშვნელობით.

დაგებოდა 1995 წელი—წელი იმედგაცრუებისა და უიმედობის,
ნიპილიზმა მოიცვა ყველა და ყველაფერი.

საქართველო კვდებოდა...

მთლიანად მოშლილი იყო ეკონომიკურად და მხარეებად
დანაწევრებული, ერთმანეთს ექიშპებოდა. აფხაზეთი და სამაჩაბ-
ლო — დაკარგული.

ქვენად ქაოსი დასადგურებულიყო.

ეს შიმშილი გაჯდომოდა ძვალ-რბილში და სულშიც ბორო-
ტი აღზევებულიყო. იყიდებოდა ყველაზე სანუკვარი — სული
კაცისა, სული ერისა. ეშმაკს ხელთ ეპყრა სადავე ყოვლის და მია-
გელვებდა იგი თავის დაურკებელ ტაქს.

და ეს ეშმაკი ერთხელ სოლომონსაც ეწვია:

— კიდევ კარგი, რომ ფხიზელი დამხვდი! — უთქვამს თითქმის
გაქვირვებულ ეშმაკს.

— გისმენთ, რა გნებავთ? — გაიზმორა ფიქრის სავარელში
ჩაკარგულმა სოლომონმა, — დღეს მე არავის ველოდი და არც მი-
ფიქრია, გმოვლაპარაკებოდი ვისმეს.

— შესმის, სოლომონ, შენი... ესეც საყითხავია, გინდოდა ჩემ-
თან შეხვედრა თუ არა. სხვანი და სხვანი სულ სხვანაირად ფიქრო-
ბენ. მაგრამ ჯობს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, წამიც კი მილიო-
ნად მილირს...

— ადამიანებს კი ეს დრო, რომელიც შენ მილიონებად გილირს,
თავზე საყრელად გვაქვს..

— შენ გიჭირს, სოლომონ, და ამიტომაც გეახელი...

— გგონია, რომ გამომიჭირე?

— გიჭირო და ითხოვეთ ჩემგან, მე ყველაფერი შემიძლია, ინ-
ატრეთ, რაც გნებავდეთ და მიიღებთ! იმიტომაც გახლავართ აქ,
რომ ყველაფერი შემიძლია, თითქმის ყოვლისშემძლე ვარ!



— მაგრამ მაინც თითქმის ყოვლისშემძლე! — წამოიწია საჯუბარული რძლიდან სოლომონი.

— ითხოვე ჩემგან!

— ყოვლისშემძლე ღმერთია მხოლოდ...

— შეგიძლია გამომცადო!

— მაინც რა შეგიძლია, თითქმის ყოვლისშემძლევ?

— ხომ გითხარი, ყველაფერიო! — გაბრაზება დაეტუთ მომხვდურს და გაღინდიანდა კიდეც, — შენ ახლა ისე გიჭირს, სოლომონ, როგორც არასდროს. აღარც როლი გაქვს. თეატრში რა ხეირი ყრია დღეს? აბა, ვინ გაფასებს?!

კუპონებზე განა შეიძლება დღეს ცხოვრება? ქალაქის მერთან მიხვალ და... სავაჭრო ფირმა გაქცნათ, თუ გნებავს, იცი, რა გევალება? ქალაქის მერთან მისვლა, აგრ შენი განცხადებაც, შენი ხელისმოწერა აკლია და მორჩა! ქალაქში ყველაზე ძლიერი და სოლიდური ფირმა ამუშავდება და მისი პრეზიდენტი იქნები შენ!

— კი, მაგრამ რაღა მაინცა და მაინც მე შემარჩიეთ საექსპერიმენტოდ?! იმდენი ბიზნესმენია ჩვენში, რომ... და ჭერჭერობით არც თეატრზე მითქვამს უარი.

— თეატრი მოიცდის, ჯერ შენზე ვიფიქროთ!

— სანაცვლოდ რას ითხოვთ ჩემგან?

— რასა და... უნდა იცოდე, რას უნდა ვითხოვდე შენგან..,

— შენ ის ხომ არა ხარ, ფაუსტს არმ გამოეცხადა ერთხელ.. დოქტორ ლევერკუულნი... ხომ იცი შენ, მართლა ის უნდა იყო, მეფისტოფელი...

— ისა ვარ, მაგრამ დღეს მე მეფისტოფელი აღარ მქვია.. მეფისტოფელი, ჰმ... მეფისტოფელი კი არა, სულთამბყრობელი მქვია...

— მაშ, შენ ჩემი სული გინდა, არა?

— ასე ვთქვათ... მინდა გაგირიგდე...

— მაშინ ისიც მითხარი, ვინა ვარ დღეს და ხვალ ვინ ვიქნები? ვინ უნდა ვიყო ხვალ?

— დღეს შენი სახელია არავინ! ხვალ თუკი მოვრიგდოთ, შეძლებული ადამიანი იქნები, პრივილეგირებული კლასის წარმომაზე გენელი... თანამედროვე არისტოკრატი, ვისთვისაც დასაშვერია ყველაფერი და რას მოვითხოვ სანაცვლოდ ამისა მე — სულთამბყრობელი? თითქმის არაფერს, მხოლოდ სული მინდა შენა, სული, რომელიც დღეს კაპიკადაც კი... კუპონადაც კი აღარა ფასობს!

— გარიგების პირობებია საინტერესო.

— უჩემოდ ფიქრითაც კი აღარ უნდა იფიქროთ, შენი ნებისმიერი გადაწყვეტილება ჩემი რეზოლუციის გარეშე არაფერსაც არ უსრა



ნიშნავდეს. მე და შენ ერთნი უნდა ვიყოთ, ოღონდაც გახსელობის
შენ მოკვდავი ხარ ჩვეულებრივი, მე კი: უკვდავი... შენის მოკვდილეები
ის შემდეგ...

— და არა გარდაცვალების შემდეგ, არა?

— ჰო, ასე ვფიქრობ მე, შენი სიკვდილის შემდეგ მე ვეუფლები შენს სულს. ჩვენ შევერთდებით და თითქმის ყოვლისშემძლენი კი არა. მართლა ყოვლისშემძლენი შევიქნებით, „თითქმის“-ის გარეშე.

— სული გნებავთ თქვენ ჩემი და სანაცვლოდ ცხოვრებას მპირებით. აქ კი მე ყოვლისშემძლებუნდა ვიყო... აქ—დღეს და არა უველგან და ყოველთვის!! ფაუსტისა და მეფისტოფელის პრობლემა დღესაც დგას დღის წესრიგში... ღროც მეორდება და ყოფიერებაც.

— ხედავ, კვდება ხელოვნება, ეს ერთხელ ჰეგელსაც წამოსცდა, მაგრამ თავად პრობლემა იღარ გააღრმავა. ჯობია შენც მოეშვა ხელოვნებაზე ფიქრს, თეატრი მოკვდა, ხელოვნება ჩაკვდა, მოგჭამა ჭირი, შენ ერთი, ყველაზე დიდი ფირმის პრეზიდენტად აგირჩევენ.

— როლი მოშეცი სცენაზე და წაიღე ეს ჩემი სული!

— არა... უსულოდ როლს ვერ შეასრულებ... ხომ გეუბნები, მოეშვი ხელოვნებაზე ფიქრსო!

— თეატრი მომენატრა...

— მაშ, ვერ მოვრიგებულვართ, მშვიდობით!

— კარგად ბრძანდებოდეთ!

— როცა მოიტიქროთ და ჩემი წინადადება ჰქუაში დაგიგდეთ, მაშინ მოგაყითხავთ.

— არა მგონია, რომ მეორედაც მოგვიწიოს შეხვედრა...

— ვნახოთ, ვნახოთ... იქნებ ხვალაც კი მომიწიოს მოსვლა... ოღონდაც ისურვე და შენთან გავჩნდები!

— მე ერთი უბრალო როლი მინდა... თუ არ ვითამაშე, ამოვვარდები სცენიდან და ასე ცხოვრებაც არ შემიძლია. ხომ უნდა ვაკეთო რამე, ღმერთო! რა ძნელი ყოფილა არაფრის კეთება?!

— არ გინდა ფირმის პრეზიდენტობა?! მიდი მაშინ სადგურში და... ადგილი გამოჩნდა ერთი—მებარგულის... ხომ იცი, ტვირთის გადამზიდავზე გეუბნები... თეატრის მუშაკი სადგურის მუშა ხდები... მუშაკი და მუშა მაინც ერთია... უწინ მეკურტნეს იტყოდნენ ასეთი პროფესიის კაცზე... სად პრეზიდენტი და სად მეკურტნე?! ჰმ, მეკურტნე და პრეზიდენტი... იფიქრე კარგად! გახსოვს, რას უნდა შესთხოვდეს კაცი ღმერთს: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ ღლეს და..“ ამ პურს კი უოფლოდ არავინ მოგცემ!

აბა, სადგური და მისი ჯანი! რომ გადაიფიქრო, ახსენე მაშინ



ჩემი სახელი და უმალვე შენთან გავჩნდები. ახლა კი... სადაც არ ჩენ მოდგება მატარებელი. იჩქარე, თორემ სხვა დაგასწრებს! ურქუშებულოდება შენ! იქ, ადგილისთვისაც მოგზევს ბრძოლა... დაეცმარებით ამაში, მაგრამ სულს ამაში არ გთხოვ, იცოდე. აბა, მოგიმართოს ხელი იმ შენა ღმერთმა!

— თქვენ მე დამცინთ?

— გაიხსენე: „პური ჩვენი არსობისა...“

— წავალ სადგურში... ასე მირჩევნია! — თავს ძალა დაატანა სოლომონმა. — იქ, სადგურში ერთს, ტვირთის დამტარებელს ვაკნობ და ის დამეცმარება.

— მაშ, გადაწყვეტილია, იმ კაცს მიხეილი ჰქვია... ამბობენ, ისრაელში მიემგზავრებაო, დაგითმობს თვის ურიკას... კინაღამ არ გადამავიწყდა?

— ჰო, მეც მიხეილზე ვფიქრობდი, მიდის... ალთქმული ქვეყანა მიეღის... მაგრამ პრობლემა აქაც... როგორ დავიხსნა ურიკა?

— ამაზე შენ ნულარ იფიქრებ, შენამდე მე მივაკრთხავ და ვთველაპარაკები!

— მაღლობის მეტი რა მეთქმის? არ ვიცი, რატომ მეხმარები.

— შენ მიდი, მოინახულე მიხეილი, იგი მოგცემს ურიკას და... აწყობილია შენი საქმეც! „პური ჩვენი არსობისა...“ არ დაგავიწყდეს! და მაინც: არა გრცხვენია!?

— დავძლევ მე ამ სირცევილის გრძნობას! იქნებ შემრცხევა კიდეც პირელად, მაგრამ...

— შენ ხომ მსახიობი ხარ! ქალაქში ყველა გიცნობს... შენ ფარმის პრეზიდენტობა დაგმუვენდებოდა უფრო.

— არა, არა! მე ჩემი ბედისწერით ვივლი!

* * *

ჰოდა, მიჰყვა კიდეც თავის ბედისწერას.

არა, არ ყოფილა სოლომონი ბედის ნებიერი... (პერი).

* * *

— ვარინკა, ვარინკა, თვალმა ხომ არ მომატყუა დღეს, სოლომონი ვნახე სადგურში. ხილით საესე ტომრები დაედო საბარგულზე და ბაზრისაკენ მიაგორებდა... დაგინახე და თვალი ავარიდე..., მე შემრცხა, ვარინკა... იქნებ თვალმა მომატყუა და...

— მართალია, სამწუხაროდ... სირცევილისაგნ დაწვა ვარინკა,

— ეჭ, ჩემო ნატალი.... ხედავ, სადამდე დავეშვით..., მსახიობი კაცი... ცნობილი აქტიორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქალაქში დაფასებული ხელოვანი ურიკას დააგორებდე სადგურში, გაგიგონია ასეთი რამე?!



— მეგარგული სოლომონი... ვიღაცის ტვირთი გადაქონდეს უკან
ვაა, სირცხვილო?!

„ნალის მსახური ვარ მე!“ — სოლომონის სიტყვებითვე უნ-
დოდა თავი ემართლებინა ვარინკას, მაგრამ ენა ვერ მობრუნა და
სირცხვილის ოფლი შეიწმინდა შუბლზე.

— მესმის, მესმის... — ავიშვიშდა ნატალი, — მაგრამ ხომ
უნდა იცხოვრო კაცმა! კუჭის პრობლემამ გადაამეტა დღეს აველა
პრობლემას... მშვიდობით, ვარინკა,,, ალბათ, ხვალ სხვა დრო დად-
გება მაინც და...

— ერთმანეთისაც ალარ შეგვრცხვება! — სიტყვა ჩამოართვა
ვარინკამ ნატალის და ცრემლი მალულად შეიწმინდა.

— კიდევ დადიხარ, ვარინკა, უფასო სასადილოში?

— უნ არა... ვინმე ჩემზე გაჭირვებულს ხომ არ გინდა გაუწიო
შუამდგომლობა იმ ღვთისნიერ ქალთან?

— არა, არა... სხვა არა და,,, მე კი ვივლიდი... მეც მიჭირს, ხომ
ეცი, ვარინკა... კი მყავს ბიჭი, მაგრამ კუპონების ვარდა სხვა არა-
ცერი აქვს გასამრჯელოდ...

— ვეტყვი იმ ქალს, ვეტყვი შენზეც... უარს ნამდვილად არ გე-
ტყვის,,, ისეთი ქალია, რომ... საქებარი სიტყვები არ მყოფნის... ას-
ეთი ადამიანები... იშვიათად იბადებიან და უნ წარმოიდგინე, ნატა-
ლი, რომ,,, უხელფასოდაა... ისე გვემსახურება... ღმერთმა გამოვი-
გზავნა ეს ქალი, ღმერთმა... შეიძლება არ იყოს ღვთისშვილი, მაგ-
რამ მისი რჩეული რომ არის, ამაში არ მევჭება! სწორედ, რომ...

— სწორედ, რომ ღმერთის რჩეულა!

— ჰოდა, მეც მიშუამდგომლე ამ ღმერთის რჩეულთან... ძალი-
ან გამაჭირდა, ჩემო ვარინკა, უფრო ამისთვის მოვედი შენთან...
უნდა გამიგო,,,

— მესმის შენი, მესმის, ჩემო ნატალი... ჩემისთანა თუ გაგიგ-
ებს, თორემ თინათინს შენთან არ ხელი აქვს?

— რომელი თინათინი, ქალო?

— რომელი და საბაჟოს მოხელე რომ არის, იმის ცოლზე გაუ-
ბნები...

— ჰო, ამბობენ, გაკეთდნენ მებაჟეებიო...

— მაგრამ შენს სოლომონს მაინც არ ეკადრება, ვარინკა, მეკუ-
რტნეობა... ასე ნასწავლი კაცი და ურიკას დააგორებდეს, ვაიმე,
სირცხვილო?

— მე, ჩემო ნატალი, არ დამიშლია მისთვის მეკურტნეობა, ისე-
ვე როგორც იმას არ დაუშლია ჩემთვის უფასო სასადილოში სიარ-
ული... ასეა ჩვენში! ასე რომ, ბარი ბარსა ვართ! ჩვენ ისა გვჭირს,

რისი ღირსნიცა ვართ... მაგრამ დათვრება ზოგჯერ და..., არც შეიძლება, არ თვრებოდეს!

— ჰო, მესმის მე სოლომონის. ის მიკვირს, თავს რატომ არ იქლავს... მესმის სოლომონის, აბა არ მესმის?! ცხოვრებამ შეურაცხყოფა მიაყენა, დაგმო და დასასარა!

— მებრალება მე ჩემი სოლომონი, — მკერდზე მიიღო ხელუბი ვარინჯამ, — ჩემი ნადევდა ხომ ვადაირია, როცა ვაიგო ეს ამბავი... ჩამოსცლას აპირებდა, მაგრამ როგორ ჩამოვიდეს?! ხომ იცი, რა ძვირი ჯდება მგზავრობა?! ცა ჩამოიქცა ჩვენს თავს. ნატალი.. დაგვექცა ქვეყანა...

— ვორბაჩოვის კუბო დავდგი... იმ თავის „პეტესტროიით“ დაიწყო ყველაფერი და დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა...

— ვენიოსი უნდა იყოს რუსი კაცი, რუსეთში პური რომ მოანატოროს რუსს... — სული მოითქვა ვარინჯამ და ისევ განაგრძო: — აფხაზეთიც დაგვეკარგა მგონია და ოსეთი — უფრო აძრე... როდის დაღვება ის დრო, რომ ჩამოვიდოდეს ნამთარში მოსკოვის მატარებელი... ჩამოიტანდა მშვიდობას ნიჟილიზმით ამოვსებულ საქართველოში... ინიციატივა ვეძე ი ვე ვსე!

— საშინელი სენია ეს... განუკურნებელი,,, მაგრამ ვინა ვართ ჩვენ, რომ ამაზე ვფიქრობთ?! ტვინს ვიჭყლეტო ამ სისულელებით... გვაქვს კი მე და შენ ამის უფლება?—იკითხა ნატალიმ და ხელი ჩაიქნა, — გახსენებაც არ მინდა იმ სურათისა— სოლომონი რომ მოაგორებდა ურიკის, მაგრამ ამის დავიწყებაც რომ არ შემიძლია!

— ნეტაი, არ გამოენებოდა დღევანდელი დღე, — ამოიოხრა ვარინჯამ, — მეც, ნატალი, მეც ვნახე ჩემი სოლომონი, ურიკას რომ მიაგორებდა და დღეს იყო ეს! ვამე, სირცევილო?! უფასო სასადილოში მიყდიოდი და დაღლილმა სადგურის წინ შევისვენს. მატარებელი ჩამომდგარიყო. უნდა გენახაო, რა სანახაობა გადაიშალა ჩემს თვალშინ. ერთმანეთს უსწრებდნენ ურიკები... ურიკების კარიანტელი იდგა! ალბათ, ჩემი სოლომონიც მათში იქნება,— ჯამიერება და ის არ დავინახე?! იქიდან, ცარიელი მოდიოდა უკვი... ყველასათვის დაესწრო... ერთი პირობა, გამიხარდა კიდეც, ფხა გამოიჩინაო, მაგრამ უმაღვე ვინანე, ასე რომ გავიფიქრე და იცი ვინ ფიქრობს ამას? ქალი, რომელსაც უფასო სასადილოში მიეჩარება! ვაი, რა დღეები დაგვიდგა? ჰოდა, ნატალი, ვხედავ ოფლში გახვით-ქულს აქეთ მოეჩარება ჩემს სოლომონს. ეი, შენო, გააჩერეს მეზიდე ვაგონთან.

— აგერ ბარგი და აგერ შენი ფული. თუ არ გეყოფა, დაგიმატ-



ებ, მაგრამ აგერ რომ ურიყას მიაგორებენ, იმას აუცილებლადუნდა
გაუსწრო... ბაზართან ჩემი ტვირთი იმის ტვირთზე აღრე უნდა შეკ
ორდეს, შეძლებ?

— შევძლებ, — უპასუხა სოლომონმა და ოფლი შეიწმინდა.
თვალისძახამხამებაში დატვირთა თავისი ურიყა და არახრახა. შევ-
ხედე მე ჩემს სოლომონს და ღმერთს შევთხოვე, რომ მიეცა მისთ-
ვის ძალა, გაესწრო და უკან ჩამოეტოვებინა უველა. კი გავიფიქრე
ეს, მაგრამ ის კაციც შემებრალა, ვისთვისაც უნდა გაესწრო ჩემს
სოლომონს, მაგრამ იმ წამსვე გავითვიქრე, იმისთვის კიდევ დედა-
მისმა ილოცოს და იფიქროსო და ამოვისუნთქე შვებით. უჩინმაჩი-
ნის ჭუდი დავისურე მეც და ავედეენე უკან. გამჩენელმა ღმერთმა
ძალა შემმატა და... ჰოდა, გაასწრო ჩემმა სოლომონმა, იმ დღეს ჩემ-
მა ბიჭმა იმარჯვა... ასე, ჩემო ნატალი..., მე შევეგუე იმას, რომ
დააგორებდეს თავის ურიყას ჩემი სოლომონი, მაგრამ იქაც თავის
გატანის პრინციპია წინა პლანზე წამოწეული... კონკურენცია, ჩემო
ნატალი, კონკურენცია...

ვიდექი ასე, ჩემო ნატალი და აზრადაც არ მომსვლია, გავც-
ლოდი იქაურობას... მე ახალი ცხოვრება აღმოვაჩინე — მეკურტნე-
ების ცხოვრება! მაგრამ მე ჩემი ცხოვრებაც მქონდა... სოლომონი,
ბედი მაინც მადარდებს... თავს არავის დააჩავრინებს, მაგრამ ამ
ცხოვრებისათვის, ასეთი ყოფისთვის მაინც არ მემეტება ჩემი სოლ-
ომონი. წავიდეს თავის შვილებთან ოდესაში, ის ურჩევნია. ქართ-
ველი კი არის სოლომონი, მაგრამ არ გაუჭირდება რუსეთში. მე კა
დამანებოს თავი... ქარგი, იმან კი დამანება თავი, მაგრამ მე როგ-
ორ დავანებო თავი?! ვამე... ეს რა განსაცდელი დამდგომია და...,
თავს რატომ არ მოვიკლავ?! ჩემი სიკვდილით რამდენი პრობლემა
მოიხსენებოდა:

„ნეტაი, დაუძახებდნენ შვილები და მეც თავისუფალი ვიქნე-
ბოდი ჩემს სინდისთან..“ — ასე გაიფიქრა ვარინჯამ ბოლოს, რაღ-
გან, ეს არ უნდა გაეგონა ნატალის და გულშივე ჩაუძახა უადგი-
ლო დროს წამოჭრილ ფიქრებს.

* * *

დრო კი მაინც გადიოდა:

ოდესილან ბრუნდებოდა სოლომონი.

მოიქორწილა. ცოტა ხნით დარჩენას პირებდა ახლად შექმნილ
ოჯახში, მაგრამ თავი არავის შეუწუხებია მისთვის.

გემი ნამთარისკენ მოირწეოდა.

ვარსკვლავინი ლამე... და მოფუსტუსე ადამიანები,,,



სოლომონიც გემბანზე გამოსულა, მაგრამ გამდგარა ყველაქორელი
გან, ფიქრებს განმარტოებია:

„ერთხელაც არ წამოცდენიათ, დარჩი ჩვენთან... დარჩენია
იქ როგორ დავრჩებოდი?! არც წამოჭრილა ამაზე საუბარი.

აღარავის ვჭირდები, არავის! მაგრამ იმათაც მინდა გავუგო.
თითქოსდა მესმის კიდეც იმათი, ისინი არაფერს წყვეტენ და არც
არაფერია იმათზე დამოკიდებული. ჰოდა, რაღას უნდა ვითხოვდე
იმათგან!“

ეთქვათ მაინც დარჩიო და... გამიხარდებოდა.

რომც ეთხოვათ, როგორ გვონიათ, დავრჩებოდი?! არავითარ
შემთხვევაში! რა გამაძლებინებდა ოდესაში?! აქაურობას მოწყვეტ-
ილს მაინც რაზე უნდა მომეკიდა ხელი, რომ ხავსს მოვჭიდებოდა
წყალწალებული. განა ჩემს ნამთარს რაიმეთი მაინც შეედრება ოდ-
ესა?! ებრაელებიც რომ აღარ დარჩენილან და ქალაქი მართლა
ჩარჩ-ვაჭრებს ჩაუგდით ხელში. მაგრამ ვერც ოდესას შეედრებს
რაიმეთი ჩვენი წვიმიანი ნამთარი, გაწყალებული ნამთარი — ოდ-
ესლაც წმინდა და ისე ქათქათა... ქალაქი დიდებული და განუმეო-
რებელი!

ოდესაც... ოდესლაც საქმიანი და დღეს უსაქმური ქალაქის
შთაბეჭდილებას ტოვებს, საცხა-ქალაქი მაწანწალებით, ხელგაშვა-
რილი თხოულობს დიდი და პატარა, ტყუიან ყველგან და ყოველ
ნაბიჯზე ჰყარგვენ.

ვუახლოვდებით ნამთარს! ოდესლაც სიწმინდის განსახიერება
იყო ჩემი დამუნჯებული და დაბრმავებული ქალაქი... შელახულა
და ერთიანად განადგურებული, მაგრამ ახმიან-აყაყანებული. აქაც
იყიდება ყველა და ყველაფერი! მეფისტოფელი დაბიჯებს ჩამობ-
ნელებულ ქუჩებში, ქალაქი უპატრონო და მიუსაფარი... კვდება ზე-
ზეურად და სულიც რომ ვერ დაულევია?! აქ სინდისიც დაუგირა-
ვებიათ და ნამუსიც!

მართლა ვეღარ იცმიბოთ ნამთარს!

ყველგან — ჯიხური! ზოგი ახალი და ამომავალი, ზოგიც ძვე-
ლი და აწგარდასული... აღარავის უნდა ქართული კუპონი, ვერაფ-
რით რომ ვერ გაუმაგრებიათ! აღარც რუსული რუბლია მყარი...
ისიც კუპონივით იქცა, რაღა კუპონი და რაღა რუსული რუბლ-
აი, დოლარი! აი, ფული! დოლარის კულტია, დოლარის კულტი!“
ფიქრიდან ფიქრში და ისევ ფიქრი მოძალებული! ფიქრი ხან წარ-
სულისაკენ რომ გაგტყორცნის და ხან მომავალში ჩაგშიხლავს, და
ათოვს ფიქრს. დრო ერთმანეთში აღრეულა.

ჰოდა, ჩავეშვი მეც თოვლის ღრუბელში..., (ფიქრის ღრუბელ-
ში):

მახსოვს დიდი თოვლი მოვიდა ჩვენში იმ ჭელს. თეორად გადა-
იანტა ჩვენი ეზო. უთენა გამოვვარდი გარეთ და თოვლის ჭეჭი-
რი ფეხშიშველამ გადავირბინე.

სიცივე?

ნელ-ნელა შემოდიოდა ჩემში და საბოლოოდ რომ გამიჯდა
ძვალ-რბილში, მაშინ მოვედი გონს.

— გიურა ეს ოხერი სოლომონი, მართლა გაგიუებულაო, — გაი-
ძახოდნენ აქეთ-იქიდან.

— გიურ კი არა, გმირია! — დამიცვა ერთმა კიკინებიანმა გო-
გონამ, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას. ახ-
ლა მაინც შემიძლია გამოვუტყდე თავს, რომ ამ კიკინებიანმა გო-
გონამ კარგა ხნის შემდეგ უარი მითხრა ცოლობაზე, უარი იმ მიზ-
ეზით, რომ დასაშვებზე შედარებით არასტანდარტული ტიპი ხარ
და შეიძლება გამიჭირდეს შენთან ერთად ცხოვრებაო. ახლა იმას
სამი შვილი ჰყავს. უფროსს სოლომონი დაარქვა, ალბათ, ჩემს საპა-
ტიოცემულოდ და ახლაც მიხარია, რომ ვუყვარდი ოდესლაც. ნამთა-
რში ცხოვრობს...

ასე და ამრიგად მოვიყარეთ დღემდე. და როგორლა გავძლო
მე უნამთაროდ?

ჰო, იმას ვამბობდი, ღრუბლებზე მომინდა-მეთქი გავლა-გამოვ-
ლა, და მართლაც, ავიქნიე ხელები და ხმამალლა განცუცხადე თავს,
გამოუსწორებელი ფანტაზიორი ხარ, ბატონი სოლომონო.

თვალი, მაინც დავხუჭე და... ოცნებით ძირს დავეშვი. ვიცინო-
დი წყალზე დაშვებამდე...

გემი კი მოიჩრდია ნამთარისაკენ...

— ნეტავი დედაჩემი ვარინკა როგორ არის? — თვალები მო-
ვითშვნიტე და ისევ გადავიჭერი მოგონებებში.

„თეიშუბანმა“ დაიგვიანა მაშინ და სადგურში ერთი ორმტრიალი
ატყდა. ერთმანეთში არეულიყო მგზავრი, გამცილებელი, დამხვდუ-
რი, ტვირთი, ურიკა და სადგურის სხვადასხვა ჯურის წარმომადგე-
ნლები. მოკლედ: აირიაო მონასტერი, სადგურზე იტყოდით.

ურიკები ჩარიგებულიყვნენ პირველი ლიანდაგის გასწვრივ.

აგერ სოლომონიც თავისი ურიკით. ადგილს ვერ პიულობს
რაღაც ავის მოლოდინში. გული ეწურება.

„მატარებელი „თეიშუბანი-ნამთარი“ ორიწუთის შემდეგ ჩამოდ-
გება პირველ ლიანდაგზე“, როვორც იქნა, გამოაცხადა სადგურის
მორიგემ და სადგურმაც წამით განაბა სული, რომ შემდგომ კიდევ
მეტის ნდომით იორიალებულიყო.

და ამოძრავდნენ ურიკები.



სოლომონმაც მისთვის მინიშნებულ ადგილზე ჩაყენა თავისი
ურიკა. გულს ბაგა-ბუგი გაუდის, ითვლის ასამდე, ორასამდე, კიდევთ რა უკან
ოთხმოცდაშვიდი და მოაყივლა „თეიშუბანმაც“. „თეიშუბანი“ ჩემი მიმოწერა
მოდგა.

— მუშა! მუშა! ეჭერ, შენ, ყველაზე მაღალო! — ჩატეხილი სა-
რქმლიდან გადმოძახეს სოლომონს, — აგერ მოაყენე შენი ურიკა!

სოლომონმა გაიწ-გამოიწია და მინიშნებული ადგილი გაითავ-
ისა. ავარდა ვაგონში, თვითონვე გამოატანინა ტვირთი „კლიენტს“. დატვირთა ურიკა და მისამართი იკითხა.

ბაზარიო, იმანაც მოკლედ მოჭრა და სოლომონმაც დაძრა ად-
გილიდან თავისი ტვირთმძიმე ურიკა.

— თუ შეიძლება, აჩქარდით! ადგილი არ მინდა დავკარგო იქ,
აჩქარდით და რამდენსაც მოითხოვთ, იმდენს ჩაგითვლით, მე დრო,
დრო მინდა მოვიგო! უუჰ, არ ჩამომილო მხარი ამ ოჯახაშენებულ-
მა?! — წამოიძახა კლიენტმა და ხელი ფერდზე მიიდო, — არც—
ხათო, ალარც—მორიდება, კაცი თვალში აღარ უჩანთ! ბოდიშსაც
არავინ მოგიხდის! ეეჰ, ჩემ დროს სხვანაირი ახალგაზრდობა იყო,
უფროსი იცოდნენ და უმცროსი, დღეს კი... თვალიდან ამოგაც-
ლიან ბეჭვს..., ვაიმე, მგონი პორტმანიც ამომაცალეს! დაიჭირეთ,
ეგერ, ეგერ მირბის, მე ახლავე... ბაზართან მიიყვანე ეს ურიკა და
მეც შენთან გავჩენდები! — თქვა და თვალს მიეფარა.

სოლომონმა ურიკა ზედ ბაზრის კიბეებთან მიაყენა და ლო-
დინი დაუწყო ტვირთის პატრონს. ისიც გამოჩნდა მალე. დანა პირს
არ უხსნიდა.

— რა ვქნა, ძმაო... ჩემგან კაი გაყოლა ფული გერგება, მე კი
კუპონიც არ შემარჩინეს. თუ ირწმუნებ ჩემსას, და ერწმუნები
ჩემს სიტყვას, შენსას შებინდებისას მოვართმევ... სადგურზე იქნე-
ბი ალბათ. ზუსტად მზის ჩასვლამდე მიიღებ შენსას.

სოლომონს არაფერი უთქვამს, ურიკა უკან გამოაბრუნა.

(და იყო ღმერთი მოწყალე სოლომონის მიმართ).


კლიენტმა (სხვამ), რა თქმა უნდა, აქაც მოაგნო და ბაზრამდე
ორი გზა კიდევ გაკეთებინა.

„ესეც კმარაო ჩემთვის“, — თქვა სოლომონმა და ის კაცი, ცული
რომ მოჰპარეს, სულ ამოუვარდა მეხსიერებიდან.

— რა იქნა ის კაცი, თუ მოგიტანა ფული, — პკითხა სოლო-
მონს გიორგიმ, ძველი და ვადაგასული ურიკა სულ ახლახან რომ
გამოეყვანა რემონტიდან, — აი, ნახავ, საერთოდ თუ გამოვიჩნდეს?!

აგერ მზეც გადაიშვერება სადაცა და... შენც სულელი! კაცს როგ-
ორ დაენდობა დღეს კაცი?

გული მოკლეს ამ სიტყვებმა სოლომონს, მაგრამ თქმით არა-



ფერი უთქვაშს, საყვედური არ დაცდენია, პირიქით: დაიცვა ის
კაცი: — არა, ჯერ კიდევ დრო აქვს იმ კაცს, არ ჩანდა, ჩემიმიაზრულ,
ფლიდი და მატყუარა. მზის ჩავლამდე დრო კიდევ რჩება იმას,
მინდა მჯეროდეს, რომ პატიოსანი იყო ის კაცი, პატიო-სანი! მარ-
თლა წართმევაზე ხომ არ არის აგებული დღევანდელი ცხოვრება!

— სწორედაც მასეა საქმე, — კოჭლმა მინასამაც ამოიღო ხმა,
— არა, კაცს როგორ ენდობა კაცი ამ გაჭირვების დროს?

— უნდა ენდო, ენდო კაცი კაცს! არაა ჯერ ყველაფერი დაკარ-
გული. აპა, მზეც ჩადის... მზეო, ცოტაც მოითმინე, ნუ აჩქარდები. ხომ
ვიცი, რომ ჩემსკენ მოეჩქარება იმ პატიოსან კაცს, ისეთი კაცი ჩა-
და, ნიმუშილალ არ გაიტეს პირს. მომეტონა ის კაცი, მომეტონ! ა-
რიან ადამიანები, რომ ვერ იყადრებენ უკადრებელს...

— ძლიერ არ მოგაგენი?! — მიეახლო კაცი სოლომონს და ხე-
ლი მხარზე დაჭკრა, — აგვრ ხაჩ!

— შენა ხაჩ, კაცო, მადლობთ, რომ არ გაიტეხე პირი!

— აგვრ ფული, ძმაო და მეც მოვრჩი... აგვრ კიდევ შენთვის,
. აი, ეს ფუთა... ცოტა მსხალია, ვაშლი და ქლიავი: ხომ არ დამიკ-
ლია რამე? მადლობა დიდი! მადლობთ, რომ მენდე, ვხედავ, შენ
უფრო ის გიხარია, რომ მე არ გავიტეხე პირი და სახელი არ შევი-
რცხვინე... მადლობთ, მადლობთ..., ეეჲ, შეგეძლოს ერთი და... შინ
მესტუმრებოდე... ისეთი მასპინძლობა გაგიშიო, რომ..., შენისთანა
კაცი იშვიათობა მართლაც და ბედნიერი ვარ, რომ მაინცდამაინც
მე შემახვედრა ღმერთმა შენი თავი...

— მადლობთ, მადლობთ... მადლობელი ვარ... ბევრიცაა ეს,
ბევრი...

— მეც ბედნიერი ვარ, რომ კაცი აღმოვაჩინე. რომელმაც
კაცის ფასი იცის ამ ქვეყანაზე. სახელს, თუ გინდა, ნულარ მე-
ტყვი. კაცს დაგიძახებ უბრალოდ. სოფელში რომ წამყვებოდე...
აგვრ ერთ საათში გადის ჩემი მატარებელი და...

— არ შემიძლია და... — გაიბრძოლა სოლომონმა. — მართლა
არ შემიძლია... მოხუცი დედა მყავს და ხომ ვერ მივატოვებ. შვი-
ლებიც მყავს მე! შაბათს ბიჭის ქორწილი მაქვს...

— კარგი, კარგი... ვნახვ, . ისევ ჩამოსასვლელი ვარ და მე
დამელოდე... მოვიღა, პო, შევთანხმდით... სოფელში იცოდე, ერთ
სადღეგრძელოს კაცზე ვიტყვი და ეს კაცი შენა ხაჩ, იცოდე!

— ეპეი, მუშა! მუშა! — ხმის ჩახლეჩამდე გაიძახდა
ერთი ზონზროხა, მელოტი კაცი, — აპა, ძლიერ არ გამომიჩნდი?!
ტვირთი მაქვს წამოსაღები... ტელმანის ოცდახუთიდან და ხუთის
ნახევრის ელექტრიჩეს უნდა მოვუსტროთ. გესმის? ნულარ ზოზი-
ნობ!



სადგურის საათს ახედა სოლომონმა, მაგრამ გაახსენდა, ბარჩელი მოვალეობა
სამი წელიშადია, რაც აღარ მუშაობს და ხელი ჩაიქნა.

— ცოტალა რჩება, მაგრამ არც ისე ცოტა, რომ ვერ მოვასწოროთ, — თქვა ზონზროხა მელოტმა, — ოლონდაც აჩქარდი! აბა, დავიძრათ.

— მესმის, კეთილი... — აწრიალდა სოლომონი. იმ ღვთისნიერ კაცს თვალებით გამოემშვიდობა და აიწურა მხრები. არიან ასეთი ადამიანები და, რა ჩემი ბრალიაო. მოიწმინდა სირცხვილის ოფლი და ურიკას მთელი ძალით მიაწვა.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, გზა მაინც დასრულდა და ზონზროხა კაცი ორსართულიანი სახლის წინ შედგა. აგერ დამელოდეთ, მებარგულს მიუგდო სიტყვა და სადარბაზოს კარი შეაღო.

გავიდა ხუთი წუთი და ათი წუთიც გავიდა. კიდევ გავიდა 5 წუთი და ნახევარი საათიც დაიხვია დროის მდინარებამ და აწრიალდა სოლომონიც: „იქნება გავიდა კიდეც ელექტრიჩკა და...“

ის კაცი კი, სადარბაზოში რომ მიიმალა, არა და არ გამოჩნდა. შეწუხებული სოლომონი ურიკის, სახელურს ჩალურჯებამდე უჭერდა თითებს.

— ნეტა, რა იქნა ის კაცი.. მივატოვებდი, მაგრამ რას იფიქრებს? თითქოს და... უხეში და გაუზრდელი კი იყო, მაგრამ მატყუარა ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო... არც სერიოზულობა აკლდა. ანდა რაში დაჭირდა ჩემი ასე გამასხარება? — ფიქრი აქ დაუსრულდა სოლომონს და უკან გაბრუნება დააპირა, რომ გაიღო სადარბაზოს კარი და ათიოდე წლის ოქროსფერობიანმა გოგონამ გამოანათა.

გოგონა კი არა ანგელოზი იყო!

— მამამ... — წამით შეყოვნდა, — გადაიფიქრა, აღარ მოდის და ეს ფული გადმოგცა... გალოდინა ხომ? ნუ იწყენო ასე... გეწყინა. ბაბუ, ხომ, მაგრამ მე რატომ მებუტები?

— არა, შენ არა.. მე ისე. — ენა დაება სოლომონს. — დიდი გოგო გაიზარდე. შენ რას გერჩი? — თავზე ხელი გადაუსვა გოგონას, — მამაა ის კაცი შენი.. და შენ...

— მამინაცვალია... — სახე მოელრუბლა გოგონას და სოლომონს, მოხრილიყო წელში. — მინდა თვალებში ჩაგხედო, ბაბუ... ეს რანაირი ცისფერი თვალები გქონია?! მეც ხომ შენისონა თვალები მაქს? ბაბუ... არ გიჭირს ამხელა ურიკის ტარება?

„არ უთქვამს, არა გრცხვენია ამხელა ურიკის ტარება...“ —



გაიფიქრა სოლომონმა და წელში მოიხარა, მაგრამ გოგონა შეინც
ვერ შეძოწვდა. მაშინ მუხლი მოიყარა და გოგონაც გაუსწორდა.

— არ გიჭირთ ამხელა ურიყის ტარება? — გაუმეორეს სოლო-
მონს და ისიც გამოერკვა ფიქრებიღან.

— არა, არა... ის კაცი, რა თქმა უნდა, მამინაცვალია შენი...
ჰო, მამინაცვალი... შენ სულ სხვანაირი მამა გეყოლებოდა...

— ალარ მყავს... — თვალები აუწყლიანდა გოგონას.

„ასეც ვიცოდი... ამ ანგელოზის მამა როგორ შეიძლება იყოს
ისეთი კაცი, რომელსაც შეუძლია სულში ჩაფურზოს კაცს?!“

— ბაბუ, ბაბუ! — თავდავიწყებიდან გოგონას ძანილმა გამო-
იყვანა სოლომონი. — რა გქვია შენ?

— სოლომონი... შენ? ცისანა? კისა ხარ შენ... ცისა! — წა-
მოდგა სოლომონი; წელში გასწორდა, — ეს ფული, ცისო ჩემო,
მიუბრუნე შენს მამინაცვალს... გადაეცი, სოლომონი მათხოვარი
არ არის, კაციაო, ასე უთხარი. კარგი?

— აიღო, გთხოვთ... შეწუხდა გოგონა.

— არა, ჩემო ცისო... ეს ფული პატრიონს მიუბრუნე, გადაეცი,
დროს არ ყიდულობენ და... ჰო, არც დროს ყიდიანო... შენ კი...
კეთილი გულით გევლოს ამ ქვეყანაზე..., — სოლომონმა ადგილი-
დან დაძრა ურიკა და ეს ამბავიც მეხსიერების გადაყვითლებულსა
და გადაცრეცილ ფურცელს შეატოვა საშვილიშვილოდ.

* * *

აპა, ნამთარიც! — ამოაყოლა გულს სოლომონმა და თვალები
მოიჩრდილა, — ჩემი ნამთარი...

— არა, მირავი ყოფილა თურმე... ჯერ კიდევ სადაა ნამთარი!
— თქვა გულდაწყვეტილმა და თვალი მზეს გაუსწორა.

* * *

ნეტა, ეს ქალი ვინ უნდა იყოს, ასე უთენია რომ გამოსულა
ზღვის სანაპიროზე. ქაურს არ უნდა ჰგავდეს. ჩამოსული იქნება,
ცხადია.

მაგრამ ძნელიც არ უნდა იყოს მისი ვინაობისა და სადაურობის
დადგენა, თუკი წამით მაინც ჩახედავთ სულში, ასე რომ აფორია-
ქებია.

ჰო, სულში წერილის სტრიქონებს კვითხულობთ:

„დღეს ჩამოვედი სანქტ-პეტერბურგიდან ჩემს მშობლიურ ნამ-
თარში! და დღესაც ისე ვდელავ, როგორც ჩემი ბავშვობის დროს.
ჰო, შენთვის მომიპყრია, ნამთარო, სასმენელი ჩემი და..., გარკვევ-

თ მესმის სოლომონის ხმა... მოვდივარ, ფეხი არ მოიცვალო აღგი-
ლიდან.

ზღვა...,

აგერ ნიუარაც. ყურთან მიიტანა და: გაიგონა სოლომონის ძა-
ხილი. დიდხანს უცდიდა, მაგრამ არ გამოჩენილა სოლომონი.

ზღვა უკან დარჩა.

„მგონი — სოლომონი ნამთარში არ უნდა იყოს...“ — გული
ეუბნება. — ვეღარც დედა ვნახე, უფასო სასადილოში ვარ და მა-
ლე დავბრუნდებით, ქალაქის ნაგლეჭზე შაეწერა გაკრული ხელ-
ით, ქინძისთავით რომ მიემაგრებინა კარზე.

— უფასო სასადილო? რას უნდა ნიშნავდეს ეს? რომ არაფერი
ვიცი ამაზე? უფასო სასადილო ნამთარში? გადავირევი, ალბათ! —
ხელი ჩაიწნია და იქვე, მწვანედ შეღებილ ძელსკამზე ჩამოჭდა..

რული მოერია და სოლომონიც გამოუჩნდა. ოლონდაც სულ
სხვანაიარი ეჩვენა. სრულებით არ ჰგავდა იმ ძველ სოლომონს, არა-
ცერი შემორჩენდა იმისი. თითქოს მოტეხილიყო, აღარც თვალე-
ბი უელავდა უწინდებურად.

ძლივსლა იცნო უფროსი ძმა.

ელაპარაკება, გარკვევით ესმის მისი ხმა:

— ნადია, ნადეჟდა, აეროპორტში არ ვმუშაობ, თორემ იქ და-
გხვდებოდი, და ე მაგ ხელჩანთასაც ჩამოგართმევდი შენი ნასილ-
ჩიქა... ძმა.. ხომ იცი, ტაქსისაც ვერ იქირავებ დღეს, ცეცხლი ეპი-
დება ყველაფერს!

— სოლომონ, სოლომონ! სადგურში დაგიწყია მუშაობა ნასილ-
ჩიქად და... დავიჯერო ვითომ? თუკი ასეა, ნურაფერს იტყვი! გასა-
ვგბია ჩემთვის ყველაფერი...

და სოლომონმაც მომუშა პირი და ნადეჟდაც მიხვდა ყველა-
ფერს.

„გავიგე, რომ აღარ ფქვავდა დროის წისქვილი იმ ჩემი უბედუ-
რი ძმისთვის... მერე მეც დავაცხრები თავს და,,, მოვასავათებ სულ
დროის ბორბალს ჭვეშ მოუქცევია ჩემი ძმა და... დაუუთოვებია
ასე... სოლომონმაც დამიქნია თავი და ამარიდა თვალი, სულში ჩა-
მწყდა რაღაც და ვცადე გადამეყლაბა ყელზე დამდგარი ნერწყვი.
არაფერი გამომივიდა და ამიტყდა ხველება. თვალს მაინც არ ვახ-
ელ, მაგრამ ვგრძნობ, რომ არსადაც არ წასულა სოლომონი. ოღ-
ონდ ისიც კარგად ვუწყი, რომ ჩვენება სოლომონი და მეტი არა-
ცერი.“

— აქ რატომ ზიხარ, ნადეჟდა. ხომ იცი, სადაც ტოვებს დედა
გასაღებს? აგერაა! მოდი და შენ გააღე კარი, რა ხანია არ ყოფილ-



ხარ სახლში?! იცი კი საიდან მოვდივარ? მოვდიგარ და ჭრილ მომზრე წევია?! ოდესიდან, ნადეჟდა, ქორწილი ჰქონდა ჩემს სოლომონს... ჰო, ქორწილში ვიყავი! ააა... შენ ხომ გძინავს და გეჩვენები! კი არ გესიზმრები? გეჩვენები მხოლოდ... გემი ნამთარისკეუ ბოიოწევა და მოჰყავს იმას ჰენი გაწმილებული ძმა სოლომონი! იცი, რა ცუდ გუნებაზე გამომეტვიდა დღეს? აიღე და თუ გინდა მოიკალი თავი! თვალის გახელაც აღარ ვისურვე, გესმის ჩემი?

— ყველანი ამ დღეში ვართ, სოლომონ... — ამოიგმინა ნადეჟდამ, — არც მე მინდოდა დღეს თვალის გახელა... სირცხვილით და ვიწვი ლამის... ნუთუ მართლა არა ხარ ნამთარში და..., ყველაფერი ეს ჩვენებაა მხოლოდ... ხილვა,, უუჰ:..“ — (ასე სრულდება წერილი სულის).

თვალები ამოიფშვნიტა ნადეჟდამ და დედა ვარინჯა დაინახა, წელში მოხრილი რომ მოიჩრდება.

— დედა... — წამოიჭრა ნადეჟდა ადგილიდან.

— უიმე, ამას ვის ვხედავ?! — თვალებს არ უჭერებს ვარინჯა, ხელები გაშალა და შვილისკენ გამოიჭრა, სულ გადაავიწყდა, რომ სიბერისაგან მუხლები ეკვეთებოდა. — მაინც ჩამოდი? დიდია, ღმერთო, სახელი შენი! საბუთები კი... მზადაა ყველა.., აქ მზადა მაქვს ყველაფერი, ნადკა... რა კარგადა ხარ?! სახლი იმ კაცის სახელზე გაფორმებული უკვე... მზადაა ყველაფერი! — სულს ძლიერ ითქვამს გახარებული ქალი, თითქოს და წელშიც გასწორდა! ის კაცი როდის ჩაიბარებს ამ ჩვენს სახლს, ნადკა?

— ის კაცი? — გამოირკვა აჭარხლებული ნადეჟდა.

— ჰო, იქ როგორ არის საქმე? გადაიფორმე იმის ბინა?

— ჰო, გადაიფორმე უკვე... — თვალებზე აიფარა ხელი ნადეჟდამ. — დედა,,, სოლომონი? მერე სოლომონმა რაღა. ქნას?

— სოლომონმა თავის თავს დააბრალოს... არცაა აქეთ,,, უნდა გავასწრათ... შვილებთანაა ოდესაში? დარჩეს იქ... არაა აქეთ წამომსვლელი... ოდესაშია ახლა!

— სოლომონის ქორწილში?

— ჰო... პატარა სოლომონმა იქორწილა... დარჩება დიდი სოლომონი პატარა სოლომონთან...

— რომ არ დარჩეს... რომ არ დაიტოვოს შვილმა მამა, მაშინ?

— ეს ჩვენი პრობლემა აღარ არის, ნადეჟდა... — შეცდა ვარინჯა და აუწრიალდა სული... — არა, არა,,, სოლომონი ოდესაში დარჩება! ყველგან გარტანს თავს. ჰქონდა იმას თავისი და გაყიდა... — თითქოს თავს იმართლებს დედა ვარინჯა, — ჰქონდა და გაყიდა!

— მთლიანად გამოიმზეურა თავი ვარინჯამ და თვალიც გაუსწორა



ქალიშვილს. — ასეა, ნადეუდა... სოლომონმა თავის თავს დააბრუნა გერმანული ლოს!

— დედა... შევიდეთ სახლში და იქ ვილაპარაკოთ,,, როგორ თუ გაიტანს თავს?! მამა რას იტყოდა?

— პავა? — შეკრთა ვარინკა და მოეშვა უცებ. — შენ რომ ცოცხალი იყო, ჩემი პავა, რა გვიპირდა მაშინ... — პირჯვარი გადაიწერა და კარი გააღო, — მელოდი, შვილო? რავა სტუმარივით იქ-ცვი?

— დედი... რომ არ ინდომონ შვილებმა მამა, მაშინ? — ისევ წუსდა ნადეუდა. ადგილი ვეღარ ეპოვა.

— რომ არ ინდომონ? — თავი გააქნია ვარინკამ, — ინდომებებს, ინდომებენ... მე ვიცნობ პატარა სოლომონს,,, სოლომონი თუ არა, სალომეა იქ, ჩემი სალომე! ვაიმე, შვილებო, და უიმე, შვილიშვილებო!

— სიბერეში შენ უნდა მომხედო, ნადვა... სოლომონის იმედი ალარა მაქვს უკვე...

„როგორც ყველა მოხუცი... ესეც თავის თავზე ფიქრობს მხა-ლოდ. თავის სიბერეზე...“ — გაუელვა გუნებაში ნადეუდას. — კარგა, კარგი, მოვლება ყველაფერს! — თქვა და ლოყაზე აკოცა დედას.

— ჰო, ღმერთია მოწყალე... არავის მიატოვებს...

— იგი კია მოწყალე, მაგრამ... ასე ნაადრევად ჩატომ ჩამოწერე სოლომონი? და კიდევ, ოდესაში რა უნდა აქეთოს ქართველმა აქტიორმა? ჩვენი გვარი რომ პეტონდა.. კობზარი...

— სადგურშია აქ... ურიკის დაახრიგინებს,,, მოიჭრა თავი!

— ესეც სცენაა, დედა! სადგურის დიდი სცენა! ეს ცხოვრებაც ხომ თამაშია და მეტი არაფერს...

— მეც აქტიორი ვარ, შენც — ნადეუდა და ყველას ერთი რე-ესიორი გვყავს... რა დიდებული სცენა მისცეს სოლომონს... ნასილჩიკი, იასილაჟიკ! კარ ავუჩით! ნასილჩიკები ოდესაშიც ჭირდებათ. ნასილჩიკი შეუცვლელი პროფესია! მაგრამ... მაგრამ ქართველი ნასილჩიკი ოდესაში ვის რაში ჭირდება?! ოდესაში თავ-ისი — ოდესელი ნასილჩიკებიც საკმარისად ეყოლებათ, მაგრამ... ვეღარ გცნობ... ასე უდიერად იხსენებ შენ სოლომონს,,, ნეტა რა-შია საქმე?

— გავმწარდი, შვილო... გავმწარდი, ასე მგონია, ჩემი სიკვდი-ლი უნდოდეს თითქოს სოლომონს... რაღაც-რაღაცებს ვთხზავ... მისი ცუდეკაცობის ამბავს ვთხზავ და... ალარც კი ვიცი, როგორია სოლომონი? მართლაც ისეთია, მე რომ წარმომიღვენია უკვე, თუ...



ერთმანეთში ამერიკა ტყუილ-მართალი სოლომონზე და... — ჟავა-გადაიწერა. — როდის გადმოდის ის კაცი, ნადვა?

— როდის და... იმ კაცის ცოლი ვარ მე..., გავთხოვდი... დივანზე წამოწვა ნადევდა. მხრები უცახცახებდა. — ბედს ვეწიე, დედა, ბედს...

— მომილოცავს, შვილო.. მე არ ვიცოდი, რომ.., მერე და... ამ სახლს რა ეშველება? — თვალებში ამოისვა ხელი ვარინჯამ.

— გავყიდით მერე... გავყიდით! — წამოდგა ნადევდა.

— ამით თუ ეშველება სოლომონს! — დაასკვნა ვარინჯამ. — გაჭირვება გონს მოიყვანს და...

ერთმანეთს თვალებში ჩახედეს დედამ და შვილმა და უკურცენებ:

და უცებ შერცხვა ნადევდას.

გრძნობდა, რომ არ იქცეოდა, სწორად.

კიდევ მეტი:

სცოდავდა, მაგრამ ეს გრძნობა ვერ გაეცნობიერებინა ჭერ. შერცხვა ვარინჯასაც და მოხუჭა თვალები: — მამაო ჩვენო... რომ-ელი ხარ ცათა შინა...

გარეთ კი წვიმდა კოკისპირულად!

ქრიდა უსაშველო ქარი, წალეკვას რომ უქადდა ყველასა და ყველაფერს.

მაგრამ ვინ დაანებებდა ამას?!?

გალუმბულიყო ნამთარ-ქალაქი.

* * *

აუუუ... რამხელა ტალღები აგორდა!

გემი ნაფოტივით ეხეთქებოდა აქეთურს და იქითურს.

რატომლაც ძილი მოერია სოლომონს და ჩაკეტა კაიუტის კარი. წამოწვა და გააზმორა. ერთი კი გაიფიქრა, ნეტა დასრულდებოდეს ეს ჩემი გზა და... მაგრამ რას ვერჩი სხვას..., იმას იქნებ უხარია სიცოცხლე! იქნებ ჩემზე ილბლიანია და ბედსაც არ ემდურის. არიან ასეთი ადამიანებიც და იმათ მაგივრად ჩემი სული ნატრობდეს, ვერაფერი სიმართლე იქნება ეს...

ძილმა წაართვა თავი.

აგერ სიზმარმაც დაიმარტოხელა და სადღაც მიაგდო:

დიდი, უსაშველოდ მაღალი სცენა და ამ სცენაზე რეჟისორის ქოხი.

ძველი, შეფერდებული ქოხა...

რეჟისორის ქოხში გიბარებენო, აუწყეს სოლომონს და გამო-

ძუნდულდა ისიც თავისი ბუნაგიდან.

ირგვლივ ულრანი და უდაბური ტყე.

ფოთოლიც არ ირხევა.

— და მე როგორ დავარღვიო ამგვარი იდილია? დამნაშავე ვი-
ქნები და გამასამართლებენ კიდეც. ჭობია ფეხი არ მოვიცალო
ადგილიდან. ერთი საათის შემდეგ მეორედ დამიძახებენ რეჟისორის
ქოჩი და... იქნებ არ შევიდე ახლა, მოვიცდი ერთ საათს და..., დუ-
მილსაც მაშინ დავარღვევთ.

გადის ერთი საათი და რეჟისორის ლრიალმა გამოაღვიძა ულ-
რანი ტყე.

— მოვდივარ, ბატონო რეჟისორო! — სოლომონმა თქვა ეს და
წარსდგა რქამოტეხილი აქტიორი რეჟისორის წინაშე.

— რა გნებავთ, ბატონო რეჟისორო? — მოქრძალებით იკითხა
მოკრძალებულმა აქტიორმა.

— ააა... ძლივს არ გამახსენდი?! — შენა ხარ სოლომონ ქადა-
გიძე? შეგილია კი... გაამართლო შენი გვარი? როლი უნდა მოგცა
ერთი, როლი ახალთახალი! ხმა, კრინტი! შემიძლია განავითიქროს
როლი განუმეორებელი. მდუმარე მქადაგებელი! გენიალურია! იცი
შენც, რომ თამაშობს ყველა და არავინ უწყის, რომ ამ როლს თამა-
შობს! შენ, სოლომონ, ადამიანის როლს გაძლევენ და... მე გაძლევ
ამ როლს—დიდი რეჟისორი, საუკუნის რეჟისორი, გესმის?! გიყუ-
რებ და... მგონი შეძლო კიდეც..., განახორციელო სცენაზე დიდი
რეჟისორის ჩანაფიქრი.

— როგორ? შევძლებ კი შევასრულო ადამიანის როლი!

— ახლა კი წადი და იფიქრე, ვინა ხარ შენ, ადამიანო?! სცე-
ნარსაც შენ დაწერ! შენ მსახობიცა ხარ და რეჟისორიც, გესმის?
თავისუფალი კი არა, თავის უფალი ხარ, სოლომონ!

— მერე თქვენ, ბატონო რეჟისორო?

— მე ამ შემთხვევაში მთავარსარდლის როლის შესრულებას
დავივალებ...

იფიქრა სოლომონმა, დავემშვიდობებიო, მაგრამ გადაიფიქრა.
კარისკენ დაიხია.

რეჟისორი არც წამომდგარა, მაგრამ ხელჯოხი მისი კი ნამდვილად
შეირჩა, მიირკორყა.—წადი და იფიქრე! იფიქრე, ხომ გითხარი?!
თუმცა არც მაინცდამაინც დიდი ფიქრია აქ საჭირო!— კუშტად შე-
იკრა წარბები და თავის ხელჯვეითს კვერთხი გადმოუგდო, — შენ
მშრძანებული ხარ, მაგრამ ნურც აქაურობას ამირევ!...

კრიჭაშევკრული სოლომონი გამოვიდა რეჟისორის ქოხიდან. მას

როლი მისცეს და შესანიშნავი როლიც: სცენაზე ადამიანის სახე
უნდა განესახიერებინა.

და მიხვდა, ბედმა რაოდენ დიდი განსაცდელის წინაშე
დააყენა. ასეთი როლი ჯერ არავის უთამაშია... ადამიანის როლი?!

— მე შევასრულებ ჭეშმარიტი ადამიანის როლი! — წამოიძა-
ხა სოლომონმა და გამოიღვიძა. — მაგრამ მე — ადამიანს, რისთვის
დამევალა ადამიანის როლის შესრულება?! იქნებ მეშლება რამე...
და იგი სცენაც ჩემმა ფანტაზიად მოიგონა?! არა, მაგრამ იმ რეჟის-
ორის სახე ახლაც რომ თვალშინ მიდგას?! მე ადამიანი ვარ, ადამია-
ნი! — მოასკდა გემს ტალღა და კარგა გვარიანად შეანჯროდ.

— ესეც სიზმარია ახლა?! — გააზმორა სოლომონს, — მაგრამ
ადამიანის როლის შესრულებაზე კი ვიფიქრებ და ვინატრებ მომა-
ვალში... ხომ მართლა დიდებული სცენა იქნება ადამიანი ადამიანის
სამყაროში.,

კაოუტიდან მაღლა ამოვიდა.

— მეფისტოფელი მიწყობს მე ამ ონებს, ხომ დამპირდა, გაგა-
შეარებო?! რომ დავთანხმებოდი? ვიქნებოდი კომერსანტი, მექნებ-
ოდა ცული და მეც ვიქნებოდი დაკავებული კაპიტალის დაგროვებ-
ის პრობლემით.

პავა დაუდგა თვალშინ. ტიროდა პავა, ვაიმე, რა გვეშველებაო?

— ვითომ ვერ ვითამაშებ მე ადამიანის როლს?

— თამაშით ითამაშებ. მაგრამ თვითონ ადამიანის არსი იცვლება
უველ დღე... ევოლუცია ვერავის დაუცდის! ვერა, ად-
გილზე ვერ მოიცდის! დღეს ხომ ასეთია ადამიანი და
ხვალ სხვაა სულ, მაგრამ ასეთი კი არა, ისეთია უკვე...
ჰოდა. ვის დაუზუსტებია, როგორი უნდა იყოს ადამიანი?!
გაგაჭირდება ამიტომაც. არავითარი ჩარჩო არ უნდა ასებობდეს.
ეს გაითვალისწინე და გახსოვდეს, ჩემი სოლომონ... ეს როლი
სიცოცხლედ უნდა გექცეს!

— მეც ხომ როლზე ვიცნებობდი, როლზე ვფიქრობდი.... აა.
სადარდებელი ერთადერთი და... ნეტა, დედაჩემი როგორ შეხვდება
ამ ამბავს? გაუხარდება თუ ეწყინება? ალბათ, არც უნდა გაუხარდ-
ეს და არც უნდა ეწყინოს...

აი როლი!

— ახია შენზე, სოლომონ! — გაიგონა და გააურეოლა.

* * *

კუპე — ეგრეთწოდებული.

სოჭიდან კარგა ხანია რაც გავიდნენ და კუპეში ჩამოწოლილა
დუმილი ერთხელაც არ დარღვეულა.



მხოლოდ ერთს ვიტყვით:

უფროსი ვარინკა — საქართველოდან ლტოლვილი და უმცირესი გარემოება
— მისი ქალიშვილი ნადეჟდა.

ერთსაც უნდა ხმის ამოღება და მეორესაც, მაგრამ რომ არ
შეუძლიათ!

და პირველი მაინც ნადეჟდა შეეხმიანება დედას.

— ლიმონათს ხომ არ დალევდი, დედა?

— არა... პირში გემო აღარა მაქვს, არც არაფერი მინდა! სურ-
ვილი? სურვილი და რამეს ნდომა წუხელ მომიჯვდა, ნადეჟდა!
აღარაფერი მინდა და არც არაფერი მომენატრება აწი...

ისევ დუმილი და ფიქრის ბადეც გადაეფარება ვარინკას.

„უიმე, შვილო, იქნებ ნამთარში ხარ უკვე და... დგახარ იმ სახ-
ლის კარის წინ. სადაც დაიბადე და გაიზარდე, იგი კი გამოკეტა-
ლია უკვე და შენ ყველაფერს მიხვდები, სოლომონ...

ვაიმე, ეს რა დამემართა, ეს რა დღეში ჩავაგდე ჩემი სოლომო-
ნი?! აქ ხარ, ჩემო პავა? ვხედავ, გატყობ, რომ მამტყუნებ... დამნა-
შავე ვარ, დამნაშავე, ამდენი ვერ გავითვალისწინებ... მაპატიე, პავა,
რომ ვერ გაუფრთხილდით სოლომონს, გავწირე... მაპატიე, შენც;
ჩემო სოლომონ! ჯოჯოხეთშია ჩემი ადგილი, ვიცი, დავაშავე, მაგ-
რამ სხვანაირადაც არ შემეძლო. ასეთია ჩემი ხვედრი! ასე დაწყებ-
ლილი და გაუბედურებული ვილი მეც ჩემს წილ დედამიწაზე...
ჯოჯოხეთიც რომ მენატრება! ვიცი, ადგილი იქ არ იყიდება, არ იყ-
იდება მიწა ჯოჯოხეთში, ის უნდა გერგოს...

სახლი და კარი სააჭაოს გვჭირდება და ამიტომაც ვცოდავთ.
ღმერთო, შენი ჭირიმე, ჭირიმე შენი, მაგრამ რას ვამბობ? ჭირს
ღმერთთან რა უნდა?

აგერ ნადეჟდა... ისიც ჩაფიქრებულა... ალბათ, ესეც სოლო-
მონზე ფიქრობს, იფიქროს მერე!

— მერე და, ვარინკა, არ გრშინია? — გაიგონა უხილავის ხმა
ვარინკამ.

— ეს ხომ შენი ნებართვით მოვიმოქმედე... — თავის მართლე-
ბა დაპირა.

— ჩემი ნებართვით?! დედაყაცო, ჭკუას მოუხმე! მე თავისუფა-
ლი არჩევანი მოგეცი, მაგრამ ის ხომ არ მითქვამს შენთვის, შეს-
ცოდეო აუცილებლად?! შენ კი აიღე და უსახლკაროდ დატოვე
შვილია, გაწირე შენ სოლომონი, ვარინკა!

„მაგრამ თავს დამნაშავედ რომ არ ვგრძნობ?! თითქოს არც
იყოს სოლომონი ჩემი შვილი... ვამე, შვილო... ეს რა მემართება?!
ეშმაკისთვის თუ მიმიუიდია სული და ეგ არის! მაგრამ რატომ ვერ

განვიცდი ყოველივე ამას, რატომ არ შემაძრწუნებს საკუთარებულება
ამის არსი, რატომ არ დამაფიქრებს სოლომონის ბედი... უწევულდება
ხომ მე განვუმზადე უფროს შვილს, რატომ არ მაგინებენ მისი თვა-
ლები, რომლებიც რისხვას ვერა და ვერ ჩაიყენებენ?

სედავთ, ხალხნო, რა ქვა გული მქონია... უნდა გავიდე ახლა
ტამბურში, გამოვალო კარი და შევუერთდე წყვდიალს... შენც ხომ
იქ დამხვდები, პავა ჩემო და შემიმსუბუქებ ტკივილს. ვარდნას
რომ უნდა მოჰყვეს... აგერ ხარ::: გხედავ, პავა::: ნაღეჯდაც მეცოდ-
ება... ამხელა ცოდვით როგორ იაროს ნეტა? ეს გოგოც მე გავაბო-
როტე..., ღმერთო, ამისი ცოდვაც მე მომეცი... და გოხოვ, ჩაიყერო
და მოანანიებიო... აპატიე, ღმერთო... ვიცი, გულმოწყალე ხარ და...
მე დამსაჯე ორჯერ, სამჯერ და ასჯერ, ოღონდ აპატიე ჩემს ნადეუ-
დას, არა აქვს ამას ცუდი გული... მომნანიებელია ჩემი ნადეუდა...
პოინანიებს... შეიგნებს თავის დანაშაულს... მე კი... მოვდივარ.
პავა... გხედავ... ი, გაიღო კარი... რა მჩატე და პაეროვანი ხარ
პავა... ანგელოზივათ მსუბუქი და გამჭვირვალე,, შენა ხარ ჩემა
გზის მაჩვენებელი, მართლაც რომ სანთელივით ანთიხარ... მგონი
მეშველოს უნდა! გავთავისუფლდე ვინძლო ამ სატანჯველისაგან...
კინ მაპატიებს ცოდვას!?

ესეც ცოდვაა მეორე, ვიცი, რომ ვცოდავ და ვერ განვიცდი
იმას, რაცა მჭირს... ის, რაც მე მოვიმოქმედე... აუწერელია ენით...
მძლია და მაცოუნა ეშმაქმა და მისი „წყალობაა“, რომ სულში სახ-
რჩობელა აღვიმართე... რომ ამ სახრჩობელაზე საკუთარი „მე“ ავი-
ყვანე... ეშმაკისეულია ჩემი ქმედება და დასაგმონია იმთავითვე!
აბა, ქრისტიანი კაცი იზამდა იმას, რაც მე მოვიმოქმედე? ნუთუ
ჭინასწარაა განსაზღვრული ბედი ჩვენი, ნუთუ წერილ არს იგი!
ნუთუ ესეც ჭინასწარ გადაწყდა, რომ სოჭამდე თვითმფრინავით
ჩაფლენილიყავით მე და ნადეუდა, იქიდან კი მატარებლით გვე-
გზავრა.

* სოლომონ, სოლომონ, გესმის ჩემი?! შეგიძლია შემაჩვენო,
მაგრამ ეკლესიაში მაინც უნდა მიხვიდე ჩემი სულის შოსახსენიებ-
ლად. წყველა-კრულვის ღირსი ვარ მე. მივიღებ კიდეც საკაღრის სას-
ჭელს!—ამოთქვა, — არ მეპატიოს... არ მეპატიოს..., მოვდივარ, მო-
გყვები, პავა... შენთან დავრჩები სამარადეამოდ..., მოვდივარ, მოვ-
დივარ... — აიტაცეს მატარებლის ბორბლებმა ვარინქას ფრთადა-
რეხილი ფიქრი და უფიქროდ დარჩა ქალი. — მხოლოდ პავას ვხედ-

ავ... მოგყვები, მოგყვები პავა... გააღდ, პავა, ეს კარი... აპა, ეს კარიც... პავა. მოგყვები, მოგყვები...



* * *

„ნეტა, ეს რაღა იყო? რა მომეჩვენა ნეტა? დედაჩემი ამ ქვეყნისა აღარ უნდა იყოს, მგონია, მომეჩვენა, პავას ჩრდილს გადაყვა და გათავისუფლდა თითქოს ამქვეყნიური საზრუნავისაგანო. უპ. ოოგორ მომეწურა გული?“ — ჩამოყავ სოლომონი ტრაპს, სუნთქვაც შეეკრა თითქოს, დადგა ფეხი მიწაზე და გულზეც მოეშვა, მაგრამ სულში ჩარჩა სევდა, დარდი იმისა, რომ მიიცვალა საღლაც დედა ვარინჯა და თვალი ვერ დაუხუჭა შვილმა, —დედა! —ამოკვნესა სოლომონმა და ხალხს შეერია.

— სოლომონ, სოლომონ! — ეძახდა ვიღაც და ისიც შედგა.

— შენა ხარ, გიორგი? მაგრამ აქ საიდან?

— სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყო...

— დედაჩემი აღარაა? — აღმოხდა სოლომონს.

— დედაშენი აქეთ აღარაა და... აღარც სახლი შენია, გაიყიდა შენი სახლი, სოლომონ!

— ოოგორ თუ გაიყიდა?

— გაყიდა დედაშენმა და თვითონ ქალიშვილს გაყვა სანქტ-პეტერბურგში... ნუღარ მიხვალ იმ სახლში, იგი ვიღაც ქართველს ეკუთვნის, ნოსტალგიით შეპყრობილს...

— მაშინ სად მივიდე, ჩემო გიორგი?

— სადა და... თუ გნებავს ჩემთან, გნებავს, ალიკასთან. მინასაც მიგიღებს... მაგრამ ხვალ-ზეგა, ჩვენ ნასილშიყებმა ცოტ-ცოტა შევაგროვეთ და... ოლონდაც უარს ნუ გვეტყვი, სამაგიეროდ...

— რა, სამაგიეროდ, გიორგი, რას ითხოვთ ჩემგან?

— ჩვენ ნასილშიყები... მებარეგულები ასოციაციას ვემნით და ამ ასოციაციის პრეზიდენტი უნდა გახდეს... უნდა გვემსახურო ჩვენ — ნასილშიყებს, ჩვენი ინტერესები დაიცვა...

— მაგრამ მე რომ თეატრში დაბრუნება მომინდეს, მაშინ?

— შენი თეატრში დაბრუნების წინააღმდევი ოოგორ ვიქნებოთ?! იქნები თეატრში, მაგრამ, იქნები ჩვენი ასოციაციის პრეზიდენტიც!

— დიდი მაღლობა... — არ დაუმაღლავს სოლომონს ცრემლი, ღაპა-ღუპით რომ გადმოსდინდა.

მხედები აიწურა გიორგიმ და განაჩენიერ ამოთქვა: — ასე რომ. შედგენილია გრაფიკი და ამ გრაფიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ მანამ, სანამ ადამიანად არ ვიგრძნობთ თავს...

„მე ხომ ადამიანის როლი უნდა ვითამაშო...“ — გაიფიტჩა სო-
ლომონმა და ცრემლი შეიწმინდა.

* * *

სადგურში მართლა ჩამოყალიბდა მებარგულთა ასოციაცია
„დაიცავ თავი შენი!“

და დღე მოსდევდა დღეს(!!)

მატარებლები მიღიოდნენ და მოღიოდნენ, ცხოვრებაც მიღი-
მოღიოდა ასე და ბატონბდა ფული — ყოვლისგამკითხავი, მეფის-
ტოველი დააბიჯებდა ყველგან და სოლომონიც სულ ახლოს
გრძნობდა იმის ცივ სუნთქვას. გაურკოლებდა უსიამოვნოდ და
პირველს გადაისახავდა გულში, გულში იმიტომ, რომ ხელები მუდ-
ამ დაკავებული ჰქონდა. ცოდვა გამხელილი ჭიბია და ესირცხვებო-
და თითქოს ელოცა სულის გადარჩენისათვის. ელოცა იმიტომაც,
რომ აღმდგარიყო მკვდრეთით ასე დაკნინებული, დაჩაჩანაკებული
ეროვნული სული.

ერთხელაც გაბედა და ხილით დატვირთული ურიკაზედ ლოთის-
მშობლის ტაძართან შეაყენა. პირველი გადაიწერა და მხურვალე ლო-
ცვა აღავლინა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ მერე
თორმეტჯრ თქვა „უფალო, შეგვიწყალენო“ და სახტად დარჩენი-
ლმა, რომ ვერავისი ყურადღება ვერ მიიქცია, უმწეოდ გადააქნია
თავი, თითქოს მოეშვა და გათავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან, —
„უფალო, შეგვიწყალენ!“ — წაიმლერა და სულიც აუმძლავრდა,
ამოუხატდა იქიდან საოცრად თბილი მელოდია და უჩვეულო სიმ-
ფონიად დაირხა მის ორგვლივ.

ეს ის დრო იყო, როცა თორმეტჯრ ჩამოჰკრეს ზარებმა და სა-
გალობელიც ამოიმლერა დიღმა ტაძარმა.

— ჩვენი შესვენებაც დაიწყო... — ჩაილაპარაკა სოლომონმა
და გამოერკვა თავდაიწყებიდან. ურიკა თავის აღგილზე მიაგორა.
გადმოცალა კალათები, ფულს ჭიბეში ჩაუძახა და გამოსწია სადგუ-
რისაკენ.

აგერ ურიკების მოსაცდელიც.

ათასი ურიკა (!)

— შენლა გვაკლდი. სოლომონ! — მიეახლა გიორგი და გაული-
მა. — ერთი კვირაა, რაც ჩვენი ასოციაცია შეიქმნა და ფასიც დაე-
დო ჩვენს შრომას.

— აბა, ერთი აუგად მოიხსენიოს ვინმემ მებარგულის სახელი
და... ჩვენ ჩვენი კასტა გვაქვს უკვე... სხვაზე ნაკლებ ოფლს ჩვენ
არ ღვრით და არ ვემსახურებით ხალხს...

მებარგულები გარს შემოერტყნენ გიორგისა და სოლომონს.



გიორგი სადღაც გაქრა.

— დღეს შენი ურკია იქნება ჩვენი საერთო სუფრა, სოლომონ მარტივი სახელი — მიმართა ყველაზე უხუცესმა მებარგულმა, და გაზეთები დააფინა ურკიაზე, — აგერ სანთელიც! — აანთო და ურკის შუაგულში დაამაგრა. მეავე და ორი ბოცა ღვინო ჩამოდგა. ამასობაში გიორგიც გამოჩნდა და „სილიოდეა“ და მოხარშული კარტოფილი დაახვავა სუფრაზე. აგერ შავი პურიც. — გაიცინა და ფეხები გაჩაჩხა; — მე მზად ვარ... ხომ დიდებული სუფრაა, ხალხნო?

— შენ უნდა გვითამადო, სოლომონ! ეს ურკია შენია, — შეანკურია უხუცესმა მებარგულმა ჩაფიქრებული სოლომონი. — შენ სახლში ვართ ახლა და უნდა გაგვიმასპინძლდე კიდეც! თქვი. რაც გინდოდეს და რაც გაგიხარდეს, რასაც გული გიყარნახებს, ასე არ არის. ხალხნო?

სოლომონმა თვალი გადავლო სუფრას.

„თორმეტინი არიან, მე — მეცამეტე...“

— დაიწყე სოლომონ! — გაძსმა აქეთ-იქიდან.

„ღვინოც არის და თევზიც...“ — ისევ თავისთვის თქვა სოლომონმა და სულიც ამოევსო სევდანარევი სიხარულით, — პურიც სამყოფად გვაქეს.

ნელი სიო არხევს სანთლის ალს.

— სოლომონს მოვუსმინოთ! — უხუცესს გიორგიმ დაუქრა კვერი და კეთილ ლიმილად დაიღვარა. აღარც სოლომონს გაუპატიუნია; მაღლა ასწია სავსე ჭიქა და ღინჯად დაიწყო: — იცათ, რ... ყველაზე ბევრს ჩვენ გშრომობთ... ოფლით მოვიპოვებთ პურს ჩვენი არსობისას... — მოიტეხა პური, ჩაწო ღვინოში და... — მიირთვა პურ-ღვინო. — თქვენ გაგიმარჯოთ! და იცით, რას გეტყვით? პირველად მეთაკილებოდა კიდეც ასეთი სამუშაო, მაგრამ დავრწმუნდი მალე, რომ ჩვენი პროფესია არც სათაკილოა და არც სამარცხვინო, მერე დავძლიე ის ზღვარიც და... ჩვენ კიდევ უფრო შორს შავედით, ასოციაცია ჩამოვაყალიბეთ. ზოგი ამას კასტას დაარქმევს და მართალიც იქნება! არსებობისათვის ვიბრძეით ჩვენც!

კიდევ მრავალჯერ გაგიმარჯოთ დღეს ასე ნაცემ-ნაგვემ, მაგრამ ხვალ ამაღლებულ საქართველოში!

— სოლომონს გაუმარჯოს! — უხუცესმა ბრძანა.

ვიღაცამ ტაშიც შემოჰკრა.

— სანამ ჩვენთან ხარ, შენ, ძმაო, ჩვენო, აღარ გაგვაჭირდება, — მხარზე ხელი ჩამოადო სოლომონს წვერმოშვებულმა გოლიათ-მა, — შენი იმედი მაქეს. პოდა, შენც გაგვიძეხი, ჩვენ კი მოგყვებით...

— სულ ასე უნდა გვიწინამძღვრო... — ულიმოდა გიორგი სულ
ლომონის.

— ახლა კი მეორე ჭიქაც წამოვწიოთ. ძმებო! — ხმას რიხიც
გაუტია სოლომონმა. — მშვიდობა აქა და ყველგან; მშვიდობიან
მცხავრობას ვუსურვებთ ყველის... და, აწყობილიკოს რკინიგან,
გაწმენდილიყოს ხაზი. დაწმენდილიყოს ქართული სული, მაგრამ
განა მარტო ქართველობა ეყოფა ქართველს... უპირველესად კაცი
უნდა იყოს იგი. დედამიწის მოქალაქემ — ყველამ უნდა იცოდეს
დროის ყადრი... წამიც რომ ყელდეს წამიც რომ მოვაკლოთ დღე-
ღამეს, დღე-ღამე არ იქნება იგი, ამ წამის გარეშე... ასე რომ,
დროის მთლიანობას, სულის სიმრთელ-სისრულეს დაგილოცავთ
ყველას! — თქვა და ჭიქა სანთლის გვერდით დადო. თევზი მიიწიწკ-
წალუქმა და ღვინოც დაყოლა...

სიყვარულით შეჰყურებენ სოლომონს. ეამაყებათ, რომ სოლო-
მონი იმათი წრის კაცია. პიროვნებაა სოლომონი, ლიდერი! კაცია,
ვისც გაჰყვებიან ადამიანები, ვისაც არ მიატოვებენ...

არა, არ დაიკარგა სოლომონი!

წამოტრივტივდა მაინც.

არ მიიკლებს ცხოვრების სცენა თავის სოლომონს, რომელსაც
იდამიანის როლში იხილავს მაყურებელი დღეს.

ვერა, ვერც სცენას დაივიწყებს ჭეშმარიტი მსახიობი(!)

ვატყობ, უხმობენ ერთხელაც და უძღები შვილიც დაუბრუნდე-
ბა სცენას.

ჩაიკრავს გულში თავის შვილს, მიუტევებს შეცდომებს და შე-
ჩერებული დროც ჩაირთვება, ამოძრავდება დადუტებულ-გაყინული
ქანქარა. აწიკწიკდება სულის საათი და სიცოცხლესაც დაუბრუნდე-
ბა ჩვეული — სიცოცხლისფერი.

მაგრამ მესამე სადღეგრძელოსაც ამბობს სოლომონი და მოვუ-
სმინოთ:

— დედაჩემის სადღეგრძელო მინდა შევსვა, ხალხნო! მე თქვე-
ნი დედების გულზე მინდა ვილაპარაკო, უსაშეველოდ დიდ გულზე,
რომელსაც შეუძლია ჩვენი სიყვარული! ჩვენ კი გვავრწყდება ხში-
რად დედა-მლოცველი ჩვენზე. დათუთქულია მუდამ დედის გული.
დამდუღული... და ყოველივე ეს ჩვენი წყალობით ხდება! მაინც
ჩვენზე ფქრობს, მოგვიტევებს ყოველგვარ ცოდვას და ამ ყოვ-
ლადმიმტევებელი გულის პატრონს — დედას მივაგოთ პატივი,
თაყვანი ვცეთ და ვადღეგრძელოთ! დაილოცოს ქვეყნად სახსენებე-
ლომონი.



ლი დედი! გვახსოვდეს დედა! ვიცი, გული მეუბნება, რომ ცოც-
ხალხთა შორის აღარც დედაჩემი უნდა იყოს, თითქოს მეზმანა კიფიშებით და
ეც, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, წერილს ველოდები სანქტ-პეტე-
რბურგიდან და ვნახოთ... იცოცხლე, დედა!

სიხარულის ცრემლი სდის გიორგის, ცრემლი სდის ყველას,
ვინც სოლომონს უსმენს და იცრემლება თვითონ სოლომონიც.

— მე ცრემლს არ შევიწმენდ, ხალხნო! — წამოიძახა გიორგიმ,
— მე ცოცხალი მყავს დედა და იგი ჩემთანაა... დიდხანს მიცოცხ-
ლებს ღმერთი დედაჩემს... თევზი მოიწიწენა და იმანაც სოლომონ-
ივით წაილუქმა.

— დედის სადლეგრძელო, ღვთისმშობლის სადლეგრძელოა ეს,
ხალხნო... ღვთისმშობელს ვცეთ პატივი, რომელმაც იესოს მისცა
დასაბამი... — ჭიქა ბოლომდე დასცალა სოლომონმა.

— შევალთ დღეს ეკლესიაში და სანთელს დავუნთებთ ღვთის-
მშობელს, — თქვა უხუცესმა და სოლომონისკენ მიბრუნდა. თვალ-
ებში ჩახედა და ნეტარმა გრძნობამ შეიძყრო.

სოლომონი კი დედას ხედავს, ხედავს პავასაც!

ზის პავა თავის ქოხში და ელოდება ვარინქას გამოჩენას,
როდის დაუკაცუნებს კარზე...

„შეუერთდა დედაჩემი პავას... ბედნიერია ორივე“, — გაიფი-
ქრა სოლომონმა და ცრემლიანი თვალები ამოიმშრალა. — უნდა
გიყვარდეთ ვინმე მაინც, რომ ბედნიერი იყოთ! — ეს უკვე ხმამაღ-
ლა თქვა და სუფრის წევრებს გამთბარი თვალებით გადახედა.

— სოლომონ, დღეს შენთან იყვნენ კინოსტუდიიდან და თეატ-
რიდან, — ეუბნება გიორგი. — არ ვიცი, სად იყავი.

— მნახეს, მადლობთ, გიორგი...

— ხომ არ გვართმევენ შენს თავს?

— აბა, ჩვენც გვითხარი, რაშია საქმე? — იყითხა უხუცესმა.

— ერთი ნაცნობი მწერალი მყავს და სცენარი დაუწერია მარ-
თლაც რომ უცნაური და მთავარ როლში მე მიწვევს...

— მერე და რა გიშლის ხელს, სოლომონ?

— დღეს მე არ შემიძლია დავუბრუნდე სცენას, არც ამ როლის
შესრულება შემიძლია, რომ მთავაზობენ... აბა, წარმოიდგინეთ: სე-
ვდის კაცი, ქალაქის ქუჩებში რომ დაათრევს კუბოს და ადგილი
ვერსად უპოვია მისოვის.

— კუბომოქიდებული კაცი? — ამოიხვნეშა უხუცესმა, — ცო-
დვაა მართლაც!

— მსოფლიო სევდით შეპყრობილი უნდა იყო, რომ ასეთი კაცი
შენშიც აღმოაჩინ! — თვალებში ჩამოენისლა სოლომონს. — მსო-



ფლიო სევდას უნდა დავატარებდე მე... — ამოიოხრა,  მეტყველებრა
ვარ მზად საამისოდ... მაშ, გაუმარჯოს, ხალხნო, მსოფლიშის სევდას
მატარებელ კაცს! — ჭიქა შეივსო და ასწია მაღლა, — აი ამ სანთე-
ლივით უნდა იწოდეს ასეთი კაცის სულიცა და გულიც!

— შენა ხარ, სოლომონ, ასეთი კაცი! — წამოიძახა გიორგიმ,
— ნეტავ სხვაგან რატომ დავეძებთ ასე წმინდა კაცს?! — ამივსეთ
ჭიქა, მინდა ეს სადლეგრძელო შევსვა და კიდევ ერთი სადლე-
გრძელოც...

— ჯერ ჯვარცმული ომერთკაცის დიადი სადლეგრძელო ვთქვათ...
გმადლობთ, სოლომონ, რომ ჩვენი მიძინებული სული გამოაღვიძე,
შენ ჩვენი ხარ, ჩვენი სულის მესაიდუმლე და... — ეს უკვე უხუცეს-
მა თქვა და ოვალები გაუბრწყინდა, — დღევანდელი დღეც ისტორი-
აშია ჩასაწერი და ის დღეც, შენ რომ მოხვედი ჩვენთან, სოლომონ.
იცით, რა, შეიიღოშვილი შემეძინა და აპოლონი დავარქვი...

— ახლა კი... ადამიანის სადლეგრძელო მინდა შევსვა! — წელ-
ში გასწორდა სოლომონი და გიორგი მხრებამდე ძლივს აწვდა. —
ადამიანისა, ვისთვისაც გასწირა თავი იესომ, იტვირთა ვისი ცოდ-
ვაც და... მისი ცოდვის ფუთა ჩამოიკიდა ყელზე. ასე ავიდა იგი
ჯვარზე... ამხელა კაცი დედამიწაზე ჯერ არც მოსულა!

— ჰოდა... დააბიჯებს ახლა ეს ომერთკაცი ჩვენს შორის. უნდა
იგრძნოთ იგი... ჩაიხედეთ საკუთარ სულში, ჩალრმავდით შიგ. მიმო-
იხილეთ სულის სანახები თქვენი და იქ იხილავთ მას...

— რა კარგად ლაპარაკობს? — გადაულაპარაკა გიორგიმ მინასას
და მკერდზე მიიღო ხელი... — აი, აქ არის იგი, ვისზედაც ახლა
სოლომონი ამბობს...

— სული უსაზღვრო სივრცეა, საბრძანებელი უფლის... ცუდად
ნო იფიქრებთ... მაშ, გაუმარჯოს ადამიანს. საკუთარი სულის სეწ-
მინდეზე რომ ფიქრობს...

ჩამოარიგეს სასმისები.

სანთელი კი იწოდა თავისთვის, იწოდა და პატარავებდა დიდი
ტკივილი, ტკივილი, რომელიც ადამიანებს ჭირდათ.

მარადი ტკივილი...

— ნეტაი, ისე როდის აგვტივდება სხვათა და სხვათა ტკივილი;
რომ საკუთარი დაგვავიწყოს! — თქვა სოლომონმა, (კი არ იკითხა)
და ოვალებში სიხარულის ცრემლი ჩაუდგა.

და იდგა ნამთარში 1995 წელი, წელი დიდი ტკივილის, წელი
განწმენდისა, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ამაღლება...

* * *

თუ გყავს ცხენი —
უსათუოდ არაბული,
თუ გყავს ცოლი —
უსათუოდ ლამაზი...

ცხენი ფიცხი —
უნაგირით დარახტული,
ქალი ცეცხლი —
გაფრენილი ავაზა...

სიყვარული
ხანძარივით ავარდნილდ
და ამბოხი სისხლი
მისთვის დაღვრილი.

სიყვარული
მოხეთქილი არაგვივით,
მკერდს ჩაჭრილი
ვით ყივჩალის მახვილი,

და სამშობლო...
უფლის ცრემლით დანამული,
ქართულ სისხლით
ნაშენები დარბაზი...

თუ გყავს ცხენი —
უსათუოდ არაბული,
თუ გყავს ცოლი —
უსათუოდ ლამაზი...

* * *

არც ზღაპარია ეს და
არც შორეული მითი:
თვალში იუდას მზერა,
მკერდზე იუდას თითი...

თორმეტში მუდამ ერთი
 გამზირალია იქით,
 ხელში მაცდური კვერთხი,
 გულში მაცდური ფიქრი.
 თიოქოს კერს გუნთებთ სხვა ცას
 სხვა მთვარისა და მზისა,
 არც დასასრული არ ჩანს,
 არც დასაწყისი გზისა...
 სიმართლისათვის — ჯვარცმა,
 სიმაცისათვის ცეცხლი
 და ისე, რომ თქვას კაცმა,
 ქვეყნას მართავს ვერცხლი...
 არც ზღაპარია ეს და
 არც შორეული მითი:
 თვალში იუდას მზერა,
 მეტყველე იუდას თითი...

პარეკველობა

წვიმიანი დლეებია,
 სურვილები — სველი.
 ყველაფერი ახალია,
 ყველაფერი — ძველი.

სიყვარული რა ხანია
 გადნა, როგორც თოვლი,
 ყველაფერი ახლოს არის,
 ყველაფერი — შორი.

მოუონება მოწყენილ ცას
 მოგონებით ართობს,
 აქ ყველანი ერთად არის,
 იქ ყველანი — მარტო..

მიღის მგზავრი ბილიკ-ბილიკ,
 მჩე მთის იქით ჩადის,
 ყველაფერი ნათელია,
 არაფერი — ცხადი..

* * *

ჰორ, სინათლეს აუხვიეს თვალი უკუნით,
 თვისუფლება ბაზრის დახლის გახდა საგანი,
 რას გამორჩები ამ ორპირ და ცრუ საუკუნეს,
 ერთი გზა არი... დაიხალო გულზე ნაგანი.

შეის საბუდარი დაუკორტნავს ყვავსა და ძერას,
 ქაჯების ხროვა ბარბაროსულ სურვილით გვზარავს,
 დამოკლეს მახვილს მოუსხლიტავს კისრისკენ მზერა
 და სისხლის შხეფი ასკინკილით გადარბის შარას.

როცა იმედი კარზე გვედგა — რა იყო ყოფა?
 იმედწართმეულთ რა გვალალებს ასე ბრიყვულად?
 ახლა დრო არი, ვიკერავდეთ ჩოხად სარკოფავს,
 რადგან სახედარს დაგვამსგავსა ამ დრომ, დიდყურას...

გარდაქრი თუნდაც, განდაბამდის გქონია გზაცა,
 ამ ყრუ სოფელში არ მოსულხარ ვითომცდა კაცად...

* * *

თუკი ცის გუმბათს მზის ნაღველი შეეკიდება,
 მაშინ მე რა ვთქვა, ვის მოვუხმო უსწორო ომში,
 ფუჭი ყოფილა, წარმავალი ყველა დიდება,
 ბოლოს და ბოლოს გზანი იგი სრულდება რომში.

დე, იყოს ესე, ფილოსოფოსთ იმტკრიონ თავი,
 სადაც ვარდია, იქ რა მოლევს ეკალს და ნარებს,
 გული გულია და ტრფობისა გრძნეული ნავი
 მის ცხელ კალაპოტს ძეველი უინით გაიმდინარებს.

შენ ხარ სენაკი სათნოების და უმშვენესი
 ჩემი ვნებები მაგ თვალების ჩრდილში აბია,
 მწამს ერთგულება დაგმშვენდება პენელოპესი,
 ვარ ოდისევსი, თავდახსნილი ომის მაგიას.

დავლაშქრეთ ტროა... ყოველივე ჩაბარდა წარსულს
 და ვსვამ შენს ბაგეს—იდუმალ და სასწაულ სასმურს...

* * *

ვერ გავიხსენე, რაიც თითქოს მახსოვდა ცხადად,
მგონი იქ მოველთ, ოდესლაც რომ დავკართ ისარი,
ტაძარი ჩემი იჭვმა ისევ აატალახა,
კვლავ მემუქრება დავიწყებით ნოემბრის ქარი.

ფოთლების ფარდაგს შემოდგომა გზადაგზა უფენს,
ბოლო ტკივილი დალლილ მკერდში თავს აღისრულებს,
მთელი ცხოვრება გულმოდგინედ ვუჭირისუფლე
იმედებს ჩემსას უმოწყალოდ გადაისრულებს.

ჭირთა თმენაში მოილია ჟამი მსახერალი,
ისევ მივდივარ, ვერ გითხარი სიტყვა საფერი,
იქნებ რაც მოხდა, ის მოხდება, იქნებ ახალიც
დავიწყებული ძველია და სხვა არაფერი?!

გაიქარებს სული ვიდრე ვითარცა მტრედი,
უფალო ჩვენო, გამახსენე, აქ რად მოვედი!



მოსაცდელი სკაპი

წყლის გუბეში მოურიდებლად გატყლაშუნებულმა მანქანამ ჩაიქროლა და მოსახვევში გაუჩინარდა. გუბიდან ამოსროლილი ბინური შხეფები ქუჩაში მიმავალთ ცხვირ-პირსა და თვალებში ისე მოურიდებლად შეაშეურა, გეგონებიდათ იმ ჩიფურა მძღოლმა ისინი განგებ მასხრად აიგდოო, მითუმეტეს, ამ მოულოდნელობაზე გაიღიმა და მოსახვევში მიიმალა. გამვლელებმა, პირისახე რითაც შეეძლოთ. მოიწმინდეს, ტანსაცმელი ჩაიფერთხეს და შეურაცხყოფილები უკაყოფილოდ გაუყვნენ – თავიანთ გზას. უველაზე მეტად ოთრებიანი გოგონა და ღრმად მოხუცებული ხელჭოხიანი ოთრებერა ბერიკაცი დაზარალდნენ. გოგონას ახლადაფეთქებულ მქერდთან თეთრ კაბაზე ტალახის ბინძური ლაქები დაჩნდა, ხოლო მოხუცებულს... ნუღარ იყითხავთ! — მოხუცებულს ისედაც მისუსტებული, უპეებდაწითლებული, დაღლილი და მილეული, თვალები გუბის „ნამსხვრევებით“ ამოექსო, დააბრმავა და დაარეტიანა, გულდაწყვეტილი გოგონაც გზას გავდგა სხვებთან ერთად. მოხუცი დაბაბაცდა და ტროტუარზე ჩაიკეცა.

ისინი, ვისაც ყოველივე ეს არ დაუნახავს, ჩვეულებრივი ბაასით წყვილად ან კენტად მიმოდიოდნენ და აზრადაც არავის მოსულია, რომ ტროტუარზე ჩამომჯდარი მოხუცებული ცუდ დღეში იყო.

უველას თავისი მისაშურ-მისასწრაფი ჰქონდა და არავის არავსათვის არ ეცალა. მოხუცი კი ტროტუარზე იჯდა ისევ და დამჭკენარი თითებით კიდეშეფლეთილ სახოცს ისვამდა ბისფერ პირისახესა და მილეულ, მხედველობაჩამქრალ თვალებში. სინათლის ნატამლი რომ შეიგრძნო, სწორედ ამ დროს ისევ ჩაიქროლა ვიღაცის მანქანამ და ახლა გუბის „ნამსხვრევები“ თავზე გადააშეურა. ამას შეორე მოყვა, მესამე და.. ბერიკაციც სულ გაიწუწი.

„რამ გააგულისა და გაანერვიულა ეს ხალხი?“ — გაიფიქრა, „რატომ არავის არაფერი არ ენაღვლება და არ ედარდება? სად მიმორბიან ასე გაგულისებით, რატომ ეტაფებიან ერთმანეთს? ომში რომ დავიჭრი და ბურანში ვიყავა წასული, ისევ დაჭრილმა მიშვერა და სამშვიდობოს გამომიყვანა.—ახლა რა ჭირს ამ ხალხს, რამ გაარიშიანა და გააუცხოვა?“ — წამოდგომა დააპირა. ძალიან, ძა-



ლიან გაუჭირდა წელის თრევა, როგორც იქნა წამოდგა^{უშაგრაზანი} ლა იმისი დარღი გაუჩნდა, როგორ აეღო ძირს დავარღინილი ქუდი და ხელჯოხი, ხელები გაასვავა, მაგრამ წაქცევას მაინც გადარჩა და ამ დროს ქუდი და ხელჯოხი მიაწოდა ვილაცამ.

გაუხარდა მოხუცს კეთილი ადამიანის დანახვა, მაგრამ ეს სიხარული უმაღვე წამწარდა, როცა იმ კეთილი ადამიანის სიტყვები გაიგონა: „რას დალასლასობ, ბერიყაცო, ვერ დადგები სახლში?“

ეწყინა, მაგრამ არა თქვა რა. მადლობა გადაუხადა და შემდევ დასძინა: არა მაქეს, შვილო, სახლიო და მწარედ ჩაფიქრდა. მცირე ხნის შემდეგ ჩაესმა...

- სად მიდიხარ, მოხუცო?
- აგრე, ცენტრში, უფროსობასთან.
- მთლად უფროსთან?
- მთლად უფროსთან.
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს. — თქვა კაცმა და წავიდა.

ბერიყაცმა ხელჯოხი ხეზე მიაყუდა, ქუდის ორივე ხელი ჩაუკლო, მხრები და მკლავები გაჭირვებით აზიდა, თავიც უცნაურად ჩარგო მხრებში და ქუდი ძლივს დაიხურა. მერე ხელჯოხს დაწვდა და წავიდა. როგორც იქნა, მიაღწია იმ „ცენტრის უფროსის“ მოსაცდელთან, ხელმარჯვნივ უფროსთან შემსვლელთა სპრიალურ საშვებს რომ აძლევდნენ, ფართო დარაბის ჰქიდა თვალი. იმის გვერდით—მეორეს, სადაც მილიციის ფორმაში გამოწყობილი მწვანე ქუდიანები ისხდნენ და უფროსის თანაშემწეოთა თანაშემწებს უთანხმდებოდნენ, უფროსთან შესვლა შეიძლება თუ არაო. მესამე ფართვე დარაბის შიგნითაც ჩანდნენ ვიღაც საქმიანი მოსამსახურები, რომლებიც ალბათ, საშვების სისწორეს ამოწმებდნენ. იყა მეოთხე დარაბაც. ალბათ, იმასაც რაღაც დანიშნულება ჰქინდა, მაგრამ მისავათებული ბერიყაცივით იგი გამოუცნობი დარჩა.

საქმე ისაა, რომ ერთდარაბიანი კვადრატული ფანჯრები მალე იხურებოდა და იღებოდა.

ბერიყაცი იქვე, მოსაცდელ სკამზე ჩამოჯდა.

დაღლილობასთან ერთად კუნთებსა და სახსრებში სიცივესაც გრძნობდა. თანაც იცოდა, რომ პირველად სწორედ იმ დარაბამოხურულ სარქმელთან ჰქინდა საქმე. ფიქრობდა, სანამ ის დარაბი გაიღებოდეს, თრთოლვაც გამივლის და წამოვდგებიო. მერე შეხედა, რატომლაც მეორე დარაბაც დაიხურა. ცოტა ხანში მეოთხეც დაიხურა და მეორე გაიღო. გამოხდა კიდევ მცირე დრო და მესამე დაიხურა და პირველი გაიღო.

გაუკვირდა მოხუცს, რა ხდებათ აქ.



დარაბებთან შეჯგუფებული ხალხი იდგა და ელოდა... ზოგიც უკავშირდებოდა ბრუნდებოდა და ჩარიგებულ სკამებზე ჯდება უცებ გაიღო პირველი სარკმელი და გაისმა საქმაოდ „მაგარი“ ხმა: უფროსს არ სცალია! დღეს მიღება არ ექნება და ისევ დაიხურა.

არაფერი უთქვამთ იმაზე, თუ რატომ არ ეცალა, რაშია საქმე, ვინ რატომ მოსულა ცენტრში, რა საქმე და სათხოვარი აქვს, ვის რა სურს, რა უჭირს.

ბერიყაცმა მწარედ გაიღიმა. გაახსენდა ბაშვობისღროინდელი ამბავი — მთაში ნათესავს რომ ესტუმრა.. ნათესავმა საქონლის ფარების კარს ურდული დაუდო მაგრად და ნახირს დაუცაცხანა: „იყავით მანდ, თქვენთვის ჯერ არ მცალია“. რავა, ვერ იქნებოლნენ თუ რა, ანდა — საღ წავიდოლნენ. პატრონს არ სცალია და მორჩა!

ვისი რა საქმეა, ახლა უფროსს რატომ არ სცალია, იქნება ვინ-შე ქალბატონი ეწვაია, ან იქნებ ისეთი რამ საჩუქარი მოუტანეს, სხვას არ უნდა დაანახოს. განა ცოტა მიზეზი? შეიძლება სულაც სხვას მიზეზი, — ვთქვათ წუხანდელი ნაქეიფარია და გვერდით ოთახში შევიდა წამოსაწოლადო.

ერთი შუახნის მამაკაცი, ცხვირწინ დარაბა რომ მიუხურეს, გაწმილებული გამობრუნდა და ბერიყაცს გვერდით მიუჭდა.

ხმა არც ერთს არ ამოულია დიღხანს. ბოლოს შუახნის კაცი დაეკითხა ბერიყაცს, ცუდად ხომ არა ხართ, ბატონოო.

— კი ვარ ცუდად, გული მაწუხებს... — იყო პასუხი.

კაცმა ჯიბიდან აბი ამოილო და მიაწოდა:

— ძალიან კარგია... უცხოურია... კარგად გახდები, — მე ძალიან მშველის... რატომ არავინ გახლავს?

— არავინ არ მყავს, ბატონო, ომი რომ დამთავრდა, ვთქვი, გადაერჩი-მეთქი, ის იყო სახლში უნდა წამოვსულიყავი, მეორე ომი დაიწყო და აღარ გამომიშვეს. ვიომე, რა უბედურება არ გადამხდა თავს?! მოგონება მიჰირს...

ომის დამთავრების შემდეგ სახლში დავბრუნდი თითქმის დამსხვრეული... ცოლი გარდამეცვალა... აღარავინ შემრჩა შემწედ, აი, ამ გამოჩორცნილი ხელჯონის გარდა...

კაცი ძალიან შეწუხდა. თავისი გასაჭირი თითქმის გადაავიწყდა და მისავათებულ ბერიყაცს ჰკითხა:

— აგენთან რაზე მოხვედი?

— უპატრონოთა, მარტოხელა ხანდაზმულთა სახლში მინდა გადავიდე და ვერავის ვერაფერი შევასმინე.

— რატომ ვერ შეასმინე?

— ისეთები გადაჰყავთ, რომლებისაგანაც რაიმე გამოსარჩენი

აქვთ, ან ნაცნობები ჰყავთ, ან წესიერი ბინა აქვთ და... ბინას ტოშული
ვებენ მარტოობის გამო...

— ეგ რა შუაშია?

— იმ ბინით ხელს იბრუნებენ, შვილო, მე კი არც ახლობელი
მყავს, მაგენს რომ პატივი მიაგოს და არც წესიერი ბინა მაქვს; იმი-
სი გაუიღვა რომ შეეძლოთ ხელის მოსათბობად.

— რას ამბობ, ბატონო? — გაიკვირვა მოსაუბრებ.

— ასეა, ბატონო!

მცირე და მწარე დუმილის შემდეგ შუახნის კაცმა იყითხა:

— აქ პირველადა ხარ?

— არა, ბევრჯერ მოვედი. მე რომ დამინახავენ იმ პირველი
დარაბის კაცები, პირს მარიდებენ. არ უნდათ ჩემთან ლაპარაკი. მე
აქ მოსვლას მთელ დღეს ვუნდები, ისინი კი იმ დარაბის დახურვას
ერთ წამში ახერხებენ.,.

— იციან, ვინცა ხართ?

— იციან, რომ ხანდაზმულთა სახლში გადასვლას ვითხოვ.

— იციან შენი დამსახურება?

— არ მიყვარს დამსახურებაზე ლაპარაკი. ყველაზე დიდი დამ-
სახურება ისაა, რომ. ადამიანი ვარ: რა შუაშია წარსული დიდე-
ბა...

— მე ახლა მივალ და იმ დაკეტილ დარაბაზე დავაკაკუნებ,—
გამოიხედონ და შემწეობა ოღონგიჩინონ.

— ნუ შეწუხდები, შემოგევლე.

შუახნის კაცი მივიდა დარაბასთან და დააკაკუნა. ხმა არავინ
გასცა, დააბრახუნა.., დარაბა მაინც არ გაიღო, ამასობაში სად იყო
და სად არა, მორჩივ მილიციელი ამოესვინტრა ცხვირწინ და უთხ-
რა, წამობრძანდითო.

ისიც წაბრძანდა. რომელილაც კარები გაიღო და უთხრეს:

— რატომ არღვევ, ამხანაგო, წესრიგს, რატომ აბრახუნებ, სა-
და ხარ თუ იცი?

— რა წესრიგს, — იყითხა კაცმა.

— დარაბაზე აბრახუნებ. ნუთუ არ იცი, რომ აქ ფეხაკრეფით
უნდა იარო?

— მე წესრიგს კი არ ვარღვევ, პირიქით, ვიცავ. ეგერ ნაომარი,
დამსახურებული ბერიკაცი ზის და ოქვენ კი უურადღებას არ აქ-
ცევთ. რას გავს ეს?

პასუხად გაიღო მესამე კარი და ეს „წესრიგის დამცველი“ იქ
შეაბრძანეს, თანაც უთხრეს: ცოტა ხანს აქ „დაისვენე“ და გადაწყ-
დება ეს საკითხო.

შუახნის კაცს არასოდეს ისე შეურაცხოფილად არ უგრძნია
თვით, როგორაც ახლა, იმ მესამე კარებში შესვლის დროს, მით უფრო მიზანურებული
რო „დაისვენეო“, რომ უთხრეს და კარები ცხვირწინ მიუჯახუნეს.

* * *

ერთი კვირის შემდეგ შუახნის კაცმა გაზეთში წაიკითხა ნეკრო-
ლოგი, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ გარდაიცვალა დიდი ომის
მონაწილე, მრავალგზის საბრძოლო და სხვა დიდებისა და ოჩდენე-
ბის კავალერი...

სურათს დააკვირდა. იცნო შუახნის კაცმა, ვინც იყო ეს მოხუცი.
იცნო და, თითქოს ნაპერწკლები შეაცვალა, მთელი ტანი აეწვა
და გული აუტირდა. თვალებიდან ცრემლი კი არა, მის სულში ვიღ-
აცევების მიერ ჩაწვეთებული ბალდამი გადმოედინა და ღაწვები დას-
წვა. ცრემლები სახოცით ამოიშრო და ფანჯარაში გაიხედა.

ქუჩაში პროცესია მიღიოდა. ამ პროცესისას მიაცილებდნენ
დამსახურებული ადამიანები, მდუმარე ხალხი, უიმედობა და სევ-
და...

* * *

უფროსთან შესასვლელად საშეის მისაღები დარაბა კვლავაც
„საჭიროებისამებრ“ იღებოდა და იხურებოდა. მოსაცდელ სკამზე
ყოველდღე ვიღაც იჯდა. იმ „ვიღაცას“ სახეზე ზრუნვის, გაგულის-
ების, ან მწუხარების ანაბეჭდი ყოველთვის ედო...

ერთ დღეს არნახულად გაავდრდა. ჭექა-ქუხილმა ყველაფერი
გააყრუა, ნისლიც ჩამოწვა და... იმ შუახნის კაცმა ქუჩა რომ გადაჭ-
რა, დაინახა: დარაბები და საპარადო კარები აეჭედათ. იმ სასახლეს-
თან დაკავშირებული ყველა საქმიანობა გაუქმდებული და იავარქმნი-
ლი იყო. მოსაცდელი სკამი ქუჩაში გამოეგდოთ. ამ სკამზე ბაშვე-
ბი ჯდებოდნენ და უფროს-უმცროსობას თამაშობდნენ. უფროსობა-
ში ეცილებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს თამაშს მაინც ჩხუბით ამ-
თავრებდნენ.

შუახნის კაცმა თვით გააქნია და ქუჩაში დროსაგით უხმოდ ჩაი-
არა. ერთიც მოიხედა გადმოგდებული მოსაცდელი სკამისაკენ და
მწარედ გაეღიმა, ის ბერიყაცი ხომ არ გაახსენდა ნეტა? კი, გაახსენ-
და და გაიფიქრა: „მაინც რა ცოტა რამ სჭირდებათ ადამიანებს და
ვაი, რომ ის ცოტაც სანატრელი აქვთ!“

ის თეთრკაბიანი გოგონა, აფეთქილ, ქათქათა მყერდზე რომ ქუ-
ჩის წუმპე შეაშხურეს, სწორედ იმ ადგილს წამით შედგა და ცრემლი
მოიწმინდა, შავი კაბა აცვა. ქუჩას თავქვე დაუყვა. მისი საყვარელი
პროსპექტი, ამ გოგონაში მუდამ სისპეტაკეს რომ ხედავდა, მოწყე-
ნილიყო. თითქოს მასაც წაუბილწეს სული და შავი კაბა ჩააცვესო...

ნელი გოგონიძე

* * *

ჩემს სულში ახლა ქარია მოების,
სურვილს მიოკებს საჩქმლის წინ დგომა.
შე ქართულ მიწის ტრფიალით ვთვრები
და ჩემს სატირალს სწუხს შემოდგომა..
ფიქრთან ალერსში დალლილ-დაცლილ
ჩუმად ოხრავენ ლურჯი ქედები
და მე ვლოცულობ ბერიყაცივით, —
მავალ და უკან არ ვიხედები..

* * *

დავიშუებული, ვით ძველი ცოდვა,
ეს ღამე დაონა ცისფერ მდინარედ,
შენ ბედისწერა გაღელვებს ღლნავ,
როს დედამიწა ფეოქავს მძინარე..
გამშრალ ბაგეზე ტოკავს ზეციერ
გარდასახვათა ცრემლიც და მადლიც,
შენ ერთი მაინც იყავ ბედნიერ,
ბედნიერ იყავ შენ, ერთი მაინც.

პატარა გუბევ...

პატარა გუბევ, პატარა გუბევ,
პატარა ცრემლით ანატირებო,
ერთი ოცნებით დაითვრე უბე,
აყი, სიყვარულს არ ვაპირებო?..
ლამაზო გუბევ, პატარა გუბევ,
ზეცა-ყვავილი სველ ტანზე ფეოქავს,
რა სასოებით გიტოკავს უბე,
იხარეთ ერთად, იყავით ერთად..

* * *

შენ დაგედება სარტყელის ფერი
 და ტკივილისგან განიკურნები,
 შემდეგ იქნება ვარდები ბევრი
 და ამოყრილი მიწის სურნელი...
 გულს დამისეტყვავს ცრემლის მელანი,
 შენ გაგაცილებს ქარი, ზმორებით
 და სული ჩემი ნაცისფერალი
 იფიქრებს შენზე თანასწორივით...

* * *

ხეს, ვით ყავარჯენს დაეყრდნო მთვარე,
 სავსე ფიქრებით, საცსე დარდებით
 და განთიადი მშობლიურ მზარეს
 ძიემცინარა ბაღის ვარდებით...
 ბაც-მტრედისფერი მოაწვა ფერი
 გრძნობამორეულ მუხის წვეროებს
 და სიო, მთიდან წამონაბერი,
 ეხმიანება ჩალის ღეროებს...
 აქ ერთადერთი მეფობს სიმღერა,
 შეზაფებული ხმათა ხალისით
 და სიყვარული არის იმხელა,
 აგეტირება გულში თავისით...

* * *

(ვ ა ჟ ა ს)

წამოხველ მთიდან, როგორც დიელო,
 წამოხველ მთიდან, როგორც დიდება,
 საბედნიეროდ, საბედნიეროდ,
 ნუგეში შენი ისევ მჭირდება...
 და როს მომივა უცხო სიბერე,
 სიყვდილის მიხმობს უხომ ზარები,
 შენს წიგნს შერჩება ღიდი ხნის მერეც
 ჩემი ცრემლი და ჩემი თვალები...

* * *

მჩეო, ამოდი ცოცხლების,
 გული გახსენი ფართო,
 ჩემი ფიქრის და ოცნების
 მანათობელო დარღო...
 ვამოვიმეტებ ყველაფერს,
 გეტყვი, თუ რისთვის გეტრფი,
 რა გრძნობით ავაფერადე
 შენი ცხრათვალა ეტლი...
 და დაგიჩოქებ ცხრა კარზე,
 ცხრაწყაროს გასმევ პეშვით,
 რომ ცხრა მთას იქით დამათრო
 მაგ ბრილიანტის ეშჩით...
 მჩეო, ამოდი ცოცხლების,
 გული გახსენი ფართო,
 ჩემი ფიქრის და ოცნების
 მანათობელო დარღო...

* * *

მე ვფიქრობ შენზე ახლა, ამ ღილით,
 სულში ნისლი დგას, როგორც კედელი,
 ახლა სიკვდილიც არის აღვილი, —
 ხელახლა ჩემი დამბადებელი...
 საღლაც წაიქცა ლერწამი რგული,
 ზეცას ესვრიან ვარდებს გაშლილებს,
 სიყვარულისთვის მოვიკალ გული,
 შე მარტოობაც აღარ მაშინებს.
 და ვფიქრობ შენზე ახლა, ამ ღილით,
 სულში ნისლი დგას, თეთრი კედელი,
 ახლა სიკვდილიც არის აღვილი, —
 ხელახლა ჩემი დამბადებელი...



ათლასების ჩვეულება

— შორს, დათოვლილ მოლზე, ყაყაჩოები შავი წერტილებით. მტვრიანებით, ბუტკოთი, კიდევ ათასი წვრილმანით მიკიბ-მოკიბულ, სისხლისფერ მზერას გამოისვრიან მალი-მალ...

ამბობს ქალი, უფრო თავისთვის. მსმენელთა ღიმილი ავზნიანია. თუმც დაცინვა ვერ შესაძლოა მათვის. რაღაც მდარე გამომეტყველების სახეები... ყველაფერი დაპროგრამებული. აზრი ჩაკერილი, ფიქრი არანაირი ან რაისამე გამო ჩამონტავებული.

მიხვდა ქალი. თქვა: ა.. ა... და კიდევ: გასაგებია...

დათოვლილი მოლი მზის ატლასი მზერით ჩადნა. მიმოიარა უკანასკნელმა სითეთრემ ატლასების ქვეყანა. ათასი ტოტი ატმის, ათასი ჰერანგი, ლამაზ-ლუმაზი, მოვარდისფრო ჰერანგი ატმის, ათასი თვალი პატიოსანი, ათასი ქვა უძვირფასესი... სად არის მთავარი უმთავრესი?

კითხულობს ქალი, ამჯერად ფიქრით. თუ მღერის გულში, თუ ეთამაშება ვიღაცას, რაღაცას. თუ ეძებს... სხეულის ფარდულებში, სხეულის კიბებზე, ხორცის ნაკეცებში, ხორცის წერტილებში... ჭიალუები... ღუები მიმოადგა უჯრედების ნაპრალებს. ჰორიზონტებს იქით გაჰკივის ტვინის რკალები, შენდება ტვინი. აქაც თოვლია, აქაც ბროწეულის ხეებია ამოსული, ყაყაჩოებია, ყაყაჩოსავით თუა ტვინი წითელი, შავი წერტილებით, მტვრიანებით, ბუტკოთი. არა, ბუტკოები მტვრიანებზე უმეტესი, მძლავრად ისაშობს სხვათა ტვინისაგან. რა გამოვა მერე?..

იცის ქალმა, რა გამოვა. თქვა: ჰო... ეს...

დედამიწა ღერძს აუმბოხდა, უჩუმრადაც, ღიათაც, მაგრამ ვერ გაეთიშა, საპირისპიროდ იწყო ბრუნვა. და არის ყაყაჩო, ის მოვიდა თოვლის მაგიერ... არის წარლვნა, რომელიც მოვიდა წვიმის მაგიერ...

გადარუჯულ თოვლს ღუები დაესია. დახშულია სმენის ღრუ — გვირაბი ბნელი, ყველა გვირაბივით.

„თქვენ ისევ თქვენსას გაიძახით...“

რა არის ჩემი... სად არის ჩემი.., რა არის შენი... სად არის შენი... ჩვენ ერთნი... ერთნი ჩვენში:: ჩქენში ჩვენში:: კიდევ ათასი რამ... კიდევ ათას ერთი ღამე, ვათუ გაწბილდა შეპერეზადა.

მიკიბ-მოკიბა, თავი თუ მოუყარა ათას ერთ ზოაპარს, მოხხერშელ
ტილოში თუ მოათავსა, ასკილის ფურცლებში თუ გაახვისი — სუსტეჭ
თუ ქარი, „მზეო ამოდი, ამოდი...“ სად მოვა, ვისოთის, გიყვართ
მზე? თუ არა, რად ელით? გვირდებათ ძალზედ? უსიყვარულოდ
არ მოვა. აბა, შეხედე, როგორ ჩაბრძანდება ზღვაში... ზღვის სილ-
ურჯეში ნიჟარები სხეულებად მიმოქცეობენ. წყლის სიმღაშეს —
ავზნიან გიუმაჟს — ათასი ქვიშა, ათასი მტვერი დაუკოშკავს, მზის
თბილი ლაწვებით შეუმყარებია. შორეული ჰორიზონტები მზის სხი-
ვოსან ანგელოსებით ჩაცვინულან ზღვის ქვაბულებში. მოიწურავ-
ენ ფარფლების ბადეებს. თეთრ პერანგს გადაიცვამენ თეთრად გაა-
ტლასებული სხივები, ეთეროვან ტანს თუ გაიბანენ...

უმნიშვნელო მუმიები მიმოცურავენ, ჯურლმულებს ექვითკირე-
ბიან. ო... დიდია მათი წვლილშემოწირვა, ან ნიჟარათა წვარაწკუ-
რი... დაკიდებულ ბანებად განმიანდება, რომ თქვას: აქ გულია
ზღვის.

ამბობს ან ფიქრობს ქალი. გრძნობს იგი, ნაკოწიწებია ყველა-
ფერი მის ირგვლივ. მასშია ყველაფერი ნამდვილი. მისგან გამოდის
ის. რაც მასში შედის და რაც მასში შედის, მისგანვე გამოდის.

აბა, შეხედე, უკანასკნელი სიცარიელეც მრავლის მთქმელია.
არ არის ლირსაცნობარი თოვლზე პეპლები მსხდომარე? ან ყაყაჩოზე
შავი ციცინათელები? ყველაფერი დიდია ჩვენზე, ბუნებრივია და
თავანკარა.

ლამე, უბნელესი თვალები ლამის, სევდით, ფიქრებით, ოცნებ-
ებით მსხმოიარე. სად იმალება ეს თვალები? ლამის საბრძანისში
იყინება, ჩუმდება სხეულის გვირაბებში გადმოკიდებული ბანები.
ოკეანის მლაშე წყლები სამყაროს ბროწეულის ფერებს ნელნელა
აუფერულებენ, აზაფრანებენ ყაყაჩოს ველს. როდემდე, როდემდე
ახლდეს მოჟამული სიმწვანე მოლისფერ თვალებს? გულს რაღაც
ეხეთქება. ეს რაღაც ამსხვრევს, ანაფოტებს უხილავ სამყაროს,
ატლასივით აელვარებულ ქვეყანას...

ამ დროს თავად სიჩუმეა უდიდესი ხმაური, ძილია უმწარესი
უძილობა და თეთრი ლამის თეთრი ატლასი...

უმთვარო და უვარსკვლავო ცას მოფინეს ფიქრი, უმთვარო და
უვარსკვლავო ღამეს გაანდეს დარდი. უმთვარო და უვარსკვლავო
ღამეს გასკდა გული. სხეულს მოეცელა სული, იქცა სული სიცარი-
ელედ. გაფრინდა მზისკენ და ზედ დაეფერფლა.

დაღუმდა ქალი. იგრძნო, როგორ მიეახლა მზეს. შეკრთა: და-
ვიწვებიო...

შაგრამ მოესმა ხმა: მზე გელის შენ, ამზეურებულო...



უძვირფასესო... ნუ მიენდობი დედამიწას, ნუ მიენდობი, ჰქონილობას
თვალს აცრუებს მყარი ძარღვებით და უცაბედად გაფხვიერდება...
ნუ მიიღებ მის ნაყოფს — დაწყევლილია და მტვრად იქცევა.

ნუ მიენდობი, ისე მოულოდნელად გამოგეცლება ფეხვებ,
რომ დატირებასაც ვეღარ მოასწრებ. ან კი რა უნდა იგლოვო, გა-
ცეოთილ სამყაროდან თუკი ფეხი გადმოაბიჯე?! რად გამოგაგდეს,
რად შეიქმნა ლტოლვილი და მიუსაფარი?... მშვენიერება ვერ იგუ-
ეს მახინჯთა ქვეყანაში და გამოგრიყეს... ულამაზესო... ცრემლს ნუ
ათოვებ. შენ, ერთადერთს, გაქვს უფლება, მზეს მოეფერო! ასე
როგორ გაგილურჯეს ხელები, ასე როგორ აგითროთლეს ყელა,
რომ მათებრ მახინჯად ქცეულიყავი. უახლოესო..., ნუ დანახვებ
ცრემლებს, ნუ გამოუფენ ამ სიმდიდრეს მახინჯთა სულებს. იგი შე-
ნი საუნჯეა და მალულად უნდა ატარო, დაფარულია ტანჯვა შენი, და
ფარულია სიცოცხლე შენი; ჯვარია ცხოვრება შენი, და მშვენიერე-
ბისათვის ჯვარს გაგაკრავენ.

როგორ გაგტანჯეს. გიახლოვდები, რომ მოგეფერო. შენ ხომ
ალერსსაც გადაგაჩვიეს, გაგიუცხოვეს ტკბილი სიტყვა, სიყვარული-
სთვის დაშადებულო. შენი სახე უცხოა მათოვის, შენი სიტყვა უც-
ხოა მათოვის, შენი დუმილი უცხოა მათოვის. ისინი ძრწიან შენი
სიჩუმის წინაშე.

უსაწადლესო... ცეცხლი ხარ და მზეს შეენიცთე... მზე მიიყრდ-
ნობს შენს მხრებს ოქროვანს. მზე შეგიშრობს წვიმებს, ქარიშხლ-
ებს. მზე გაგინათებს ცრემლებს სხივებად. იქნებ აძაგებ ამ სამყარ-
ოს უპატრობას... შენი სუნთქვისთვის უქმარია, მკაცრიც, უხეშიც,
უნაზეს სუნთქვას დაწვეული როგორ ახერხებ, ამ სამყაროშიც
რყო ასე ულამაზესი. იყო ასე უფაქიზესი და უსასრულო... ან მოწ-
ყურებულს ვინ დაგიცხოს ურვა წყურვილის? აქ სასმისები სისჩ-
ლით არის დახანძლულები... ყაყაჩის სისხლით მორწყულია ჩვენი
გულები; ყაყაჩებით მორწყულია ჩვენი სულები. და შენ აქ გაჩნ-
დი — უცნაურია. არა ხარ მიწა—საცნაურია. ფრთები ხარ, ფრთე-
ბი, ნათელი ფრთები — ერთხელც იქნება და გაფრინდები...

უახლოესო... შენ მალავ ფრთებს, რითაც მოფრინდი, და თუ
მოგვეოთ ეგ ფრთები, როგორდა წახვალ უკან? ნუ დარჩები აშ
ქვეყანაში. აქ ყველაფერს მაცდური ლიბრი აქვს გადაკრული, რომ

მიგიტყუონ. ნუ გაოცდები მისი ფერთაცვლით, ისინი კველებით
იცვლიან პერანგს...

უნაზესო... ნუ მიენდობი დედამიწას, იგი ცოდვით დამრგვალე-
ბულა და აბურცვლილა, ნუ მიენდობი, მასში წაბილწული წყლები
დაედინება, დაეხეტება შავი ვირუსი, რომ გადაქელოს ყოველივე —
— შენ ჯ რა გინდა? ვინ მოგიხმო ამ სამყაროში? სადაც დევნაა
მხოლოდ და სიძულვილი, სად ჭუჭყიანი ღიმილი მეფობს... ნუ მი-
ენდობი დედამიწის ცივ გულს, რომელიც კი არ ფერქავს, არამედ
ცოდვისაგან იკუმშება და ყლაპავს არსებებს. შორს წადი, გაეცალე
ხორკლიანთა სამკვიდროს, მათი ყველაზე ტკბილი სიტყვაც კი ლო-
რწოვანი გვირაბიდან გამოდის...

უახლოესო... შენ — სიყვარულსა და ტანჯვაში განათლულო...,
ნუ მოიქლავ თავს უუკვდავო დედამიწაზე...

1992 წ.

სარკეებთან

ვდგავართ სარკეებთან და ვთოვლით ნაოჭებს. დაგვავიწყდა, ან
ვიგონებთ საიდან? — ბავშვობიდანვე აჩენილ-აკვიატებული ტკივი-
ლები, წამთა მომკვლელი უმიზნო ხეტიალი, მოუთოკავი სისწრაფ-
ით გვაძერებდა.

ვხედავთ: სახეს მონაზვნური სიყვითლე ახლავს. გვტკივა გული,
სად დავტოვეთ სილამაზე უკანასკნელად? იქნებ, თუნდაც ამწუთში,
თავთან ჭიდილში, როცა გაფუსწორეთ თვალი სარკეში აღქმულ
ჩევნივე სხეულს. შუბლები მოვიფათურეთ შემკრთალი თითები, ვვე-
ცივა თითქოს. მერე, დროდადრო დავოსტუდით საკუთარი თავის
თაყვანცემაში, ამბორყოფაში, რაკი მივხედით, სხვა არვინ მოგვხე-
დავდა ჩვენ საამისოდ.

ვდგავართ სარკეებთან და ვხედავთ: ჩვენში ათასი სხივი ჩამწრა-
ლი, წაშლილა ათასი ფერი. მხოლოდ მოგონება შემოგვრჩა: თუ
სად? როდის? როგორ ვიყავით ლამაზები და სასურველნი? შესაძლოა,
არც არასდროს ვყოფილგართ ლამაზები, მხოლოდ, ჯიუტად გვჩე-
როდა ჩვენივე შეთხული ზღაპრის. ერთ, რომელიმე დღეს კი, ეს
სიჯიუტეც უნდა გამტყდარიყო და ვვეხილა აუხდენელი სურვილებ-
ის ნამსხვრევები. არა, ჩვენ თავს არ მოვიკლავთ! ახალი სიჯიუტით
დაველოდებით უცხო მგზავრს, უცხო მაძიებელს, რომელიც იმიტ-
ომ დაადგა გზას, ჩვენ რომ გვიპოვოს. თავს არც მაშინ მოვიკლავთ.
თუ არ ვვიპოვის ვინმე. ჩვენ შევეჩვიერ უპოვნელობას! დიდი ხა-
ნია გამოიწროთ ჩვენი ძარღვები, დიდი ხანია რაც ვისწავლეთ სიმ-



შვიდე, უფრო სწორად, დავიჩემეთ. და ახლა, როცა აღარავის და არაფერს ცელით, ყველაფერს ციჩემებთ: სიმშვიდეს, უნაღვლობრივობას... ცხოვრებას უხალისოდ მივათრევთ, გვსურს გადავისროლოთ იგი უახლოეს უფსკრულში; გვსურს გავატანოთ აღრეულ ქარს, მაგამ მაინც ვერ ვიმეტებთ... მუდამ გვექნება სურვილი სარკეში ცქერის. მაშინაც, როცა შიგ ვერაფერს დავინახავთ და სიცარიელეს ჯიუტად ჩავაცქერდებით...

1992 წ.

საჭუთისოფლო

სადღაც იწყება, სადღაც მთავრდება...
საიდან მოვედით? სად წავალთ?
სისხლი ჩვენი ღვინოა და საკუთარ სტეულში ვთვრებით.
ხორცი კი ჩვენი პურია და ერთმანეთს შესაჭმელად ვეტანებით.

ჩვენ გვიცხოვრია საუკუნეთა მიღმა. მაგრმ ვერც დასაბამს მივაგენით, ვერც — დასასრულს. ორი გზა გვაქვს და მაინც ერთია ორთავე, რაკი ყველაფერი ერთმანეთისაგან გამოდის, ჩვენი სახეებიც ერთმანეთში მეორდება. მთელი კაცობრიობა ადამი და ევაა; მთელი კაცობრიობა აბელი და კაენია. ბრუნავს ჩვენი სულები ერთ ღერძზე. ამიტომ ვიბადებით და ვკვდებით ათასჯერ. ყველანი ერთმანეთს ვგავართ. ამიტომ ხშირად საკუთარ თავს ვკლავთ; ხშირად საკუთარი თავი გვებრძვის... და ამ ბრძოლაში საკუთარი აჩრდილიც დავკარგეთ.

სად არის ჩვენი აჩრდილი?

იგი დაძრწის უხილავ გზაზე. ერთხელ, ოდესლაც გაგვშორდა და ვინ უწყის როდის დაგვიბრუნდება. იგი გასცდა სამყაროს მძულვარებით (ნუთუ ჩვენ ვიყავით საძულველნი)?! ახლა ვდგავართ სარკეებთან და აშკარად ვხედავთ ყველაფერს. ვხედავთ: ბზარებს, ნაოჭებს, არეკლილ სიცარიელეს, მაგრამ ვერ ვხედავთ ჩვენს პროფილს — სულს. გინახავთ გაღმომხობილი სული? სული საკუთარი, ოღონდ ისე გაუცხოებული, გწადის „შენ“ დაუძახო...

გაღმომხობილ ჩუქურთმაზე ვკითხულობ სიტყვას, სიტყვა სულის სახელია, სულის გაღმომხობილი პროფილი. შორია, შორია მარმარილოთაგან ათლილი აჩრდილები. იგი სიერცის ნატეხებია და ბერწი, უთესლო აკლდამების ნაშთები. მაგრამ არის, დადის აკლდამებში გრძნობა: გრძნობა საფლავებისა და სამარხებისა. ესეც დიდია, სხვა ყველაფერთან ერთად, რაკი მიწა ერთწუთს (წუთი-სოფელი) გაჩუმებულია, სამყაროს ბედიც დუმილშია გამომწყვდეული.



თეთრ მარმარილოთაგან ასხლეტილი ნაფოტები სხეულში მიგროვდება, როგორც გახელებული სუნთქვა უპატირობისა. დამწერლი ვუერთდები მღვმარე პროფილს, ის უნდა იყოს ყველაფერი ერთად, რაც მე ღდესმე მქონდა...

ახლა სად არის ჩვენი სულები? ან რატომ დავრჩით უმიწოდ ჩვენთვის შექმნილ დედამიწაზე?

ჩვენ გვტკივა! ჩვენ ვტირით! ჩვენ ვიტანჯებით!

განა მხოლოდ ქრისტე გასცა იუდამ?!

განა მხოლოდ ქრისტე აჰკიდეს მძიმე ჯვარი?!

განა მხოლოდ ქრისტე დაკაწრეს ეკლის გვირგვინთ?!

განა მხოლოდ ქრისტე აცვეს ჯვარს გოლგოთაზე?!

განა მხოლოდ...

სიმღერა უფრო რექვიემი:

„ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება,

რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება...“

ვინ დაედევნება გაფრენილ სიცოცხლეს? ან კი რა საჭიროა? ის ხომ წუთისა და ის წუთიც — ბინდისფერი...

1992 წ.



340 მურია

ჩემი სიმღერის ხმა არის ყეფა,
ცოლო ყულილი — ჰანგები „ნანის“...
ძალლად თუ ვიშვი ამ ქვეყანაზე,
სახე რადა მაქვს აღამიანის?!

ძვლებს ვინდა ჩივის, ან მჭადის ნატეხს:
ჩემი სიზმარი ფინჩხეა პურის,
სხვა არა მინდა, ესეც რომ მქონდეს,
მერე ნამითაც მოვიყლავ წყურვილს.

პატრონს კი ის სურს, მე, სულიერი,
არცა ვჭამდე და არც ვსვამდე რამეს,
თან აღმა-დაღმა დავქროდე მუდამ
ყოველ ცისმარეს თუ უკუნ ღამეს.

ჰოდა, ვინც მოვა სამოსახლოში,
ბავშვი იქნება, კაცი თუ ქალი,
ისე დავკბინო და დავაშინო,
ცეცხლის ცრემლებით აეგსოს თვალი.

ძალლი ვარ, მაგრამ სირცხვილით ვიწვი,
კეთილშობილი რომ არ ვარ ძალლი.
და ვარ ქოფაკი პირწავარდნილი
სატრონის მონის ვეება დამღით.

ყურებიც დამჭრა, კუდი მომკვეთა,
სრულებით მშვიდად, სიცილ-სიცილით.
ჯაჭვით მიმაბა ოდის საძირკველს,
მტარვალს კი ვხვდები კუდის ქიცინით.

ხელებს ვულოკავ, ფეხქვეშ ვერთხმები,
სიცოცხლეს, აი, რაც ხდის აბსურდად:
ჩემს დამაქცევარს, გამძრობს ტყავისას
წამსვე ვუსრულებ, რაც სურს და უნდა.

არადა, ველტები, ისე დავჭინო,
 პატრიონმაც ვერ ცნოს ჩემი პატრიონი,
 აღბათ, ოდესმე ის დღეც დადგება,
 წუთნი რომ ვვერგოს სანეტარონი.

მაგრამ, ძალლნი ხომ ძალლად შობილან,
 არავითარი ვერ შეცვლის ხანი:
 რაც თავი ახსოვთ, ყეფენ და ყეფენ,
 ლრენა-ყმულის ამოსდით ხმანი.

ძალლების მოდგმა ფასდება ეშვით,
 კბილს ვის ჩაასობს დღისით და ღამით.
 კაცს პატიონსანს თუ ერჩის ძალლი,
 მისი ღირსება მაღლდება ამით.

როცა ვარსკვლავნი ცად ციმციმებენ,
 თვალებში რატომ მიქრება შუქი,
 გული რად არის აღსავსე სევდით,
 ფაჭი ძალლი მართლაც ვარ თუკი.

თუკი არ ქრება ციცინათელა,
 როგორც მშუტავი სინათლე ისე,
 თითქოს იების ბზინავს კაბანი,
 პატარ-პატარა მნათობნი ცისვე.

სხივის მძივები მოაწყდა ეზოს,
 უკუნს ანათებს წვეთები ვერცხლის,
 ირგვლივ მეჯლისი არის ნათელის,
 ასი ათასი შავ-თეთრი მერცხლის.

მე კი ვყმუივარ, შევსტირი სოფელს,
 ეს გოდება კი კენესაა გეღის:
 — დოგის თუ არა და სენ-ბერნერის,
 რატიარის მაინც მრგებოდა ბედი.

არ დამტოვებდნენ პირისპირ ღამის,
 არ გამაგდებდნენ სახლიდან გარეთ,
 როგორც ქეციანს, არ დამტუქსავდნენ,
 არ მატირებდნენ ესოდენ მწარედ.


სანამდე უნდა ვყეფდე, ვყმუოდე
 და ჭაჭვით ვიყო გამომწყვდეული,

სახლში კი არა, არამედ ცისქვეშ
 განწირული და ბედით წყეული.

ძალლი ვარ, მაგრამ მეც მიღების სული,
 ასე რომ არის, რად ივიწყებენ,
 როგორ მიღრენენ ქოფაკს ქოფაკნი,
 იქით საყეფი აქეთ მიყეფენ.,

ღმერთო, სიკვდილი მაღირსე მშვიდად,
 უფალო ღმერთო, მომაპყარ ყური.
 ადამიანად თუ ვიშვი ქვეყნად,
 მაშ, რატომ მერგო ყოფა ძალლური.

ბოროტი სული თუ გამოიცნო,
 ეშვი ჩაასო სადაც კი ჭერ არს,
 ასეთი ძალლი ვის რად სჭირდება,
 ასეთის ყეფის აბა, ვის სჯერავს!?



მონური მორჩილება

ნოველა

ბოლოს და ბოლოს ადამიანსაც მობეზრდება თურმე ერთნაირა
 ცხოვრება. თუ პატიოსანია, უპატიოსნო ცხოვრებისაკენ გაუწევს
 უცებ გული მეთქი რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. რაცხა, ამ
 დაწყობილი ცხოვრების არევა, სწორი გზიდან გადახვევა მოუნდება. ეგებ ამას სულ სეირის გულიზა აკეთებდეს, ვნახოთ ერთი, რას იტ-
 ყვის ხალხი, რამ გადარია ეს ნიკიფორე თვალაგაძე ნეტავიო. რაცხას
 ჩემთვის ვჩირთიფურთობდი და რაზე გამევიტანე ჩემი თავი სამზე-
 ოზე ქვეყნის საქილიკოდ, დღესაც ვერ დამიღენია. რაცხა წევარა-
 მად მეზობელს ცოლოური ჩამოუვიდა, ბოვშვის მონახულება რომ
 იციენ. იყვანი მოუტანეს და წესია იმ დროს, შენც ხალხი უნდა
 დაახვედრო. წესია თვარა, შენს სტუმარს შენ თვითონ დაალევინე
 ორი ჭიქა ღვინო და ეჭუმჭუკე ტქბილად. რა ჭირად გინდა მეზობ-
 ელს და ნათლიმამას რომ უძახი. იფიქრე მაინც, აგი თვალებბრიალ
 ცოლის ბიძაშვილი რომ გესტურა, ვინმემ სხვანაირად არ დაადგავ
 თვალი და სახლაფორთოდ არ გაგხიადოს საქმე. ამას წინასწარ არ-
 ავინ ფიქრობს და საქმე რომ: წახდება, მერე თითზე ქენა გვიანია.
 ეს ისე, სიტყვამ მეიტანა, თვარა ჩემი მეზობელი არაფერ შუაშია.
 ჩემი სამყოფი ქეყუა უნდა მქონოდა მე, თვარა მან ალალი გულით
 დამპატიუა—მოლი და სუფრა დამიმუვნენო. ცოლი არ მიყვარდა
 და იმან გადამადგმევინა მაგი ნაბიჯი, მეთქი ვერ ვიტყვი, იმაზე მო-
 რჩილს ცხვარს ვერ ნახავდა კაცი. ცოლ-ქმარს შორის პატარა წაკინ-
 კლავება ყველგანაა და თითო ქოთანი ყველგან დუღსო რომ იტყო-
 დნენ, მეცინებოდა. ის კი არა, ასე მეცონა, ერთი თარგისაგან ვიყა-
 ვით გამოჭრილი და ქვეყნის დაქცევას უფრო ველოდი, ვიდრე ჩემს
 დაშორებას. ერთი გოგო გვყავდა, 13 წლის ნინოი და მზე იმაზე
 ამოგვდიოდა. შევყურებდით ამ ციცინათელასავით ბალანს და ვიუ-
 ავით ბედნიერი. უმისოდ თუ დაღამდებოდა და გათენდებოდა, არ
 გვეგონა. ერთ დღეს ჩემმა სიღედრმა წეიყვანა, თბილისიდან ბოვ-
 შვებია ჩამოსული, მზეის ხელა ბურთები აქვთ ჩამოტანილი და გე-
 რთობა. კი წეიყვანა, მარა დაძინება არ გინდა, ალიონზე დავადე-
 ქით ჩემს სიღედრს თავზე, გლახა სიზმარი ვნახეთ, შეგვეშინდა,
 ბოვში უნდა წეიყვანოთ. რამე არ მეეწიოს-თქვა. რაის სიზმარი,



ვინ დეიძინა სულა. ამას მე ფასონად კი არ ვამბობ, მოსიყვარული მამა რომ დაგიხატო! არა, ეს ნამდვილად ასე იყო, ჩემი ცოლ-შეიძლება ის უმისონდ ღამე-თუ გათენდებოდა, არ მეგონა, არა და, კაი ორმოცს კი ვიყავი მიტანებული. მთასავით კაციაო, ჩემზე იტყოდნენ. თმაი არ შემთხელებია, მარა ჭალარა შუბლთან კაი გაყოლა მქონდა. ნამე-ტანი გიბდება მაგი ჭალარაო, მეზობლის ქალმა მიჩურჩულა ერთ-ხელ ყურში.

მოსალამოვდა. გამევეწვე რაც შემეძლებოდა და გადავდა, მეზობელთან. კარებში შესვლისას პირდაპირ სტუმარს შევეფეოთ, გული თუ არ ამომივარდებოდა ბუდიდან, არ მეგონა. უსაშველოდ ლამაზი იყო. ლამაზი ქალის მეტი რა მინახია ქვეყანზე, ღადეშე-ლიანის ქალი რომ ჯარიანბაზე გამევიდოდა, პირველად თვალებით მე მომძებნიდა, მარა შტერი კი არ ვიყავი. ღადეშელიანის ქალამ-დე რომ არავინ მიმიშობდა, მაგი კი ვიცოდი მე. ღავგეჭით მაგიდას-თან. აგი დალოცვილი ზის თავჩალუნული. მერე ეიხედავს ზეით და პირდაპირ მე ღამასობს ამ კუნაპეტივით შავ, სხივიან თვალებს. გა-ლება არ გინდა? ასე მგონით თავარა მზის ქვეშ ვარ, განგებ ვაკვი-რდები, სხვას თუ შეხედავს-მეთქი. გაგიგონია? მარტო მე ვყავარ მიზანში ამოღებული. მოკლედ, ქვას გახვრეტს, იმნაირი გამოხედვა აქ, ძალა, განაგონი ქქონდა, გესარიონ ძულუხიძეს ცოლის ბიძაშვილი ყავს ნიგორზლვაში. ნამეტანი კაი, მარა ღოუგვიანდა გათხოვაო. აგია ალბათ-მეთქი, ისე მიყურებს, თითქოს რაღაცას მთხოვს. ასე გაგრ-ძელდა ჩემი წამება სამი-ოთხი საათი, რომ შევთვერი, წიმლერა წა-მევიწყე, „შალვა ჩემო სიყვარულო“, იმნაირი მომაჯადოებელი ხმით ამყვა, კველა გეისუსა, ერთ ადამიანს ბუნება ასე ყველაფრით რა-ფერ გამოარჩევს, საინტერესოა. რაცხა ჯალო ქონდა ნამდვილად, ხო, ხო, რა გიყვირს, უჯადოოდ აგი საქმე არ იქნებოდა, ასე მგონია. სუფრა რომ ერშალა, ცოტა გვერდზე გავდეჭი, ორ ღერ ტკბილ სი-ტყვას მაინც ვეტყვი-მეთქი, გვიფიქრე, დაბამბული მისი ხელით მომახურა და მხრებზე შვართა თითები ჩამოაყოლა. კედელს მივე-ყრდენი, არ წევიქცე-მეთქი. შეილებს გეფიცები, ერთი ფიორი ტყუილი თუ ერთის, ახლა თუ გამომყვები ცოლად, შენი წამყვანი ვარ-მეთქი, — ყურში ვუჩურჩულე, ალბათ დვინო მალაპარაკებდა, თვარა ნორმალური კაცი ამას იტყოდა?! რაფერო... თვალებით მა-ნიშნა, რომ დაწობიერ მაგენი, გამოდი და ჭიშკართან დაგხვდები-მეთქი. კაიო, თავი დამიქნია და ვინმეს რომ არაფერი შეემჩნია, გამშორდა.

არა და, ფეხზე ძლივს ვდგავარ, ისე მთვრალი ვარ. სახლიდან



რომ მოვდიოდი, შენ შემოგევლე ბევრი არ დალიო, ხომ ხემდევლი
ლვიძლს გისიებსო—ცოლმა, პაპიკო, არ დალიო გეხვეწები, ჩემს
თავს გაფიცებო—ბაღანამ. ასე დამოძღვრილი ვარ წამოსული სახლი-
დან და ახლა რას ვაპირებ. რომ არ გადმოსულიყო, მეზობელს
სახლს გოდოუბრუნებდი, იმ ჭკუაზე ვიყავი, ბევრი არ დაგვიანებია,
რამე გლახა არ იფიქრო ჩემზეო, მითხრა. ჯარიანობაში გნახე, ცოლ-
თან ერთად რომ ცეკვავდი, მაშინ შემიყვარდი, მის შემდეგ ცოცხ-
ლებში არ ვურევივარ, თუ წამიყვან ერთ შვილს გავაჩენ შენთან
და მერე დოუბრუნდი შენს ცოლ-შვილსო.

— რა გქვია სიცოცხლევ-მეთქი. მე ირინე მქვია და ამაღმ შე-
ტი ცოლი გავხდები, თუ გინდაო. უეცარმა სიხარულმა გამაოგნა.
ზაფრანისფერი კაბა ეცვა. გრძელ წამწამებს ისე აფახურებდა, ზღა-
პრილან მოსულს გავდა, აუტანლად ძნელია ახლა ამის მოყოლ..
არა... ერთი თვალის დაფახულებისათვის რაფერ წირავ ცოლ-შვილს.
არაფერი არ ყოფილა ცოლებრობა. ერთი კი არა, ათი შვილი რომ
შყოლოდა, ათვეჯს დავტოვებდი. ხომ არის ადამიანის ცხოვრებაში
ისეთი მომენტი, არაფერს რომ არ დაერიდები მიზნის მისაღწევ-
ად, ხომ არის მითხარი. ვინმეს ხელი ამ საქმეში რომ შეეშალა, ალ-
ათ თავს მოვიკლავდი. მოვკიდე ხელი ირინეს და გაღმა სოფელშა
ქოლობანს ეძახიან, მამიდაჩემს მივაღექით. მამიდა მარტო ცხოვ-
რობდა. ბიჭები თბილისში ყავდა. გამთენისას უცხო ქალით რომ
დამინახა, მამიდაჩემი კინალამ გაგიყდა. ტერეზი მამიდა, ახლა ხელი
რომ არ შეგვიწყო, ორივენი ცხენისწყალში დევიხერხობთ თავს-
მეთქი, იცოდა მამიდაჩემმა ჩემი უბედური ხასიათი. ერთი კი მე-
მოთქმა. კაი ქემაინც, ჩემი ძმა რომ ვერ მეესწრო ამ ამბავსო...
პატარა სუფრა გავიშალა, ერთ-ორ მეზობელსაც კი დოუძახა. რა-
ფერ გინდა აგი ამბავი გააგებინო ცოლ-შვილს, ისევ მამიდაჩემს შე-
ვაბით ეჟვანი. ბალნობიდან ყვარებიერ ერთმანეთიო და რაცხა ამ-
ფერები. ჩემს ცოლს ამის თაობას გულა დოუვადდა. ბოვშმა უფ-
რო ადვილად გედეიტანა. უორუიკ რომ გავიჩნდა, სულ თვალებში
შემცირებდა. აბა თუ წავა პირობის თანახმად ახლაო..., ფიქრობ-
და თურმე. ორი წლის რომ გახდა ჩენი ბიჭი, მაშინ ძან გოუჭირ-
და თქმა, მარა შინც მითხრა, წადი აწი შენს ცოლ-შვილშიო. მე ვერ
წავედი, უფრო სწორად, არ წავედი. მე ირინეს დატოვება არ შე-
მეძლო. მას რომ დავეტოვებინე, მერე ალბათ ცხოვრებას აზრი არ
ექნებოდა. ირინე ძლიერი ქალი იყო, მისი დოუმორჩილებე-
ლი სული მე ყოველთვის ხელ-ფეხს მიბორკავდა. აბა, ის პირველი
ნამდვილი მონა იყო. ათრთოლებული მელოდებოდა. რავა დეიძ-
ნებდა უჩემოდ, ბაღანე არ მეენატროს, არ იჯავროსო და ყოველ
კვირას მეზობელს გამოატანდა. შვილი რომ შეგვეძინა, მერე ისე



ԵՇՈՒՐԱԾ արար ացնազնութա. աելա մուսո պազեն և աման առ Շեաթուկուսի բարեպահ եցազ Շեն? մուկլեւ յալուս գամունոնձ մեղլու. յրտո Տապաւդուրուն առ ճականութենա. արա և եռմ-զօպու, հոգոր զոյցարութ, ճածնեծուլս ծեցքշը մոցրմենու, հոմ ճամպէյրութ և հալուց մալաս գամուլզու- մէծուցար. Տոմարութ ու ցոնդա ցոտերա, մյ օցո մարտո որոնց տա- լունուն ծիսալուս գամոն առ ճամուրովուցա. մոմեցիւրութ Շեիզեւլու ցա- րեմո. Վինաալմդյցոնձա հոմ արացոն ցոյշեց, մանոն ցեռարուց պա- տրյուցու. Շեն հոմ ցոյցարս, ու ցավացու ըլլու. ., ուզուս նոցքնանա հօենութմա մոցարութ... Կոլու հոմ պարու Բյուտ տալունու Շեմոց- ցուունուց, մեղլու ասաբանու, Տագուց յս մոնուրու մորհիւլութ մոսա- ծեշիւրեցու. Կուրա ցաթու յս պարու Տեցա մեսարյ. մաշրմենունու, հոմ Տեցա աժմունու եար և Տեցա անրունու, ցոյցինու, ցոյցիւրու հոմ մաժեան պա- ցուցութ մորհիւլ եծոսացու. առ մոցեցիւրութ Սյուլ հյեմ կյուսաչ Տօս- հուլու? Հաւոմ ցոնդա մագոյշեցունո, հոմ Տայուտարու կյուս առ ցացա- ինու. մեռութունու որո ուռուունու արաս ցրտնանու և հալու մանու- ճամանց հյեն որո գացեմեցացու. ցրտմանց պալունուցու Ծյու- քունուցու, Ցյ յաս գուգամուցուլո.

յրտ Տագումու, յս մցուլու ամեացու, ցամունուսա մոցեց Տաելուն. հյեմա նոնուամ, ամ լուապմա, Շացո քլու ճամացցու. գուգա Հաւոմ աներ- ցուցու, մուլու լումյ առ քուստունու. աթու մասյ առ գուցանու. որ- մուցի տամալու ցոյցաց և ցոյց մոցեցումյ... մյրյ Տանմ առ Ցյունուն. տացու ցոյց ացիւյ, Հաւեա ցուլուն ցամունարու, հոմ հյեմա Ցյունունու ցամունուց ացիւյ. հյեմու ճասաթունու Տայուլու գուցունու. ոմաս կուց հիենուն ծալանաս, մամանունու ցայրութուցաս հացուր ծեցազո. մյ պալու ցար և Շենունուս մուցեմաց ցոյց ցամունուց. ամ „առ ցացեց- ցամ“ ճայցակցացունու հյեմու տացու. Վինաալմդյցոնձա ոմ սիրալու մոնցունու ցամու մանուց ցամութոյ, Շեն հոմ Տեցա աժմունութ Վարմոցուցունո. ցա- մութունու ցոնդու ու Հաւոմ հունունու. պայլացուրունու Հաւոմ եար տանաեմա. պայլա- ցուրու մյ առ մոմթունու հյեմու և Շեն Հաւոմ մոցթունու. Սահյեսս ցաթու- ցու, հոմ մոցտատօնուրունու, այտո Տայմեթյ մոտատօնուրունու Հաւո Շե- մլունու տացարա, Վինաալմդյցոնձաս առ ցամութուց. Հալցան Շեն ցոյցարս ոտեռցու մեթունու. յսաս Տայմե? Տուուլությ մեթաւ ցոյցարու և սիրալու մուսուլունու հյենու Տուուլունու տացարտան, ճականուս տարցամեստան, նոցցիս մանուց ցրտուն. մյու ճամունարունու և ցամունունու. արա, ոլոնճ հյեմունու առ ցրտունունունունու և մուլունունու. ամ „առ Ցյունունունու“ ճա- մանունու մաս. ու Վինաալմդյցոնձու, կուլունու, հիենունու պարու ցրաց.

ოჯახებს, იცოდე შენ. ასე მგონია მორჩილი და ქმარზე შეყვარებული ცოლის როლს თამაშობდა. მე მისი სიყვარულისაც არ მჯეროდა. იუ ადამიანს თავისთვი არ უყვარს, იგი სხვის შეყვარებას ვერ შესძლებს. ასე მგონია მე, ერთი ავი სიტყვა არ დაცდენია-მეთქი ხომ გითხარი, ისე გედვიტანა აი უშველებელი დარდი. არა და ხომ ვიცოდი, ჩემზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე არავინ ყავდა... მე კი სხვა მიყვარდა, ამიტომ არ გამტყუნებ, შვილო, მეორე ქალით რომ მოხვედი. რაც უნდა ეწყინოს ჩემს ძმისშვილს, მაინც უნდა მიგიღოთ თორემ თქვენი დაშორება ახლა სიკვდილს უდრის...,

8 ოქტომბერი, 1995 წ.

შადონა პურავები

* * *

ჩემი ცხოვრება უღრანი ტყეა,
 გულს ნისლებივით შემოჭდობილი.
 მქევეყნიური ცხოვრების ტყვე ვარ
 და მისჯილი მაქვს უღვთო დუმილი.
 ჩემი ცხოვრება პიტალო კლდეა,
 ზეატყორცნილი და ალმართული
 და სიბ ქვასავით უდრეკი არი
 სული წმინდა და სული ქართული.
 ჩემი ცხოვრება უფრთო ჩიტია
 ცას მოკლებული ლალი ფრიალით,
 მე სულ სხვაგვარი მსურდა სიცოცხლე
 და სხვანაირი შემხვდა ტიალი.
 ჩემი ცხოვრება უფოთლო ხეა,
 ჩემი ცხოვრება მდორე წყალია,
 ღმერომა სუყველას გადმოუხედა,
 ჩემთვის კი ჯერაც არა სცალია.

* * *

ნეტა ზღაპარში ვცხოვრობდე,
 საღაც ბოროტი გმობილა.
 სად მიზანს აღწევს ბოლომდე
 ობოლი დედიშობილა.
 ნეტა ზღაპარში ვცხოვრობდე,
 უკეთესს რას ვინატრებდი:
 ზრდეს მოვტაცებდი კაშკაშს და
 სავალ გზას გავინათებდი.
 მინდვრად დავქრეფდი სიყვარულს,
 ბნელს მივუზღავდი ბოლომდე,
 ბოროტს დასძლევდა კეთილი...
 ნეტა ზღაპარში ვცხოვრობდე.

ადრე მორუა

დაბრუნება

რასაც ახლა მოგითხობთ, სრული სიმართლეა. იგი 1945 წელს მოხდა საფრანგეთის ერთ პატარა სოფელში, რომელსაც პირობით ად შარდეილი ვუწოდეთ. მის ნამდვილ სახელს, მიზეზთა და მიზეზთა გამო, აქ არ ვასხენებთ.

ამბავი დაიწყო მატარებელში, რომლის ათსაწილიან კუპეში თორმეტიოდე ფრანგ ტყვეს მოეყარა თავი. ისინი გერმანიიდან ბრუნდებოდნენ. შეტისმეტად გადაქანცულთ სივიწროვე აწუხებდათ, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობდნენ. იცოდნენ, რომ ხუთი წლის განშორების შემდეგ ისევ იხილავდნენ თავიანთ სამშობლოს, საკუთარ კერასა და ოჯახს.

ფიქრის საგანი ყველასათვის ქალი იყო. ერთნი რომ მასზე ამყარებდნენ მთელ იმედებს, შფოთავდნენ ამ დროს მოორენი, იქნებ სასურველ ვინმეს გადაეყარა და დღეს იმის ერთგულია, ან მარტო არჩია და დარჩა კი ერთგული ამ სიმარტოვისას? იქნებ შეიძლებოდეს ცხოვრების კვლავ დაწყება? ვისაც შვილები ჰყავს, ეს პრობლემა შეიძლება ნაკლებად აწუხებდეს.

ვაგონის კუთხეში ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი კაცი იჯდა, თავისი ეშხითა და ლაზათით იგი ესპანელს უფრო ჩამოჰვადა, ვადრე — ფრანგს. იგი რენო ლეიმარი გახლდათ, შარდეილის მკვიდრი, პერიგორიის მხარიდან.

მატარებელი ღამის წყვდიადში მიქეროდა და როცა დროგამო-შვებით ორთქლმავლის საყვირის ხმა ბორბლების მონოტონურ ხმას ერითმებოდა, რენოც იწყებდა მძღლაათს თავის მეზობელთან.

— სატერინ, შენ კოლიანი ხარ?

— მე? რა ოქმა უნდა, ომამდე, ორი წლით ადრე დავოჩახდი. უკეთ თუ ბიჭი მყავს. ჩემს მეულლეს მართა ჰქვია. გინდა განახო?

სატერინი ტანდაბალი, მხიარული კაცია. სახე ნაჭრილობებით აქვს დაფარული, მან გულის ჯიბილი ხმარებიდან გამოსული, კარგა გაცვეთილი, გაქონილი საფულე ამოაცოცა, იქიდან თითქმის დაფლეთილი სურათი ამოილო და ამიყად გაუწოდა რენოს.

— რა ლამაზია, ლმერთო ჩემო, — შენიშნა ლეიმარმა, — კა-



მაგრამ, რომ დაბრუნდები, არ გეშინია?!

— სიხარულისაგან ლამის გვავრუდე და მეშინოდეს! რატომ უნდა ვიყო შეშფოთებული?

— იმიტომ, რომ ასე ლამაზია. მარტოდ იყო და... ქვეყნად კი იცი, რამდენი კაცია?

— ერთი შენც! არ გამაცინე?! მართასთვის ხომ სხვა მამაკაცი არც არსებულა! ჩვენ ყოველთვის ბედნიერები ვიყავით ერთად ყოფნის დროს. მე რომ ის წერილები წაგიკითხო, რაც ამ ხუთი წლის განმავლობაში მიმიღია მისგან...

— წერილები! მერე რა? ეს ხომ არაფერზეც არ მეტყველებს! მეც ვლებულობდი შინაარსიან წერილებს, მაგრამ ვარ კი მოსვენებული?

— როგორ, განა იმისი არა გჯერა?

— როგორ არა! ყოველ შემთხვევაში იმისი უფრო მჯერა, ვიდა რე სხვებისა. წარმოიღვინეთ და ექვსი წლის დაქორწინებულები ერთხელაც არ წავკინკლავებულვართ...

— მაშ, რა გადარდებს?

— აბა, რა გითხრა, ძმაო, ადამიანსაც გააჩნია! მე იმათი ჭურისა უფრო ვარ, ვისაც ბედნიერებისა არ გერა. მეც სულ იმაზე ვფრქნობდი, ელენს ჩემზე უკეთესი შეეფერება-თქო. ლამაზი და ჭკვიანია, თანაც — ვანათლებული, ამასთან ხელმარჯვეც! რა არ გამოსდის! საქმარისია ხელი შეავლოს ქსოვილს და ლამაზ სამოსად აქცევს. ფაცხაც კი, მისი მილაგებული, სამოთხეს ემსგავსება. ომის დროს მგონი, ჩვენს მხარეს ბევრი ლტოლვილი მოაწყდა. თუ არ ვდები, მათ შორის უცხოელი მექავშირებიც იყვნენ. დაუჯერებულია, სოფლის მზეთუნახავი არც ერთს არ მოსვლოდა თვალში.

— და მაინც უყვარხარ!

— კი, მეგობარო! მაგრამ, აბა, წარმოიღვინე, ხუთი წელი სულ მარტოდმარტო ყოფილა, საიდანლაც შემოხეტებული.. ახლობელიც არავინ ჰყოლია აქ... ამიტომაც, ვფიქრობ, ცდუნებას უფრო უნდა პეკოლოდა, ვიდრე...

— იცი, რას გეტყვი? ნუ მაცინებ, თუ ღმერთი გწამს! საღად ვერ უნდა აზროვნებდე მგონია. პო, ვთქვათ და იყო რაღაც, მერე და ცვლის კი ეს რამეს? თუკი აღარც ახსოვს იგი და მხოლოდ შენ გაღმერთებს? ყური დამიგდე — აი, ჩემთვის რომ ეთქვათ, მართაო... კარგი — ვეტყოდი, ამაზე მეტი აღარ გამაგონოთ, ცოლია იგი ჩემი მოგეხსენებათ, ომის შემდეგ ვკელაფერს თავიდან ვიწყებთ...

— არა და არა! მე ასე არ შემიძლია! — თქვა ლეიმარმა, — ის-ეთი რამ რომ გავიგო...



— მაინც რას იზამდი? მოკლავდი? ხომ არ შეიშალე? — არაფერსაც არ დავუშავებდი. არც კუსაყვედურებდი! დაგუშავებდი ფულს, სახლს, თვითონ კი გამოვიცვლიდი სახელს, ვიკლიდი და ვიცხოვრებდი ისე, ჩემთვის. მე არაფერი მჭირდება, ხელობითაც იოლად გავიტან თავს, ცხოვრებას სულ სხვანაირად ავიწყობდი. შეიძლება ეს, სისულელედაც კი მოგეჩვენოს შენ, მაგრამ რა ვქნა, სხვანაირადაც რომ არ შემიძლია?! ან — ყველაფერი, ან — არაფერი...,

ორთქლმავალმა მოაყვირა. ლიანდაგები აქრიალდა და საღგურში შემოსული ორივე მამაკაცი გაყუჩდა.

შარდეილის მერი სოფლის დამფუძნებელი გახლდათ. ეს, ერთობ მშობლიური, გულისხმიერი და კეთილგონიერი კაცი ზრუნვას არ აკლებდა თანასოფლელებს. ერთ დილის, როცა სამინისტროდან ცნობა მიიღო, ოცი აგვისტოსათვის რენო ლეიმარი ბრუნდება, და სამხრეთ-დასავლეთის მატარებელს მოჰყვებაო, გადაწყვიტა და უყოვნებლივ ეცნობებინა ეს სასიხარულო ამბავი მისი მეუღლისათვის.

ელენ ლეიმარი მერმა ბალში ნახა, ამისთანა ბალს მთელ სოფელში მეორეს ვერსად ნახავდით. მართლაც მშვენიერი რამ იყო იგი თავისი ვარდებით, ბალის კარებს სურისავით. რომ შემოხვეოდა ორივე მხრიდან.

— ქალბატონო ელენ! მე კარგად მესმის, რომ ოქვენ იმ ქალებს არ ეკუთვნით, ვისაც გაფრთხილება სჭირდებათ, ბრუნდება ოქვენი ქმარი და თადარიგი წინასწარ უნდა დაიჭიროთ, რათა მოსალოდნელი საფრთხე აიცილოთ, თუმცა არა! პირიქით — ოქვენი ქცევით, ოქვენი თავდაჭერილობით აღტაცებულია ყველა! მოლაყბე ქალებმაც კი, რომელთათვისაც სხვათა და სხვათა გაკილვა ჩვეულებრივი ამბავია, ვერაფერი გიბოვეს ხელმოსაჭიდი.

— ასეთები, ბატონო მერო, მაინც გაგილავენ. — უბასუხა ელენმა და გაიღიმა.

— მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ოქვენ. მათ ფარ-ხმალი დააყრევინეთ. რომ გამეხარებინეთ, იმისათვის მოვედი! გარწმუნებთ, თავადაც მიხარია ოქვენი მეუღლის დაბრუნება და საყადრისი შეხვედრაც უნდა მოვუწყოთ. ოქვენც, ისევე როგორც ყოველი ჩვენგანი, არა ხართ განებივრებული ნუგბარ-ნუგბარი კერძებეთ, მაგრამ ასეთი შემთხვევისათვის შეგვიძლია გამონაკლისი დავუშვათ და...

— გმადლობთ, ბატონო მერო.., მეც ასე ვფიქრობ, ოქვენი აზრით აქ რომელ საათზე უნდა იყოს?



— მატარებელი 23 საათზე პარიზს დატოვებსო, მინისტრმა მუკინი გადასცემის შესახებ უკიდურეს საფურულები საერთოდ ნელა. მოძრაობები. იგი ჯერ ტრანსიტის გვეს სადგურში ჩამოდგება, შემდეგ ოთხი კილომეტრი ფეხით მოუ-შევს გამოვლა თქვენს მეუღლეს. არა მკონია შუადღემდე მოაღ-წიოს ჩვენამდე...

— ბატონო მერო... სახელდახელო სუფრაზე, გამიგებთ, ალ-ბათ, რატომ არ გეპატუებით. ყურადღებისათვის კი დიდი მადლობა მომისხენებია.

— ჩვენს სოფელში თქვენ ყველა პატივს გცემს, ქალბატონო ლეიმარ! მართალია, აქაური არა ხართ, მაგრამ ღვიძლივით მიგილეს.

20 აგვისტოს დილის ექვს საათზე ელენ ლეიმარი ფეხზე იდგა უკვე. სულაც არ უძინია წუხელ. წინა დღით ხომ მთელი სახლი დაალაგა, იატაკი გააპრიალა, ახლით შეცვალა ფარდების გაცვეთი-ლი არშიები, შერე მარსიალს მიაკითხა—სოფლის დალაქს და თმები დაახვევინა. თავი ბადით შეაკვრევინა, შემდეგ საკუთარი გარდერობი გადასინჯა და თვალი შეუჩერდა აბრეშუმის კაბაზე, რომელიც მარტონბის ჟამს ერთხელაც არ ჩაეცვა. ადრე თეთრ-ცისფერი ბრწყვიილა ზოლებით გაწყობილი კაბა მოსწონდა. მოსინჯა კიდეც, მაგრამ გამხდარ ტან्कები კაბა სულაც არ მოადგა. იქნებ მისივე შეკერილი შავი კაბა მოირგოს, ქამარი და საყელო კი უსათუოდ ფერადი ნაწრებით გააწყოს.

ელენ ლეიმარმა საუზმის მომზადებამდე გაიხსენა, თუ რა უცვარდა რენოს ყველაზე მეტად. მოგეხსენებათ, 1945 წლის საფრან-გერში როგორ ჭირდა ცხოვრება... პო, მართლა, შოკოლადის ჩაროზისათვის ხომ სულს ლევდა მისი ქმარი, მაგრამ, საღ იშოვოს საბეღნიეროდ საქათმეში რადგენიმე კვერცხი იპოვა, ადრე რენო კიდევაც იკვეხნიდა, ტაფამშვარს ჩემს მეუღლესავით სხვა ვერავინ მოამზადებსო. ახალი ხორციც უყვარდა საქონლისა და მოთუშულ ვაშლზეც არ იტყოდა უარს... სოფლის ყასაბს კი ორი დღეა ფარ-დული, არ გაელო და ელენმა წინა დღით დაკლული წიწილი შე-წვა: ერთმა მეზობლის ჭალმა დაიჩემა, მახლობელ სოფელში ბაყა-ლი შოკოლადის ნამალივად ყიდისო და ელენიც გაეშურა მის საძებ-ნელად.

„რვა საათზე რომ გავიდე, ცხრისათვის უეჭველად ვიქნები შინ. წასვლამდე ისე მოვამზადებ ყველაფერს, როცა დავბრუნდები, საქ-მე მხოლოდ სამზარეულოში მექნეს“, —ფიქრობდა ელენი. კი დელ-ავდა, მაგრამ ხალისიანად გამოიყურებოდა მაინც.

მშვენიერი დარი იდგა ხეობაში. ასე მზიანი დღე აქ აღარც ას-სოვთ. ელენი მხიარულად შეუდგა სუფრის გაშლის. პირველ სა-



დილიშეც ხომ ეს წითელი, თეთრი, კუბოკრული სუტრანებრინათ, ვარდისფერი თეთრშებით გაწყობილი, რომელთა მოხატულობა რენტს, მშვენიერ განწყობაზე აყენებდა, ერთი ბოთლი შუშხუნაც და განსაკუთრებით ყვავილები! რარივ უყვარდა ყვავილები მაგიდაზე. იმასაც იტყოდა, ელენზე უკეთ ყვავილებს ვერავინ შეარჩევსო.

ელენშა ღილილოების, ზიზილოებისა და ყაყაჩოებისაგან შეკრულ სამფეროვან თაიგულს რამდენიმე შვრის თავთავიც გაურია. სანაც გარეთ გამოვიდოდა, ველოსიპედს დაყრდნობილმა, დიდხანს უცქირა ჩინებულიდ მორთულ პატარა სასტუმრო ოთახს, რენო, ულბათ, ვანციფრებულიც კი დარჩება, ამდენი უბედურების შემდეგ სახლიც და მეუღლეც თოთქმის ასე შეუცვლელი რომ დახვდება, ლია ფანჯრიდან სარკეში ოდნავ გამხდარ თვის ორეულს ჰკიდა თვალი, ოღონდაც რანაირი თეთრი და ქათქათა და რა ნორჩად გამოიყება! ძეველმა, უკვე თოთქმის მივიწყებულმა გრძნობამ მოიცა მოელი მისი არსება. მოსალოდნელი ბედნიერებისაგან ლამის შეუქანდეს გული.

— წასკვლის დროა! — მოჭრა უეცრად, — უნდა წავიდე, რომელი საათია ნეტავ? ცხრა საათი გამხდარა! ვერც ვიფიქრებდი, ამდენ ხანს თუ მოვუნდებოდი ყოველივე ამას. თუმცა მერმა ხომ თქვა, მატარებელი შუადღემდე მაინც ვერ ჩამოვაო. არაუშავს, მანამდე ყველაფერს მოვასწრებ...

ლეიმარების პატარა სახლი ვანცალკევებით იდგა სოფლის ბოლოში. ამიტომ არავის შეუმჩნევია, როგორ შეიძარა ბალში გამხდარი, მღელვარე თვალებიანი გარისკაცი. იგი წამით შედგა და სინათლისა და ბედნერებისაგან თავბრუ დაესხა.

ყვავილების სურნელებით დამთვრალმა ფუტკრების ზუზუნს დაუგდო ყური, შემდეგ კი წყნარად გასძახა ელენს.

ხმა არავინ გასცა. რამდენჯერმე კიდევ დაიძახა, — ჰაუ, ელენ!

დუმილმა შეაკრთო — ახლოს. მივიდა სახლთან და ფანჯრიდან თვალი მოჰკრა სუფრას, რომელიც ორი ადამიანისათვის გაეწყოთ, მაგიდაზე იღვა ერთი ბოთლი შუშხუნა და ყვავილები. თითქმის გულზე რაღაც მოხვდაო, მძიმედ მიეყრდნო კედელს. „ლმერთო ჩემი“, — გაიფიქრა: „იგი მარტო არ ცხოვრობს“.

ერთი საათის შემდეგ, როცა ელენი შინ მარტო დაბრუნდა, მეზობლის ქალმა გამოსძახა:

— მე ღავინახე თქვენი რენო! იგი გარბოდა, დაუძახე. მაგრამ არც მობრუნებულა!

— გარბოდა? საიო? — შეცდა ელენი.

— ტივისაკენ!

შეცდუნებული ელენი შერთან გაჩნდა. ამ უკანასკნელმა არა-
ფერი იცოდა.

— ვშიშობ, ძალიან ვშიშობ, ბატონო მერო! რენოს, მართალია,
პირქში შესახედავია, მაგრამ ისეთი სათუთი გული აქვს, რომ..
თანაც ეჭვიანია. მან დაინახა ორისათვის გაწყობილი სუფრა და
არც დაფიქრებულა, რომ ეს მეორე მისთვის იყო გათვალისწინებუ-
ლი, რომ მე მხოლოდ მას ველოდი. ახლავე უნდა მოიძებნოს, ბატ-
ონო მერო, რომ არ დაბრუნდეს, რაღა მეშველება?! რომ იცოდეთ,
როგორ მიყვარს..,

მერმა ველოსიპედი აფრინა ტივიეს სადგურში, ფეხზე დააყენა
კანდარმები, მაგრამ — ამაოდ. რენო ლეიმარი, თითქოს მიწამ ჩაყ-
ლაბაო, ვერსად ნახეს. ელენმა მთელი ღამე მაგიდასთან გაათენა,
ყვავილებს უკვე ჰქონდა შეპპარვოდა.

გავიდა ერთი დღე, შემდეგ — ერთი კვირა, შემდეგ — ერთი
თვე.

უკვე ორი წელი სრულდება იმ საბედისწერო დღიდან, ელენს
თავის ქმარზე აღარაცერი სმენია. მე, ამ ამბავს იმ იმედით ვწერ,
რომ იქნებ როგორმე მივაწვდინო ხმა რენო ლეიმარს, რათა დაუ-
ბრუნდეს თავის ოჯახს.

ფრანგულიდან თარგმნა
ნანა ახალაშვილ



ოძროს ნამცევი

ზღაპარი

მას შემდეგ, ალბათ, ათასი წელი გავიდა. მოქვეყანას, ... სადაც ჩუვაშების წინაპრები ცხოვრობდნენ, უცხოელი ელჩები ეწვივნენ. მეფემ ისინი ჩუვაშებთან მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად გავზავნა.

ჩუვაშები ოდითგანვე გამოიჩეოდნენ შრომისმოყვარეობითა და სიბრძნით. მათ ქვეყანას ბევრი ეპოტინებოდა. იზიდავდათ დადებული ვოლგა და მშვიდი კამა, ძველი ბაღნარები და ჭალები, მხრებგაშლილი ქოჩორა ცაცხვები, ცხოველმყოფელი მზე და ლაჟუარდისფერი ცა. სიბლავდათ ნაზი, ვულშიჩამწვდომი ენა, მშენივრად ნაქარგი ნაყში, განუმეორებელი მელოდიური სიმღერები თვით ლელის ფოთლები ტბის პირს და ისლის ლეროები. ჭალაში ჩუვაშებს აგონებდათ აბრეშუმის ქათქათა რბილ საწოლს. მშობლიურ ველებზე გაშლილი ბაღები მათ ყველაზე მწვანე ეგონათ; მშობლიური ცა ყველაზე ლაჟვარდოვანი, მზე კი ოქროს ბურთი, მათ არც ეგულებოდათ ქვეყნად ვოლგაზე ფართო მდინარე, მასზე ლრმა და ლამაზი... მათვის ვოლგა იყო — მდინარე უსაწყისო და უსასრულო, უკიდეგანო ზღვა და ოკეანე.

მშობლიურ კუთხესა და ქუჩებზე, მშობლიურ ველებსა და მინდვრებზე, მშობლიურ ულრან ტყეებსა და ხავერდოვან ბორცვებზე, მშობლიურ მდინარეებსა და ტბებზე ლამაზი ჩუვაშებისთვის ამ ქვეყნად არაფერი მოიპოვებოდა.

ელჩი თავისი ამაღლით ბევრს მოგზაურობდა ჩუვაშების მიწაზე, კუთხიდან—კუთხეში, აქეთ-იქით, ჩრდილოეთიდან—სამხრეთში, აღმოსავლეთიდან—დასავლეთში, ბევრჯერ შეჩერებულა ბორცვებზე, მდინარეთა ნაპირებზე, სოფლებში, ათასწლოვან მუხნარში, რაც წმინდა სავანედ ითვლებოდა ჩუვაშებისათვის. მათ არ იცოდნენ სხვა მღეროები, გარდა მზისა და ვარსკვლავებისა, ცისა და პაერისა, ჩიტებისა და ყვავილებისა, ბალახებისა და ფუტკრებისა...

ყველაზე უკაცური ადგილებიც კი მოიარეს მოგზაურებმა. რასაც ნახავდნენ, ტილოზე დახატავდნენ, აბრეშუმზე ამოქარგავლენაა ნაყშით, რაც მოეწონებოდათ, გადაიღებდნენ მრავალფეროვან ტყავ-

უ, რაც დააინტერესებდათ, ჩაიწერდნენ პერგამენტზე.

სტუმრებს ეხმარებოდნენ მოხერხებული მსახურები, დაუღალა-
ვი და მამაცი გამცილებლები.

ჩუკაშებს დიდი ხანია დაავიწყდათ თავიანთი მეფე, მაგრამ უც-
ხოელა სტუმრებისა და მათი გამყოლების სახელები კი ჯერ კიდევ
ასოვდათ.


მსახურები და გამყოლები მოგზაურობის დამთავრებისთანავე
შეფეს ჟოუელთვის მოახსენებდნენ ხოლმე:

— უცხოელი სტუმრები ძალიან აქებენ ვოლგას, იხიბლებიან
შინი სილამაზით, სიდიდით, მისი მრავალნაირი თევზის სიუხვით.
იხიბლებიან ტყეებისა და ჭალების სიმდიდრით, ახალგაზრდა ქალ-
წულთა სიმღერებს იწერენ — იწერენ სიტყვებს, მელოდიებს, იღე-
ბენ მოქარულ ნაყშს. მოხუცთა ნამბობიდან იმახსოვრებენ ანდა-
ზებსა და ანდაზურ გამონათქვამებს, გამოცანებსა და ზღაპრებს.
ისინი მოხუცებს დასდევენ საველე ლოცვებზე, ქალებისაგან ყიდუ-
ლიაბენ ძველ სურბანებს და იქვე უხდიან თითო ოქროს, უწონებენ
უმანკოებისა და უბიწოების შენახვის წესებს, აღტაცებული არიან
მათი გულტერფელობითა და კეთილშობილებით.

მეტე ჩაფიქრდა და უცხოელი სტუმრების მიპატიუება გადაწყ-
ვიტა. ისინი, უმალვე ეახლნენ. მეფემ გულითადად მიიღო, სიკეთე
უსურვა და ლირსეულად გაუმასპინძლდა. მაგიდაზე მყისვე გაჩნდა
შირტენი, ტულდრამიში, ივერჩე, მეფემ უბრძანა თავის მსახურებს,
რომ სტუმრებისათვის შვიდნაირი ხორცის, შვიდნაირი მწვანილისა
და შვიდნაირი წყაროს წყლისაგან სალმა იაშკი. დაემზადებინათ.
შემდეგ ოვითონ განმარტა, რომ სალმა იაშკი სალამ იაშკის, ანუ
მისასალმებელ წვნიანს ნიშნავსო, მაგიდა სხვადასხვა სასმელებით
გაიცსო. აქ რყო სიმპილი, ლუდი „იურაი“, მაკსამა. მაგიდას მხოლ-
ოდ ჩიტის რძე თუ აკლდა. მეფე ურიგებდა სტუმრებს სხვადასხვა
საჩქარს — თვალმარგალიტს, ძოშს, საფირონს, ყოველგვარ მძი-
ვებს. ქალიშვილების გულგასახარად, და ვერცხლის ჭურჭელს ცო-
ლების. საამაყოდ, თითო ტომარა ივადს ბავშვების საამაყოდ.

სტუმრები წასასვლელად მოემზადნენ. ისინი ვოლგის დინებით
უნდა გამგზვრებულიყვნენ. კიბის მოაგირზე დაყრდნობით დიდ ნა-
ვში სხდებოდნენ. ვერც კი მოასწრეს ჩასხდომა, რომ მათ სთხოვეს
ცოტა ხნით შეჩერებულიყვნენ. სტუმრები განცვიფრდნენ. ვერც კი
მიხვდნენ რა უნდოდათ მასპინძლებს, მაინც მიპყვნენ კიბის საფე-
ხურებს. მასპინძლები მოკრძალებით სთხოვენ ფეხი არ გადადგან
ქედან.

მეფეს ერთგული მსახურები მაშიებს ხდიან სტუმრებს. მიწე-



პებულ ტალახს ფრჩხილებით აცლიან, აცლიან ბალახ-ბულახს. ბერ-
ტყავენ და ფერთხავენ მაშიებს. ჯიბიდან იღებდნენ აბრეშუმის ნა-
ჭერს, ასუფთავებდნენ მაშიებს ზევიდან, ქვევიდან, გვერდებიდან
და როგორც ძვირფას განძს, ისევ ინახავენ ჯიბეში აბრეშუმის ნა-
ჭერს, მერე კი სუფთა მაშიებს თვითონ აცმევენ ფეხზე უცხოელ
სტუმრებს, რომ არ სწყენოდათ, თითო ტომარა ფულიც აჩუქეს.

— ეს რა ზერჩეულებანი გვინიათ? — ეკითხებოდნენ განცვა-
ლებული სტუმრები. მასპინძლები დარბასილური ღირსებით უპა-
სუხებენ:

— თქვენ უკვე გაეცანით ჩვენს მშვენიერ ქვეყანას. ჩვენთვის
დედმიწის ზურგზე მასზე ლამაზი არაფერია, არც არაფერია მასზე
ძვირფასი. მშობლიური მიწა დედის მკერდია ჩვენთვის, მის ველ-
შინდვრებზეა გაშლილი პურის ყანები, ბრინჯი, ბარდა ბეჭუნივით
გისაწრაფვის ცისაკენ... ტყეებში ათასწლოვანი ბეჭებგანიერი ცაცხ-
ვები მოუთხრობენ ერთმანეთს თავიანთ საიდუმლოებას. ცაცხის
ჭიალას მზის ამოსვლისთანავე აღვიძებს ფუტკრის სიმღერა..

ჭიავის ტოტებზე ჩვენი აკვნები ჰკიდია, ტკბილ იავნანას ვუმ-
ლერით ბაფშებს. ათასწლოვანი მუხის ფიცრებით ვაკეთებთ კუბო-
ებს და მოქარგულ სურბანებში გახვეულებს ვმარხავთ ბებიებს. ჭი-
რისუფლები მიცვალებულთან საუბრისას სულიერ სიმშვიდეს ჩვენს
ლამაზ, ხელიხელსაგოგმანებელ ენაში პოულობენ, რომელიც მერც-
ხლის ჭიჭიქს ჰგავს, წვეულებებსა და ქორწილებზე გაისმის ჩვენი
საოცარი სიმღერა, რომელიც სულიერად გვმაღლებს...

როცა დავიღლებით, ამ მიწაზე ვწევებით სულის მოსათქმელად,
ამ მიწის ველ-მინდვრებზე ბალახობს ჩვენი ნახირი.

ჩვენი წინაპრების, ჩვენს მამა-პაპათა ნაკვალევზე ველ-მინდვ-
რებსა და მუხნარებზე დროებითი თუ მუდმივი ბილიკებით სიარ-
ულის წყალობით გაჩნდა ვიწრო და ფართო გზები. ეს გზები უკვ-
დავია, ეამთა სვლამ ისინი სვე-ბედის გზად აქცია.

მშობლიური მიწა ჩვენი ღვიძლი მამაც, მზრუნველი ღეღაც და
მფარველი ძმაცა. იგი უმანქო და წმინდაა. მისი ნამცეციც ძვირფა-
სია ჩვენთვის, ტალახიც ტკბილია, მისი ქვიშა ოქროა, მშრალი ქვები
კი—ვერცხლი. მიგილეთ დიდი პატივით, არ დავიშურეთ თქვენთვის
არაფერი, მაგრამ მშობლიურ მიწაზე ძვირფასი არაფერია ჩვენთვის
და ამიტომაც თან ვერ გაგატანთ მის თუნდაც ერთ უხილავ ნამ-
ცეცს. ახლა კი თქვენი მაშიები სუფთაა, როგორც ჩვენი სინდისი.
გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას. დაე, თქვენი გზა-
სავალი მუდამ სწორი და უეკლო ყოფილიყოს, ცა კი მუდამ ულ-
რუბლო.

პომიდის ინტელექტუალური სამყარო

ქართული პოეზია მდიდარია ვერსიფიკით, მისი პოეტიკა იცნობს მსოფლიო პოეზიის უმთავრეს მონაპოვარს და თავადაკვემნის ეროვნული ნიშნით შეჯერებულ თვალ-მარგალიტებს. ამჯერ ად მხედველობაში ქართული სონეტი გვაქვს.

სონეტი ლირიკული ნაწარმოებია, თოთხმეტი ტაქტისაგან შემდგარი მყარი სალექსო ფორმა. იგი ორ ნაწილად იყოფა: პირველ ნაწილში ორი ოთხტაეპედია (კატრენები), მეორეში კი — ორი სამ-ტაეპედი (ტრილები). კლასიკური სონეტის ნიმუშებში მკარრადა განსაზღვრული რიტმი და რითმი, შერითმვის სისტემა და მარცვალთა რაოდენობა ტაქტში. ამ სიმყარემ იმ ზომამდეც კი მდარწია, რომ ზოგჯერ მმბოძენ კიდეც: ლექსი ითხვება, სონეტი კეთდება.

მიუხედავად ამისა, მაინც გაჩნდა ქართული სონეტი. ქართული სონეტი, როგორც საზოგადოდ ქართული ლექსი, მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, ტაქტში გვაძლევს იშვიათ მრავალფეროვნებას ლექსთწყობისას, რომელსაც, როგორც პროფესორი სიმონ გაჩეჩილა შენიშვნას, სხვა ხალხთა ლექსთწყობაში მას ბადალი არა ჰყავს. სონეტის ცნობილი მკვლევრი გვივი მიქაელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართულში ზოგჯერ დაცული არ არის სონეტის აუცილებელი კანონები. ქართველი პოეტები ყოველთვის ზუსტად როდი იცავენ სონეტის დაკანონებულ ფორმას. აქედან წარმოსდგება ქართული სონეტის მრავალნაირობაც“ (გ. მიქაელ — ნარკვევი ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბილისი, 1974 წ. გვ. 127).

მსოფლიო ლიტერატურაში სონეტის ცნობილი ოსტატება არიან დანტე, პეტრარკა, შექსბირი, პუშკინი.

ქართულ პოეზიაში სონეტი მაინც მე-19 საუკუნეში იყიდებს ფეხს, მაგრამ ჩვენში ამ ფორმის კლასიკური ნიმუშის დამამკვიდრებლად კოტე მაყაშვილი ითვლება. შემდგომ სონეტებს წერდნენ ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იშვილი, იოსებ გრიშაშვილი.



შედარებით ვრცელი განმარტება სონეტის შესახებ უკავშირდება მიქაძეს ნაშრომებში „ქართული სონეტისათვის“ და „იუკუმულებრი გარშემო“. სონეტი გამოირჩევა თავისი შეკუმშულობით: მისი ყოველი სტროფი დასრულებული უნდა იყოს აზრობრივად, კატრენები ერთი მეორისაგან უნდა იყოს გამიჯნული, როგორც ჭინაარსობრივად, ისე — სინტაქსურად. სონეტის პირველ კატრენში მოცემული ესა თუ ის თემა, რომელიც ვითარდება მეორე კატრენში. პირველ ტერცეტში იწყება კვანძის გახსნა, რაც საბოლოოდ ხორციელდება ბოლო ტერცეტში. უნდა ვითიქროთ, რომ სონეტის სწორედ ეს მკაცრად მოწესრიგებული სტრუქტურული აღნაგობა პოეტს აძლევს: საშუალებას დრამატული სიმძაფრე მიანიჭოს პოეტურ სიტყვას, რომლის თემაც ღრმა შინაარსობრივ დატვირთვას იძენს. ოვითონ ფორმა დრამატიზმით გამსცვალული თემების პოეტიზირების საშუალებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პოლემიკური ტონი. სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ უურნალ „ჭოროხის“ 1992 წლის № 4-5-ში დაბეჭდილ შოთა ზოიძის „უსანქციო სონეტებს“. პოეტი კვლავც განავრძობს სონეტების ახალი ციკლის დამუშავებას.

„უსანქციო სონეტები“ საპროტესტო სულისკვეთების მატარებელი ლიტიკული ნაწარმოებია, რომლის თემაა პოეტისათვის მიუღებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური პრინციპების მხილება.

მიუღებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური პრინციპების მხილება გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ამიტომ როგორც Pro domo sua ისე ყდერს 30-ე სონეტი და იგი კარგად გვიხსავს პოეტი—პატრიოტის, პოეტი—მოქალაქის ეროვნულ სულისკვეთებას:

„დგას უსანქციო სონეტების ჯერი და რიგი,
სიტყვა სიტყვაში ჯდება როგორც ტყვია ტყვიაში.
იქნება მალე შემიტანონ მეც შავ სიაში,
მე უკვე ვხედავ ამისათვის მზად არის იგი.

შავი ყორანი რად აფეთქებს სამოთხის ჩიტებს,
ვინ აუკრძალოს ნიავს ქროლა, ბულბულს გალობა?!
გვაქვს საქართველოს ღვთისმშობელის დიდი წყალობა,
მოწყვალე გული უსასრულო სამყაროს იტევს.

მე თუ აღმანთებს ისევ ჩემი წილი აღმართი,
აზრი არა აქვს (თუ არაფერს აღარ აღმერთებ),



სიცოცხლეს შენსას, ყველაფერი ჩალის ფასია.

კაცი, რომელიც თავს მოიყლავს სიკვდილის შიშით, უკრთაფული
ვეღარ იქნება ჩენი მოდგმა და ჩენი ჯიში.

სიკვდილის შაში ვერ ეწყობა ქართულ ხასიათს.“

„უსანქციო სონეტები“ იყითხება როგორც პოემა. მაგალითად,
მას არა აქვს ტრადიციული სიუჟეტი, მაგრამ აქვს თემა. პირველი
სონეტი პოეტის ესთეტიკური მტრაშისია და ორიენტაციის გარკვევ-
ას ეძღვნება. მა თვალსაზრისით პირველი და მეორე სონეტი შე-
სავალს წარმოადგენს, რომელშიც სწორედ რომ ორიენტაცია გან-
საზღვრული. პოეტი ეროვნული ცივილიზაციის წიაღიდან გამომ-
დინარე მემკვიდრეობას ყყრდნობა. სწორედ ხალხის წიაღიდან მო-
მდინარე პოეტური შთავონება უნდა მახრდოებდეს პოეტს.

„უსანქციო სონეტებიც“ 80-90-იანი წლების განწყობილების
ანარეკლია. პოეტს ამოძრავებს დიდი იმედი საქართველოს ეროვ-
ნული აღორძინებისა და სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის
დიდი სიკეთისა. ცხადია, მაშინ არავინ არ ლაპარაკობდა მოხალოდ-
ნელი დიდი კრიზისების შესახებ, რადგან ასეთი კრიზისები არ გა-
დატუანიათ სხვა ქვეყნებს, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლო-
ბის გზას აღლახან დაადგნენ, ამიტომ ოპტიმიზმი ჰქობობს მომავ ლ-
ზე ფრთაშლილ ფიქრებში, რაც მეოთხე სონეტის ბოლო ტერ-
ცეტში აღწევს აპოთეოზს:

„განაბულია და ზეიმობს ირგვლივ ყოველი,

სხვა სასწაული მეც არ მინდა და არც მოველი.

ჩემს მამულში ვარ, ჩემს მიწაზე და ჩემს სახლში ვარ“.

ჩენი აზრით პოეტის ეს სტრიქონები 1990 წელს რომ არ შე-
ქმნილიყო, დაიწყერებოდა 1995 წელს. საქმე იმაში გახლავთ, რომ
ის დროებითი კრიზისული მოვლენები, რაც ჩენი ყოფისა და სუ-
ლიერი სამყაროსათვისაა დამახსიათებელი, არც შეიძლება საქარ-
თველოს დამოუკიდებლობაზე მეტი მნიშვნელობისა იყოს.

„ჩემს მამულში ვარ, ჩემს მიწაზე და ჩემს ხალხში ვარ“, —
პოეტის ეს სიტყვები იგივეა, რასაც ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე
საუკუნის ყოველი ქართველის სახელით ათქმევინა თავის ლელ-
ლუნიას.

საზოგადოებაში სამართლიანობა და პიროვნების ღირსებები
რომ იყოს დაცული, პოეტის ჩრდინით თავისუფალი უნდა იყოს სა-
შუობლო, ხოლო როცა უფლებააყრილია ქვეყანა, იქ ყოველთვისაა
მოსალოდნელი ის, რაზეც ასე კარგადაა ნათქვამი 24-ე სონეტში.

„ზოგი ცალტვინა, ზოგი ბეცი, ზოგი პინგვინი, ურთვეული
შემოსილია სხეისი წილი მზით და გვირგვინიშეუდიდესი
გვირგვინით, არა ხელოვნურით, არამედ დაფნის..“

სწორედ უცლებააყრილი ქვეყნის პოეტის გულისტკივილია
გამოხატული 21-ე სონეტში:

„ვიცი სიმართლე ხმალზე უფრო ბასრა ხმალია,
მაგრამ ეს ხმალი ძნელზე ძნელად მოსახმარია.

მინდა სიმართლე ჩვენს გულებში ცეცხლივით ენთოს“.

და მაინც პოეტის საფიცარი თავისუფალი საქართველოა:

„ღმერთო, მომასწარ იმ ჩემს ნანატრ თავისუფლებას,
მე შემიძლია ჩემს თავს მივცე ამის უფლება.

შენთან მოვიდე და ქართულად გელაპარაკო“ —

(სონეტი № 10)

თავისუფალ საქართველოს თავისუფალი და ბეღნიერი ადამია-
ნები აშენებენ. თავისუფალი და ბეღნიერი ადამიანების განზოგად-
ებულ პოეტურ სახეებს ხატავს პოეტი თავის სონეტებში. იციან
მათ თავისუფლების ფასი და სიცოცხლესაც კი ანაცვალებენ თავი-
სუფლებას. ამასთან თავისუფლების მძაფრ შეგრძნებას შოთა ზოი-
ძის სონეტის გმირი ავლენს შემოქმედებით მოღვაწეობაშიც.

„ის ბიჭი მე ვარ, ქალაქი რომ ნახა პირველად,
გზაზე დავკარგე შიში, როგორც უცხო ფრინველი
და შევეჭიდე ცხრათავიან დევებს პირისპირ“ —

(28-ე სონეტი)

„ქართული სონეტის ოეორია იცნობს კოჭილი სონეტის, ნახე-
ვარ-სონეტის, თავნაკლული სონეტის, ბოლონაკლული სონეტის,
ურიოთმო სონეტის, საერთო რიტმის სონეტის პრაქტიკას“ (გიგი მი-
ქაძე „ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან“ — 1974 წ).
მაგრამ არ იცნობს ურიოთმო სონეტის მიზნაზე შექმნილი სონეტის
პრაქტიკას. ასეთ სონეტში მოცემულია დაქტილური რითმის შესაძ-
ლებლობა. მაგრამ შესარითმავ სიტყვებში პირველი ორი მსგავსა
მარცელის შემდეგ მოდის განსხვავებული მარცვლები. ასეთია შო-
თა ზოიძის მე-15 სონეტი. ამ სონეტის კატერენების 1-4, 2-3, 5-8
და 6-7 ტაქტები რადგალური რითმებით არის გაწყობილი, მაგრამ
1-4 და 5-8 ტაქტების ბოლო ხმოვნები არ ემთხვევა ერთმანეთს:
ორლანი—მოვლალე, ყუთი—ნუთუ, სამაგიეროდ 2-3 და 6-7 ტაქტე-
ბი ქალური რითმების ნორმატივით გამოირჩევიან: რიგი-იგი, ტალ-

და-მალლა, მიუხედავად ამისა მე-15 სონეტი ჰლერს როგორც შეკრის
სირით მოწერსრუებული ქმნილება:



„ვნებათა ღელვა აბობოქრდა, როგორც ორლანი
არჩევანს თავის კანონი აქვს, წესი და რიგი,
კანონის იქით იმზირება, ვინ არის იგი,
ან ამ წვრილმანზე ფიქრი ჩემი რატომ მოვდალე,
ასტომ აიგსო მოლოდინით ცეცხლგამძლე ყუთი,
პატარა გული — ბობოქარი შავი ზღვის ტალღა,
ვინ ეზიდება ფიქრებს ჩემსას მალლა და მალლა
ჩემი სიცოცხლე ასაფრენი წამია ნუთუ?“

ანალოგიური ტექნიკითაა შექმნილი მე-4 სონეტი, რომლი,
პირველ და მე-4, მე-5 და მე-8 ტაქტებს დაქტილური რითმების
შესაძლებლობა აქვთ. ჩვენს წინაშეა ღეჭვი კეთილხმოვანებით და-
შვენებული მე-4 სონეტი:

„შარაზე მგზავრი გამოჩნდება თითო-ოროლა,
ბებერი მწყვემსი გაუდგება მინდორში ნახირს,
გამოვა გარეთ და წაბაძავს გუგულის ძახილს
ბიჭი — მერცხალა, ახტაჯანა გოგო — ოლოლი.
მხარეზე შეისვამს სოფლის დილა ვეება კოცონს,
მწვანე ბორცვებზე ცხრათვალა მზე გაფენს ხალიჩებს,
ხეებს და ფოთლებს მხენვობას და სითბოს ანიჭებს
და ბოსტნის ბოლოს ლოყაწითელ ყვავილებს კოცნის.“

მეითხველი დაგვემოწმება, რომ ბერწერით კეთილხმოვნების
მიღწევა მსევეს მარცვალთა განმეორების გარეშე სიტყვასთან
ბრძოლის განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ასეთი ძალის-
ხმევით ნაპოვნ სიტყვებად მიგვაჩნია შესარითმავად შერჩეული:
თითო-ოროლა-ოლოლი და კოცონს-კოცნის.

ქართული სონეტის თეორია იცნობს სონეტს ალიტერაციით.
ასეთ სონეტს ქმნის შოთა ზოიძეც.

„წარსული ხსოვნა მიგაბარე კეთილ მეზობელს,
მომავლის გზები დავაზმანე ტაძარს ზარებად,
სიკვდილის შიშით ზიარება არ მეზარება.,“ —

(№ 1 სონეტი)

ამასთან შოთა ზოიძის სონეტებში გვხვდება არა მხოლოდ ბერ-
რათი ალიტერაციის ნიმუშები, არამედ ბერათა კომპლექსის მიხ-
ედვით წარმოქმნილი ალიტერაციის ნიმუშიც. აი ამის მაგალითიც:

„ჩემი ოცნების საზღვარია უსაზღვროება. უსაზღვროება ესაზღვრება გრძნობების საზღვრებით“



წარმოდგენილ ნიმუშში ალიტერაციას წარმოქმნის ბეგერათ კომპლექს „საზღვარ“. ამიტომაც ვუწოდებთ მას მდიდარ ალიტერაციას. ამ ტატერატურულ ტერმინს ჯერ-ჯერობით შეიძლება ვარც შევხვდეთ ლიტერატურული მასალა, რომლის საფუძველზეც შეიძლება შესაბამისი ადგილიც გამოვუნახოთ ამ ტერმინს ლიტერატურულის ტერმინოლოგიურ სისტემაში.

პოეტური ტავტოლოგია მხატვრულ ნაწარმოებში ესთეტიკური და შემეცნებითი ლირებულების გაძლიერების ნაცადი ხერხია, ამ ხერხის გამოყენება სონეტთა მჴკრივში ფაბულის მთლიანობას-ც უწყობს ხელს. ამ თვალსაზრისით არის პოეტური ტავტოლოგია გამოყენებული შოთა ზონის „უსანქციო სონეტებში“. პირველი სონეტის მე-14 ტაქტი მთავრდება ასე: „მე შორი გზა მაქვს გასავლელი მასთან მისვლამდე“. მეორე სონეტის პირველი ტაქტი კი ასე გაგრძელდება: „ვინ იცის იქნებ დამიღამდე მასთან მისვლამდე“, მეორე სონეტის მეთოთხმეტე ტაქტი მთავრდება სიტყვებით, „მრავალ ათასებს“, მესამე სონეტის მე-14 ტაქტი იკითხება ასე: „და ოდეს კარი გაიღება თითო-ოროლა“, მეოთხე სონეტის პირველი ტაქტი კი ასეა შედგენილი: „შარაზე მგზავრი გამოჩნდება თითო-ოროლა“. მეხუთე სონეტის მე-14 ტაქტში აღნიშნულია: „ვჭედავ ვინ არის საქართველოს კარგი მხედარი“, მეექვსე სონეტში კი — „ახლა ჭირდება საქართველოს კარგი მხედარი“.

პოეტური ტავტოლოგიის გამოყენების სხვა ვარიანტიც გვხვდება შოთა ზონის სონეტებში. ეს არის ე. წ. შინაგანი ტავტოლოგია, რომელიც იმით განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ნიმუშებისაგან, რომ მეთოდშეტე სონეტში მსგავსი სიტყვები ერთსა და იმავე სტროფებში გვხვდება:

„წავიდა ის დრო, შენი რომ შენი გეგონა მარტო.

შენი გეგონა, ეს ქვეყანა, ის დრო წავიდა“.

ქართული სონეტის მკვლევარი გივი მიქაე შენიშნავს, რომ ქართულ სონეტში ერთნაირად დასაშვებია სონეტის როგორც მთლიანად თანაბარმარცვლოვანი, ისე სხვადასხვამარცვლოვანი რომებით გაწყობაც.

სხვადასხვამარცვლოვანი რითმებით გაწყობილი სონეტი კაორგვარია: თავისუფალი და არასწორი. არასწორი სონეტის ნიმუშები შექმნა შოთა ზონიდემ მეხუთე და მეექვსე სონეტების სახით,



რაც სონეტის ფორმის რადიკალური გათიშვის, დარღვევის საუკეთესო მაგალითია.

„დარექეს ზარი და აივსო ეზო ბავშვებით,
ბავშვი ბავშვია და დარბიან ეზოს გარშემო.
ჩვენი ბავშვებით საქართველოს მუდმივ ვალში ვართ.
ვალს გადავიხდით უმოწყალიდ თუ პრ დავშვრებით.
ახლა ჭირდება საქართველოს კარგი მხედარი,
ხატი და ზჯული, ჩვენ რომ ჩვენი საქმე ვაკეთოთ.
მეტი ექნება მამულს ჩვენსას მზე და სიკეთე
და ეყოლება პატრონი და წინ გამხედავი“.

„უსანქციო სონეტების“ ანალიტიკური მიმოხილვა გვიჩვენებს,
რომ მისი ავტორი, ცნობილი ქართველი პოეტი შოთა ზოიძე ლირ-
სეულად აგრძელებს ეროვნული მწერლობის კლასიკურ ტრადიცი-
ებს სონეტის განვითარებაში, ამასთან ხასიათდება ზოგიერთი ისე-
თი პოეტური თავისებურებით, რასაც უდავოდ ორიგინალობის ბე-
ჭედი აზის და ქართული სონეტის ვერსიფიკაციის შემდგომ სრულ-
ყოფად უნდა ჩავთვალოთ.

იური პიპილევიშვილი



Պող ՃՅՈՒԺՅՈՒՅՆ

„Մյ պահուղեծմա մռմյլց արագվէնց“... ամ ոյմուճան ցազլուս հալ-
աց ատոռաց Եւլո դա յարտուլո ձորչուս գալազանն ուրուան բածուցէ
Սթորշը յահօղեծմա մռուեաժրագուցեց նուրուելց, մաշրամ արա արագվ-
նց դա արա անանցրտան, արամեց տազուս սատազանցեց լու տծոլուսի դա-
ցուցմուն տաշեց, ոմ տծոլուսի, հռմելսաց ռուցելու ցուլմուցտեզնո-
լու ձուրու և յազարարեց սոսցարուլու ցոյցից ծուրաց: „Ի՞մ մը մարդու-
սու դա Ծիծուլու քուց, ի՞մ մը տծոլուսու, ցուլուս լաեցարու!.. մալլու
մալլուրու յեծա զուցեաց, հռմ մինս ամուշալու պատու „ցախարու“...

Ցար Կուրաց Կուրելու օլուս կազիւածուս մկանուց ծերծուցա-
շանու դա մանու մուսնու: Երտու սախարտաց մտացրունան նեցուրագ
մոյալաւութեալու, մշորեց կրումլու Մեռլինցա դա սուսելունան եղու-
ծուու յեցունու սամարտաց սանցու վաձուն բաձունցունեցու: Սայմ ոյմացուց յու մո-
լուս, հռմ ծերծուցամշունումաեարաց որչոնուզունուս մտացրունան ոմ
մկանու գուցու գուցու գումասեյրեցուսատցու:“ ցանսայցուրեցուլու ձունուրահու ցա-
գագուցուլու ձենսուս տեղուց. „Օլուս մյ մոցալու!“— յուրկեցաց ակե-
ցուն օցու. զան մշն ի՞մ մը մարդու մարդուլու, սախարտաց լուց, զուտցուս ցոյշ-
ուցուն շենո մալլունան մշուց, զուտցուս մոցուրա ցարու շենո դա զու
միմար դա անածրաւ լարիենունեար. մուց շենտան յերտաւ լազուրուն
շենս սուրկեցուն, նոցուած ուրու ուրու լամրիենու, յուս սկզբացուցուն ծա-
լացարմու ծերծուցամշունունուս մեցացւու ցանցալուցուլու սուսելու ար հա-
ցուլունեցուն դա շենո մալալու սամրեյլունուն ցուրու թարեցն ուրուս ուրու
ուրուս հոյաց, շենս վմոնճաւ ხարեցտան բարուս դա պայուս լուցու ուրու-
սուս, ամուղեցու խանչունու վուն մուցուս ամացու շցուլու զայս-ումացուլո
մոցունդունուն. ծարայալու շենո ցուրունուս մագուս, ամնանու პարուսանո
ուրունուտ հռմ լացունշցունեցուն մամուլուս լուրուտ յարեցիւնուցուն
նա-
բարեցու սուրու ասուն ասուն լուրուտ ուրուն, հռմելսաց ցանցեց արց արա-
ժունու լիներու, հռմետու օցու յետեզան ցուրունուս արացուլունուս դա
ուրուս սուսելու ցացունեցուն.

Եղանակ ծերծուցամշունու օլուս Կուրելու, մուսու որշուլունու, լած-
հիւնան ձուրչուս սայուլու մուսու սովորունուն մարդու ասուն մարդուն
մեցուրեցուն հասագուրեցուն արա անանցրտան, արա արացտան, արամեց
ացու պայուս, տծոլուսուս յարտան — ձուրչուս սագաեթուն:

Ցար Կուրաց Կուրելու ուրուան բածուցէ; ցուսուրու որշունուս ամա-



ყი რაინდები ბაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კომისარი ქართველი ნადირაძე, გოგლა ლეონიძე და ტიციანის გულწრფელი ცრემლით დასტირიან რუსული პოეზიის მანათობელ ვარსკვლავს სერგე ესენინს: „გაუხედნავი კვიცი იყავი და სისხლიანი როგორც ჩაღატარ. დარჩები ლექსში გაურიყავი. ცოდვაა, ამ. ლექსს საფლავში გატან... ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არღანა. საკუთარ ძმასაც ველარ გავუმხელ, რაც ჩაქირულა გულში ბალდა-მი... ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც საღმე დაგორ-დეს, ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში ესენინ ჰყავდა ძმად ცის-ფერ ორდენს“.

რა იყო ეს, წინასწარი განჭვრეტა საკუთარი ბედისა თუ ბედისწერა? ნუთუ პოეტი წინასწარ გრძნობდა თავისი ს-ცოცხლის ტრაგიულ ალსასრულს? უხეველად გრძნობდა. ალბათ ძნელია ქართულ პოეზიაში მოიძებნოს მეორე პოეტი ასე მძაფრად აღექვას საკუთარი ღალუბავა და სიკვდილზე ისე ესაუბროს, როგორც სხვა მარადიულ თემებზე: „გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახეული მაქა-ლაყუჩები, შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გა-დვურჩები“.

გრძნობდა მოახლოებულ ალსასრულს, მაგრამ საკუთარ თავს არ უტყვდებოდა და სიკვდილის წინადღეს სამშობლოს რომანტიული გულწრფელობით უმღეროდა „ისე უბრალოდ, როგორც მუხ-რანზე გაზაფხულისთვის მოდის ბალახი, ისე უბრალოდ, როგორც არაგვზე ალაპლაპდება მზეზე კალმახი... ისე უბრალოდ და ისე სადა, როგორც ურმული გუთნის დედისა, როგორც გადის დაკრული ქადა — ხმა მშობლიური მე დღეს მეღირსა“. და ასე ნააღრევად ამოიმარცვლა მისი ამაღლებული, უაღრესად ეროვნული და მართალი პოეზიის ნოტები.

უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები, მაგრამ ჩვენ აღბათ თავის მოკვლაც გვეპატიება“, — ჯერ კიდევ როდის ამბობდა ტიციან ტაბიძე, მაგრამ კრიტიკულ ჟამს თავის მოკვლა მაინც ვერ გაბედა, კი ვერ გაბედა, არამედ უბრალოდ ვერ დაიჯერა, რომ საქართველო სიკვდილის ეშაფორზე აიყვანდა თავის ერთ-ერთ უპირვე-ლეს მომღერალს. ილიას მკვლელმა ტიციანიც გაიმეტა. პაოლომ კი დაასწრო და საქართველოს მწერალთა სახლში ორლულიანი სანა-დირო თოფი დაიხალა და თავისი სისხლით შეღება მწერალთა კავ-შირის კიბეები.

„უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები და პოეტები... მართლაც რომ უბრალოდ კვდებოდნენ, თუმცა რას ვამბობთ, ტიციან ტაბიძე ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და მოსკოვიდან ქუთაისში მობრუნებული თავის ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად პოეტთა სიმბოლისტ-



ურ სკოლას ქმნის უცნაური სახელწოდებით „ცისფერი ყავწყალი“ 2010. „მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილი ვიყავით რეალურ სინაზღვილეს, — წერს ტიციანი — პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო, ან სულ ამ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები. ტრიოლეტები, რითმას ახალი გაქანება მიეცა... ქართულმა ლექსმა ახლებური ფლერადობა შეიძინა.“

ეს-ესაა, მთაწმინდამ მიიბარა ქართული სიტყვის, ორი დიდი ბუმბერაზი — აკაყი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა. ქართული პოეზია თითქოს დაცარიელდა, თითქოს სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და ალბათ ამ დროს, ანაზდად განიხვნა ცის კარი და ანგელოსებმა საქართველოს ორი დიდი ტყუპისცალი პოეტის პოეზიაში მოსვლა ამცნეს. „ერთი თცნების ერთი გვარის ვართ ტყუპის ცალი, ერთად ლპებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი, ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უუმურები და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით... გაუყოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი, რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა. ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი, ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით“.

მართლაც, ამერკილან ქართული ლექსი ორპირის ხაზით ამდინარებდა და პოეზიის შეცბუნებული მოყვარულები ქიდან მრავალ ხელოუქმნელ მარგალიტს ამოკრებენ. ტიციანის ტყუპისცალის გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილებით“ იწყება მე-20 საუკუნის დიდი პოეზია, განიხოვებული ქართული ლექსის მარალუქნობი სიცოცხლე, ტიციან ტაბიძე და მისი მეგობრები — ცისფერყანწელებიც ამ რიგში დგანან, თამამად შეიძლება ითქვას, მათ ჩვენი საუკუნის დასაწყისში ნამდვილი გადატრიალება მოახდინეს ქართულ პოეზიაში. ალბათ ამით იყო განპირობებული, საკუთარ პოეტურ შესაძლებლობებში ღრმად დარწმუნებული ტიციან ტაბიძე „ქართული პოეზიის მეფის“ წოდების „მოსაპოვებლად წერს ლექსს „ცხენი ანგელოსით“. ეს მართლაც ნაპოლეონისებური გამბედაობა იყო 26 წლის ჭაბუქისა, გამხდარიყო ქართული ლექსის მპყრობელი, ეს ნაბიჯი ალბათ თავის ღროზე კაღინერებადაც ჩაუთვალეს, მაგრამ, ტიციანმა გამოწვევა მიიღო და ლექსის წარწერა წიგნზე „ცხენი ანგელოსით“ არანაკლებ შესაშური კაღინერებით აღსავსე განცხადება გააკეთა: „დიდ პოეტების ვარ ნაბოლარა და ვებრძვი სიტყვას — მაგარფესვიანს, ჩამოეფარე მწუხრის ოლარად ქართლის მომავალ პოეტს — მესიას“. მაგრამ ღრომ დაგვარწმუნა, პოეტს არ ჩვეოდა ყალბი ქაღილი და ის სპეტაკი და ჭკვიანი შუბლი, სადღაც ციმბირის ტრამალებში საკუთარი სისხლით რომ შეულებეს. ჭკვა-



რიტად ლირსი იყო დაფნის გვირგვინისა. სამწუხაროდ, მისმა თანამე-
დროვებამ და სასტიკმა სინამდვილემ ეკლის გვირგვინითლა შეუძირებელი
კი მისი ქვეითი თავი. „მე ერთი მღვდელიც არ ამიგებს წესს“,
ერთერთ ლექსში წინასწარმეტყველურად წაცდება ტიციანს,
მღვდელი კი არა, ადამიანური საფლავიც არ ელირს.

იგი ლიტერატურაში გაუკვალავი გზით მიღიოდა, ამიტომაც
მისი პოეზია ზღაპრული ქვეყნიდან გაღმოფრენილ უცხო ფერის
ფრინველს მოგვაღონებს.

როგორც ტიციანის მეგობარი პოეტი სიმონ ჩიქოვანი წერს,
ტრავეკული ინტონაცია ტიციან ტაბიძის შემოქმედებიდან უბრალო
მახსიათებელი კი არ არის, არამედ მას უფრო დიდი დატვირთვა
აქვს დაკისრებული პოეტის მიერ, მისთვის შემოქმედებითი პროცე-
სის საფუძველი ტრავედია იყო. თუ მისი პატრიოტული ლექსები
შედარებით ომახიანი და ხალისიანია, სატრიფიალო თემაზე შექმნი-
ლი ნაწარმოებები რომანტიული და მძაფრად ტრაგიკულია. ტიციან
ტაბიძემ თავისი თანამედროვე პოეტებისაგან განსხვავებით შექმნა
სრულიად განსხვავებული სახე — ხატი სატრიფიალო არსებისა,
რომელიც თითქოს ღვთიური არსებაა და არა მიწიერი. ტიციანის
ვერც ერთ ლექსში ვერ ამოიკითხავთ იმგვარ მამაკაცურ ვნებას,
როგორიცას ი. გრიშაშვილთან, გ. ლეონიძესა და პ. იაშვილთან გვხვ-
დება, საოცარი ლირიკული სიმორცევა შერჩენია პოეტის სატრიფია-
ლო გრძნობას. ისეთი პოეტიც კი, როგორიც ნიკოლოზ ბარათაშვი-
ლია, რომელიც ამაღლებულ, სულიერ სიყვარულს უმღეროდა ტიცი-
ანთან შედარებით ძალზე ვნებიან პოეტად გამოიყურება. კიდევ ერ-
თი რამ არის დამახასიათებელი ტიციან ტაბიძის სატრიფიალო ლირი-
კისათვის: ტიციანი თავის სატრიფოს რომელიმე კინო-თეატრში ან
პარკში კი არ ხვდება, არამედ ისეთ ისტორიულ ადგილებში, ქართ-
ველი ხალხის გმირულ წარსულს რომ უკავშირდება. იმავე სიმონ
ჩიქოვანის თქმით, თითქოს თამუნია წერეთელსაც იმიტომ ეტრიფი-
და, რომ საწერეთლო ისტორიის ფონზე დაენახა. „მოდი — ნახეს“
ანანურის ფონი ცვლის. ამდენად პოეტის სიყვარული ძალზე რომან-
ტიულ სამოსელშია გახვეული, კრემამოსილებით აღსაგეს და რაინ-
დულ თავდადებამდე მისული:

„შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანუ-
რთან, შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას
სურდა. არც კი გიცნობდი, არც კი მენახე, ისე გხატავდა თამარს
ვრუბელი, ხარ დანგრეული შენ „მოდი—ნახე“, ფეხმოტეხილი შენ
ხარ ღრუბელი, ისე ნაზია ეს მოგონება, როგორც დემონის ფრთების



შეხება. სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა, მოიბან შენი ტრიტიულ-
ები".

სხვა და ვრცელი საუბრის თემაა ტიციან ტაბიძის კრიტიკულ
წერილები, რომლებიც უმაღლეს გვაგრძნობინებენ მისი ავტორის მაღ-
ალ დაქვეშილ გემოვნებას, სიახლის შეცნობის შესაშურ ალფოს. ამ
წერილების უკან დგას დიდი ინტელექტისა და განათლების მქონე
პიროვნება. და მაინც ტიციან ტაბიძის სამყარო პოეზია გახლავთ,
სადაც სრულად გამოვლინდა მისი არაორდინარული პოეტური
ნიჭიერება, მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ აღარ დააცალეს.

ახლა ტიციან ტაბიძე ასი წლისაა, მისი პოეზიაც ხანში შევიდა,
მაგრამ ძველი ელვარება და ხიბლი არამც და არამც არ დაუკარგავთ.

ვინ იცის, იქნებ ბერბიჭაშვილების ორეული ისევ ცოცხალია
და სიწმინდისნილაბაფარებულები ახალ მსხვერპლს ჩასაფრებიან
არა ანანურთან, არა არაგვთან, არამეღ აგერ, აქვე, ობილისი კარ-
თან — პოეზის სატახტოში, მაგრამ ტიციან ტაბიძისათვის უკავი
სულერთია, მას ხელმეორედ ველარ მოკლავენ, ხოლო იმ ეკლის
გვირგვინს, პოეტს რომ თავს დაადგეს, მეორე საქართველომ, სიუ-
ვარულისა და სიწმინდის საქართველომ მისი პოეზიის უკვდავების
ნიშნად დათნის გვიგვინი მიუმატა.

ორი გვირგვინი — ეკლისა და დათნისა — ამშვენებს პოეტის
ფართო შუბლს, ქართველი ხალხის სისატყისა და სიყვარულის
სიმბოლო, ამ ორი გვირგვინით მიაბიჯებს ტიციან ტაბიძე მარადის-
ობაში, ჩვენ კი პოეტებს ანდერძივით და გაფრთხილებასავით დაგ-
ვიტოვა ეს სიტყვები: „საქართველოს მჩე გაანათებს სიცოცხლეს
ლამაზს, მაშინაც როცა პოეზიით დავიღუპებით“.



აკაკი შონია—80

გათონო აპაპი!

თქვენი შეგობრებისა და ნაცნობებისათვის
 დაუჯერებელიც კია, მაგრამ კაცური ცხოვრების
 რვა ათეული წელიწადი მოგონების მოცისფრო
 სკივრში შეგინახავთ უკვე.

ბევრი გინახავთ, ბევრს მოსწრებიხართ და სი-
 კეთის ბევრზე ბევრ მარცვალს, ყოველ ნაბიჯზე
 რომ გითესიათ, რა ხანია თავი უყრია სხვათა და-
 კრეფა-დაპურებისათვის.

თქვენი კოლეგიური თავაცობა დღევანდელ
 დღესავით გვიხსოვს არა მარტო რედაქციის თა-
 ნამშრომლებს, არამედ ყველა იმ კალმოსანს,
 რომლებსაც დიდი თუ მცირე კონტაქტი მაინც
 ჰქონიათ უურნალთან.

თქვენი საფუძვლიანი, ღრმად ანალიტიკური
 და რუდუნებით დაწერილი ლიტერატურული წე-
 რილები ყოველთვის იყო რიგითი მკითხველისა
 თუ ლიტერატურული საზოგადოების ინტერესის
 საგანი.

ქეთილო კაცო, მადლიანო კაცო, კიდევ დო-
 დხანს იცოცხლე და გძირდებით, ათ ათეულ
 წელს რომ მოიგდებთ მხრებზე, უფრო მეტს მა-
 შინ მოგეფრებით.

უურნალი „კოროხი“

ანზორ ზამბაციძე

...ის, ვისგანაც სჭავლობ...

...ცხოვრების მდინარებაში, უამრავ სხვა თემასთანს ერთად,
 ჩვენ შოშაფისა (მოსწავლის) და მასწავლებლის, შეგირდისა და
 ოსტატის ურთიერთობებზეც დავთიქმებულვართ უდავოდ. ამ



ფიქრისა და განსჯის შედეგად; კარგა ხნის წინათ, ამ მოსაზრება—
ძლე მივსულვარ: მასწავლებლად თვლი იმას, ვისაც ასეთად აღია-
რებ.

ის-ის იყო, დავკარგე მამა და უფროსი ' მეგობარი, უურნა-
ლისტი პეტრე ზამბაჩიძე — რადიოკომიტეტის ყოფილი თავმჯდო-
მარე. ამის გამო კი მამის კვალზე დამდგარი თვრამეტი წლის
ბიჭს, უნივერსიტეტში სწავლაზე ოცნება ოცნებადვე დამრჩა.
მუშაობა უნდა დამეწყო, რომ ოჯახს დაგხმარებოდი. მამაჩემის
მევობრებმა რადიოკომიტეტში მიმიღეს ნახევარ განკვეთზე (შე-
მიძლია დავითიც: ეს იყო ერთადერთი „ბლატი“ ჩემს ცხოვრე-
ბაში). მერე მიგხვდი, ეს უფრო დიდი და ნაღლი უნივერსიტეტი
გამოდგა ჩემთვის და ამ „ჩემი უნივერსიტეტის“ უპირველესი
პროფესორი, თუ მასწავლებელი აკად შონია გახლდათ. დაას,
იმთავითვე ის დავსახე იმად, ვისაც მასწავლებელზე მეტად უპრი-
ანია ისტატი, მაესტრო უწოდო.

გერ კიდევ ჭელი იყო გრიგორიჩი, როგორც ბევრნი ვეძახ-
დით და ამისათვის არავის აზრადაც არ მოსვლია ჩვენთვის რუს-
ოფონია დაებრალებია, ენერგიითა და კოდნით დაყურსულიო,
რომ იტყვიან, სიხალისით, იუმორით, საჭირია და ადამიანის სიყვა-
რულით აღსავსე. მალე შევიტყვე, რომ ამ თხუთმეტკაციან კოლე-
ქტივში ერთადერთს მას ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი,
(თბილისის, რასაკირველია, რაკი მაშინ; საბედნიეროდ, ეს ერ-
თადერთი უნივერსიტეტი იყო საქართველოში). ისიც რომ ფი-
ლოლოგიის ფაქულტეტის კურსდამთავრებულმა უურნალისტური
წრთობა იმქამინდელი სამთავრობო თვიციოზის — გაზეთ „კომუ-
ნისტის“ რედაქციაში გაიარა. კი, საბჭოური პრესა იყო ის, რეკი-
მის მთავარი იდეოლოგიური რუპორი და, მაინც, რეკიმისავე მუდ-
მივი იდეოლოგიური წნევის ქვეშ მყოფი (რა პარადოქსია!), მაგ-
რამ იყვნენ გაბედული ქართველი უურნალისტები, რომლებიც
ახერხებდნენ ეწერათ მშობელი ხალხის სანუკვარ, საჭირბოროტო
თემებზეც, ებრძოლათ მკითხველადე მართალი ინფორმაციის მი-
ტანისათვის, ეზრუნათ მისი ჰარმონიული განვითარებისათვის;
თავიანთ ნაწერებში შეფარვით გაეტარებინათ ეროვნული (ოლ-
ონდ არა ნაციონალისტური) იდეები, მათ შორის იყო აკად შონია.
ბათუმს უკვე ჩამოყალიბებულ პროფესიონალად მოვლინა.
როგორც გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პროპაგანდის განყოფილების
გამგე და რედაქტორის მოადგილე, ეს იყო 40 წლის წინათ. კარ-
გა ხანს რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ ე. წ. „მე-
გრელიზაციის“ მსხვერპლი გახდა. მაინც რა უაზრო რამ მოხდა:



ლავრენტი ბერიას დაპატიმრებას ეთნოსის წმენდა მოყოლეს, კრისტენი მთლად არ გაწირეს პროფესიონალი, რადიოკომიტეტში გაამწესებული უფროს რედაქტორად.

რასაკვირველია, ძნელია ამგვარი სულიერი ტრავმის მეტე წონასწორობა არ დაკარგო, არ შეიმჩნიო და მთლად არ გაიუარესო ხვედრი. ამასაც გჭუძლო კაკო შონიამ იმ შავბნელ ეპოქაში. იუმორის გრძნობა, ახლადშექმნილი ოჯახისადმი პასუხისმგებლობა და იმსანად ადამიანებში ჯერ კიდევ არსებული თანადგომა, სოლიდარობა დაეხმარი. გაუძლო, თავიდან დაიწყო და მაინც აკეთა სასიკეთო საქმე ადამიანებისათვის.

ისევ თითქმის ნახევარი საუკუნით უკნ დავიწიოთ: საკმაოდ სწრაფად დაიმკვიდრა ბატონმა აკაიმ აღგილი ბათუმის ინტელექტუალურ ელიტაში, აღვილად შეერწყა ზღვისპირა ქალაქის განუმეორებელ კოლორიტს, მისი ორგანული, აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. აქვე დაოჯახდა. ორი შვილი აღზარდა, მათ შორის — აწ უკვე ფრიად ავტორიტეტული ექიმი შორენა შონია.

სამწუხაროდ, დაქვრივდა ბატონი კაკო და თავის მეხუთე სიჭაბუქეს ცალულლად შეეგება. ბუნებრივია, მოაკლდა ჩვეული იუმორი, გადამდები სიხალისე. რით უნდა ანუგეშო კაცი ამ დროს?

ალბათ, იმ ჭეშმარიტების შეხსენებით, რომ თავს ზევით ძალა არ არის და, მაინც, სიცოცხლეს გაუმარჯოს, ჩემო გრიგორიჩ, ჩემთვის და ამ ჭვეუნად ბევრისათვის საყვარელო პიროვნებავ, კაცო, გაუტეხელო და მოუდრეკელო!

თითქმის თხუთმეტი წელიწადი ვიმუშავეთ ერთად, ერთ სარედაქციო ოთახში და არც ერთხელ არ გიგრძნობინებია, რომ შენ უფროსი ხარ, თუნდაც ასაკით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მე კი — ახალბედა. მუდამ ერთგული იყავი საკუთარი თავისა, სტაბილურად ტაქტიანი, მოზომილი, ფაქიზი და არაორდინარული. რა დამავიწყებს, როგორ მიმსუბუქებდი დებიუტის სიძნელეებს. შენს არსენალში არ იყო არც მომაბეზრებელი შეეგონებები და არაფრის მაქნისი (ჩვენს საქმეში მით უმეტეს) დიდაქტიკა, არც ტრივიალური სენტენციები, გადაღეჭილი პოსტულატები და, რასაკვირველია, არც თეორიული მსჯელობები. იყო ცოცხალი, პრაქტიკული საქმიანობა, კონკრეტული და განზოგადებული მაგალითები, იყო შექებაც (რაც, არ დავმალავ, შენგან განსაკუთრებით მსიამოვნებდა!)



ხომ ამდენმა წყალშა ჩაიარა მას შემდეგ და ამ კუთხის
მანძილზე ვინ მოთვლის რამდენ რედაქციაში ვყოფილვა პატერნი
კავშირსა თუ საზღვარგარეთ, არსად ისეთი ატმოსფერო არ მიგ-
რდენია, როგორიც მაშინ რადიოში გვქონდა (ასევე არ იყო „საბ-
ჭოთა აჭირის“ რედაქციაშიც?!?) — თბილი, უშუალო, შინაურუ-
ლიც. იყო ხუმრობა, გათამაშება, ჯვარედინი კითხვა-პასუხი, გა-
დაცემის ეთერში გასვლის მოახლოების ჭვალობაზე დაბაძულო-
ბისა და ტემპის მომატება, არცთუ იშვიათად, არა მარტო გადაბეჭ-
დილი ინფორმაცია, ხელით ნაწერი, ისიც ნაწილ-ნაწილ რომ შეგვ-
ქონდა სტუდიაში. ასე, ამ ხუმრობაში, თითქოს სრულიად შეუფე-
რებელ ვითარებაში კეთდებოდა გადაცემები და, შეიძლება ითქ-
ვას, ცუდად არა, მაშინდელი საზომებით, რასაკვირველია.

რაკი ქვეშეცნეულად იმთავითვე მასწავლებლად დაგსახე
(ამის გაცნობიერება შემდეგ, გვიან ხდება თურმე), შენგან ვსწავ-
ლობდი, როგორც ინფორმაციის წერას, ისე, რაც ჩემთვის არანაკ-
ლებ მნიშვნელოვანი იყო მაშინ, ცხოვრების ავან-ჩავანს, შავის და
თეთრის გარჩევას, ადამიანებთან ურთიერთობის ურთულეს ხელ-
ოვნებას, თუ არანაკლებ რთულს — ქართულ ქეიფს, სუფრის გაძ-
ლოლას, ჰეშმარიტ სიყვარულს და პატრიოტიზმს, საბოლოო ჯამ-
ში ცხოვრების წესს, კაცობას. ვსწავლობდი შენგან იმიტომ, რომ
სწორედ ეს მომწონდა — შენეული სტილი აზროვნებისა, შენეული
შეგრძნება და მღელვარე განცდა სიტყვისა (არამარტო ნაწერში),
შენებური ხედვა, აღქმა საგნებისა და მოვლენებისა. ახლა, სხვა
საქმეა, როგორ და რამდენად მოვახერხე ეს. შევძელი თუ არა გა-
დმომეოთ, — ოლონდ, ცხადია, არა ბრმად, მიმბაძველობით. არა-
მედ გამეთავისებია და სხვებისათვის, მომდევნო თაობებისათვის
გადამეცა.

რადიოდან შენი წასვლის მერეც, დღემდე, შენთან ყოველი
შეხვედრა სასიამოვნო და საინტერესოა ჩემთვის, რაღაცით გამამ-
დიდრებელი, გამახალისებელი, ამამალებელი. „კოროხში“ ჩემი
პირველი პულბიკაციების ინიციატორი და წამახალისებელიც ხომ
შენ იყავი, ჩემო გრგორიჩ და ჩემი პირველი წიგნის პირველი
რეცენზიტიც. მასში ისეთი ნიუანსები „ჩავლე“, ზევრისათვის
ნაღდად შეუმჩნეველი რომ დარჩებოდა!

დიდად მაღლობელი ვარ ყოველივე ამისათვის, ოსტატო, აწ
უკვე კოლეგავ და უფროსო მეგობარო, ჩემო, ჩვენო კაკო, ქართუ-



ლი სიდარბაისლით, ღირსებით და ავკარგიანობით შემკულო, სამართლებული
მისა და ქვეყნის წინაშე პირნათელო, ამაგდარო კაცო!

ვიდრე ამ მოკრძალებულ ბარათს გაახლებდი, არც შენს დო-
სიეში ჩამიხედავს, არც თუნდაც ანკეტაში, რომ ზუსტად აღმენუ-
სხა შენი რეგალიები, ჭილდოები; ბიოგრაფიის დეტალები. უბრა-
ლოდ, ექსპრომტად, როგორც შენ, სუფრის პოეტს, საღლეგრძე-
ლოებში გჩვევია ხოლმე, ჩემს ადამიანურ, კაცურ დამოკიდებულ-
ებას გიმეღავნებ, ჩემს სიყვარულსა და პატივისცემას გიცხადებ.

გულით გილოცავ მრგვალ თარიღს შენი ლამაზი სიცოცხლისა
და გისურვებ, როგორც თავად იცი ხოლმე თქმა, მანამდე ეჭაჭუ-
რო ამ ცხოვრებას, ვიდრე უკეთეს საქართველოს არ მოვესწრებით!



სიმონ გოგიათიძე

ავარის ეთიშოლობია და გიძერების თომის საკითხები

აჭარა პირველად მოხსენიებულია XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის შრომაში — ძვ. წ. III ს. პირველი ნახევრის ამბებთან დაკავშირებით. ქართლის იმდროინდელ მეფე ფარნავაზის იგი სამცხესთან ერთად ოძრხეს საერისთავოში გაუერთიანებია. როგორც ვიცით, ვახტანგ VI: (1675-1735 წ.წ.) „სწავლულკაცთა“ კომისიის შრომებში ქვეყანა „დიდაჭარა“ მოიხსენიება ქრისტეს პირველ მოციქულთა შემოსვლის დროისათვის“ (ახ. წ. I ს: 40-50-იანი წწ.): იქნებ რდესლაც არსებობდა, რაღაც სახელმწიფოებრივი ერთეული, თორებ მაშინ ასე მოულოდნელად საიდან გაჩნდებოდა VII საუკუნის სომეხ გეოგრაფის ანანია შირაკაცთან იბერიული პროვინციის სახელი „აჭარა“.

ანანია შირაკაცს გამოყენებული აქვს ძველი წყაროები, კერძოდ, ჰეროდოტე (485-422), სტრაბონი (ძვ. წ. 64—ახ. წ. 24), იოსებ ფლავიუსი (23-79), კლავდიოს პტოლემეიონი (90-168), პაპი ალექსანდრიელი (რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) თანამედროვე), სხვა ცნობილი და დღეისათვის ჩვენთვის უცნობი ავტორების შრომები. ამიტომ არა გამორჩიცული, რომ იბერიული პროვინციის აჭარის სახელწოდება მას ამოელო რომელიმე ძველი წყაროდა.

ქართლის მატიანეს ცნობით, VIII ს. მეორე ნახევარში აჭარა ადარნეს ბაგრატიონის სამფლობელოში გაერთიანდა (ქც. I, 251). საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959) ცნობით იბერიის კუროპალატს ოთხი ერისთავი ექვემდებარებოდა. მათ შორის ერთ-ერთი აჭარისა იყო.

„აჭარა“-ის ეტიმოლოგიას ბევრი მკვლევარი შეეხო: მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ნ. ადონცი, ნ. მარი, ს. ჯანაშვალი, პ. ინგოროვა. გ. ჩიტაია, თ. ახვლედიანი, ი. სიხარულიძე, ხ. ახვლედიანი, შ. ვარანიძე, ვ. შამილაძე და სხვები.

მ. ჯანაშვილის აზრით, ძველი ქართული პროვინციის სახელ-



წოდება „აჭარა“ „ჭა“ (ე. ი. წყაროს, მდინარის თუ საკუთრივ ჭის) ფორმიდან უნდა წარმომდგარიყო: ჭა-რი — ა-ჭარი — აჭარა. ართი უმცირესი სომხეთის ისტორიული ნ. ადონცი თვლიდა, რომ აჭარის სახელ-

წოდება ეგრისისაგან უნდა მომდინარეობდეს — აჭარა „გერ“, „ეგ-არა“-ს სახენაცვალი ფორმა უნდა ყოფილიყო.

ს. ჯანაშია აჭარის სახელწოდებას მდინარე აჭყვას სათავეებთან არსებულ სოფელ „აჭი“-ს სახელისაგან წარმომდგარად თვლიდა — ფუძე „აჭ“-ს დაერთო სუფიქსი „არა“.

ნ. მარის აზრით, ეთნიკური ტერმინი „ჭაუნ“-ი უნდა გადასულიყო „ჭაუ“-ში. მას უნდა დაკარგვოდა ნახევრადხმოვანი „უ“ და აფხაზური პრეფიქსის „ა“-სა და აგრეთვე აფხაზური მრავლობითა რიცხვის „რა“-ს დართვით უნდა წარმოქმნილიყო ცნობილი მხარის „აჭარა“-ს სახელწოდება. მკვლევარს სხვაგან ნათქვამი აქვა. რომ „ა-ჭა-რა“ ნიშნავს ჭანებსა თუ ჭანების ქვეყანას.

პ. ინგოროვამაც ჩვენთვის საინტერესო ტერმინი ისტორიული აჭარის მეზობელი ტომის — ჭანების სახელს დაუკავშირა. იგი აღნიშნავდა, რომ სატომო სახელიდან „ჭანი“ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი:

ა) ჭან-ეთი და ბ) ა-ჭან-რა. ავტორის აზრით, ა-ჭან-რა იგივეა, რაც სა-ჭან-რა, სა-ჭან-ო, რომლის სახენაცვალი ფორმაა: ა-ჭარა. მისივე შენიშვნით, სახელწოდებაში ა-ჭარელი გვაქვს მეორადი წარმოება სატომო სახელისა გეოგრაფიული სახელწოდებიდან.

გ. ჩიტაის ხელნაშერ ნაშრომზე დაყრდნობით ო. ახვლედიანა თვლის. რომ ტერმინი „აჭარა“ ადრეულ ეპოქებში უნდა ყოფილიყო გაჩენილი.

ი. სიხარულიძემ 1958 წელს გამოცემულ ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ მოგვცა აჭარის სახელწოდების შემდეგნაირი ახსნა: აჭარა ა-ა სუფიქსურ-პრეფიქსული წარმოების სახელია. მისი ძირეული მასალაა „ჭ“. ამავე ძირის სახელებია ჭ-ან-ეთი (წარმოსდგება სატომო სახელისაგან, ჭ-ან-ი), ჭ-ალა, ჭალანგარი და სხვა. ყველა მათგანში ჭ წყალს უკავშირდება. აჭარაც პირველადი ჩანს მდინარისათვის, ხოლო მირქმეული და მეორადია ოლქისათვის. მისივე თქმით, აჭარისწყალი არ იყო ამ მდინარის სახელწოდების თავდაპირველი ფორმა, ძველად მას აჭარა ერქვა.

შემდეგ კი ეს სახელი მხარეზეც გავრცელდა და ამ მდინარის ხეობაში მდებარე მიწა-წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინად იქცა. ამ საკითხს მკვლევარი 1981 წელსაც შეეხო. იგი მიუთითებს, რომ აჭარა „ჭ“ ძირად და „არ“ სუფიქსად იშლება და ეს ძირი

სხვა ფორმითაც არის შემონახული (ა-ჭ-ი). ამავე ნაშრომში შემო-
თავაზებულია დასახელებული ტოპონიმისაგან „ჭარ“ ფუძესავამრა-
ყოფაც. რომელიც მსჯავსი უნდა იყოს „ჭარალ“-ისა და „ჭარ-ნა-
ლი“-ს ფუძეებისა.

ს. ახლედიანის შეხედულებით აჭარა მაჭარიდან უნდა წარმო-
მდგარუკო, რადგან აჭარისწყლის ხეობის და, კერძოდ. ქედის მევე-
ნახეობა ძალიან განვითარებული ყოფილა.

ა) ბოლო წლებში ტოპონიმ „აჭარა“-ს განსხვავებული ახსნა
მოვცა შ. ვარშანიძემ. აღრე იგი ამ სახელის წარმოქმნას „ჭალა“-ს,
უკავშირებდა, 1990 წელს მან უარყო თავისი მოსაზრება და ზო-
რურთო მკვლევარის მსგავსად სახელწოდება აჭარა „ჭარ“ ფუძისა-
ცან განვითარებულად ჩათვალა. მისი აზრით, გარკვეულ ეტაპზე
„საჭარი“ ფორმაც უნდა არსებულიყო. მომდევნო ხანაში კი „ს-
ანის ჩავარდნის შედეგად, სახელს თავში „ა“ ხმოვანი შემორჩა.
საერთოდ კი „ჭარ“ ფუძე მან მცენარის, ფრინველის თუ სხვა სა-
ხელის წარმონაქმნს დაუკავშირა. კერძოდ, მისი აზრით, აჭარაში
არსებული „ჭარ“ ფუძე შეიძლება იყოს დაკავშირებული:

1. ინგილოურში ცნობილი თხილის ჯიშის „ჭარულ“-თან.
2. რაჭულში დაბალი, ნოტიო ადგილის აღმნიშვნელ ტერმინთან
(„ჭარ“ — იმოწმებს ალ. ლლონტს.)
3. გუგარეთის ოლქში ცნობილ ნაყოფის მომცემ მცენარესთან
(„აჭარა“, იმოწმებს ანანია შირაკაცს).
4. ჭანურში არსებულ მსხლის ჯიშის სახელთან („აჭარა“ —
ნ. მარი).
5. და ბოლოს „ჭარი“ ან „საჭარო“ სახელია ფრინველისა, რო-
მელიც ბერძნულად „კორაქს“-ად, ხოლო ლათინურად „კორუს“-ად
ითარებინება. ეს ფრინველი ქორსა ჰგავს (იმოწმებს სულხან-საბა
ორბელიანს).

ტოპონიმ „აჭარის“ ახსნის რამდენიმე ხალხური ვერსიაც არსე-
ბობს. ერთი ვერსია აჭარის სახელს თურქეთიდან („აჯ მემლექეთი“
— მშიერი ქვეყანა) მომდინარედ თვლის, რაც ი. სიხარულიძეს
სრულიად უსაფუძლოდ მიაჩნდა. იგი წერდა, რომ აჭარა, როგორც
გეოგრაფიული სახელი, არსებობდა ჯერ კიდევ ძველ დროში, რო-
დესაც თურქი-ოსმალები არა თუ საჭართველოსთან არ იყენენ დამე-
ზობლებულები, არამედ საერთოდ არც კი ჩანდნენ ისტორიის არ-
ნაზე.

მეორენაირი ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით აჭარა „ვაჭ-
რობას“ უკავშირდება. ამგვარი ახსნა აჭარლების ვაჭრობისადმი
შიდრეკილებაზე მოუთითებს. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, რომელიც მას



აჭარის მკვიდრ მოსახლეობაში ჩაუწერია, ძველად აჭარას ვაჭარა ერქვა იმის გამო, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გამოჩენალურ გატრენი ყოფილან და თავიანთი ნაწარმი მათ შავი ზღვით შორეულ კვეყნებში გაპქონდათ.

ჩვენა პირადი დაკვირვებითაც ტერმინი „აჭარა“ „ჭარ“ ფუძიდანაა მიღებული. ოლონდაც „ჭარ“ მიგვაჩნია სატომო სახელწოდებად. ჭართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია აზრი, რომ თითქოს აჭარა უნდა იყოს გეოგრაფიული სახელწოდება და აქედან მივიღეთ ეთნოგრაფიული ჯგუფის „აჭარელი“-ს სახელი. ასეთივე აზრია გატარებული „ჭართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ჭართულ და სპეციალურ ტომშიც, სადაც აჭარლების შესახებ ნათქვამია. „ჭართველების ერთ-ერთი ეთნოკური ჯგუფი... ეთნონიმი ნაწარმოებია საჭართველოს ძვ. ისტ. პროვინციის — აჭარის სახელწოდებიდან“. ამშასადმე, აქ გამორიცხულია ამ სახელწოდების სატომო წარმომავლობა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ არსებობდნენ ძველი ჭართველი ტომები (კოლხები, მესხები, ტაოხები, ჯავახები, ჭართები, იბერები, ჭანები, ლაზები, ეგრისელები და სხვა), რომელთა სატომო სახელწოდებიდან მომდინარეობს შესაბამისი ქვეყნისა თუ ოლქის სახელწოდება კოლხეთი, მესხეთი, ტაო, ჯავახეთი, ჭართლი, იბერია, ჭანეთი, ლაზიკა (ლაზეთი), ეგრისი და სხვა, რატომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო „ჭარ“ სახელწოდების ტომი, რომლის საპელიდანაც ქვეყანას „ა“ პრეფიქსის (თუ თავდაპირველად მისი ვარიანტული „მა“-ს ან „სა“-ს) დართვით დაერქმეოდა „აჭარა“.

ბერძნულ-ლათინური წყაროებით ცნობილია, რომ ანტიკურა ხანის დასაწყისიდან (ძვ. წ. VI ს.) თანამედროვე აჭარასა და მის მეზობელ რეგიონებში ცხოვრობდნენ ბიძერები (ბიზარები). აღნიშნულ ტერიტორიაზე ისინი სახლობდნენ დიდი ხნის განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში მათი გადაადგილება მეზობელ თუ სხვა მოშორებულ რეგიონებში არ დასტურდება. თითქოს არც აჭარის ტოპონიმებაში შემონახულა მათი აქ ადრიდანვე ცხოვრების რაიმე დამადასტურებელი საბუთები. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე დასახლდნენ ძველაღმოსავლურ წყაროებში მოხსენიებულ კულხას (კოლხა) გაერთიანების კიმერიელ-სკვითთა მიერ განადგურების შემდეგ, 2700 წლის წინ, ისინი ჭართული და ურარტული წყაროების მიხედვით მანამდე დღევანდელი აჭარის აღმოსავლეთით დიდ სივრცეზე ბინადრობდნენ. იქნებ ისინი მანამდეც ცხოვრობდნენ აქ, მაგრამ კულხას არასწორი ლოკალიზაცია იძლეოდეს ასეთ სურათს, ან მათი სახელი გადაფარული იყო ჰეგემონი ტომის კოლხების სახელით? ბიძერებს (ბიზარების ფორმით)

იცნობს ახალი წელთაღრიცხვის IV ს. მეორე ნახევრის ქართული
 მწერალი ამიანე მარცელინი, ¹ რომელიც კარგადაა გარკვეული იმისა
 დროინდელი საქართველოს (კოლხეთი, იბერია) ვითარებაში. ამ
 ტომს იცნობს აგრეთვე ამიანეს თანამედროვე რუფი ავიენი; ² V ს.
 მეორე ნახევრისა და VI ს. დასაწყისის ლათინი გრამატიკოსი პრის-
 ციანი ³ და დაახ. VI ს. ბერძენი ისტორიკოსი ბლემიდი. ძათი მოლ-
 ვაწეობის მომდევნო ხანაში (VII ს.) სომები სწავლულთან — ანანია
 შირაკაცთან ჩნდება იბერიული პროვინცია სახელდებით — აჭარა.
 რომ აჭარა უნდა ყოფილიყო პროვინცია იბერიის სამეფოში მანამ-
 დეც, ამას თითქოს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის მონაცე-
 ცებიც უნდა ადასტურებდეს. მისი გადმოცემით აჭარა სამცხესთან
 ერთად ოძრებს საერისთავოს შემადგენელი ნაწილია ძვ. წ. მე-4-3
 I-ში. ოძრებს საერისთავოს იხსენიებს მეორე ქართველი ისტორიკ-
 ისი ჯუანშერიც ახ. წ. V ს-ნის ამბების გადმოცემისას. ⁴ არაფერს
 გამბობთ იმაზე, რომ ვახტანგ VI-ის „სწავლულმა ხალხმა“ იცის
 ქვეყნის „დიდი აჭარის“ არსებობა ახ. წ. I საუკუნეში და ხელოს
 რაიონში ახლაც არის სოფელი დიდაჭარა. მიტომ საინტერესოა,
 სად მიდიან VI ს-ში ბიძერები და საიდან ჩნდება VII ს-ში სახელ-
 წოდება „აჭარა“. ხომ არ იმალება აჭარლების სატომო სახელწოდ-
 ება აცნიშნულ ეთნონიმში? შესაძლოა ბიძერებმა საცხოვრისი გა-
 მოიცვალეს, მაგრამ ამისი დამადასტურებელი რაიმე ცნობა არ
 არსებობს. ისევე როგორც აჭარლების მოსვლისა და დასახლებისა
 თანამედროვე აჭარის მიწა-წყალზე ამ ეპოქაში (VI-VII ს-ში). სწო-
 რედ ამ მოსაზრებებმა მოგვცა საფუძველი დაგვეწყო ბიძერების,
 ერთ-ერთი უძველესი ქართველური წარმომავლობის სატომო სა-
 ხელწოდების შესწავლა.

ჩვენთვის საინტერესო ეთნონიმი რამდენჯერმეა მოხსენიებული
 ურარტულ წყაროებში „უიტერუხი“-ს (უიტირუხი) ფორმით, მამა-
 შვილის იშფუინისა და მენუას თანამმართველობის” ⁵ (ძვ. წ. VIII ს.
 ბოლო), აგრეთვე არვიშთი მენუას ძის ⁶ (786-764) და სარდურ II
 (764-735) დროს.

ეს ეთნონიმი ოდნავი სახეშეცვლილი ფორმითაა (დიძერები,
 ბიძერები, ბიზერები, ბიზირები, ბიზარები) მოხსენიებული ძველ
 ბერძენ და ლათინ ავტორებთან: ჰეკატეოს მილეტელთან (ძვ. წ. VI-V ს.) ფსევდოსკილაქს კარიანდელთან (ძვ. წ. IV ს.): პოლონიოს
 როდოსელთან (ძვ. წ. III ს.), მემნონთან (ძვ. წ. I ს.), სტრაბონთან
 (ძვ. წ. I — ახ. წ. I), ფსევდოარიანესთან (V ს.) და როგორც ზემ-
 ოთ აღვინიშნეთ ამიანუს მარცელინუსთან, რუფი ავიენთან, პრისკი-
 ანთან, ბლემიდთან და სხვებთან.



გ. მელიქიშვილის მიხედვით, „უიტერუ (ხი)“ — სახელი („ხი“ კუთვნილების აღმნიშვნელი ურარტული სუფიქსია) შემოინახა გამოცემისას ტიკურ წყაროებში შავიზლვისპირის, მდ. ჭოროხის შესართავთან დამოშებული ტომის — ბიძერების სახელმა, ისევე როგორც ძველი ქართული პროვინციის ოძრ(ა) კ ემ“ (ოძრებე იყო უძველესი ქალაქი დღევანდელი აბასთუმნის მახლობლად).¹⁵ გ. მამულიას მიაჩნია, რომ ვიტერუხი ძველქართულად ოძრხე.¹⁶ ეს შეხედულება ვაზიარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვაქვს ერთდაიმავე ტომის რამდენიმე სახეცვლილი ცორმა:

ურარტულში — უიტერუხი (უიტირუხი),

ბერძნულ-რომაულში — ბიძერი (ბიზერი, ბიზარი...),

ქართულ წყაროებში — ოძრხე (ოძრახე). გ. მელიქიშვილის შენიშვნით იგვე ვიძერონი ე. ი. ოძ(ე)რონი. აქვე აღნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ რედაქციას მოეპოვება ამ ეთნონიმისა თუ ქალაქის (ოძრხე) ოდნავ სახეშეცვლილი ფორმები, რომელიც ახლოს დგის ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოხსენიებულ ამ ტომის სახელწოდების ფუძესთან: ოძრხოს, ოძროხოს, ოძრენის, ოძრავოს, ოზრჯოს, ოძრახე.¹⁷ (ამ სახითვე ხმარობდნენ „სწავლული კაცები“ და ვახუშტი XVIII, ს. I ნახ.), ოზრიჯოს, ქართლის ცხოვრების ქველ სომხურ თარგმანს აქვს სხვა სახე — უნდრძხე.¹⁸

ამ ქართველური ტომის—სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტების საერთო ფუძეზე (ძერ-ტერ-ზერ-ზარ...) დაყვანის შემდეგ აღნიშნულ ეთნონიმში გამოიყოფა თავსართები ურარტულში — უი (ვი), ბერძნულში — ბი და ქართულში — ო. უი-ტერ-უხი, ზი-ძერი (ბი-ზარ-ი), ო-ძრ-ხე (ო-ძ(ე)რ-ოხი). ურარტული უიტერუხი, ბერძნული ბიძერი და ქართული ოძრხე, რომ ერთდაიმავე სატომ სახელწოდების ვარიანტებს წარმოადგენენ, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ დღემდე არაფერი თქმულა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ ეთნონიმის სხვადასხვა ვარიანტებში პრეფიქსები უი-ბი-ო ერთმანეთის იდენტურნი უნდა იყვნენ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ქართულში გვაქვს სხვა ტოპონიმიკური სახელწოდებები „ო“ თავსართით შემოსული (ო-ჩხამური, ო-ნტოფო, ო-კენიტი, ო-ზურგეთი. თუ „ოძრხე“-ში გვაქვს „ო“ ტოპონიმიკური პრეფიქსი, ამიტომ უკველია უიტერუხ-ბიძერშიც „უი“ და „ბი“ ასეთივე მაწარმოებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან აღნიშნული თავსართების მოხსნის შემდეგ ამ ტომის სახელწოდება საერთო ფუძეზე დადის. „ო“ მეგრულ-ჭანური ტოპონიმიკური ფორმაა, რომე-



ლიც ქართული „ა“ ფორმის ტოლია. ამ ტომის სახელში ურარტულ ვარიანტს თავსართი „უ“ ან „უი“ უნდა. მიეღო ურარტულში „ო“ ნიშნის უქონლობით. ეს უკანასკნელი ურარტულში სწორედ „უ“-თი გადაიცემოდა (კოლხა ურარტულში იწერებოდა, როგორც „კულხა“). ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელწოდებაში „ო“ „უ“-ს ტოლია ან ამ შემთხვევაში „ო“ გადმოცემულია „უი“-ბევრათა კომპლექსით. ხოლო „უი“ ქართველურ ენებში ოგივე, რაც „ვი“, როგორი ფორმითაც ხმარობენ გ. მელიქიშვილი, პ. ინგორიშვილი, გ. უშავოვი. როგორც ჩანს, „უი“ ან „ვი“ ფორმის გადმოცემა უნდა იყოს ბერძნულში „ბი“ ფორმის სახით. ძველ ბერძნულში ხომ ბევრა „ვ“ არ იყო და იგი „ბ“-თი გადმოიცემოდა, მაგ. ივერია—იბერია.

ახლა ფუძის შესახებ. ამ ქართველური წარმოშობის სატომო სახელწოდების ფუძე ყველა წყაროს გათვალისწინებით ასეთია: ტერ, ტირ, ძერ, ზირ, ზარ. ბიძერების ტომის ფუძის პირველი ბევრა გადმოცემულია სხვადასხვა ბევრით ტ-ძ-ზ, რომელიც უეჭველია რომელიღაც ქართული ბევრის მიმსგავსება უნდა იყოს. საინტერესოა, რომელი ქართული ბევრის გადმოცემა სურდათ ურარტულ და ძველ ბერძნულ-რომაულ წყაროებს აღნიშნული ბევრებით? ან ხომ არ გვაქვს მსგავსი შემთხვევა სხვა ქართული სატომო სახელწოდების გადმოცემის ბერძნულ-რომაულში „ტ“-, „ძ“-, „ზ“-ით? და თუ გვაქვს, ქართულის რა ბევრას გამოხატავენ ისინი?

ერთერთი დასავლურ-ქართული ტომის — „ჭანის“ სახელწოდება ბერძნულ-რომაულში გადმოიცემოდა როგორც „სანი“¹ (ვარიანტი „ზანი“) ან იგივე „ჭანი“ გადაიცემოდა, როგორც თანიკე, ² ტქანი, ³ ტრანები⁴ (იქვე სქოლიობში მო-სინი-კე-ბი), სანები (Вулгарпес ცანами)⁵ ტვანა—თოანა⁶ (შესაძლებელია ჭანის გადმოცემა იყოს).

მაშასადამე, ბერძნულ-რომაულში გვქონია ქართული „ჭ“-ს შენაცვლების ფორმები „ტ“ (ვარიანტი „თ“), „ტძ“, „ს“ (ვარიანტი „ზ“) ბევრათა თუ ბევრათა კომპლექსის სახით. ამიტომ უეჭველია ურარტული და ბერძნულ-რომაული წყაროების ქართველური ტომის უიტერუბ-ბიძერების ტომის ფუძე ტერ-ძერ-ზარ წაკითხულ უნდა იქნას, როგორც ჭერ, ჭარ. (რ. გორდეზზიანმა გამოარკვია, რომ „ა“ და „ე“ ბევრების მონაცვლეობა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელია: ჭერ-ჭარ, ცერ-ცარ), რომელსაც შემდეგ ა-სუფიქსისა და ა პრეფიქსის (ასეთს ხომ გამოყოფს ი. სიხარულიძე „აჭარა“-ში) დართვის შემდეგ წარმოიშვება გეოგრაფიული სახელწოდება (ქვეყნის სახელი) — „აჭარა“, უეჭველია, რომ ძველ ღროში (ანტი-



კური ხანის დასაწყისში, იქნებ ადრეც) ურარტული უიტერუსტემიული ბერძნულ-რომაული ბიძერების (ბიზარები), მეგრულ-ჭანური ოქტოპურული (ო)ხეს გვერდით უნდა ყოფილიყო ამ ტომის ქართული სახელწოდება „პარ“-„პარები“, ხოლო მათი ქვეყნის აღსანიშნავი აჭარა. ძველი წყაროების ცნობილი სპეციალისტები პ. უშაკოვი და პ. ინგოროვა ურარტულ-ბერძნული წყაროების უიტერუს-ბიძერებს კითხულობდნენ როგორც ვიცერუხი—ბიწერების (ბკ წერნი) სახით. ამ შემთხვევაშიც კი ჩვენ ვერ ვხედავთ დაბრკოლებას „წ“-ს „ჭ“-დ გადაქცევაში, რადგან ს. ჯანაშიას გამოკვლევით „წ“ მეორეულ მოვლენად და „ჭ“-ს განვითარებად არის მიჩნეული. ჩვენ გვაქვს სატომო . სახელწოდება „ჭანი“ (ჩრდ. კოლხეთში), მაგრამ ამავე დროს გვაქვს „პანი“ (სამხრ. კოლხეთში) ერთდაიმავე ტომის აღსანიშნავად, ასევე მისივე მტკიცებით, შესაძლებელია „ჭ“ და „წ“ გვაქვს „ჭანი“ (სამხრ. კოლხეთში) ერთდაიმავე ტომის აღსანიშნავად. ასევე მისივე მტკიცებით შესაძლებელია „ჭ“ და „წ“ შენაცვლება, ან ქართული „ჭ“ მეგრულში „წ“ მოცემა.

საინტერესოა, გვაქვს თუ არა ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ისეთი მონაცემები, როცა ამავე სატომო სახელწოდებაში ო-ბი-უი პრეფიქსების ნაცვლად „ა“ პრეფიქსია მოვლენილი, ხოლო იგრუ სატომო სახელწოდება გვაქვს ყოველგვარი პრეფიქსის გარეშე, ე. ი. ფუძეს ტერ (ძერ, ზირ, ზარ) მოეპოვება პარალელები. ამ მიმართულებით მუშობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბერძნულ-რომაულ მწერლობაში დაცულმა სატომო სახელწოდებებმა ამპრევტმა და ზიდრიტმა, რომლებიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსიავლეთ სანაპიროს გასწვრივ ჭოროხის შესართავის რაიონში მოსახლეობდნენ. პირველს მოიხსენიებს მხოლოდ პლინიუს უფროსი, რომელიც ახ. წ. 78 წელს მოვიდა აფსარის ციხე-ქალაქთან, ხოლო მეორეს—არიანე (რომელიც ამავე ციხე-ქალაქთან 131 წელს მოვიდა). და ამ უკანასკნელის ცნობებზე დაყრდნობით ანონიმი V საუკუნისა.

დიდი ბერძენი გეოგრაფისის სტრაბონის (გარდ. ახ. წ. 24 წ. სავარაუდოა, რომ ის ყოფილა კოლხეთში) ცნობით პონტოს ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში სხვა ტომების გვერდით ცხოვრობდნენ ბერძნები, მათ საცხოვრისზე შედარებით გარკვეულად მიუთითებს დიონისე (ახ. წ. II ს.). დიონისეს ცნობით კოლხების შემდეგ ე. ი. სამხრეთით პირველად ცხოვრობდნენ ბიძერები, მათ ახლოს ბენირები (БДЦ, 1948, № 1, გვ. 241). ბიძერების გეოგრაფიული განსახლების არეალი მკაფიოდ ჩანს ფსევდოსკილაქსთან. იგი ამ ტომის საცხოვრისს აფსარის შესართავის რაიონში ათავსებს კოლხებს და ეკხირიელებს შორის (БДЦ 1947, № 3 გვ. 242), საინტე-



რესოა, რომ პლინიუსი და არიანე, რომლებიც ახლო ფრენტზე ცხრილი გვიჩვენებ სტრაბონის ეპოქასთან (სტრაბონის გარდაცვალებს შემდეგ 6 ათეული წლის ცნობებია პლინიუსისა, ხოლო არიანესი თვით პლინიუსიდან 5 ათეული წლისა) იმავე მიღამოებში მხცოვრებ ტომთა სისა ასეთი სახით გვაძლევენ:

ჰენიოხები — ამპრევტები — ლაზები⁴ (პლინიუსი)

ჰენიოხები — ზიდრიტები — ლაზები⁵ (არიანე)

პლინიუსისა და არიანეს მონაცემებს თუ შევუდარებთ სტრაბონისას, დავინახავთ, რომ სამივე შემთხვევაში იცვლება ჰენიოხებსა და ლაზებს შორის დასახელებული ტომის სახელწოდება. სტრაბონისა და სხვათა ბიძერებსა, თუ მის ვარიანტულ ბიზერბიზარებს ცვლიან პლინიუსის „ამპრევტი“ და არიანეს „ზიდრიტი“. თუ ჩვენ ბიძერ-ამპრევიტ-ზიდრიტს ერთმანეთისაგან განვისხვავებთ, მაშინ დაახლოებით რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე ჭოროხის შესართავის რაიონში გვექნება ტომთა მოსვლა-წასვლის ორჯერადი შენაცვლება. ე. ი. ბიძერები უნდა შეცვალონ ამპრევტებმა, ესენი კი ზიდრიტებმა. მაშინ პირველ შემთხვევაში საინტერესო იქნება სად წავიდნენ ბიძერები და თუ მართლა მათი მიწა-წყალი ამპრევტებმა დაიჭირეს, მაშინ საიდან მოვინენ თვით ეს უკანასკნელნი. ხოლო მეორე შემთხვევაში — სად წავიდნენ ამპრევტები და საიდან მოვიდნენ ზიდრიტები. ამიტომ ბიძერების დაკავშირება ბერძნებთან (გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი), ხოლო ზიდრიტებისა ზიგებთან (ზინქებთან; ჯიქებთან — ხ. ბლაქბა, ი. სიხარულიძე) მიუღებელი უნდა იყოს. ბიძერები (ბიზერები), ამპრევტები და ზიდრიტები (ძიდრიტები) უნდა იყოს ერთდაიმავე ტომის ვარიანტული სახესხვაობა და სამივე უნდა უკავშირდებოდეს სატომთ სახელწოდება „ჰარ“-ებს და გეოგრაფიულ სახელწოდება „აჭარა“-ს ამპრევტში ჩვენ კვედავთ ეთნონიმ აჭარების დამახინჯებას. რაოგან ძველმა ბერძნულმა ორ იცის ბგერა „ჭ“, ამიტომ მისი გამოთქმა გაუჭირდებოდა პლინიუსის იმფორმატორს (სავარაუდოა, რომ იგი იყო აფსარის ციხეში მყოფი რომაელი ჯარისკაცი) და ეს სახელწოდება პლინიუსიმდე სახეუცვლილად მივიდა, ხოლო, როგორც ჩანს, თვით პლინიუსმაც მისი გაეგბისდა მიხედვით მოვცა აჭარების სახელწოდება ამპრევტების სახით. თუ ბგერა „ჭ“ გაუკებრობის ნიადაგზე დამახინჯდა ონ გადმოგვცა „მჭ“ კომპლექსით და „ბ“, რომელიც ახლოა „ვტ“-სთან, მაშინ ამპრევტი გაუთანაბრდება აჭარებს: ამპრევტი — აჭ(ა)-რები. ამპრევტები, რომ იგივე ბი-ძერ-ები (ო-ძ(ე)-რ-ოხი) არიან ამას თვით პლინიუსის შრომაში მოყვანილი ცნობებიც ადასტურებენ: იგი ძველი წყაროების საფუძველზე სამხრეთ-



აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ასახელებს ბუქსერებს.¹ გ. მელქიშვილი კი მიმდინარეობს აზრით ესენი იგივე ბიძერები არიან. ჩოლო თანადროული ცნობების მიხედვით ჭოროხის შესართავის მახლობელ რაიონებში განსახლებულ ტომთა შორის ბიძერებს არ მოიხსენიებს, ასახელებს ამპრევტებს. ასევე ითქმის არიანეს „ზიდრიტზეც“. თუ ჩვენ ამ ტომის სახელში სუფიქს „ტი“-ს ბერძნულ ფორმად (პესპერიტი, ტაბეზუნტი, აფსარუნ-ტი...) მივიჩნევთ, მაშინ ამ ტომის ფუძედ „ზიდრი“ დაგვრჩება, რომელიც ახლოს დგას ბიძერების ვარიანტულ „ბიზირის“ ფუძე „ზირი“-სთან, რომელიც ამიანუს მარცელინუსის „ზარ“-ისა და ქართული „ჭარ“-ის შესატყვისია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ არიანეს „ზიდრიტში“ ბგერა „აღ“ დამახინების შედეგად მოხვდა. ბიძერები (ზი-ზირ-ები), რომ იგივე ზი(ღ)რიტ-ები არიან, ამას თითქოს V საუკუნის ბერძენი ანონიმის ცრობაც ადასტურებს, კერძოდ, მისი ცნობით აფსაროსსა და არქაბეს შორის წინათ ცხოვრობდნენ ბიძერები, ახლა ზიდრიტები. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტერიტორიაზე ტომთა მოსვლაწავლის ფაქტი არ დასტურდება. ამიტომ ეს ორი სახელწოდება ერთდაიმავე ტომის სახელი უნდა იყოს. ფსევდო-არიანე არ დაკვირვებია ამ ეთნონიმს, არ შეუდარებია ისინი ერთმანეთთან. მან უბრალოდ ბი-ზირ-ები და ზი(ღ)რიტ-ები სხვადასხვა ტომად მიიჩნია. ს. ჯანაშიას მიაჩნია, რომ არიანეს ზიდრიტები უდრიან პლინიუსის ამპრევტებს, ოლონდ რეალური ურთიერთობის გარკვევა, ზიდრიტ-ამპრევტებს შორის მომავლის საქმედ მიაჩნდა.² შ. ვარშანიძე 1990 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ „არიანესთან დაცული სახელწოდება „ძიდრიტები“ — აღრინდელი „ძარიტები-ს, თუ „ჭარიტების“ ფორმანაცვალი, ან დამახინებული სახელია“. იგი ძიდრიტ და ჭარიტ ეპონიმებს შორის ურთიერთგენეტიკურ კავშირს ხედავდა (ძიდრიტ-ძარიტ-ჭარიტ-აჭარლები). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ჩანს კლავდიოს პტოლემეიონის (ახ. წ. II ს.), „ზაღრის“-იც ზიდრიტების სახელს უკავშირდება. ამ საკითხის თაობაზე ჭერ კიდევ 1957 წელს ნ. ლომოური წერდა: ზაღრის, არ გახვდება სხვა წყაროებში, ამიტომ მისი ლოკალიზაცია ძალიან ვაძნელებულია, ჩვენ იძულებული ვართ ეს საკითხი გადაუწყვეტელი დავტოვოთ. აღვნიშნავთ მხოლოდ იმს, — წერდა მკვლევარი, — რომ გამოცემის („Seythica et Caucasica“) კომენტატორით სახელი „ზაღრის“ უნდა გაიგივდეს ტომის სახელწოდებასთან ზიტრიტებთან, რომელსაც ასახელებს არიანე. მანამდე გამოქვეყნებულ ნაშრომში ნ. ლომოურმა ძაღრისი ქალაქის თუ სოფლის სახელად მიიჩნია და აღნიშნავდა, რომ ძაღრისის აღგილმდებარეობის მოძებნა არ ხერხდე-



ბა. ოუმცა კლავდიის პტოლემეიოსის მონაცემების მიხედვით შე-
დგენილ რუკაზე, ძაღრისი სამართლიანად, სადღაც ოძახეს მახლო-
ბლად მოთავსდა ვ. ლატიშევი (იმოწმებს Mannert-ს) მოუთითებს,
რომ ძარის (ვადრიდა) მდებარეობს რიონის ზემო დინებაში:

მაშასაღამე, ურარტული წყაროების უიტერუხ-უიტირუხში უნ-
და გამოიყოს „უ“ პრეფიქსი, რომელიც „ო“ მეგრულ-ჭანურისა
და „ა“ ქართული ტოპონიმიკური პრეფიქსის ტოლია. „უხი“ ხური-
ურარტული სუფიქსია. ამ სახელწოდებაში გამოიყოფა ფუძე ტერ-
ტირ, რომელიც მსგავსია ბერძნულ-რომაულ წყაროებში დაცული
ემავე ტომის სახელწოდების (დი-ძერ-ები, ბი-ძერ-ები, ბი-ზერ-ები,
ბიზირ-ები, ბი-ზარ-ები, ა-მპ(ა)რ-ევტი, ზი(დ)რ-იტი, ზა(დ)რ-ის
ძი(დ)რ-იტის) ფუძის ვარიანტებისა ძერ-ზირ-ზარ-ისა, რომელიც,
როგორც აღვნიშნეთ იგვეა, რაც ქართული „ჭერ-ჭარ“. სწორედ ამ
სატომო სახელწოდებიდან (ზარ-ძარ-ჭარ) უნდა იყოს წარმომდგარი
სახელი ძირძველი იბერიული პროვინციის „აჭარისა“ („ა“-„ა“
პრეფიქს-სუფიქსის დართვით).



შურმან ცეცხლადე

თავისუფალი ეპონომიკური ზონების ტიპები

სხვადასხვა ეპონომისტი გამოყოფს თავისუფალი ეპონომიკური ზონის (თეზ) სხვადასხვა ტიპს. არსებობს რესი მეცნიერების ე. ი., შტიკანოვის, ლ. ი. გასილიევის, ვ. ბაბინცევისა და ხ. ვალიულინის, ჩინელი მეცნიერის სიუ ცზიცის, ამერიკელი ეპონომისტების მ. ფრაზიერისა და რ. რენეს მიერ მოცემული კლასიფიკაციები.

თეზ-ების კლასიფიკაციათა ასეთი მრავალგვარობა მეტწილად გამოწვეულია იმით, რომ პრაქტიკულად ზონები წმინდა სახით იშვიათად გვხვდება, მაგალითად, საიმპორტო-სამრეწველო ზონა, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მიმღები ქვეყანა, აგრეთვე ადგილობრივი საწარმოები თანამედროვე საქონლითა და ტექნოლოგით, არ გამორიცხავს სხვა ტიპის ზონის ზოგიერთ ნიშან-თვისებას, რომლებიც დამახასიათებელია მაგალითად საბანკო საქმის, დაზღვევის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებისათვის.

თუ შევაჯამებთ ზემოთ აღნიშნული ეპონომისტების მოსაზრებებს, შეიძლება გამოვყოთ თეზ-ების შემდეგი ტიპები:

1. თავისუფალი საბაზო ზონა
2. საქესპორტო წარმოების ზონა
3. თავისუფალი ვაჭრობის ზონა
4. საგარეო ვაჭრობის ზონა
5. თავისუფალი პორტები
6. თავისუფალი სასაზღვრო ზონა
7. საზღვრების გადაკვეთის ზონა
8. ზონები, ფიქსირებული ბაჟით
9. თავისუფალი მეწარმეობის ზონა
10. სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკები
11. სავაჭრო-სასაწყობო ზონა
12. სასაწყობო-ტრანზიტული ზონა
13. ინტეგრირებული — სამრეწველო, ფინანსური და ტურისტული ზონა
14. სპეციალური ეპონომიკური ზონა

15. ინფორმაციის დამუშავების ზონა.

16. ეკოლოგო-ეკონომიკური ზონა.

17. სადაზღვევო და საბანკო მომსახურების ზონა

18. საიმპორტო-სამრეწველო ზონა.

აქვთ უნდა შევნიშნოთ, რომ არც ეს კლასიფიკაციაა სრულყოფილი, გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციის. ცენტრის ექსპერტების მონაცემებით ოზ-ის სხვადასხვა სახის აღსანიშნავად ამჟამად გამოიყენება 30 სხვადასხვა ტერმინი. ჩვენ ზონების ამ ტრიბით შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ ზოგიერთი ტერმინის გამოიყენებისას საქმე გვაქვს არა არსობრივ, არამედ წმინდა ტერმინოლოგიურ განსხვავებასთან. ზოგიერთი ტერმინი გამოიყენება აგრეთვე რომელიმე ზონის ქვესახეობის განსამარტავად: მაგალითად სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკები მოიცავს „ტექნოპოლისებს“ — იაპონიისა და სამეცნიერო პარკებს აშშ-ს მაგალითზე.

— ზემოთ მოყვანილ კლასიფიკაციის აქვს მეორე ნაკლიც, კერძოდ ზოგიერთი სახის ზონები ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვადებიან და ჩვენც ცალკე განვიხილავთ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ უკვე ჩავწერეთ მათ თავისებურებებს.

1. თავისუფალი საბაზო ზონა

თავისუფალი საბაზო ზონა (თსზ) ეს არის ქვეყნის ტერიტორიისაგან გამოყოფილი ნაწილი, სადაც შეიძლება უცხო საქონლის შეტანა უბაჟოდ, ხოლო გარკვეული ვადის გავლის შემდეგ გამოტან, გადასახადების გარეშე. სავაჭრო გარიგების საგნად გამოიყენებისას შეიძლება მათი უბაჟო ტრანსფორმაციები (დაფასოება, გადარჩევა, ხელახლი შეფუთვა, დამლის დასმა), ხოლო შემდეგ უბაჟოდ და შეუზღუდავად გადაიზიდება სხვა ქვეყნებში ან ბაჟის გადახდით. გარტანება ქვეყნის შიდა ბაზარზე.

თსზ-ში კონტროლი საქონელზე დაყვანლია მინიმუმიდე და ჩვეულებრივ მასზე მეთვალყურეობით განისაზღვრება.

დღეისათვის მსოფლიოში ითვლიან არანაკლებ 400 თსზ-ს, მათი უმეტესი ნაწილი მოდის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე. მაგალითად, ევროპის 17 ქვეყანაში ირიცხება 130-მდე ასეთი ზონა. აშშ-ში თავისუფალი ეკონომიკური ზონების 18 %-ზე მეტ თსზ-ა, რომლებიც იქ „საგარეო ვაჭრობის ზონებად“ იწოდებიან. თსზ-ის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე სხვა სახელწილებებიც: „თავისუფალი პორტები“, ან „პორტო-ფრანკო“, „ტრანზიტული ზონები“, „თავისუფალი ვაჭრობის ზონები“ და ა. შ. ეს გამოწ

ვეულია იმით, რომ თსზ-ები წმინდა სახით იშვიათად გვხვდება, რადგან ისინი სუსტად იზიდავენ ადგილობრივ რესურსებს, ამიტომ მათ შეიძლება ჰქონდეთ სავაჭრო ან სამრეწველო ხსნათი.

— სავაჭრო თავისუფალ საბაჟო ზონებში ნებაღართულად მხოლოდ ისეთი ოპერაციის განხორციელება, რომელიც აუცილებელია საქონლის ხარისხიანად შენახვისა და მისი ხელახალი დაფასოება-შეფუთვისათვის. ასეთი ზონებია ე. წ. თავისუფალი პორტები და განსაკუთრებით კი საწყობები აეროპორტებთან და სარკნეგზო გზებთან.

— სამრეწველო ხასიათის თსზ-ები იყოფა:

- თავისუფალი ვაჭრობის ზონებად (თვზ)
- ექსპორტის მწარმოებელ თავისუფალ საბაჟო ზონებად (ემსტ).

ა) თავისუფალი ვაჭრობის ზონები: ეს არის გაღასახადებისა-გან განთავისუფლებული ყველა ზონა, სადაც მრეწველობის წარმოების მიზანია დამარსებელი ქვეყნის შიდა ბაზის მომარავება (უფრო ხშირად იმპორტირებული სათაღარიგო ნაწილების აწყობა).

უცხოელი მწარმეები ასეთ ზონებში წარმოების შესაძლებლებებს პირველ რიგში იმიტომ ირჩევენ, რომ ურთიერთგაცვლით მზა პროდუქციის შემოტანისა და პროცექციონალური ღონისძიებების გატარებისას შეიმსუბუქონ საბაჟო ბარიერები.

დამარსებელი ქვეყნისათვის კი მომგებიანია გვერდი აუაროს საკუთარ რესტრიქციულ კანონებს და ამით მოზიდული უცხოური ინვესტიციების დახმარებით შეარბილონ თავიანთი სიძნელეები, რომლებიც დაკავშირებულია განსაზღვრული რაიონების განვითარებასთან, სამუშაო ადგილების შექმნასთან. ასეთი ზონები დამასაიათებელია პირველ რიგში აშშ-სა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნებისათვის.

ბ) ექსპორტის მწარმოებელი თავისუფალი საბაჟო ზონების მთავარი მიზანია როგორც იმპორტირებული რესურსების, ასევე დამარსებელ ქვეყანაში არსებული სამრეწველო ფაქტორების გამოყენებით პროდუქციის ექსპორტი.

მწარმეები, რომელთაც განზრახული აქვთ ზონაში კაპტდაბან-დება ან წარმოების ორგანიზაცია, მაქსიმალურად თავისუფლდებიან მისი ეფექტიანობის შემზღვდველი აღმინისტრაციული მოვალეობისაგან და გაღასამუშავებელი საწარმოების რენტაბელობის ინტერესებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ აუცილებელი საწარმო დანადგარებისა და რესურსების უბაჟოდ შეტანის უფლება.



პირველი ემთსზ დაარსდა ირლანდიაში აეროპორტის მინიჭნის ტერიტორიაზე, რომლის ფუნქციონირება 1959 წელს ავიატექნიკის განვითარებასთან ერთად შეწყდა. ამ დროისათვის ირლანდიამ დაიწყო ექსპორტისათვის გამიზნული მრეწველობის განვითარება და უცხოური სამრეწველო კაპიტალის მოზიდვის მიზნით აეროპორტი ემთს—გამოაცხადა. მიტოვებული საწყობები და კომუნიკალური ობიექტები იჯარით იქნა გაცემული, მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტის მუშავებმა დაკარგეს სამუშაო, უცხოელ ინვესტორებზე საბაჟო, საგადასახადო და სხვა შეღავათების მიცემის, განვითარებული ინფრასტრუქტურის, აგრეთვე იმ პირობების მეშვეობით, რომ მასალების გადასამუშავებლად მიწოდება და მზა პროდუქციის გადატვირთვა ხდებოდა უშუალოდ ზონიდან, მეწარმეობის ეს ფორმა მოკლე დროში ძალის პოპულარული გახდა.

უკანასკნელ ორ ათწლეულში ემთსზ-ები განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა. მაგალითად, 1970 წელს მათი რიცხვი იყო 20, 1986 წელს 53 ქვეყნაში 175-ს მიაღწია.

ძნელია ცალსახად ვამტკიცოთ, თუ რამდენად მომგებიანაა ასეთი ზონები თავიანთი ყველა სოციალურ-ეკონომიკური ასპექტით, მაგრამ ექსპორტის განვითარებაში მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ცნობილია, რომ განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო ექსპორტის ზრდა სწორედ ასეთ ზონებში მოდის. გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შ. ს. ო) მონაცემებით 1975 წელთან შედარებით 1986 წელს სამრეწველო ნაწარმის ექსპორტი ემთსზ-ში გაიზარდა 115%-ით, დასაქმებულთა რიცხვი—9%-ით, მაშინ, როდესაც ამ პერიოდისათვის უმუშევრობა საყოველთაოდ იზრდებოდა.

ემთსზ-ების შექმნისაკენ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებს, უბიძებენ შემდეგი მოსალოდნელი დადებითი შედეგები:

1. ქვეყნის შემოსავლის ზრდა თავისუფალ-კონვერტირებული ალუტით.

2. უცხოური მწარმოებლური კაპიტალის მოზღვავება.

3. მოსახლეობის დასაქმების სფეროში სირთულეების დაძლევაზე ხელშეწყობა.

4. ტექნიკური განვითარების სტრულირება.

5. სპეციალისტების მომზადება.

საზ-ები ქსაბაჟონ გაღისახადებისაგან თავისუფალი რაიონების „სახელმწიფებით ფუნქციონირებდნენ ყოფილ იუგოსლავიაში. მათ უწოდებენ აგრეთვე „საზღვაო საბაჟოსაგან თავისუფალ რაიონებს“.



ასეთი რაიონების უმეტესი ნაწილი (იუგოსლავიაში სულ 11 კიბი და 10 მაზრა) მდებარეობდა საერთაშორისო „ნაოსნობისათვის „ლია“ პიროვნეულობების შემთხვევაში. უკელა ზონის საერთო ფართი შეადგენდა 300 ათას კვადრატულ მეტრს. ამ რაიონების მთავარი მიზანი იყო საქონლის ექსპორტისა და მომსახურების სტიმულირება, აგრეთვე სატრანზიტო კუჭრობის განვითარება. ამტომ, მიუხედავად იმისა, რომ მათში ნებადარითული იყო სამრეწველო წარმოება, ის ძალიან სუსტად ვრძარდებოდა. კაპიტაბანდებანი ძირითადად მიმართული იყო თუცილებელი ტექნიკური ბაზის შექმნისა და განსაკუთრებით ნავმისადგომების მშენებლობაზე. იუგოსლავიის მთავრობამ დაადგინა, რომ უცხოური კაპიტაბანდების წილს ერთობლივ საწარმოებში არ უნდა გადაეჭირობინა 49%-ზე.

ამ რაიონებში იმპორტირებულ და შემდგომ ტრანზიტით ექსპორტზე გატანილ უცხოურ საქონელზე ბაჟს არ ახდევინებდნენ, იმ სამრეწველო საქონლის ნახევარფაბრიკატების, დიზელის საწვავისა და სამომხმარებლო საქონლისაგან განსხვავებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო რაიონის შიგნით გამოსაყენებლად:

იუგოსლავიის მთავრობის მიერ დადგენილი იქნა აგრეთვე მეტად მკაცრი ადმინისტრაციული ზომები საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი რაიონების შემოსალობად, ასე, მაგალითად, სპეციალური კანონით გათვალისწინებული იყო, რომ ეს რაიონები შემოლობილიყო კედლით, რომლის სიმაღლე არანაკლებ 2,5 მ, ხოლო სისქე არანაკლებ 30 მმ შეადგენდა, გათვალისწინებული იყო გასასვლელების სიფართვე, ღამის განათება და რაიონებში შესვლა-გამოსვლის წესი. წყლის ზედაპირზე, რომელიც ესაზღვრებოდა ასეთ რაიონებს, უნდა დამაგრებულიყო ყვითელი ფერის ამკრძალავი ნიშნები. რაიონის შიგნით ცხოვრება არ შეეძლო ყველა პირს; კერძოდ, იქ მომუშავე საბაჟო მუშავებსა და პერსონალს, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ნავსაღვომები, ჯებირები, დამბები, აგრეთვე პროდუქციის დატვირთვა-გადმოტვირთვის, შენახვისა და გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობანი საექსპლუატაციოდ შეიძლებოდა გადაცემულიყო მხოლოდ ფედერალური საბაჟოს მიერ დათვალიერების შემდეგ.

შემოლებული წესებიდან გამომდინარე საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალი რაიონები, ყოფილ იუგოსლავიაში, წარმოადგენდნენ თავისუფალი ვაჭრობის ზონებსა და საექსპორტო წარმოების ზონებს. შორის შეალებულის. ამ რაიონებში გარკვეული თავისუფლება ეძლეოდა საქონლის იმპორტსა და ექსპორტს, შენახვას, დახარისხებას, შეფუთვას, მაგრამ არა სუვერენიტეტით, როგორც ეს შესაძლებელია თავისუფალი ვაჭრობის ზონაში.

2. საექსპორტო ზარმოვგის ზონა



საექსპორტო წარმოვგის ზონა (სწბ) შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტერიტორია, რომელზეც მოქმედებს განსაკუთრებული საბაჟო და სავალუტო კანონმდებლობა და რომლებიც შექმნილია უცხოეური (ზოგჯერ ეროვნული) კაპიტალის მიზიდვისათვის, უპირატესად საექსპორტო წარმოვგის განვითარების მიზნით, შეღავისინი საფინანსო და საგადასახადო რეეიმის პირობებში. ასეთ ზონებს სხვანაირად „ექსპორტის გადასამუშავებელ სამრეწველო რაიონებსაც“ უწოდებენ.

როგორც ეხედავთ სწბ-ებს და ემთხზ-ებს ბევრი რამ აქვს საერთო, მაგრამ ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ამ ზონების თავისებურებანი მდგომარეობს იმაში, რომ მათ ტერიტორიაზე დაშვებულია უცხო საწარმოების აშენება, ხოლო ზონის შიგნით გამოსაყენებლად იმპორტირებული მოწყობილობან-, ნედლეული, ნახევარფაპრიკატები და მოთხოვნილების საგნები არ ექვემდებარებიან საბაჟო გადასახადებს ან მათზე დგინდება შემცირებული ტარიფები. ამ ზონებში წარმოებული პროდუქცია უპირატესად მიღის ექსპორტზე, უბაჟოდ, მაგრამ ზონის დამაარსებელი ქვეყნის მიერ, ზონაში წარმოებული პროდუქციის იმპორტი ხდება ბაჟის გადახდით. ამ ზონებში უპირატესობა ენიჭება გადასამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარებას, რომლებშიც იწარმოება საექსპორტო პროდუქცია.

სწბ-ები განვითარდნენ თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან. მსოფლიოში, პირველ სწბ-ად ითვლება შანონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ითვლება აგრეთვე მსოფლიოში პირველ ემთხზ-ად, უფრო მეტიც; შანონს ზოგიერთი ეკონომისტი თავისუფალი ვაჭრობის ზონად მიიჩნევს. თვით ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ თეზ-ების ამა თუ იმ ტიპს შორის მკვეთრი ზღვარის გავლება შეუძლებელია და მათი რომელიმე ტიპისთვის მიკუთვნება იმის მიხედვით ხდება, თუ რომლის თავისებურებანი სჭარბობს მასში. ეს იმაზეც მიგვანიშნებს, რომ თეზ-ების კლასიფიკაციის მკაცრი კრიტერიუმები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

შანონში ამჟამად 50-ზე მეტი სამრეწველო საწარმო მოქმედებს, სადაც იწარმოება სამრეწველო აღმასი, ელექტრომოწყობილობა, ჭაბურლილების საბურლი აღჭურვილობა და ა. შ. 1979 წლს, ზონის შექმნიდან 20 წლის შემდეგ, მისი ექსპორტის მასშტაბმა 230 მლნ. აშშ-ს ღოლარი შეადგინა.

შანონის ზონის წარმატებებმა, სწბ-ების შექმნაში კატალიზატორის როლი ითამაშეს, 60-იანი წლების შუა პერიოდში მის მაგალ-



ისს ბევრმა განვითარებადმა ქვეყანაშ მიზანა და თავიანთ ტექსტურული ტორიებზე შექმნეს პირველი ზონები. 70-იანი წლების ბოლომდევნებას ისე მომრავლდა, როგორც სოკორი წვიმის შემდეგ. სულ ახლო წარსულში ანალოგიური ზონა შეიქმნა მოსკოვის აეროპორტ შერე-მეტივა — 2-ის ბაზაზე.

სწორებს რიცხვის ზრდა — ეს დროის მოთხოვნაა, კოლონიუ-რი სისტემის კრახის პირობებში განვითარებად ქვეყნებს თავიანთი პოლიტიკური და მოსუკიდებლობის განმტკიცების მიზნით უნდა გან-ევითარებინათ ეროვნული ეკონომიკა, რომ მიეღწიათ ეკონომიკური და მოსუკიდებლობისათვის. საჭირო იყო ეპოვათ ამისათვის აუცილე-ბელი კაპიტალისა და ტექნიკის მიღების სხვადასხვა საშუალებანი. ჩათა თავი დაეცვათ ნედლეულის წყაროებისა და სამუშაო ძალის მძარცველური ექსპლუატაციისაგან.

ამავე დროს განვითარებულ ქვეყნებში ახალი დარგების წარ-მოშობებისან ერთად ეკონომიკის მრავალმა ტრადიციულმა სექტო-რმა დაცემა იწყო. ამას დაემატა სამუშაო ძალისა და მიწის დისტ-ულების მუდმივი ზრდა, ამიტომ დარგები, რომლებიც დიდი რაო-დენობის შრომით რესურსებს მოითხოვს, ნელა ვითარდებოდა გან-ვითარებადი ქვეყნები კი დაინტერესებულნი იყვნენ ეს წარმოებები მათთან გადატანილიყო.

საექსპორტო წარმოების ზონების წარმოშობაშ და განვითარე-ბაშ გარკეცული ცვლილებები გამოიწვია საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობასა და შრომის საერთაშორისო ეკონომიკურ დანაწილებაში. ამჟამად განვითარებული ქვეყნები სპეციალიზდე-ბიან სამეცნიერო ტექნიკოტევად და კაპიტალტევად სამპეტელო წარმოებაში, ხოლო განვითარებადმა ქვეყნებმა კი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდებასთან ერთად დაიწყეს გადასამუშა-ვებელი დარგების განვითარება, რომლებიც მოითხოვენ შრომითი რესურსების დიდ რაოდენობას.

სწორები — ყველაზე გარკეცულებული ტიპია თეზებს შორის, მათ-დამი ინტერესი განპირობებულია ამ ზონების შესამჩნევი წარმატე-ბებით, მოდერნიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისების სა-სწრაფებით.

თავდაპირველად სწორები — განიხილავდნენ, როგორც ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ანკლავებს და ჩვეულებრივ ვარაუდობდნენ, რომ მათ სტატუსს უნდა ჩამოცილებოდა ყოველგვარი მნიშვნელო-ებანი სამრეწველო და ტექნოლოგიური გავლენა შიგა ეკონომიკაზე, მაგრამ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, როცა ისინი მოქმედებ-ენ ასეთი ექსტერიტორიული ფორმით, მაშინაც კი მათი გავლენა



ადგილობრივ ეკონომიკაზე საქმაოდ საგრძნობია. ეს გავლენა თავისი არსით ატარებს მამოდერნიზებელ ხასიათს და ხორციელობების მოელი რიგი არა არა და მექანიზმის საშუალებით. უპირველესად აღსანიშნავია „სწავლების ეფექტი“, განსაკუთრებით მართვის, შრომის ორგანიზაციისა და საექსპორტო მარკეტინგის სფეროში. ზონაში სამამულო წარმოების არსებობის შემთხვევაში — საზღვარგარეთის ინექსტორებთან კონტრაქტით შეიძლება შეიქმნას ფირმათაშორისი კომუნიკაცია და აიწიოს სამამულო წარმოება.

გარდა თავისი მამოდერნიზებელი ფუნქციისა, თეზ-მა შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი დახურული ეკონომიკიდან უფრო ღია ეკონომიკაზე გადასვლის უზრუნველყოფაში, ზონების ანკლავური ბუნების ჩათვლით. გარე სამყაროსათვის, თანდათანობით „გაღების“ პროცესი შეიძლება გადავიდეს უფრო დახვეწილდა დახელოვნებულ ფორმებში, ვიდრე მთელი ეროვნული ეკონომიკის ლიბერალიზაციით. მიუხედავად სწორების განვითარებაში ხშირი წარუმატებლობისა და პრობლემებისა, მათი პოპულარობა და რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. 1965 წელს ირიცხებოდა სულ 7. 1975 წ—79. 1985 წ—260 სწორები.

90-იანი წლების დასაწყისში განვითარებად ქვეყნებში მოქმედებდა უკვე 300-ზე მეტი „სწორები“, 50-ზე მეტი იმყოფებოდა მოსამზადებელ სტადიაში. სწორებში სულ დასაქმებული იყო 2 მილიონი ადამიანი, ნავარაუდევია, რომ 95-96 წლებში დასაქმებულთა რიცხვი 3 მილიონს მიაღწივს, ხოლო ექსპორტის მოცულობა 1990 წელს 17 მილიარდი დოლარიდან 1995 წელს გაიზრდება 25 მილიარდ დოლარამდე. მსოფლიოში მიღებული „სწორების“ მოდელის მიხედვით უცხოური ინვესტიციების აქტიური ჩაბმა საექსპორტო წარმოების ორგანიზაციისათვის უნდა მოხდეს განსაზღვრულ, მკაცრად შეზღუდულ ტერიტორიაზე სამი ძირითადი ფაქტორის ერთდროული გამოყენებით:

1. საფინანსო-ეკონომიკური შეღავათების სისტემა (საბაჟო, საგარეო-სავაჭრო, საგადასახადო, სავალუტო, საკრედიტო-საფინანსო).

2. ზონის ტერიტორიის კომპლექსური ინფრასტრუქტურული მოწყობა.

3. სპეციალური საორგანიზაციო-აღმინისტრაციული სტრუქტურების შექმნა, რომლებიც მოწოდებულნი არიან არსებითაო გაადვილონ ინექსტორებისათვის ზონაში შეღწევა და ხელმძღვანელობასთან კონტაქტი.

მსოფლიოს უმეტესი „სწორების“ დამახასიათებელი თვისებაა



ინვესტორებისათვის მიცემული კომერციული და ფინანსური სტანდარტების მსგავსება, მათ რიცხვის მიერთვნება:

ა) ზონაში საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის ვამო-საყენებელი აღჭურვილობის, ნედლეულისა და მაკომპლექტების კომპონენტების იმპორტის საბუო და სხვა გადასახადებისაგან გა-თვისუფლება;

ბ) საექსპორტო და საიმპორტო კვოტებისა და ლიცენზიების გაუქმება ან შესუსტება იმ ფირმებისათვის, რომლებიც ეწევიან სა-ექსპორტო წარმოებას;

გ) ფირმების გათავისუფლება, საქმიოდ გრძელი ვადით (როგორც წესი 5-10 წლით), საშემოსავლო გადასახადისაგან, აგრეთუ სხვა გადასახადებისაგან, რომლებიც არსებობს მოცემულ ქვეყანა-ში;

დ) ინვესტორებისათვის საგადასახადო ბეგარის განაკვეთის შემცირება „საგადასახადო შესვენების“ დამთავრების შემდგომ პე-რიოდში;

ე) რეინვესტიციის შედეგად ამონაგები თანხების დაბეგვრისა-გან გათავისუფლება;

ვ) სწორებში დასაქმებული უცხოელი პერსონალის გათავისუფ-ლება საშემოსავლო გადასახადისაგან.

ზ) საზღვარგარეთ მოგებისა და კაპიტალის გადატანაზე შეზღუდვების მოხსნა (მათ შორის გადასაყვან მოგებაზე გადასახადის მოხსნა);

თ) ინციდენტულტურული მომსახურეობის მოწყობა (ენერგია, ტრანსპორტი, კავშირებაბმულობა), მიწისა და საწარმოო შენობების იჯარა შეღავათიანი ტარიფებითა და ფასდადებით. რიგ ქვეყნებში, სადაც აქვთ საქმაო ფინანსური რესურსები (სამხრეთ კორეა, ტაივანი და სხვა) გამოიყენება ზონის ინვესტორებზე შეღავათიანი კრე-დიტების გაცემა, რაც ითვლება კაპიტალის დაბანდების უფრო მი-მზიდველ ფორმად, ვიდრე საგადასახადო შეღავათები.

განვითარებადი ქვეყნების საექსპორტო წარმოების ზონების ერთ-ერთი მთავარი თვისებაა ინვესტორებისათვის სავალუტო ოპე-რაციების წარმოების განსაკუთრებული რეები: უცხო ვალუტის გამოგზავნა საწარმოებისათვის საზღვარგარეთიდნ და საწარმოს მიერ საზღვარგარეთ გაგზავნა, აგრეთვე, ზონაში მდებარე საწარ-მოებს შორის ანგარიშმორება.

ამავე დროს ანგარიშმორება ზონაში მდებარე ეროვნულ საწა-რმოებსა და ორგანიზაციებს, თვით წარმოებებს შორის ხორციელ-დება თავისუფალი კონვერტირებული ვალუტით და სავალუტო



ოპერაციები რეგულირდება ისევე, როგორც უცხო სახელმწიფო მუნიციპალიტეტის ბის საწარმოებთან—ყოველივე ეს წარმოადგენს აგრეთვე საღაზღვევო და საბანკო მომსახურების ზონების ნიშანთვისებებს.

გნეუთარებადი ქვეყნების „სწ“-ის შეღავათების რიცხვს, რომელიც ეძლევა ინგესტორებს, მიეკუთვნება აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმი, რომელიც არეგულირებს მუშახელის გამოყენებას. ის ძირითადად ემსახურება მშრომელთა სოციალური დაცვის შეზღუდვას, მათ შორის ზონის ფარგლებში პროფესიონელების მოქმედების შეზღუდვას ან აკრძალვას. შრომის კანონმდებლობის მოქმედების შეჩერებას სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობის ფიქსირების სფეროში, მშრომელთა ცალკეული ნაწილის შეღავათიან პირობებში დაქირავებას, მეწარმის გათავისუფლებას სოციალური დაზღვევის ფონდში გადასახადისაგან და სხვა.

აღსანიშვინა, რომ ხელფასის ეკონომია თავდაპირველად ასეთ ზონებში შეადგენს 90%-ს. განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, თუმცა დროთა განმავლობაში იგი მცირდება, ამასთან ხელფას ზონებში გაცილებით მაღალია, ზოგჯერ 2-ჯერ ან 4-ჯერაც კი, ვიდრე დამარსებელი ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის ანალოგიურ საწარმოებში.

ტერმინი „თავისუფალი ზონა“ არ ნიშნავს იმას, რომ მათში შესაძლებელია ყველა მსურველმა განახორციელოს თავისი საქმიანობა რაიმე შეზღუდვის გარეშე. ფირმებმა, რომლებმაც უნდა გამართონ წარმოება „სწ“-ში, უნდა მიიღონ შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციებიდან სპეციალური ნებართვა (ლიცენზია), რომელშიც ნათევამია მათი კონკრეტული ვალდებულებანი. მთავარა პირობა, რომელიც დგება სამრეწველო პროდუქციის მეწარმეების წინაშე — ეს არის მისი საექსპორტო ორიენტაცია. უმეტეს შემთხვევაში დგინდება, რომ „სწ“-ში გამოშვებული პროდუქცია აუცილებლად ექსპორტირებული უნდა იქნეს. ზოგიერთი ქვეყანა უშვებს არ ნიშნული პროდუქციის შადა ბაზარზე წარდგენის შესაძლებლობას, მავრამ როგორც წესი, არა უმეტეს წარმოების მოცულობის 10-15%-ისა. რათა ამან ზიანი არ მიაყენოს ეროვნულ მრეწველობას.

ზოგჯერ წესდება განსაკუთრებული მოთხოვნები საექსპორტო წარმოების ხასიათზე. მაგალითად, სამხრეთ კორეის რესპუბლიკაში გაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ მტკიცდება საწარმოთა სი, რომელთაც აქვთ უფლება აწარმოონ პროდუქცია. „სწ“-ში ფირმებს არ შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი მუშაობის დარგობ-



რივი სპეციალიზაცია შესაბამის ორგანოებთან შეუთანხმებლად კონკრეტული რიგ ქვეყნებში „სწ“-ის ეროვნულ ეკონომიკისთან კოოპერაციული კონფიდენციალური კონფიდენციალური და შიდა სავალუტო შენატანის გასაძლიერებლად და შესდება აუცილებელი პირობები ზონის საწარმოების მიერ მათვის საჭირო ნედლეულის, მასალებისა და კომპონენტების შიდა ბაზარზე შესყიდვისთვის. მაგალითად, ბრაზილიაში საექსპორტო ზონაში შესაჭმნელ ყველა საწარმოსათვის დგინდება აუცილებელი მინიმალური რაოდენობის ხარჯი, ქვეყნის შიდა ბაზარზე საქონლის უცხოური ვალუტით შესაყიდად. როგორც წესი იგი საწარმოს კაპიტალდანდების არანაკლებ 30%-ს შეადგენს.

სწ-ში დაშვებული საწარმოებისადმი წყვენებული ჩვეულებრივი პირობაა საწარმოს მიერ ეკოლოგიური და ტექნოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. საწარმოები ვალდებული არიან ღაიცვან შონაში არსებული ანგარიშგების, გასავლის და შემოსავლის, საბანკო და სანიტარული კონტროლისა და სხვა ნორმები. არსებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საწარმოში დადგენილი წესით შესაძლებელია მათ არამარტო დაედოთ საჭარიმო სანქციები. არამედ ჩამოერთვათ „სწ“-ში ფუნქციონირების უფლებაც.

განსაკუთრებული კომერციული და ფინანსურ-ეკონომიკური რეჟიმის შექმნასთან ერთად „სწ“-ის მნიშვნელოვან დამახასიათებელ თვისებად ითვლება ზონის ტერიტორიის კომპლექსური ინფრასტრუქტურის მოწყობა სამრეწველო პარკის პრინციპით. ეს ნიშნავს ზონაში გამოყოფილი ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოზადებას. მისი ზედაპირის მოწესრიგების, შენობების და ყველა აუცილებელი საინჟინრო ნაგებობისა და კომუნიკაციის ჩათვლით (ენერგო, სათბობ, წყალმომარაგების, კანალიზაციის, კავშირ-გაბმულობის ხაზების და ა. შ.).

ამგვარად მომზადებული ტერიტორია, ზონაში იყოფა განსაზღვრული რაოდენობის უბნებად, რომელთა ნაწილზე წინასწარ შენდება ორგანიზაციების მიერ მოდელის ტიპის სტანდარტული საწარმოო კორპუსები, შემდგომში მათი სხვადასხვა საწარმოო დანეშნულებებისათვის გამოსაყენებლად.

უბნის დანარჩენი ნაწილი ინახება რეზერვის სახით, ინვესტორების მიერ საწარმოების დამოუკიდებლად აშენებისათვის. მიწის ნაკვეთები სწ-ში არ იყიდება, არამედ გაიცემა იჯარით. იჯარის

მაქსიმალურად განსაზღვრული ვადები მერყეობს ათიდან 50 წლამზე
და.

ზონის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება აგრეთვე სა-
საწყობო ნაგებობები, ბიზნეს ცენტრები, შენობები ზონის ადმინი-
სტრატეგიული მომსახურებისათვის, საბაჟო მომსახურებისათვის.

„სწ“-ს მასშტაბი არ არის დიდი — 0,3-დან 3 კვადრატულ
კილომეტრამდე ფარგლებში, ხოლო „სწ“-ში დასაქმებულთა რაო-
დენობა 5-დან 50 ათას კაცამდე მერყეობს.

და ბოლოს, სწ-ის მესამე სავალდებულო თვისება — ეს არის
სპეციალური ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურის შექ-
მნა (ზონის ადმინისტრაცია), რომელიც დასაქმებული იქნება ზონ-
ის კეთილმოწყობის, განვითარებისა და ფუნქციონირების უზრუნ-
ველყოფით და ექნება ფართო უფლებები ადმინისტრაციული საკი-
ონების გადაწყვეტისას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



୩୦୯୧୯୬୮

୩୩୦୯୦୧, ୩୬୩୫

ଶୁଣାନ ଲୋକାନ୍ତର — ଲେଖକ	୩
ଶାତା ବୋକାନ୍ତର — ଲେଖକ	୬
ଆଖରି — ... ଦା ଫର୍ମ ଗ୍ରେଟ୍‌ରେସା..., (ରମାନା)	୮
ଛୁରାବ ପ୍ରିକ୍‌ପ୍ରେସର୍‌ସାମଗ୍ରୀ — ଲେଖକ	୬୭
ଝେବାଲ ଝେବାଲ — ମିଶାପଦ୍ଧରୀ କ୍ଷାମି (ଥର୍ମକର୍ମକ)	୭୧
କେଣ୍ଟି କୋଳାନ୍ତର — ଲେଖକ	୭୬
କ୍ଷାମିର ତାପଦିକିମି — ଏକାଶେଖି କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତା	୭୯
ଲୋକାର୍ଥିଲ୍ଲାଙ୍କା ଦା କ୍ରାନ୍ତିକାରୀ ଗାନ୍ଧାତଲ୍ଲାଙ୍କ	୮୧
ଶାର୍କ୍ରୂପିତାନ୍ତର	୮୨
ଶାର୍କ୍ରୂପିତାନ୍ତର (ମିନିଅତୁର୍ରେବା)	୮୩
ପଣ୍ଡାଧରାର ଧାରାନ୍ତର — କ୍ଷେତ୍ରି ମୁଖୀ (ଲେଖକ)	୮୫
କେବା ଦୁଇତା — ମନ୍ଦୁରୀ ମନ୍ଦିରିଲ୍ଲାଙ୍କ (ନିବେଦା)	୮୮

୩୧୩୦୩୦

ପାଦମନାବାର ପାଦମନାବାର — ଲେଖକ	୯୩
----------------------------	----

୩୧୬୩୦୩୦

ଅନ୍ତରୀ ପାନ୍ଦିରା — ଦାଶରତ୍ନରେବା. (ଥର୍ମକର୍ମକ). କ୍ରାନ୍ତିକାରୀ	୯୫
ତାରଗମନ କେନ୍ଦ୍ର ଏକାଲାପନା	୯୯
କେନ୍ଦ୍ରାଧି କୋଣକାନ୍ତର — ନିଜରୀ ନାମପ୍ରେତି. ଶ୍ରୀପାଠାର, ତାରଗମନ	
କୋଣାରକ ପାରାମରିପାଥ	୧୦୨

୩୧୦୩୦୩୦

ପିଶରି ପିଶରିଲ୍ଲାଙ୍କାନ୍ତର — ପାନ୍ଦିରି ନିର୍ମାଣକ୍ଷେତ୍ରାଲ୍ଲାଙ୍କ ବାଧ୍ୟାରି	୧୦୩
--	-----

పీచోడిన తాబిడి — 100

శురూప శుశుర్పింది — నీరు గ్రాహకున్ని

110

పొ ల ల ల ల

పుపు పుపు — 80

ప్రభుత్వ ప్రభుత్వం — ...స విస్తారాడ స్థావరంది...

115

సమయ సమయిలు

ప్రభుత్వ ప్రభుత్వం — అపారిస గ్రంథములుగూ లూ బిందుర్జుసిస
క్రమిస స్థావరం

120

పొ ల ల ల ల

ప్రభుత్వ ప్రభుత్వం — తాపిస్తుపాలు వ్యాపారమైపుచురుం కొన్నెందిస కుండు

125

1. తాపిస్తుపాలు సాశాఖ కొన్ని

128

2. సాయ్జీపెంచర్తు ట్రాన్సిట్రిస కొన్ని

130